კვირის პალიტრა

მზე

N47(180) 20/XI.-26/XI.2003

ფასი 60 თ.

1168
2003

ენერგოვამპირები – პოლიტიკაში, ოჯახში და სამსახურში...

ნანა კუპატაძე: „ქმრის თხოვნამ განზრახვაზე ხელი ვერ ამაღებინა...“

ეფექტური დიეტა საყვარელი ადამიანისთვის

პირველი ფელენამყვანი საქართველოში საკუთარ ბუდეზე ოცნებობს

გოდერძი ჩოხელი, „სიყვარულის ცეცხლი“ და მიმდინარე მოვლენები

ნათია კიტოვანი:

„ბავშვობაში მეშინოდა მამის — მეგონა, რომ ძალიან მკაცრი იყო. შეიძლება იმიტომ, რომ 9 წლის ვიყავი, როცა მამა ჩამოვიდა და გაუცხოობის გრძნობა მქონდა...“

გვ. 46

კვირის პალიტრა
ალია
№47 (180)
20 – 26 ნოემბერი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
პროტესტი პროტესტის წინააღმდეგ ანუ ქირავდება სამიტინგო ადგილები! 3
ერთი კითხვა 4
აინონა-დაინონა
გვაშინებენ თუ მართლა უნდა გვეშინოდეს? 5
განწყობა
„ჩვენ კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ და ხალხთან კონფლიქტში არ შევდივართ“ 6
სასიძო
● „მამაჩემმა თქვა – აი, ასეთი სასიძო მინდა მეო...“ 7
● „ვაღიარებ, რომ აზიატი ვარ და ამით ვამაყობ კიდეც...“ 8
ბახუსი
როგორ უნდა გამოვიდეთ „პახმელიაზე“ – ნუგზარ ერგემლიძის რეცეპტი 10
ტესტი
ერთგული მკითხველი 11
მარჩიელი
„ვერ ვხედავ ისეთ პოლიტიკოსს, რომელიც ხალხისგან მოკვეთას შეურიგდება...“ 12
კრიმინალი
● უახლოეს მეგობარს ცოლის დის მოტაცება არ აპატია 14
● „თავდიებმა ნიკელას მოკვლა დამავალეს“ 15
● დაყაჩაღება ლისის ტბის ქუჩაზე 17
გზავნილები
„ქალური ბედნიერება არასოდეს მქონია...“ 18
ცხოვრება
„ბაუსაძლისია, ორ კაცს შუა რომ იხლიჩები...“ 20
თემა
ენერგოვამპირები – ვინ გვართმევს სასიცოცხლო ძალებს? 21
სახე
ფოტოხელოვანმა საკუთარი შვილი გაჩენისთანავე ვიდეოზე გადაიღებინა 24
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 25
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
გამოხმაურება
„სიკვდილით დასჯა არ ამცდებოდა, ფეხმძიმედ რომ არ ყოფილიყავი...“ 26
საქმიანი ქალი
საჰაერო „ღამის ჯადოქრის“ ქალიშვილი – ქართველ მოდელთა პირველი შვიდეულის წევრი 28
კოლეგა
წარმომობით კორეელი ტელეწამყვანი საკუთარ ბუდეზე ოცნებობს 29

ენერგოვამპირები – ვინ გვართმევს სასიცოცხლო ძალებს?



ნებისმიერი პოლიტიკოსი ე.წ. ენერგოვამპირია, სხვანაირად ის მასებს საკუთარ მინუსებს ვერ დაუმალავს. პოლიტიკოსი ნუსხავს და „აბრმავებს“ მასას, ისევე, როგორც ენერგოვამპირი. დასამალი არ არის, რომ მოსკოვში არსებობს უზარმაზარი ლაბორატორია, სადაც უცნაურ ფენომენებს იკვლევენ.

21

ფოტოხელოვანმა საკუთარი შვილი გაჩენისთანავე ვიდეოზე გადაიღებინა

ეს იყო ეკატერინე ჭავჭავაძის არქივიდან ამოღებულ ფოტოებზე შექმნილი კოლექცია, ოღონდ, გათანამედროვებული. ასეთი მშვენიერი კაბები არასდროს მინახავს. ეს არ იყო მხოლოდ ჩვენება, ეს იყო შოუ...

24

დანაშაულს თავად ბოროტმოქმედის სიცოცხლე შეეწირა



შავ ტანსაცმელში გამოწყობილი და სახეებზე შავ ნიღბებწამოცმული თავდამსხმელები ფულსა და ძვირფასეულობას მოითხოვდნენ, თან ოჯახის წევრებს მოკვლით ემუქრებოდნენ. ბოროტმოქმედთაგან ორი ქართველი იყო, მათგან ერთი, შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა...

17

როგორ უნდა გამოვიდეთ „პახმელიაზე“ – ნუგზარ ერგემლიძის რეცეპტი

ხოხბის ფაზაში ამაღლებული განწყობილება გეუფლება. თუ კვლავ გააგრძელებ ქეიფსა და სმას, გგონია, რომ მეფე ხარ და ძმაკაცები, ვისთან ერთადაც ქეიფობ, მაგრები არიან და ა.შ. ეს უკვე ლომის ფაზაა. ღორის ფაზა რომელი იქნება, თვითონვე მიხვდებით: მთვრალი გარეთ რომ გამოხვალ და...



10

მუსიკოსი
შოუბიზნესის გაუგებარი მიმდინარეობები, გასტროლები და უცხოეთიდან ჩამოტანილი ეგზოტიკური ინსტრუმენტები 32
ტაძარი
რისი არ უნდა სწამდეს ქრისტიანს 34
დღესასწაული
რატომ იწოდება ძლევაშემოსილად წმინდა გიორგი 35
საფეხბურთო მინდვრებზე
ფეხბურთის „ფანტომასი“ 36
ვარსკვლავი
წინააღმდეგობებით აღსავსე ალისია 39
რომანი
რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (დასასრული) 42
მამები და შვილები
თენგიზ კიტოვანმა სასიძოს ვისკით გამოცდა მოუწყო... 46
ავტო 48
სპორტული მოზაიკა 49
ბომონდი 50
გადასალებ მოედნებზე
- გოდერძი ჩოხელი „სიყვარულის ცეცხლისა“ და მიმდინარე მოვლენების შესახებ 52
- „ეროტიკული სიზმრები“ ქართულ კინოში 53

მოდა
ხარისხის ნიშანი, დიზაინერობა სტამბოლის ქარხანაში და გაოცებული იტალიელი 54
საკითხავი ქალებისათვის 55
იუმორი 56
ჯანმრთელობა
- დიეტა საყვარელი ადამიანისათვის 57
- ეგზოტიკური ხილი 57
- სილამაზის საიდუმლო 58
- სხვადასხვა 59

ჰოროსკოპი
კვირის (24-30 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
შოუბიზნესი
მარიკა თხელიძე: „ჩემი პოპულარობა ძალიან დიდი შრომის შედეგია...“ 62
ტესტი
როგორ აღიქვამთ კრიტიკას? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რისი არ უნდა სწამდეს ქრისტიანს



ჩვენში დამკვიდრებული ზოგიერთი წეს-ჩვეულება მართლაც, ქრისტიანულია და საეკლესიო სწავლებებს ეყრდნობა, მაგრამ ბევრი რამ ეკლესიის მიერ მხოლოდ ცრურწმენადაა მიჩნეული. როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, სჯული მაშინ არის კეთილი, „უკეთუ ვინმე წესიერად იპყრას იგი“...

34

შოუბიზნესის გაუგებარი მიმდინარეობები და უცხოეთიდან ჩამოტანილი ეგზოტიკური ინსტრუმენტები



ჩემს კოლექციაშია პატარა დასარტყამი ინსტრუმენტი, რომელიც ავსტრალიაში ყოფნისას მაჩუქეს. ეს ინსტრუმენტი აბორიგენების მიერაა გაკეთებული — მასზე ადამიანის კანია გადაჭიმული... ჩემს მეგობარს კი, ბერკაშენი აჩუქეს, რომელშიც ადამიანის ფრჩხილები ყრია...

32

წინააღმდეგობებით აღსავსე ალისია



თავად მსახიობი ჟურნალისტების მიერ მისთვის მიკუთვნებულ „სექსსიმბოლოს ტიტულს“ არ აღიარებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი რამ უდავოა — თავისი თაობის უამრავი ამერიკელი ყმაწვილი მან ჭკუაზე შეშალა.

39

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

— გახსოვს, ჩვენი გაცნობის ღამეს, ჩემს სახლში რომ მიგიყვანე? — დაიწყო შემდეგ გურამმა.

— კი, მახსოვს...

— მაშინ რომ ცოტა მეძალავა და აღარ გამომეშვი, იქნებ, ორივეს ცხოვრება სულ სხვანაირად წარმართულიყო...

— შეიძლება... — ამოიოხრა დეამ.

42

პროტესტი პროტესტის წინააღმდეგ ანუ ქირავდება სამოქალაქო ადგილები!

ორშაბათი დღე იყო, ჩვენი მამა-მარჩენლის ტრადიციულ რადიოინტერვიუს ვუსმენდი; საათიც ზუსტად მახსოვს: პირველ „ანეკდოტს“ აკლდა 5 წუთი, მანქანების სიგნალმა რომ გააყრუა მთელი ქალაქი და ისტორიული მნიშვნელობის „ხოხმების“ მოსმენა არ მაცალა. მეც, პროტესტის ნიშნად, სახლიდან გამოვედი, მეტროპოლიტენის „ადმინისტრაციულ კანონებს“ დაუმორჩილებლობა გამოვუცხადე – ჟეტონის ჩაგდების გარეშე გადავლახე ესკალატორის წინ დამონტაჟებული „7%-იანი ბარიერი“ და მალე, პარლამენტის შენობის ახლოს „ამოვყვინთე“, სადაც ორდღიანი „უიკ-ენდის“ შემდეგ, „ნი მენშე“ 200 ათას კაცს ველოდი.

შორიდანვე მომესმა მიკროფონში ნაცნობი ხმა იმ პარლამენტარისა, ბუზის საკლავით რომ დასდევს ხან იეღოველებს, ხანაც – სოროსს და არც გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებს წყალობს მაინცდამაინც. „ოთარაანთ ქვრივიც“ გვერდით ამოუყენებია და თბილისელი „ამღორძინებელი“ ქოჩორა ბიჭის ბანის დახმარებით, ისე შეხმატკბილებულად ლანძღავდა ამავე ადგილას პარასკევამდე მდგომი 25 ათასს ± 25 ათასი კაცის „კუმირს“, რომ ლოყაზე ვიპწკინე – ხომ არ მძინავს-მეთქი? გონზე ვიღაც ქალის სილამ მომიყვანა (მისთვის მიპწკენია)...

მთელი ცხოვრება პროვოკატორობასა და მამაძაღლობაში გავატარე, მაგრამ ასეთი არც არაფერი მინახავს და არც მსმენია რაიმე: რა „კმარა“, რის „გადადექი“?! – სანამ „კმარელები“ სიგნალების მიცემას კმარობდნენ და პოლიციელებს ყვავილებს ურიგებდნენ, თითქოს მამაკაცების რვა მარტი ყოფილიყოს, მათი დაბევებული ადგილი პარლამენტის შენობის წინ, ხელისუფლების მომხრეებს დაუკავებიათ და – რაც გკლავდეს, ის გარჩენდესო! – დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ იმ დაუმორჩილებლობას, „წმინდა მიხეილის კლასში ნასტავლმა“ მზეჭაბუკმა რომ გამოუცხადა ხელისუფლებას. ჰოდა, ისინი თუ იძახდნენ – კმარაო! – ესენი პასუხობდნენ, – ჯერ სადა ხარო?! – ისინი – გადადექიო! – ესენი – გადმოდექიო! – და ა.შ.

დაგვიანებით მოსული ოპოზიცია, „დაბევებული“ ადგილი „დაზანიატებული“ რომ დახვდა (აბა, რა ეგონა? – სამი დღე რომ იშიმშილა, მერე, მოშივებული, დასანაყრებლად რომ წავიდა – დაიკავებდნენ „შარაძეები“ „სამხედრო თეატრის“ სტრატეგიულად გადამწყვეტ ყველა ობიექტს, აბა, რა იქნებოდა?!) – ქუჩის გადაღმა გამწკრივდა ტროტუარზე... გაღმელ-გამოღმელთა შორის შეტაკება არ მომხდარა, მაგრამ პოლიტიკურად სალანძღავი ტერმინოლოგიის არსენალი მთლიანად დაახარჯეს ერთმანეთს. მერე, ეტყობა, ინტელექტუალური მარაგი ამოეწურათ და შაირობაზე გადავიდნენ: აქედან „აგიყვანე ხის წვერზე“ ისმოდა, იქიდან კი – „გახტა-გამოხტა კურდღელი“ და ა.შ.

სად გახტა და რატომ გახტა კურდღელი, ვერ გეტყვით, მაგრამ – ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო, – რომ უთქვამთ, მართალი ყოფილა, რადგან საპროტესტო და საპროტესტოს საპროტესტო აქციებმა მოიცვა დედაქალაქი და აწი, ვინც უთენია მივა პარლამენტის წინ, მიტინგსაც ის ჩაატარებს და ხელმოწერებსაც შეაგროვებს – საკრებულოს თავმჯდომარის, მომავალი პრემიერ-მინისტრისა თუ გაეროს გენერალური მდივნის გადადგომის მოთხოვნით. დაგვიანებულებს კი, ნაკლებად ხალხმრავალი ადგილები დარჩებათ: ვერის ბაღი, მუშტაიდი და ა.შ. ამიტომ ნადირობა ახლა სტრატეგიულ ადგილებზე მიდის: ავტოსადგურები, სარკინიგზო კვანძები, სილამაზის სალონები, უბნის ბირჟები და სხვა.

მაგალითად, ჩემი უბნის ბირჟაზე რომ გავედი, განცხადება დამხვდა გაკრული: „ქირავდება (ან იცვლება „პერაშკების“ საცხობზე) ბირჟა მიტინგებისა და აქციებისათვის. გამოდგება შიმშილობისთვისაც. მართალია, ფართი პატარაა, მაგრამ ხელისუფლების მომხრეები დაეტევიან...“ ქვემოთ კი, უკვე სხვა პასტით ეწერა: „გაქირავებულია 2005 წლის გაზაფხულამდე...“

სხვათა შორის, 2005 წლის გაზაფხულისთვის მზადყოფნა უკვე „მამაჩვენმაც“ გამოთქვა, ბაბუად რომ გვეკუთვნის და ჩამოთვალა კიდეც ის კრიტერიუმები, რომელიც მომავალ „მამაჩვენს“ უნდა ახასიათებდეს. როგორც მან თქვა, ის უნდა იყოს პრინციპული, განათლებული, პატიოსანი, კეთილი და პატრიოტი ადამიანი („ევრიკაა“! – მიხვდა, როგორი უნდა იყოს). ჩვენი პოლიტლიდერებიდან, ზოგს რა აკლია და ზოგს რა, ზოგს – ყველაფერი ერთად. ისე კი, პრინციპული, განათლებული, კეთილი და პატიოსანი ჩვენს ქალაქში "დიმიტრი იყო გელოვანი და ისიც, 43-ში მოკვდა, საწყალი!..“

P.S. დირექტორის მოადგილე თათბირის დაწყებამდე:

– ვაგროვებ ხელმოწერებს დირექტორის წინააღმდეგ: ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენი დირექტორი კორუმპირებულია, ჩაეწეროს სიაში...

...შემოდის დირექტორი:

– თათბირს გახსნილად ვაცხადებ. ვის გვარებსაც წავიკითხავ, გათავისუფლებულები არიან სამსახურიდან, მოადგილეს ვთხოვ, მომაწოდოს სია...

პროვოკატორი

„პრეზიდენტის გადაყენება მხოლოდ პარლამენტს შეუძლია“

— რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნის ხელმოწერების შეგროვებას?

თამარ გარდაფხაძე, *იურისტი:*

— საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მუხლს იმის შესახებ, რომ ქუჩაში შეგროვებული ხელმოწერების მიხედვით, შესაძლებელია პრეზიდენტის გადაყენება. ეს არის უფრო, სიმბოლური გამოხატულება ოპოზიციური პარტიებისა და მათი მხარდამჭერების განწყობისა. როგორც იურისტი, ვაცხადებ, რომ ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის ძალას ვერ შეიძენს. კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ პრეზიდენტის გადაყენება მხოლოდ პარლამენტს შეუძლია. არ არსებობს პრეზიდენტის გადაყენების სხვა გზა. ■

„ჩვენ ვართ ეს პროქართული ძალა...“

— თქვენი განცხადებით, საპარლამენტო არჩევნებში პრობლემები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და აშშ-ის ელჩის ზეწოლის შედეგად შეგექმნათ. კონკრეტულად რას გულისხმობდით?

გოგი თოფჩაძე, *„მრეწველთა“ ლიდერი:*

— 1995 წლიდან, პარლამენტს სწორედ სავალუტო ფონდი და ამერიკის ელჩი — რიჩარდ მაილსი აფინანსებდა. ქვეყანაში ასეთი სავალალო ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობა კანონებმა, რომელიც წინა პარლამენტმა მიიღო. ახალ პარლამენტში აღარ იქნება ის ხალხი, ვინც ბრმად გაატარებს სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს. პარლამენტში მოვლენ ძალები, რომლებიც საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით მიიღებენ კანონპროექტებს. სწორედ ეს აშინებს უცხოურ ორგანიზაციებს. ამ პარლამენტში დადგება მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები — მინისტრთა კაბინეტის შექმნა, პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირება, ორპალატიანი პარლამენტის შემოღება და ა.შ. ამერიკელებს ეშინიათ ამ ყველაფრის და ამიტომ აქტიურობენ. აუცილებელია, პარლამენტში შეიქმნას პროქართული ორიენტაციის პოლიტიკური სპექტრი, რათა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. სწორედ ჩვენ ვართ ეს პროქართული ძალა და ამიტომ არ უნდა ბევრს პარლამენტში ჩვენი მოსვლა. ჩვენი გათვლებით, 7-პროცენტიანი ბარიერი უკვე გადალახული გვაქვს. ჩვენს სიმართლეს სამართლებრივი გზით დავამტკიცებთ. ■

„ჩვენ ხმა ავიმაღლეთ ახალი პუტჩის წინააღმდეგ“

— ხელისუფლების მიერ ბოლო დღეებში ორგანიზებული აქცია სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს ხომ არ ქმნის?

გურამ შარაძე, *სახელისუფლებო ბლოკის წევრი:*

— არ დავუშვებთ, რომ საქართველოში ახალი საპარლამენტო გადატრიალება მოხდეს. ეს არჩევნები, საკაშვილისა და ჟვანიას მიერ ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით, უფრო დემოკრატიულად ჩატარდა. ხალხმა პასუხი უნდა აგებინოს ორივეს, საქართველოს ღალატისა და პარლამენტში ანტისახელმწიფოებრივი კანონების მიღებისთვის. მათ წაგვართვეს ენა, ეროვნება, მამული, დაგვაკარგვინეს აფხაზეთი და სამაჩაბლო, არ მიიღეს კანონი მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ. ამიტომ დავდექით ყველანი ერთად, რომ ჟვანია-საკაშვილის ფაშისტური ქმედებებისგან ვიხსნათ ქვეყანა. ერთი რამ კი უნდა ვიცოდეთ — საქართველო არც „დემოკრატებისაა“, არც „ნაციონალების“, არც „ალორძინების“, არც ჩემი და არც თქვენი... ჩვენ ხმა ავიმაღლეთ ახალი პუტჩის წინააღმდეგ. ■

„ამერიკა შეშფოთებულია საქართველოში შექმნილი ვითარებით“

— ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლინ პასკო, ქართველ პოლიტიკოსთაგან პირველად თქვენ შეგხვდათ. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ შეხვედრის თაობაზე?

ნინო ბურჯანაძე, *„ბურჯანაძე-დემოკრატების“ ლიდერი:*

— ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებულია საქართველოში შექმნილი ვითარებით. ამერიკელების სურვილი იყო, საქართველოში ნორმალურად ჩატარებულიყო არჩევნები, ხელისუფლებამ კი ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ აბსოლუტურად უკულმა შეესრულებინა მათი რეკომენდაციები. ლინ პასკო იმიტომ ჩამოვიდა საქართველოში, რომ არსებული მძიმე ვითარებიდან გამოსავალი გვაპოვნინოს, თუმცა ამჯერად, ამერიკელებს რაიმე კონკრეტული არ შემოუთავაზებიათ. ფიქრობენ, იპოვონ გზა, რომელიც გარკვეულ კომპრომისამდე მიიყვანს დაპირისპირებულ მხარეებს. ვფიქრობ, თვითონ პრეზიდენტმა უნდა გადადგას არაორაზროვანი ნაბიჯი — აღიაროს, რომ არჩევნები არ ჩატარებულა და ახალი არჩევნები უნდა დანიშნოს. ■

რუბრიკა მოამზადა ნინო ჯავახიშვილმა

„ხალხს აქვს რევოლუციური მოქმედების უფლება, თუ...“

— გაერთიანებულმა ოპოზიციამ ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. ჯდება თუ არა ეს კონსტიტუციურ ნორმებში?

ავთანდილ დემეტრაშვილი, *იუსტიციის საბჭოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს ექსთავმჯდომარე:*

— მანიფესტაციები, რომლის დროსაც ძალადობას არ მიმართავენ, კონსტიტუციონალიზმს საფრთხეს არ უქმნის. მოწოდებები, რომელსაც შეიძლებოდა, არაკონსტიტუციური ქმედებები მოჰყოლოდა, მხოლოდ მოწოდებებად დარჩა. ოპოზიციური პარტიების ერთმა ნაწილმა მოსახლეობას ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდა. ხალხს აქვს უფლება, დაამხოს არსებული ხელისუფლება ძალადობრივი გზითაც კი, ოღონდ ამ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს შესაბამისი საფუძველი: პირველი — იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს ძალაუფლება უზურპაციული — ანუ არაკონსტიტუციური გზითა აქვს მოპოვებული; მეორე — თუ მთავრობა, ჩვენს შემთხვევაში — პრეზიდენტი, ანტიხალხურ პოლიტიკას ატარებს, მისი ქმედება მიმართულია ხალხის საყოველთაო კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული უფლების გამოყენებას არცთუ ისე ხშირად მიმართავენ. თანამედროვე ისტორიიდან მხოლოდ იუგოსლავიის მაგალითის დასახელება შეიძლება: მილოშევიჩის გადაყენება ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა. ხალხს აქვს რევოლუციური მოქმედების უფლება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონით დადგენილ ფარგლებში. აქამდე, პროტესტის ყველა ფორმა კონსტიტუციის ფარგლებში თავსდებოდა. თუ ეროვნული დაუმორჩილებლობა კანონითა და კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებს გასცდება, მაშინ გადაეა სისხლის სამართლებრივ ან ადმინისტრაციული-სამართლებრივ სფეროში, რასაც შესაბამისად, კონკრეტულ პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. ■

გვაშინებენ თუ მართლა უნდა გვეშინოდეს?

ზურაბ გოგიბერიძე, *მპურე:*

— უკვე თხუთმეტი წელია, რაც პურის საცხობი მაქვს. იმხელა მოგება მრჩებოდა, რომ ოჯახი გამომეკვება და შინ მშიერი არავინ მყოლოდა. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ, მეპურეები შეძლებულები ვართ. პირიქით, საოცრად ხელმომჭირნედ ვცხოვრობთ, მაგრამ ასეთი ცხოვრება დაგვიდგა და რა ვქნათ?! უკვე რამდენიმე დღეა, რაც პურის ფქვილის ფასი გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მე პურის ფასი უნდა გავზარდო ან პურს წონა დავაკლო. ერთიც წამგებიანია ჩემთვის და მეორეც. ჩემი საცხობის სიახლოვეს კიდევ ორი საცხობია. რაც ფქვილი გაძვირდა, არც ერთი აღარ მუშობს. ამბობენ — ეს იმის ბრალია, რომ ქვეყანაში არეულობაა, რა კავშირშია მიტინგი პურთან? მე თუ ხმის ამოღება გავბედე, თავისუფლებისთვის ბრძოლა თუ დავიწყე, პური რატომ უნდა გაძვირდეს?! ეს ალბათ იმისთვისაა საჭირო, რომ შეგვაშინონ, რათა შემდეგში აღარავინ გაბედოს ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლა. მე მგონია, რომ გვაშინებენ, როცა გვეუბნებიან — თუ დესტაბილიზაცია არ შეწყდება, ეკონომიკა თავზე დაგვემხობაო, თორემ, პური პირველად არ გაძვირებულა. მაშინ ხომ არ იყო აქციები და არეულობა?!. ყოველკერა ვყიდულობ ფქვილს, სულ გვქონდა იმის ეშვი, რომ ფქვილი გაძვირდებოდა, მეპურეები ამას ველოდით. უბრალოდ, ხელისუფლებას სურს, რომ პურის გაძვირება ოპოზიციას გადააბრალოს.

ნატა ჩხაიძე, *სტილისტი:*

— მე საკუთარი სილამაზის სალონი მაქვს. მუშაობა ნულიდან დავიწყე. იმდენს მივაღწიე, რომ ინვენტარი შევიძინე. ვიფიქრე, მუდმივი შემოსავალი გამიჩნდა-მეთქი. ახლა კი, ლარის კურსმა დაცემა დაიწყო. ამის გამო საშინლად ვნერვიულობ. თუ ლარი „გაფუჭდა“, მე და ჩემი ოჯახი, ისევ შიმშილის ზღვარს მივუახლოვდებით... იმის წარმოდგენაც კი მაშინებს, რაც 1992-93 წლებში იყო. აღარ მინდა წარსულის განმეორება. ველარ გაუძლებ იმას, რაც

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი ადამიანი სერიოზულად შეაშფოთა. გაჩნდა კითხვები: ხომ არ მიაყენებს დარტყმას ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ეკონომიკას პოლიტიკური ვითარება? რატომ გაძვირდა პური? რატომ შეინიშნება ლარის კურსის „რყევა“? რას ფიქრობს ყოველივე ამაზე ხალხი?

ლელა ჭანკოტაძე

ახლაც კოშმარული სიზმარივით მახსენდება... პირველი წელია, რაც ნოემბერში დენი გვაქვს. იქნებ, ასე გაგრძელდეს?.. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ როგორც კი არეულობა დასრულდება, ენერგოდეფიციტის შესახებაც მაშინვე ალაპარაკდებიანო. ალბათ ეს მართალია: ხელისუფლებას არ სურს, სოციალური პრობლემები გაართულოს. მოჩვენებით „ძალადობას“ გვიქმნის, რადგან იცის — თუ ელექტროენერგიას გაგვითიშავენ და ისევ ჩაბნელებული ზამთრით დაგვემუქრებიან, დიდი და პატარა, ხელკეტებით შევიარაღდებით და ისე მივალთ კანცელარიასთან...

შორენა ბაკაშვილი, *ეკონომისტი:*

— მართალია, ამჟამად უმუშევარი ვარ, მაგრამ მაინც მესმის, თუ რა ხდება ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. რომ გვეუბნებიან — არეულობის გამო, ინვესტორები გარბიანო, — არ უნდა ეზრუნათ ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, რომ მსგავსი რამ არ მომხდარიყო?! რისი ხელისუფლება ხარ, თუ ვერ აცნობიერებ, რა კონკრეტული შედეგები შეიძლება მოჰყვეს არჩევნების გაყალბებას?! ლარი რომ „გაფუჭდებოდა“, ამას დიდი მიხვედრა სჭირდებოდა? ლარს ხომ არაფერი ამაგრებს. მიკვირს, მისი კურსი აქამდეც რომ არ დაეცა. ხელისუფლებამ ხელოვნურად გაამყარა ლარი. ქვეყნის ეკონომიკა ხელისუფლებამ იქამდე მიიყვანა, რომ ხალხს ღამით აღარ სძინავს...

შექმნილ მდგომარეობაში, განსაკუთრებით საინტერესოა მათი აზრი, ვის უშუალო კომპეტენციაშიც შედის ეკონომიკური პროცესების მართვა და შესაბამისად, ხვალინდელი სიტუაციის პროგნოზირება. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილის, ნათია თურმავას განცხადებით, იმპორტი შემცირებულია და ამან ფასების ზრდაც შეიძლება გამოიწვიოს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა კი, აი, რა გვითხრა:

დავით კირვალიძე:

— იქიდან გამომდინარე, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ყველგან, განსაკუთრებით კი, ღსთის სივრცეში, ხორბლის ფასი გაზრდილია, გარკვეული პრობლემა იქმნება. მაგალითად, რუსეთსა და ყაზახეთში ფქვილზე ძალიან მაღალი ფასებია. უკრაინაში კი, საერთოდ არ არის ხორბალი. ეი. ხდება ხორბლის ფქვილის ფასების მატება და ბევრ ქვეყანაში პურის ფასმა უკვე მოიმატა. სწორედ ამიტომ, ყველა

ქვეყანამ მიიღო ლიბერალიზაციის პროექტი. თვით უკრაინამაც კი, რომელიც ტრადიციულად ხორბლის მწარმოებელი ქვეყანაა, მომავალ მოსავლამდე (2004 წლის სექტემბერი), მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმპორტი გაეთავისუფლებინა დაბეგვრისგან. ჩვენმა პარლამენტმა ვერ მოახერხა გადასახადების ლიბერალიზაციის კანონპროექტის განხილვა... არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ პური გაძვირდება, რადგან საერთოდ, როგორც კი პანიკის ნიშნები ჩნდება, მაშინვე იქმნება ხოლმე ეს პრობლემა. დღეს თუ ვიღაც ერთ ტომარა ფქვილს ყიდულობს, – ხვალ ხუთს იყიდის; ეს უკვე კრიზისის წინაპირობაა... გარდა ამისა, როცა მსოფლიო ბაზარზე ფქვილის ფასი იზრდება, ის ყველგან ძვირდება! ფაქტია, რომ ხორბლისა და პურის ფასი უკვე გაზრდილია. თანაც, ფასში 25%-მდე ენერგომატარებლების – გაზის, დენის და წყლის წილია. თუ მეწარმეებს ამ სამ ფაქტორთან დაკავშირებით შეექმნათ პრობლემა, ფასი მოიმატებს. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ არანაირი საშიშროება სარეზერვო მარაგის თვალსაზრისით არ გვემუქრება. რაც შეეხება ფასებს – მას ბაზარი არეგულირებს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში და რა ფასები იქნება მსოფლიო ბაზარზე.

ემზარ ჯგერენაია, *ეკონომიკის ექსპერტი:*

– მიმდინარე საარჩევნო წელი ისედაც რთული იყო; თანხები, რომელიც არჩევნებისთვის იყო მობილიზებული, რეალურად დააკლდა ბიზნესს. ბიზნესი, პრაქტიკულად, სტაგნაციის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ყველა ბიზნესმენი წინასაარჩევნო მოლოდინში იმყოფებოდა. ყველას სჯეროდა, რომ 2 ნოემბერს ყველაფერი დასრულდებოდა და ქვეყანა ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა. ეს მოლოდინი არ გამართლდა. სიტუაცია კი, უფრო მეტად გამწვავდა. პოლიტიკური არასტაბილურობა, პირველ რიგში, სასაქონლო ბრუნვის დაცემაში აისახება – მცირდება იმპორტ-ექსპერტი. ვერ ხერხდება საბიუჯეტო გადასახადების მობილიზაცია, რის გამიც მოსახლეობისთვის პენსიებისა და ხელფასების გაცემა ვერ ხერხდება. საერთოდ, ნოემბერ-დეკემბერი ისედაც რთული პერიოდია ქვეყნის ეკონომიკისთვის, რადგან წელიწადი მთავრდება და შესასრულებელია წლის გეგმა. არეულობის გაგრძელების შემთხვევაში ბიუჯეტის გარღვევა, რომელიც ამჟამად 150-160 მილიონ ლარს აღწევს, წლის ბოლომდე, შეიძლება, 200-300 მილიონამდე გაიზარდოს, რაც მძიმე ტვირთად, პირველ რიგში, მოსახლეობას დაწვება. დღეს დაპირისპირებულმა პოლიტიკურმა ძალებმა შეიძლება ერთ-ორ კვირაში მოილაპარაკონ, მაგრამ იმ ჩიხიდან გამოსასვლელად, რომელშიც ამჟამად ჩვენი ეკონომიკაა, თვეები და წლებიც კი შეიძლება დასჭირდეს. ეკონომიკა პოლიტიკურ „შეჯიბრებას“ ვერ გაუძლებს... ■

„ჩვენ კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ და ხალხთან კონფლიქტში არ შევდივართ“

საინტერესოა, რას ფიქრობენ ძალოვანი სტრუქტურების რიგითი წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფო კანცელარიასთან საათობით დგანან და ჟურნალისტების მათთან მიახლოებასაც კი უფრთხიან?.. (ინტერვიუები ოპოზიციის მიერ მოწყობილი მიტინგების დროსაა ჩაწერილი).

ემა ტუხიაშვილი

— **გამარჯობა, ერთი წუთით, თუ შეიძლება...**

– დიახ. *(ისე გულღიად მიღიმის შავქურთუკიანი პოლიციელი, იმედი მიჩნდება, რომ ინტერვიუზე უარს არ მეტყვის).*

— **ჟურნალ „გზიდან“ გახლავართ...**

– არა, არა!

– **რა — არა** *(გაოგნებული შევყურებ. ისე შეეცვალა გამომეტყველება)?*

– არა-მეთქი!.. არ ვაკეთებ კომენტარს!

— **აქ რას აკეთებთ?**

– ვუყურებ.

— **ცნობისმოყვარე ხართ?**

– ველოდები. მანქანას ველოდები...

— **გზა რომ გადაკეტილია?!**

– ...

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენელი:

— **დიდი ხანია, რაც გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობთ?**

– არჩევნებამდე სამი დღით ადრე გადავედით ამ რეჟიმზე.

— **რა შემთხვევაში გამოიყენებთ ძალისმიერ მეთოდებს?**

– ძალის გამოყენების ბრძანებას შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გვაძლევენ ხოლმე. თუ ვითარება დაიძაბა, ძალა იქნება გამოყენებული.

— **ვითარების დაძაბვაში რას გულისხმობთ?**

– ხალხის შეჭრას კანცელარიის შენობაში...

— **მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი შეუიარაღებელია?**

– ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ეს ხალხი შეიარაღებული იქნება თუ შეუიარაღებელი. ყველა ძალისმიერ მცდელობაზე – თუნდაც კანცელარიის ეზოში შემოჭრისა – ადეკვატური ზომები იქნება მიღებული. ჩვენ ველოდებით ბრძანებას და ბრძანების მიხედვით ვიმოქმედებთ.

— **ხელისუფლების წევრები როგორ გრძნობენ თავს? შიშის გრძნობა ხომ არ დაუფლებიათ?**

– შიში და მღელვარება დღეს ყველა ადამიანში იგრძნობა და არც ხელისუფალნი წარმოადგენენ გამონაკლისს.

— **თქვენი აზრით, ხალხი თქვენ მიმართ უარყოფითადაა განწყობილი?**

– მგონია, რომ ხალხის უმეტესობას პრეზიდენტი არ უყვარს და შესაბამისად, შეიძლება, არც ჩვენ ვეხატებოდეთ გულზე... მე, როგორც ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელს, უფლება არა მაქვს, პოლიტიკური შეფასებები მივცე მოვლენებს. თუ პრეზიდენტი წავა, სხვა მოვა და მე ავტომატურად მას დავემორჩილები...

შინაგანი ჯარების წარმომადგენელი:

– ჩვენ კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ და ხალხთან არანაირ კონფლიქტში არ შევდივართ.

— **შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრება მაინტერესებს.**

– ოღონდ სიმშვიდე და სიწყნარე იყოს და ავიტანთ ამ გაჭირვებულ ცხოვრებას. არავისი სკამი და პოლიტიკური ამბიცია არ მიღირს თუნდაც ერთი ქართველის სიცოცხლედ. სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი ბევრი ჩვენი თანამშრომელი დგას ახლა მიტინგზე და ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაცია გვაქვს, თუ რა განწყობაა მასებში. ჩემდა სამწუხაროდ, არსებობს ინფორმაცია, რომ ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური თამაში. ■

მარი ჯაფარიძე

„ვაკაცებმა თქვა – აი, ასეთი სასიძო მინდა ვეო...“

— უკაცრავად, მიშა დამალაპარაკეთ!

— *ეს მიშას ნომერი არ გახლავთ. მე ჟურნალისტი ვარ და შემიძლია, თქვენი ტელეფონის ნომერი და მონაცემები მას გადავცე...*

— გეხვეწებით, მიშა დამალაპარაკეთ, რა!

— *ეს არ არის მშვილდაძის ნომერი...*

— ძალიან გთხოვთ, გემუდარებით, მიშა დამალაპარაკეთ, რაღაც მინდა ვუთხრა, პირადად...

— *კი, მაგრამ...*

— დამალაპარაკეთ, გეხვეწებით...

— *იცით, მიშამ სწორედ ახლა დაიძინა და ვერ გავაღვიძებ... (ბოლოს და ბოლოს, მეც გამიწყდა მოთმინების ძაფი და ხუმრობის ხასიათზე დავდექი).*

— გეხვეწებით, ტელეფონი ყურთან მიუტანეთ და რაღაცას ვეტყვი...

— *?!*

— მიუტანეთ?

როდესაც ჩემგან დასტური მიიღო, ჩემდა გასაკვირად, ყურმილში ისეთი ტკბილი „იავნანა“ გაისმა, რომ გაოცებული დავრჩი... სიმღერის შემდეგ კი ჩურჩულით ასეთი ტექსტი წარმოთქვა: „მიშა, ჩემო ტკბილო ბიჭო, სამწუხაროა, რომ ახლა გძინავს. ხვალ კიდევ დავირეკავ, იქნებ, შენი ხმა მოვისმინო... ჩემო ნებიერავ, ტკბილ ძილს გისურვებ...“ ამ სიტყვების შემდეგ, გოგონამ, ისე, რომ არც დამეშვიდობა, ტელეფონი გამორთო.

აი, ასეთი ფანები ჰყოლია მიშა მშვილდაძეს, რომელსაც ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენე და ისიც შევთავაზე — შემიძლია, აუდიოჩანაწერიც გადმოგცე, რომ შენი ყურით მოისმინო-მეთქი... ახლა კი დანარჩენი თაყვანისმცემლების გამოხმაურებებს გადავხედოთ.

„გამარჯობა, მიშა, ძალიან საყვარელი ხარ და კეთილი, ბურდღუნა დათვს მაგონებ. მიუხედავად იმისა, რომ ამბობ, მსუქანი და მელოტი ვარო, მაინც მიყვარხარ. მიყვარხარ შენი „ნაკლებიან“-ღირსებიანად. ანა“.

„მიშა, ძალიან კარგი ტიპი ხარ. მომწონს შენნაირი გემრიელი კაცები, მაგრამ არა მგონია, ჩემთვის საინტერესო იყოს, რა ტექსტს ამბობ „ვალნარეზზე“. P.S. ისე, ლამაზიც ვარ“.

„მარი, მინდა, ჩემი სიმპათია გამოვხატო „სასიძოსადმი“. მე მასზე ბევრად უმცროსი ვარ. უბრალოდ, მინდა, თბილი სიტყვებით მოვეფერო. მიშა! ჯიგარი ხარ. შენებურად შეუბერე. ნინი“.

როგორც ვვარაუდობდით, „გზის“ წინა ნომრის „სასიძომ“ — მიშა მშვილდაძემ, თაყვანისმცემლებისგან უამრავი გამოხმაურება მიიღო. მათ შორის, ბევრი ისეთი, რომელიც მიშას კი არა, მის ადგილზე მყოფ ნებისმიერ მამაკაცს გაუხარებდა გულს. ვიდრე ამ გამოხმაურებებს გაგაცნობდეთ, მინდა, ერთი საინტერესო ამბავი მოგიყვეთ იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავენ მიშაზე მისი თაყვანისმცემლები: საკმაოდ გვიან, ასე, დაახლოებით ღამის 11 საათზე, ჩემს მობილურზე გოგონამ დარეკა და მიშა იკითხა (წინათაც არაერთხელ მითქვამს, რომ წერილის ბოლოს მითითებული ტელეფონის ნომერი ხშირად მკითხველს, რატომღაც რესპონდენტის ჰგონია და არა ჟურნალისტის).

ვერაფერს იტყვი, მართლაც „თბილი“ სიტყვებით მოეფერა... სამაგიეროდ, მეორე არ იშურებს „მწარეს“...

„მიშა, რა გჭირს საიმისო, რომ ასე წუწუნებ; შენს შესაფერის გოგონას ყოველთვის იპოვი... არ გეგონოს, „საპატარძლოს“ „ვაკანსიაზე“ „ვიქაჩები“ — უბრალოდ, კარგი ტიპი, ნიჭიერი კაცი ხარ და მომწონხარ, როგორც ხელოვანი, მაგრამ არა როგორც საქმრო... თუმცა, რომც მომწონდე, განათხოვარი ვარ და ვიცი, არაფერი გამომივა... თეკლა“.

რა სჭირს მიშას ვინმეს დასაწუნი?! თეკლას თუ საქმროდ არ მოსწონს, სხვები „იხვეწებიან“...

„სიცოცხლევ, მსუქანი მამაკაცი კი „მევასება“, მაგრამ თითდაკარებული რომ ვიყო, ვითომ, რა მოხდება?..“

„მიშა, ვარ 25 წლის. დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი. ახლა სტაჟირებაზე, ერთ-ერთ კლინიკაში ვარ. შენ თვლი, რომ სიმსუქნე შენი ნაკლია? მაგის გამოსწორება იოლად შეიძლება. შემიყვარე და ისე გაგიხდი საქმეს, რომ უცებ დაიკლებ 30-40 კილოგრამს, თანაც სახლისა და სამსახურის გარდა, მართლაც არსად დავდივარ... ასე ვთქვათ, დედის კალთას მოუშორებელი, ლამაზი და თითდაუკარებელი გოგო ვარ... იქნებ? ჰა?“

„გამარჯობა, მარი. საქმე ის გახლავთ, რომ ოჯახში, 4 წევრიდან, სამი ქალი ვართ: დედა, ჩემი და და მე. სამივენი მუდმივად დიეტაზე ვიმყოფებით, თუმცა ჭარბი წონა არც ერთს არ გვაწუხებს... სულ ვკითხულობთ — ესა თუ ის კერძი რამდენ კალორიას შეიცავს, გაგვასუქებს თუ არა... ჰოდა, მამაჩემი დაიღალა ჩვენი შემყურე (თვითონ 120 კილოა)... ამას წინათ, დამიძახა, ჟურნალი „გზა“ წინ დამიდო, ჰაერში თითით წრე შემოხაზა, მერე მიშა მშვილდაძის ფოტოს დაადო ხელი და თქვა — აი, ასეთი სიძე მინდა მეო... ჰოდა, თავისი ტელეფონი მომაწოდა და მაიძულა, თქვენთვის ეს „მესიჯი“ გამომეგზავნა... მიშა, მამაჩემს სასიძოდ ძალიან მოსწონხარ... იქნებ, გაიცნოთ ერთმანეთი და თუკი კარგად გაუგებთ და ერთურთით კმაყოფილები დარჩებით, შემდეგ ჩვენს ბედნიერებას წინ ვეღარაფერი დაუდგება და ახლა თუ წუწუნებ, მსოფლიოში ყველაზე მაგარი მანქანა არ მყავსო, მერე გეყოლება — ყველაზე მაგარი მანქანა და ყველაზე მოყვარული სიმამრი...“

აი, ასე. ჩვენ რაც შეგვეძლო, ყველაფერი ვიღონეთ, რომ მიშას დავხმარებოდით და ბედი გახსნოდა. ახლა კი არჩევანი მასზეა — ყველაზე მაგარი მანქანა და მოყვარული სიმამრი თუ წონაში დაკლება. თუმცა, ყოველ ღამით ტკბილი „იავნანის“ მოსმენაც, ვფიქრობ, საკმაოდ მაცდუნებელი პერსპექტივა უნდა იყოს...

■

მარი ჯაფარიძე

ოცდაათ წელს გადაცილებული ქალბატონების საყურადღებოდ: არ იფიქროთ, ან პირობა დამავიწყდა — რომ ამჯერად, თქვენი შესაფერისი „სასიძო“ უნდა წარმომედგინა, — ან კიდევ, კანდიდატურის „შოვნა“ გამიჭირდა... საქმე ის გახლავთ, რომ მათი უმრავლესობა სერიოზული, პოლიტიკაში აქტიურად ჩაბმული ხალხია და ქვეყანაში არსებულმა დაძაბულობამ მათთვის პირადი საკითხები უკანა პლანზე გადასწია... ჰოდა, ვიდრე ისინი საქვეყნო საქმეს მოაგვარებენ, ისევ ტინეიჯერებს გავუხარებთ გულს. ამჯერად, ჯგუფ „საუნდის“ წევრს — პაატა ყოლბაიას წარმოგიდგენთ, რომელთან შეხვედრასაც უამრავი გოგონა გვთხოვს.

„ვალიერებ, რომ აზიატი ვარ და ალბათ ვალაყოგ კიდეც“

— **პაატა, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?**

— იანვარში ვარ დაბადებული, თხის რქა გახლავართ.

— **რამდენი წლის ხარ?**

— ცხრამეტის.

— **ოჯახზე ფიქრს ცოტა ნაადრევად ხომ არ მიიჩნევ?**

— შესაძლოა, ნაადრევია, მაგრამ სიყვარული როდის მოვა, არავინ იცის...

— **ამჯერად შეყვარებული ხარ?..**

— არა, ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი „ობიექტი“, რომელიც ჩემს სერიოზულ დაინტერესებას იწვევდეს.

— **რა მიგაჩნია შენი ხასიათის დადებით თვისებად?**

— ვარ მიმტევებელი, ადვილად ვაპატიებ ადამიანს, თუ რაიმე მაწყენინა, უცებ მომიბრუნდება ხოლმე გული... ბოღმიანი არა ვარ — მომხდარი უთანხმოება რამდენიმე წუთში მავიწყდება...

— **ბარემ, ცუდი თვისებებიც გაგვიმხილე...**

— ცუდი?.. საქმის გადადება მიყვარს. ხშირად გადამიდვია განუსაზღვრელი ვადით ის, რისი გაკეთებაც შემეძლო. და საერთოდ, როდის დავასრულებ გადადებულ საქმეს, ღმერთმა იცის...

— **შინ როგორი ხარ? ხშირად ბუზღუნებ?**

— არა, არასოდეს ვბუზღუნებ. ამის საბაბი არასოდეს მაქვს. შინ ყოველთვის ყველაფერი წესრიგში მხვდება. არის შემთხვევები, როდესაც გარედან გაღიზიანებული ვბრუნდები შინ. ამას დედაჩემი ძალზე ტრაგიკულად განიცდის; იმიტომ კი არა, რომ ამ დროს აგრესიული ვხდები და შესაძლოა, ოჯახის წევრებს რაიმე დავუშავო — უბრალოდ, ვერ იტანს ჩემს უხასიათობას, რადგან ხმაამოუღებლად ვზივარ... მიყვარს მარტო ყოფნა და იმაზე ფიქრი, რამაც ჩემი გაღიზიანება გამოიწვია...

— **ჯიუტი ხარ?**

— არა, ძალიან დამყოლი ხასიათი მაქვს...

— **ვიცი, რომ ბევრი ტინეიჯერის კერპი ხარ... გულს ხომ არ გიწყალებენ თაყვანისმცემლები?**

— არა, გულს არ მიწყალებენ, მაგრამ ხანდახან, რომ მირეკავენ და ხმას არ იღებენ ან რაღაც უაზრობას მეუბნებიან, აი, ეს კი მაღიზიანებს ხოლმე. თუმცა, არ უარვყოფ, რომ მათი ყურადღება მსიამოვნებს და მათი მორთმეული ყვავილები თუ საჩუქრები მახალისებს კიდეც...

— **ასეთ ასაკში პოპულარობამ ხომ არ გაგაყოყოჩა?**

— არა, პირიქით. ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს... როცა ქუჩაში მივდივარ და მცნობენ, უკვე აღარ ვიცი ხოლმე, ხელები სად წავიღო, საით გავიხედო; ამოვიღებ ჯიბიდან მობილურ ტელეფონს და უხერხულობისგან, ხან რეკვას ვიწყებ, ხან უბრალოდ, ხელში ვატრიალებ... გასულ ზაფხულს, ზღვაზე ვისვენებდი. ორ დღეზე მეტხანს ვერ გავჩერდი. ხან „კეპკა“ ჩამოვიფხატე, ხან სათვალე გავიკეთე, მაგრამ მაინც ვგრძნობდი უამრავი ადამიანის მზერას და უკვე აღარ ვიცოდი, რა მეღონა... ასეთსავე უხერხულ სიტუაციაში ვვარდები, როდესაც ლექციებზე დავდივარ (ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ). დერეფანში რომ გავივლი, ათასი თვალი მიყურებს, ზოგი ირონიულადაც კი იღიმება ხოლმე. ალბათ ჰგონიათ, თავგასული, გაყოყოჩებული ბიჭი ვარ და თავაუწევლად იმიტომ დავდივარ. ის კი არ იციან, რომ უხერხულობის გამო ვიქცევი ასე...

— **როგორი გოგონები მოგწონს?**

— იმის გამო, რომ საკმაოდ მაღალი ვარ, მომწონს მაღალი გოგონები. თმის და თვალების ფერზე არანაირი „ჯართულება“ არა მაქვს. რაც შეეხება ხასიათს, უნდა იყოს ჩემსავით დამყოლი და ჩემი სახის გამომეტყველებით უნდა ხვდებოდეს, თუ რა მინდა...

— **წარმომიდგენია, ორი დამყოლი ადამიანი ერთად რომ იქნებით და ერთმანეთს ყველაფერში რომ დაეთანხმებით...**

— ერთმანეთს რიგრიგობით დავეთანხმებით ხოლმე... ისე, ჯიუტ გოგონებს მაინცდამაინც არ ვწყალობ... არავითარ შემთხვევაში არ მივცემ ქალს საშუალებას, თავისი პრინციპები მომახვიოს თავზე.

— **ოჯახში ყველაზე ხშირად, რისთვის გსაყვედურობენ?**

— საყვედურს ვღებულობ იმის გამო, რომ ტანისამოსის ყიდვა არ მიყვარს. ისევე, როგორც ყველა სხვა საქმეს, ამასაც სულ სხვა დროისთვის გადავდებ ხოლმე... გადავდებ და ვიდრე კატეგორიულად არ გამომიცხადებენ — წადი და შარვალი ან ქურთუკი იყიდეო, — მანამდე ფეხს არ გავადგამ...

— **პატარაობისას მოფერებით რას გეძახდნენ ხოლმე?**

— სულ პატარა რომ ვიყავი, თურმე ძაღლი გავაჯავრე — ენა გადმოვაგდე და ქოშინი დავიწყე. ამის გამო, ცუგო შემარქვეს და ოჯახში დღემდე ასე მეძახ-

იან. პაატას მხოლოდ ისეთ დროს დამიძახებენ ხოლმე, როცა უცხო ადამიანების გარემოცვაში ვიმყოფებით და მაშინაც ყურზე მხვდება...

— ქალის მოტაცებაზე რა აზრის ხარ?

— გავიხსენებ ერთ საინტერესო ამბავს. ლაშა ხელაშვილს (ჯგუფის წევრი) ერთი გოგო უყვარდა. ჰოდა, ერთხელ, გვიან საღამოს, კარგად ნასვამები ვბრუნდებოდით შინ და ლაშამ მოისურვა, რომ იმ გოგონასთვის სერენადები ემღერა. ოთხნი ვიყავით და გიტარაც თან გვქონდა. იმ გოგონას ფანჯრების წინ დავიწყეთ სიმღერა. თავიდან, ცოტა გვერიდებოდა და დაბალ ხმაზე ვმღეროდით, მერე ნელ-ნელა ეშხში შევედით და ხმას ავუწიეთ, ბოლოს კი, ისეთი „შალახო“ დავუარეთ, თქვენი მოწონებული... ამ დროს, კორპუსის ყველა ფანჯრიდან ხალხი იყურებოდა, ამ გოგონამ კი წამიერად გადასწია ფარდა და ისევ გაუჩინარდა... შემდეგ აღმოჩნდა, რომ მის ქვემოთ, ერთი სართულით დაბლა ახალდანიშნული გოგონა ცხოვრობდა და უფიქრია, რომ მას უმღეროდა საქმრო... მერე კი დასწყდა გული, ჩვენს „კონცერტს“ რომ ვერ უყურა, მაგრამ რაღას იზამდა?!.

— ახლა თუ უმღერებ გოგონას?

— კი, რატომაც არა, მაგრამ ამ გოგონასთან დიდი გრძნობა უნდა მაკავშირებდეს და ამავე დროს, მთვრალი უნდა ვიყო...

— ბუნებით აზიატი ხარ?

— კი, ვაღიარებ, რომ აზიატი ვარ და ეს მეამაყება კიდეც. არავითარ შემთხვევაში არ მოვიყვან ცოლად განათხოვარ ქალს...

— რატომ?

— იმიტომ, რომ მიმაჩნია — ჩემი მეუღლისთვის პირველი მამაკაცი მე უნდა ვიყო... ასეთი პრინციპი ჰქონდათ ჩემს წინაპრებს, ჩემს მშობლებს და მეც ამ პრინციპის ერთგული ვარ...

— ჩვენს წინაპრებს ქალის დანიშვნის წესიც ჰქონდათ...

— არ გამოვრიცხავ, რომ მეც ვეწვიო ჩემი რჩეულის ხელის სათხოვნელად სასიმამროს. მიმაჩნია, რომ თუ გოგონა შემიყვარდება, ამის შესახებ უნდა იცოდეს მისმა ოჯახმაც, ჩემმაც.

— მინიქვედაბოლოზე რა აზრის ხარ?

— რა თქმა უნდა, თუ კი მას სურვილი ექნება, რომ მოკლე კაბა ჩაიცვას, თანაც თუ მოუხდება, მე წინააღმდეგი არ ვიქნები...

— ეროტიკულ სიზმრებს თუ ნახულობ ხოლმე?

— კი, ხშირად მინახავს ასეთი სიზმარი... მახსოვს, ერთხელ, კასანდრა დამესიზმრა... მაგარი იყო...

— ბედისწერის გჯერა?

— მე მჯერა იმის, რომ ადამიანი საკუთარ ბედს თვითონ განსაზღვრავს...

— გული თუ გწყდება რამეზე?

— კი, გული მწყდება, რომ ბავშვობაში, სულ ორჯერ ვარ ზღვაზე ნამყოფი... მამაჩემს გული აწუხებს, ამიტომ ზღვის ჰავა არ უხდება, დედაც მაინცდამაინც არ არის ზღვის მოყვარული. ამის გამო, ზღვაზე დასასვენებლად არ მივდიოდით ხოლმე... მამაჩემის მეგობრების წყალობით მოვხვდი იქ ორჯერ და ძალიან კმაყოფილიც დავბრუნდი...

— შენს ინტერვიუს გამოხმაურებები რომ მოჰყვება, ამის შესახებ უკვე იცი... შეხვდები თუ არა რომელიმე თაყვანისმცემელს?

— კი, შევხვდები, თანაც — დიდი სიამოვნებით. არ დაგიმალავთ, რომ ძალიან მაინტერესებს, ვინ გამომეხმაურება...

— რა პრინციპით შეარჩევ გოგონას, რომელსაც უნდა შეხვდე?

— ალბათ „მესიჯების“ შინაარსით. ფოტოსურათებს თუ გამოგზავნიან, გარეგნობით შევარჩევ. თუ არა და, მათი ტელეფონის ნომრები ცალ-ცალკე ფურცლებზე დავწეროთ, დავკეცოთ და თვალდახუჭული რომელსაც ამოვარჩევ, იმ გოგონას შევხვდები...

ისღა დაგვრჩენია, რომ გაცნობოთ: ვისაც პაატას გულის მოგება გსურთ, გამოგზავნეთ „მესიჯები“ ან უბრალოდ, დააფიქსირეთ თქვენი ნომერი ტელეფონზე: 8(77) 45.68.61.

■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:
საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.
მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.
შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

ნინო ჯავახიშვილი

შორს ჩვენგან, ლომის ფაზა, გაუმარჯოს ხოხბის ფაზას

მომღერალ ნუგზარ ერგემლიძისთვის მეგობრებთან ერთად სმა და ქეიფი, განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. ღვინო კი, მისი თქმით — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — წამალი ყოფილა...

როგორ უნდა გამოვიდეთ «პახმელიაზე» – ნუგზარ ერგემლიძის რეცეპტი

— საღამოობით მეგობრები ხშირად ვიკრიბებით საქეიფოდ, დროს სატარებლად. თუ ზედმეტი მოგვივიდა დალევა, მაშინ დილიდანვე ვიწყებთ ზრუნვას იმაზე, თუ „პახმელიაზე“ სად და როგორ გამოვიდეთ. ამის ცოდნა მთელი მეცნიერებაა, რადგან ბევრმა არ იცის, რა უნდა დალიოს „პახმელიაზე“, რა უნდა შეჭამოს და ამიტომ ცუდად გრძნობს თავს. ზოგი ჩაის მიირთმევს ან ტკბილეულით იტკბარუნებს პირს, ეს კი უფრო მეტად ამძიმებს ორგანიზმს. მკითხველი თუ დამიჯერებს, ჩემი რჩევა ასეთია: დილით მიირთვით წვნიანი, ლუდი ან არაყი და მწნილეული. კარგია ხაშიც, თუმცა თბილისში უკვე აღარ არის ხაში მოდაში. როდესაც „პახმელიაზე“ გამოხვალ, მერე წადი სადაც გინდა და იქეიფე...

— „პახმელიაზე“ როგორ გამოდიხართ — გასაგებია, მაგრამ ისიც გვითხარით — დასათრობად რომელ სასმელს ამჯობინებთ?

— რა სჯობს ნატურალურ სუფთა ღვინოს, ოღონდ — თუ ზომიერად სვამ, ჭიქებით და არა — ყანწებით. არ მიყვარს განსხვავებული სასმისები და ოჯახში არც გვაქვს. განსხვავებული სასმისით სმა ველურობის ერთ-ერთი გადმონაშთია. არ ჯობს, ცოტა დალიო და გემრიელად, მამაპაპურად მოილხინო?! როდესაც ქეიფობ, მაშინ გინდა ძმაც, მეგობარიც, სიყვარულიც, ლექსიც, სიმღერაც და ცეკვაც!.. აი, ასეთი კარგი რამეა ღვინო. კიდევ გითხრათ, სასმელი რატომაა სასარგებლო?

— კი, ბატონო...

— ღვინო არის ღვთისგან ბოძებული ყველაზე დიდი საჩუქარი... ადამიანებმა არ იციან, სამუშაოს შემდეგ რა გააკეთონ, მიდი-მოდიან და მათ სულს ამაოების შეგრძნება ეუფლება... ღვინო სტრესებს უცებ ხსნის. უბრალო რამ აიღეთ — მეგობართან შეხვედრა თუ რამდენიმე ჭიქით არ არის „დასაბუთებული და გამაგრებული“, პოეტურ, ამაღლებულ ფერებს ვერ იძენს. ეს ერთი. მეორე — ღვინო სისხლძარღვებს აფართოებს, რაც გულზე კარგად მოქმედებს...

— ეი. ღვინო წამალია და აფთიაქში უნდა იყიდებოდეს, არა?

— *(იცინის)* წამალია, აბა, რა! გარდა ამისა, ღვინო ცნობილია, როგორც ორგანიზმიდან ქოლესტერინის და ყველანაირი ჭუჭყის ერთადერთი გამომდევნი. ან უნდა ირბინო და ოფლი მოიდინო, ან შინ მშვიდად იჯდე და ღვინო სვა. ქართველი კაცისთვის სირბილს, დალევა არ სჯობს?!. დაბოლოს — ღვინის სმისას ნათქვამი სიტყვა ერთგვარი რიტუალია. შენ გაგიმარჯოსო! — კაცი კაცს რომ დალოცავს, ამის სათავე ხომ ღვინოა; ოღონდ, ამ ყველაფერს ვამატებ ერთ რამეს — ღვინო უნდა იყოს ნატურალური. ერთი სიტყვით, ღვინო არა მარტო ამ ქვეყანაზე მცხოვრებთ ახალისებს, არამედ — იმქვეყნად წასულებსაც — აცხონებს...

— სმის 3 ფაზა არსებობსო, — წელან საუბრისას მითხარით...

— აქამდე რაც გითხარით, ეს ყველაფერი ხოხბის ფაზაა და მაშინ არის ღვინო წამალი. ხოხბის ფაზაში ამაღლებული განწყობილება გეუფლება, ლექსის წაკითხვის სურვილიც გიჩნდება და სიმღერისაც. თუ კვლავ გააგრძელებ ქეიფსა და სმას, პატივმოყვარეობა გიპყრობს, გგონია, რომ მეფე ხარ და ძმაკაცები, ვისთან ერთადაც ქეიფობ, მაგრები არიან და ა.შ. ეს უკვე ლომის ფაზაა. ზოგჯერ ეს ლომები მეზობელ სუფრასთან მსხდომ სხვა ლომებს ეჩხუბებიან ან იქვე „ლომობენ“ და ერთმანეთში დაობენ... ღორის ფაზა რომელი იქნება, თვითონვე მიხვდებით: მთვრალი გარეთ რომ გამოხვალ და ტალახში რომ ჩაწვები, აი, ეს უკვე ღორის ფაზაა. საქართველოში იშვიათობაა ღორის ფაზა — უფრო მეტად, ლომები გვყავს...

— გულახდილად მითხარით — თქვენ თუ ყოფილხართ ღორის ფაზაში?

— ღორის — არა, მაგრამ ლომის ფაზაში კი ხშირად ვყოფილვარ. ამ დროს, არ მოგწონს სხვისი ნათქვამი, ეჭვიანობ, შარზე ხარ... მოკლედ, შორს ჩვენგან, ლომის ფაზა, გაუმარჯოს ხოხბის ფაზას! შემიძლია, ორი ბოთლი ღვინო დავლიო და ვერავინ შემატყოს, ნასვამი რომ ვარ. ერთხელ ხეთერში კურსელის — მურთაზ ტურავას ქორწილში ბიჭებმა უზომოდ ვსვით. არც ერთ განსხვავებულ სასმისზე არ გვითქვამს უარი და როგორც გამარჯვებულებს, ხარის თავი გამოგვატანეს. ახლაც სიამაყით მახსენდება, იქაურებს რომ ვაჯობეთ სმაში... მოკლედ, ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ სმა შემიძლია, მაგრამ ცუდ ღვინოს ვერაფრით დავლევ, არ შემიძლია. ვიცი, არ შემერგება და ამიტომ.

— სიმთვრალეში თუ გიჩხუბიათ?

— როგორ არა? ყოველთვის რაღაც წვრილმანის გამო ამიტეხავს ჩხუბი. მეგობრებთანაც მომსვლია კამათი, მაგრამ დილით აღარც მე მახსოვს ხოლმე და აღარც — მათ. ერთხელ დიდხანს ვიკამათეთ — პელე სჯობია თუ მარადონაო? — და ვერაფრით მივედით საერთო აზრამდე.

— ეი. შეიძლება ითქვას, რომ სიმთვრალეში ცუდი ხასიათი გაქვთ?

— სულაც არა მაქვს ცუდი ხასიათი. ვისაც ცუდი ხასიათი აქვს, ის ნაიარევებითაც დადის... როდესაც ნასვამი ვარ,

ვცდილობ, არ შევაწუხო ოჯახის წევრები, ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურებ და მერე ვიძინებ ხოლმე.

— იმდენი თუ დაგილევიათ, რომ ცუდად გამხდარხართ?

— კი, ყოფილა ასეთი შემთხვევაც და მერე ვნანობ ხოლმე ჩემს საქციელს, მაგრამ რაღა დროს?! არადა, რომ გეხვეწებიან — დალიე, დალიეო, — უარის თქმაც გიჭირს კაცს. ამას წინათ, მეგობრის ოჯახში მთხოვეს, ღვინო განსხვავებული სასმისით შემესვა. აღარ მომეშვნენ და ჯაჭვით გადაბმული ორი დიდი ყანწი დავცალე. აბა, რა მექნა — ჩვენი გულები ჯაჭვით იყო გადაბმული და უარს ხომ არ ვიტყოდი ღვინის დალევაზე?!

— რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით სუფრასა და სიმთვრალესთან დაკავშირებით?

— მე და თემურ ჩაგანავა სამხატვრო აკადემიიდან ლენინგრადში პრაქტიკაზე ვიყავით. თემურის ბიძას ლენინგრადის ერთ მივარდნილ უბანში — კუპჩინაში ახლობელი ჰყავდა. ჩემოდანი იქ დავტოვეთ და ქალაქის მეორე ბოლოში, საერთო მეგობრისკენ გავეშურეთ. 10 დღის განმავლობაში, უფრო სწორად — დღე და ღამე რესტორანში ვქეიფობდით. გამომგზავრების წინა ღამესაც ვიქეიფეთ და მთვრალებს, საერთოდ აღარ გაგვხსენებია კუპჩინაში დატოვებული ჩემოდანი. დამავიწყდა, რომ ხიდები იხსნება და ჩიტი თუ არა ხარ, ვერ გადაფრინდები. ბილეთს ვერ გავაუქმებდით და ჩამოვფრინდით ქუთაისში. ქუთაისში ორი დღე ვიყავით, თანაკურსელი მოვინახულეთ და ვილოთავეთ. მოკლედ, როგორც იქნა, თბილისში ჩამოვაღწიეთ. ბებიაჩემმა დამინახა თუ არა, მაშინვე ის მკითხა — ჩემოდანი რა უყავიო? — კუპჩინაში დამრჩა-მეთქი, — ვუპასუხე. ჩემოდანს არ დავეძებ — კიდევ კარგი, თავი რომ ჩამოიტანე აქამდეო... ამაზე მეტი რაღა უნდა დაგმართოს გადაბმულად სმამ?!

ბატონ ნუგზართან საუბრის შემდეგ, მის მეუღლეს — ანი ქადეიშვილსაც დავუსვი რამდენიმე კითხვა:

— ანი, ყოველთვის ხვდებით, რომ თქვენი მეუღლე ნასვამია?

— ადრე უფრო ვერ ვატყობდი, ახლა კი — ვერ გამომპარებს. არაჩვეულებრივი სიმთვრალე აქვს, ჩხუბი არ იცის. 18 წელია, მისი მეუღლე ვარ და არ მახსოვს, სუფრაზე მისი მიზეზით ჩხუბი ამტყდარიყოს. მთავარია, კარგი განწყობილება ბოლომდე შეუნარჩუნო, თორემ, თუ გაბრაზდა, მტრისას...

— ნასვამი განსაკუთრებულ ყურადღებას ხომ არ მოითხოვს თქვენგან?

— როდესაც გვიან ღამით ბრუნდება შინ, ცდილობს, გაგვაღვიძოს და რაიმე ამბავი გაიხსენოს, დაგველაპარაკოს; თუ არ ავყვებით, ცოტა ხნით ტელევიზორს მიუჯდება და მერე იძინებს.

— როგორი თამადაა?

— ძალიან დემოკრატია თამადის ამპლუაში. თანამესუფრეებს არ ზღუდავს — გინდათ თუ არა, გაჩუმდით და მომისმინეთო...

ნუგზარი:

— თვითონაც რომ უყვარს არყის სმა, ისიც თქვას...

ანი *(იცინის):*

— მართალს ამბობს — სიცივემ და ნუგზარმა მიმაჩვიეს არყის სმას. დავლევდი და სიცივეს ვეღარ ვგრძნობდი ხოლმე.

ნუგზარი:

— ქვეყანა რომ აირია, გაზი რომ აღარ გვქონდა და შუქი, სწორედ იმ პერიოდში, ჩვენი მეგობრის ოჯახი ამერიკაში წავიდა საცხოვრებლად. ერთ დღეს დაგვირეკეს: როგორ ხართ? თქვენზე ცუდი სიზმარი ვნახეთო. — ამაზე ცუდი რაღა უნდა მოგვივიდეს-მეთქი?! — გამეცინა. იმ დროს, იცით, რა ხდებოდა ჩვენს ბინაში? სანთლის შუქზე „დუბლიონკებში“ გამოწყობილი მე და ანი ნარდს ვთამაშობდით, თან არაყს ვსვამდით. ანგარიში იყო ოცდაორით ოცდაერთი — როგორია?! ჩვენი უფროსი შვილი — გიორგი ოთახში დარბოდა და სიცივისგან პირიდან ორთქლს უშვებდა... აი, ეს სურათი დაწვრილებით აღვუწერე ჩემს მეგობარს. მან კი, იცით, რა მიპასუხა? — აქ შუქიც გვაქვს და გაზიც, სასმელიც და საჭმელიც, მაგრამ რას არ მივცემდი, ახლა თქვენთან ერთად რომ ვიყოთო?!. აი, ასე გადაგვარჩინა არაყმა გაყინვას... ■

სულაც არა მაქვს ცუდი ხასიათი. ვისაც ცუდი ხასიათი აქვს, ის ნაიარევებითაც დადის...

მართული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. შავკანიანი ძალებით გატაცების გამო, რას ეძახიან ჰოლივუდში რობერტ დე ნიროს?

ა) მენახშირეს;
ბ) შავ პრინცს;
გ) მეშახტეს.

2. „იყავით გონიერნი, როგორც... და უმანკონი, როგორც...“ — მოძღვრავდა იესო ქრისტე მოწაფეებს; რომელი სიტყვებია გამოტოვებული?

ა) მგლები და ბავშვები;
ბ) გველები და მტრედები;
გ) ცხენები და წყარო.

3. სად სწავლობდა იაკობ გოგებაშვილი?

ა) თბილისის სასულიერო სემინარიაში;
ბ) გორის სასულიერო სემინარიაში;
გ) კიევის სასულიერო აკადემიაში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა ცდილობს, ახსნას თითოეული პოლიტიკოსის მოქმედება. ის ამბობს, რომ როცა ქვეყანაში მდგომარეობა დაძაბულია, განსაკუთრებით ძლიერდება უარყოფითი ძალები. ასევე ძნელდება იმის გარკვევა, თუ ვის მხარესაა სიმართლე და ხალხსაც უჭირს იმის განსაზღვრა, თუ ვინაა უფრო ღირსეული. არსებობს მასების დაშინებისა და მასზე ზემოქმედების უამრავი მაგიური ხერხიც, რომელიც პოლიტიკოსებისთვისაც ცნობილია. ამიტომ საფრთხე იმაზე დიდია, ვიდრე ეს გარეგნულად ჩანს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მანამდე კი, შევიტყობთ, თუ როგორია სკოროხოდოვასეული პოლიტიკური პროგნოზები.

„ვერ ვხედავ ისეთ პოლიტიკოსს, რომელიც ხალხისგან მოკვეთას შეუშიფრავდა“...

ლელა ჭანკოტაძე

— როცა მოვლენები ასეთი სისწრაფით ვითარდება, როცა თამაშის წესები იცვლება და პოლიტიკა მხოლოდ ბინძური გარიგებებით იქმნება, მართლა ნოსტრადამუსი უნდა იყო, სწორი პროგნოზი რომ გამოთქვა, თანაც — ნათელმხილველებიც ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ და პოლიტიკური მოვლენები ჩვენზეც ისეთივე გავლენას ახდენს, როგორსაც ნებისმიერ თქვენგანზე. მეც პოლიტიზებული ვარ და დროის დიდ ნაწილს ტელეეკრანთან ვატარებ. ასე რომ, ჩემთვისაც ძნელია სიტუაციაში გარკვევა. მაგრამ მინდა ვთხოვო ყველა ნათელმხილველსა და პარაფსიქოლოგს: ნუ შეუწყობს ხელს ისედაც დაძაბული ვითარების გამწვავებას, ნუ შექმნის პანიკის საფუძველს. საქართველოს ცას შავი ღრუბელი არ უახლოვდება. ჩვენ სისხლიანი რევოლუცია არ გველოდება. სანამ ელცინი გადადგებოდა, ორი კვირით ადრე, მოსკოვში ჩემს მეგობარ პარაფსიქოლოგს დავუკავშირდი და ვკითხე: რას ფიქრობ — ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდება-მეთქი? აქაური ნათელმხილველები ფიქრობენ, რომ არ გადადგება, თუმცა, მე ამ საკითხში შენი თანამოაზრე ვარო... ჩემი და „ბაბკა ნადეჟდას“ მაშინდელი ნათქვამი გამართლდა. ეს იმის საფუძველს მაძლევს, რომ უფრო დაბეჯითებით ვამტკიცო — სისხლი არ დაიღვრება-მეთქი.

— მაშ, როგორ განვითარდება მოვლენები?

— ოპოზიცია ნაბიჯ-ნაბიჯ ივლის წინ. უფრო მეტი აგრესია და დაძაბულობა იქნება რაიონებში, ვიდრე თბილისში. სისხლის დაღვრა არც ოპოზიციას სურს, რადგან სისხლით მოსულ ხელისუფლებას გარდაუვალი კრახი ელოდება. განხეთქილება შევარდნაძის მომხრეებს შორის უფრო ადრე დაიწყება, ვიდრე ოპოზიციაში. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დღეს ვერ ვხედავ ისეთ პოლიტიკოსს, რომელიც ხალხთან დაპირისპირებას და შესაბამისად, ხალხისგან მოკვეთას შეურიგდება. ყოველ შემთხვევაში, არც ავთანდილ ჯორბენაძე, არც ნიკო ლეკიშვილი ან ვანო ზოდელავა თუ ირაკლი ბათიაშვილი ასეთები არ არიან. ბათიაშვილი საერთოდ წავა პოლიტიკიდან, თუკი ის ამგვარი არჩევანის წინაშე დადგება. ლევან მამალაძე, ირინა სარიშვილი, ვიტალი ხაზარაძე და მათი ტიპის პოლიტიკოსები პრეზიდენტის ნავში სხედან და ბოლომდე მასთან დარჩებიან.

— ვახტანგ რჩეულიშვილი?

— არა. ის ერთ-ერთი პირველი მიატოვებს პრეზიდენტს. მან იცის, როდის ვის გვერდით უნდა დადგეს — ალღო და საკმაოდ გამძაფრებული ინტუიცია აქვს. ფრთხილია, საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გამოსწორების უნარით გამოირჩევა. მან ყველაფერი მიიღო ცხოვრებისგან; ახლა პარლამენტში ყოფნა სურს. ეს მისთვის სუფთა და კარგი სამსახურია, მაგრამ თუ დაკარგავს, არც ეს იქნება მისთვის ტრაგედია.

— ეი. პარლამენტის თავმჯდომარეობა არ სურს?

— ეს მის აუხდენელ ოცნებად დარჩება... სხვათა შორის, პარლამენტის თავმჯდომარეობა ამ ეტაპზე ბევრს სურს, რადგან ფიქრობენ, რომ ეს ერთგვარი ტრამპლინია პრეზიდენტობისკენ.

— ვინ გახდება პარლამენტის თავმჯდომარე?

— ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ: ჯემალ გოგიტიძეს ამის შანსი არა აქვს. არჩევანი ვაჟა ლორთქიფანიძესა და კოტე კემულარიას შორის გაკეთდება. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კატეგორიულად დაიცავს ოპოზიცია თავის ამჟამინდელ პოზიციას. მგონია, რომ საკაშვილი ამ შანსს ხელიდან არ

გაუშვებს...

— როგორი იქნება პრეზიდენტის პოზიცია?

— ის იბრძოლებს მანამ, სანამ ძალოვნები მის მხარეზე იქნებიან. პრეზიდენტი ძალიან შეშინებულია, მაგრამ იმედი აქვს, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვა. სამოქალაქო დაპირისპირებაზეც წავა და თუკი ოპოზიციის წინააღმდეგ ხალხს დარაზმავს, ცხადია, გამარჯვებაც მას დარჩება. მაგრამ ამასთანავე პრეზიდენტი სიმშვიდეს ინარჩუნებს. ის დარწმუნებულია, რომ საკაშვილი გარიგებაზე წავა... ბოლო დროს, პრეზიდენტი განსაკუთრებით ცდილობს, ხალხისთვის მისაღები გახდეს. მან მეტყველებაც კი შეიცვალა. ამიტომაც წარმოთქვა პოლიტიკოსისთვის ისეთი მიუღებელი ფრაზა, როგორიცაა — „მანამ არ აუდგეთ გვერდები“... საერთოდ, ბევრი პოლიტიკოსი მიმართავს ამ ხერხს — მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, რომელიც მეტყველებს ისე, როგორც მასა. ეს ხალხზე ზემოქმედების ერთ-ერთი მომგებიანი ხერხია... მაგრამ ჩვენმა პრეზიდენტმა საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა. ეს უდავოა.

— როგორ წარიმართება მისი მომავალი?

— შევარდნაძე აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასაა მიჩვეული. ჯერჯერობით, მისი თვალები მეუბნება, რომ ის არ არის მზად პენსიისთვის, მაგრამ მისი მომავალი უკვე გადაწყვეტილია. არც თავისი უერთგულესი ხალხი აპირებს მასთან განშორებას. ამიტომ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ეყოლება, ედუარდ შევარდნაძე ახალ პარტიას ჩაუყრის საფუძველს. სტრატეგიული კვლევის ცენტრსაც შექმნის და მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ლექციების კითხვას მიჰყოფს ხელს. ბევრ დროს დაუთმობს აგრეთვე მემუარების წერას. ასე რომ, კიდევ დიდხანს დარჩება ყურადღების ცენტრში.

— რა თვისებების მატარებელია პრეზიდენტი? როგორი ხასიათი აქვს?

— ძალიან რისკიანია. ამას ვერავინ დაუკარგავს. გამოუვალ სიტუაციაშიც კი პოულობს გამოსავალს. ხალხზე რეაგირების მოხდენის საოცარი უნარი აქვს. ის ძალაუფლებისთვისაა დაბადებული. მისი სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, მზად არის, კიდევ 10-15 წელი მართოს ქვეყანა. არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს და წინასწარ შეუძლია განჭვრიტოს ის, რაც შეიძლება, წლების შემდეგ მოხდეს. მისთვის მთავარია, შეინარჩუნოს ძალაუფლება.

— მისი უარყოფითი მხარეები შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?

— საკუთარი შეცდომების აღიარება არ შეუძლია. ჰგონია, რომ ყოველთვის მის მხარეზეა სიმართლე. ის სულით ხორცამდე პოლიტიკოსია. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რას ფიქრობს ხალხი — მთავარია, ის

რას მოითხოვს ხალხისგან. პოლიტიკისთვის ყველაფერს გაწირავს. რომ გითხრათ, ხარბია და ფულის მოხვეჭის სურვილი ტანჯავს-მეთქი, — ტყუილი იქნება. მისთვის უმთავრესი, ძალაუფლებაა.

— გამოდის, იოლად არ შეეგუება ძალაუფლების დაკარგვას...

— რა თქმა უნდა. მაგრამ ეს გარდაუვალია. ვერანაირი პოლიტიკური ფანდი მის პოლიტიკურ კარიერას ვეღარ გადაარჩენს. პრეზიდენტის ბედი დასავლეთმა უკვე გადაწყვიტა.

— რა ელის პრეზიდენტის ოჯახის წევრებს?

— ცუდი არაფერი. ისევე გააგრძელებენ ცხოვრებას, როგორც ახლა ცხოვრობენ. მათ არავინ შეეხება, მყუდროებასა და უსაფრთხოებას არავინ დაურღვევს. ასეთი იქნება პოლიტიკური გარიგებების შედეგი. პრეზიდენტის გარემოცვაში ისეთს ვერავის ვხედავ, ვისაც მძიმე ცხოვრება ექნება.

— რა შეგიძლიათ თქვათ ასლან აბაშიძესა და მის გარემოცვაზე?

— ეს უფრო რთული საკითხია და ბევრი გაუთვალისწინებელი რამაა მოსალოდნელი, რადგან აჭარაში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება. ეს მაშინ მოხდება, როცა პრეზიდენტად შევარდნაძე აღარ გვეყოლება. პოლიტიკიდან ედუარდ შევარდნაძის წასვლასთან ერთად, ასლან აბაშიძის რეჟიმიც დასრულდება. ტყუილია იმის მტკიცება, თითქოს აჭარაც ისევე დაიკარგება, როგორც აფხაზეთი. ასლანი ბუნებით მშიშარა კაცია. ისეთი გამბედავი და რისკიანი არაა, როგორც ეს გარეგნულად ჩანს. ის ემიგრაციაში წავა. ამაში ეჭვი არ მეპარება...

— რა შეგიძლიათ გვითხრათ ასლან აბაშიძის ადამიანურ თვისებებზე?

— მძიმე კარმა აქვს. მძიმე ცხოვრება ელის. მშვიდი სიბერე არ მოუჩანს. ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობის მოგვარებას, აბაშიძე სამშობლოდან გადახვეწას ამჯობინებს.

— როგორი თვალები აქვს ასლან აბაშიძეს?

— შორსმჭვრეტელი კაცია. მოვლენების აღქმისა და შეფასების საოცარი უნარი აქვს. წინასწარ შეუძლია განჭვრიტოს მომავალი, ამიტომ მისი მოტყუება ძნელია. ძალიან მკაცრია და კომპრომისებზე წასვლა მისი სტილი არ არის. მასთან ურთიერთობისას აუცილებელია სიფრთხილე... ვუყურებ ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის სურათებს და ვგრძნობ, რომ მათ ერთნაირი აურა აქვთ. რაც შეეხება ასლან აბაშიძის გარემოცვას — ცოტნე ბაკურიას პოლიტიკური მომავალი არა აქვს. მის თვალებში ვხედავ, რომ კბილებით იბრძოლებს, ოღონდაც პოლიტიკური კარიერა შეიქმნას. ჯემალ გოგიტიძე მისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანია. მას ერთგულების გრძნობა იმდენად აქვს გამძაფრებული, რომ შეუძლია, ბოლომდე იბრძოლოს ასლან აბაშიძის მხარეზე.

— ჯემალ გოგიტიძის თვალები რას გეუბნებათ?

— ცუდი ადამიანი არ არის, პირიქით — სუფთა გული აქვს, მაგრამ გავლენისა და ზეწოლის ქვეშ იმყოფება. საკუთარი მდგომარეობა რომ შეინარჩუნოს და უკეთესის იმედიც იქონიოს, ასლან აბაშიძეს ერთგულება უნდა დაუმტკიცოს... ბატონ ჯემალს ახლა რთული პერიოდი უდგას. ოჯახური კონფლიქტი მასზე ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს.

— რა ელოდება უახლოეს მომავალში?

— მისთვის სასიხარულოს ვერაფერს გეტყვით. მისი მომავლის განჭვრეტა ჯერჯერობით არ შემიძლია. შედარებით გარკვეულია პრეზიდენტის გუნდის ერთ-ერთი წევრის — ვაჟა ლორთქიფანიძის მომავალი. გაწონასწორებული, რაფინირებული ინტელიგენტი, სუფთა გულის ადამიანი, თავადვე იტყვის უარს პოლიტიკურ კარიერაზე და პოლიტიკიდან წავა. დღეს შეიძლება, ეს წარმოუდგენლად მოგეჩვენოთ, მაგრამ მის თვალებში უკვე ჩანს, რომ მზად არის კომპრომისებზე წასასვლელად. შეშინებულია და სიამოვნებით დაიხევდა უკან...

— კიდევ რა ჩანს ვაჟა ლორთქიფანიძის თვალებში?

— გაურკვევლობაშია: არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, ამიტომ დამფრთხალია. მისთვის უცხოა პოზიციის შეცვლა. საერთოდ, ცვლილებები აშინებს, თორემ, უკვე დიდი ხნის წინ წავიდოდა პრეზიდენტის გუნდიდან. ვაჟა ლორთქიფანიძეს ტკბილი სიბერე სურს, რაც მას გარანტირებული ექნება კიდეც.

— შეუძლებელია, არ შევეხოთ ძალოვან მინისტრებს: რა ელის უახლოეს მომავალში ვალერი ხაბურძანიას და კობა ნარჩემაშვილს?

— ისინი იმაზე ადრე გადადგებიან, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება. თამამად გეტყვით, რომ ორივე მათგანს, ფაქტობრივად, აღარ აქვს თანამდებობა... ისინი საკუთარი ნებით გადადგებიან, ისევე, როგორც ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი. ამ სამი მინისტრის სახელი წლების შემდეგ, აღარც კი გაახსენდებათ — ისინი სოლიდური პოლიტიკური ფიგურები აღარასდროს გახდებიან.

— ეი. პრეზიდენტი, ოპოზიციის დასამშვიდებლად, მინისტრებს შეცვლის?

— დიახ. ახლო მომავალში, სერიოზული ცვლილებები განხორციელდება. ბევრი პოლიტიკური ფიგურა დაემშვიდობება საკუთარ თანამდებობას. ირინა სარიშვილს დიდ პოსტს შესთავაზებენ, მაგრამ მისი პოლიტიკური მომავალიც გაურკვეველია. სარიშვილი პარტიის ლიდერობით უნდა შემოიფარგლოს, მას უკეთესი არაფერი ელოდება. ჭკვიანი ქალია — ამას თვითონაც კარგად აცნობიერებს, მაგრამ გაბოროტებულია. მისი გარეგნული სიმშვიდე ნიღაბია — მის მიღმა, სასოწარკვეთილი პოლიტიკოსი ჩანს...

— როგორი იქნება მიმდინარე კვირა და უახლოესი დღეები?

— ძალიან დაძაბული. სხვადასხვა რაიონში ახალი ძალით იფეთქებს დაპირისპირება და წინააღმდეგობა არსებული ხელისუფლების მიმართ. ხელისუფლება ამ სიტუაციას თავს ვერ გაართმევს... სხვათა შორის, ვერც ბურჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილის თვალებში ვხედავ, რომ მათ რაიმე სტრატეგიული გეგმა ჰქონდეთ. ისინიც ძალზე დაბნეულები არიან და შემიძლია გითხრათ, რომ გულის კარნახით მოქმედებენ და არა გონებით.

— ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია პარლამენტში შესვლაზე საბოლოოდ იტყვიან უარს?

— სააკაშვილთან მათი ურთიერთობა ამწუთას ისეთი მყარია, რომ პარლამენტში შესვლაზე უარის თქმა, სამივე მათგანის ერთობლივი გადაწყვეტილება იქნება. მათი განცალკევება, სხვადასხვა „ფრონტზე“ გადაცვლება ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის. ასე რომ, პარლამენტი ან ამ სამი პოლიტიკოსის გარეშე იმუშავებს, ან სამივესთან ერთად.

■

უახლოეს მეგობარს ცოლის დის მოტაცება არ აპატია

ბრალდების თანახმად, დანელიანი ძმაკაცს დანით გაუსწორდა

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, განსაკუთრებული სისასტიკით — ასეთია პროკურატურის ბრალდება თბილისელი, ამაიაკ დანელიანის მიმართ, რომელმაც სამართალდამცავთა მტკიცებით, დღისით, მზისით, დედის თვალწინ უახლოესი მეგობარი გამოასალმა სიცოცხლეს. როგორც გაირკვა, დანელიანმა ძმაკაცს თავისი ცოლის დის მოტაცება არ აპატია და დანით გაუსწორდა მას.

ამაიაკ დანელიანი და რუბენ არუთინოვი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, თან ერთ უბანში ცხოვრობდნენ. 1996 წელს დანელიანმა არუთინოვის მეზობლად მცხოვრები რუზანა პეტროსიანი შეირთო ცოლად. ამ ამბიდან ოთხი წლის შემდეგ, არუთინოვმაც გადაწყვიტა დაოჯახება, ცოლად კი რუზანა პეტროსიანის უმცროსი დის — სუზანას მოყვანა უნდოდა. ამ უკანასკნელს არუთინოვი არ მოსწონდა და სასტიკი წინააღმდეგი იყო მასთან დაქორწინებისა.

მიუხედავად ამისა, ერთ დღეს, ნოემბერში, არუთინოვმა სუზანა მოტყუებით ჩაისვა ავტომანქანაში და ცოლად შერთვის მიზნით, ნათესავის ბინაში წაიყვანა. გოგონას მშობლებმა მომხდარის შესახებ შეიტყვეს თუ არა, მაშინვე არუთინოვის დედას — სილვა არუთინოვას მიაკითხეს და მოსთხოვეს, მათთან ერთად იმ ადგილას წასულიყო, სადაც მათი ქალიშვილი ეყოლებოდათ წაყვანილი. ისინი ქალიშვილის დაბრუნებას მოითხოვდნენ. სილვა არუთინოვა ასეც მოიქცა. ქალიშვილი პეტროსიანებს მან პირდაპირ შინ მიუყვანა. როცა ამ უკანასკნელთა სიძემ — ამაიაკ დანელიანმა სილვა არუთინოვა სიდედრისა და სიმამრის სახლში დაინახა, დაიმუქრა — შენს შვილს ამ შეურაცხყოფას არ ვაპატიებო. დანელიანმა ძმაკაცის საქციელი ღალატად და შეურაცხყოფად ჩათვალა და იმ დღიდან მათ შორის ურთიერთობაც გაწყდა.

2003 წლის 7 თებერვალს, დანელიანის მეუღლე ბავშვთან ერთად მამამისის ოჯახში იმყოფებოდა. საღამოს, დაახლოებით 7 საათისთვის, ქმარმა გადაწყვიტა, ცოლშვილი შინ წაეყვანა და ამ მიზნით ტაქსით მივიდა სიმამრის სახლთან. იქვე, საცხოვრებელ კორპუსთან მდებარე მაღაზიაში იყვნენ დედა-შვილი არუთინოვები. დანელიანმა, შენიშნა თუ არა ყოფილი ძმაკაცი, მაღაზიიდან სალაპარაკოდ ქუჩაში გაიხმო იგი (გამოძიების მასალების თანახმად, დანელიანი ამ დროს ნასვამი გახლდათ). ახალგაზრდები შეკამათდნენ. მაღაზიიდან სილვა არუთინოვა გამოვიდა, უნდოდა, მოჩხუბრები გაეშველებინა და შვილი შინ წაეყვანა. *„დანელიანმა, დაინახა თუ არა დედა შვილის გვერდზე, მის თვალწინ ამოიღო ჯიბიდან დანა და არუთინოვს სხეულში ზედიზედ სამჯერ ჩაარტყა. ამის შემდეგ, სილვა არუთინოვას გასაგონად თქვა: მე რაც მინდოდა, ჩემი გავაკეთეო, — და წავიდა“,* — აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში.

ამ შემზარავი სურათის დანახვაზე, დედამ გონება დაკარგა და იქვე წაიქცა. როცა შემთხვევის ადგილას მოგროვილმა ხალხმა იგი მოასულიერა, მისი დაჭრილი შვილი უკვე საავადმყოფოში ჰყავდათ წაყვანილი. №1 კლინიკურ საავადმყოფოში არუთინოვს სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ამან ის სიკვდილისგან ვერ იხსნა. დაზიანებები — ძირითადად, გულმკერდის არეში — სიცოცხლისთვის ძალზე სახიფათო აღმოჩნდა და დაჭრილი შემთხვევიდან მეორე დღეს — 8 თებერვალს გარდაიცვალა.

მომხდარიდან რამდენიმე თვეში, არუთინოვების ოჯახში მორიგი ტრაგედია დატრიალდა. არუთინოვებს მეორე ვაჟიც მოუკლეს. ურთიერთშელაპარაკებისას, ისიც ერთი ახალგაზრდა კაცის მიერ მოღერებულმა დანამ იმსხვერპლა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დასრულდა და საქმის განხილვას სასამართლო უახლოეს მომავალში დაიწყებს. აღსანიშნავია, რომ სილვა და რობერტ არუთინოვებს მხოლოდ ეს ორი ვაჟი ჰყავდათ.

რაც შეეხება ამაიაკ დანელიანს — დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ის სიმამრის ბინაში მივიდა და სთხოვა, მისი ცოლშვილი მანქანით შინ წაეყვანა. თავად, მაშინვე მიიმალა და თავი აარიდა გამოძიებას, რადგან შეიტყო, რომ არუთინოვი გარდა-

იცვალა. პროკურატურის ინფორმაციით, იმ დღიდან, ოჯახიდან დანელიანის სიდედრი და სიმამრიც გაიხიზნენ და არც არუთინოვის პანაშვიდებზე გამოჩენილან.

ერთი თვის შემდეგ, 2003 წლის 7 მარტს, ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში დანელიანი ადვოკატის თანხლებით გამოცხადდა. წარდგენილ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო და ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას კი აღნიშნა, რომ შემთხვევის დღეს, არუთინოვს საერთოდ არ შეხვედრია და რომ მას არ შეეძლო, დანაშაული ჩაედინა, რადგან ალიბი აქვს: იმ დროს, როგორც თავად დანელიანმა განაცხადა, მეგობარ გ. უროტაძესთან ერთად იგი სიმამრის ოჯახში იმყოფებოდა. პროკურატურაში გამოცხადების ფაქტი კი, ასე ახსნა: *„ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ არუთინოვის მკვლელობაში ეჭვმტანილად პროკურატურა მე მასახელებდა. ეჭვი რომ არ გაძლიერებულიყო, გადავწყვიტე, გამომძიებელთან ადვოკატის თანხლებით მივსულიყავი“.*

გამოძიების მიერ ვერ იქნა ამოღებული მკვლელობის იარაღი – დანა. პოლიციელებმა იგი ვერც შემთხვევის ადგილას და ვერც დანელიანის ბინაში ვერ იპოვეს.

სილვა არუთინოვა:

„შევიტყვე, რომ ჩემი შვილი ნასვამი, მაღაზიაში იყო. მაშინვე ჩავედი, რათა შინ წამომეყვანა. ველაპარაკებოდი, ვცდილობდი, შინ წამოსვლაზე დამეყოლიებინა. უცებ, მაღაზიის კარი გაიღო და დანელიანი შემოვიდა. რუბენს სთხოვა – მაღაზიიდან გამოდი, სალაპარაკო მაქვსო. ისიც გაჰყვა. სულ რაღაც 5 წუთში, გარედან ჩხუბის ხმა შემომესმა. გარეთ გავვარდი და დავინახე, რომ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. შევეცადე, გამეშველებინა, მაგრამ სწორედ იმ მომენტში დავინახე, რომ დანელიანმა ორჯერ დაარტყა დანა ჩემს შვილს გულმკერდის არეში. შვილი გამოვიყვანე, მან კი მითხრა – ნახე, დედა, რა გამიკეთაო. ყვიროდა და შველას ითხოვდა. როცა დავინახე, რომ მკერდიდან სისხლი სდიოდა, გონება დავკარგე. მას შემდეგ რა მოხდა, არ მახსოვს. გონს რომ მოვედი, ის უკვე საავადმყოფოში ჰყავდათ წაყვანილი“.

სილვა არუთინოვა ირწმუნება, რომ შვილი მის თვალწინ სწორედ დანელიანმა მოკლა.

აღსანიშნავია, რომ დანელიანი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა. 27 წლის განსასჯელი ჩვენებას, სავარაუდოდ, მოწმეების დაკითხვის შემდეგ მისცემს სასამართლოს. ■

„თავლიებმა ნიკელას მოკვლა დამავალეს“

სახამბერიძემ სასამართლოს ჩვენება მისცა

ქუთაისელი კრიმინალების — თავლიების (ძმები ილია და კობა მიქელთაძეები) მკვლელობასთან დაკავშირებით (ამ საქმის თაობაზე, „გზის“ ფურცლებზე ა.წ. №9-ში ვწერდით), საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო. დანაშაულში პროკურატურა 28 წლის ზვიად სახამბერიძეს სდებს ბრალს. აღნიშნულის გარდა, სამართალდამცავებმა სახამბერიძეს ბრალდების 13 მუხლი წაუყენეს, მათ შორის — ყაჩაღური თავდასხმის, ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების, ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-გამოყენების, 11 ადამიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის, საპატიმროდან გაქცევისა და ცეცხლსასროლი იარაღის, კერძოდ — ავტომატის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა-ტარების მუხლები.

ილია და კობა მიქელთაძეები

ზვიად სახამბერიძე წაყენებულ ბრალდებათაგან უმეტესობას უარყოფს. იგი მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებისა და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარებაში ცნობს თავს დამნაშავედ. რაც შეეხება ძმები მიქელთაძეების მკვლელობას – აღნიშნავს, რომ მათი მიმართულებით ტყვიები მხოლოდ თავდაცვის მიზნით ისროლა. სახამბერიძის თქმით, მიქელთაძეები მას თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს.

იმ პერიოდში, როცა მკვლელობა მოხდა, ილია და კობა მიქელთაძეები – იგივე თავლიები, ზვიად სახამბერიძე და მათი საერთო ნაცნობი – ავთანდილ კერვალიშვილი თბილისის №5 საპყრობილის პატიმრები იყვნენ.

2002 წლის ნოემბერში, ოთხივე პატიმარი უზენაეს სასამართლოში გამართულ, მათივე ბრალდების საქმესთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილეობდა. 22 ნოემბერს, დაახლოებით 16.00 საათზე ისინი სასამართლოდან თავ-თავიანთ საკნებში დაბრუნდნენ. საღამოს 7 საათისთვის, ძმებმა მიქელთაძეებმა №2 სარეჟიმო კორპუსის უფროსს – არტურ ბარსეგიანს სთხოვეს, ისინი №51 საკანში – პატიმარ ზვიად სახამბერიძესთან სალაპარაკოდ გადაეყვანა. ბარსეგიანს ამის უფლება, მით უმეტეს სათანადო საფუძვლის გარეშე, არ ჰქონდა, მაგრამ თავლიებს უარი მაინც არ უთხრა.

№51 საკანში მიქელთაძეებს სახამბერიძესთან ჩხუბი მოუხდათ. ამ დროს, საბრალდებო დასკვნის თანახმად, სახამბერიძემ თავის საკანში შენახული, „მაკაროვის“ პისტოლეტი აიღო და რამდენჯერმე, დამიზნებით ჯერ ილია მიქელთაძეს, შემდეგ კი მის ძმას – კობას ესროლა. ეს უკანასკნელი ადგილზე გარდაიცვალა, ილია კი, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს და სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, 10 დღის შემდეგ, ისიც გარდაიცვალა.

წინასწარ გამოძიებას **ზვიად სახამბერიძემ** ჩვენება მისცა,სადაც აღნიშნა, რომ მიქელთაძეებს მისი თანასაკნელის – ავთანდილ კერვალიშვილის, მეტსახელად ნიკელას მოკვლა უნდოდათ.

„უნდოდათ, ეს საქმე მე შემესრულებინა. მივხვდი, რომ ნიკელას თუ არ მოვკლავდი, მაშინ მიქელთაძეები მე მომკლავდნენ. იმ დღეს, სრულიად მოულოდნელად შემოვიდნენ საკანში და პირდაპირ ჩემთან მოვიდნენ. მაშინ ჩემს საწოლში ვიწექი, ქვედა იარუსზე. მიქელთაძეებმა საკანში მყოფ პატიმრებს სთხოვეს, სახამბერიძესთან სალაპარაკო გვაქვს და მარტო დავვტოვეთო. პატიმრები გარეთ გავიდნენ. კობა საწოლის ბოლოში დაჯდა, ილია კი – ფანჯრის ქვემოთ ჩამოჯდა. აგრესიულად დამიწყეს საუბარი, რის შემდეგაც ილიამ საქამრიდან, ზურგის მხრიდან „მაკაროვი“ ამოიღო და იქვე, საწოლზე, ბალიშთან დადო. კობას კი ხელში „შტირი“ ეჭირა. მივხვდი, რომ მათ მოთხოვნას თუ არ შევასრულებდი, აუცილებლად მომკლავდნენ. ამიტომაც, შემთხვევით ვისარგებლე და საწოლზე დადებულ „მაკაროვს“ ვტაცე ხელი...“

სასამართლოს **ზვიად სახამბერიძემ** განსხვავებული ჩვენება მისცა:

„მიქელთაძეებმა ნიკელას მოსაკლავად, „კლოფელინი“ მომცეს. უნდოდათ, რომ წამალი დიდი რაოდენობით ჩამეყარა მისთვის ჩაიში ან წვენში. ეს რომ მითხრეს, გამეცინა, ნიკელა კი გავაფრთხილე – თავლიებს შენი მოკვლა უნდათ და უფრთხილდი, მათ მიერ მოწოდებული არაფერი დალიო ან შეჭამო-მეთქი. ნიკელას ამის შესახებ თავლიებისთვის უთქვამს და პასუხი მოუთხოვია. დიდი ხნის მეგობრები იყვნენ და აქედან გამომდინარე, მიქელთაძეებს არ ესიამოვნათ, რომ მან ამის შესახებ შეიტყო. პოლიციამ თავლიები და ნიკელა ერთ დღეს აიყვანა, ამ ოპერაციას კი ერთ-ერთი პოლიციელის სიცოცხლე ემსხვერპლა. მას ილია მიქელთაძემ ესროლა, მაგრამ უნდოდათ, სასამართლოში, მკვლელობა ნიკელასთვის გადაებრალებინათ, ამიტომაც სურდათ მისი თავიდან მოშორება... საკანში რომ შემოვიდნენ, ჯერ აგრესიული ლაპარაკი, შემდეგ კი ცემა დამიწყეს. იარაღი კობას ჰქონდა, „შტირი“ კი – ილიას. ვფიქრობ, რომ ჩემს მოსაკლავად იარაღის გამოყენება არ უნდოდათ, ფიზიკურად იმდენად ძლიერები იყვნენ, რომ ცემაც საკმარისი იყო. ამ ფაქტს საკანში მყოფი, დაახლოებით 30 კაცი შეესწრო. რა დროს ავიღე იარაღი და ვისროლე, არ მახსოვს“.

ჩვენებებს შორის დაფიქსირებულ სხვაობებზე განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატი კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. მისი თქმით, სახამბერიძემ ამ ეტაპზე მხოლოდ ზედაპირული ჩვენება მისცა სასამართლოს, მოწმეთა დაკითხვის შემდეგ კი, დეტალებს დააკონკრეტებს. ■

შემაშფოთებელი სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს 10-თვიანი მუშაობის შედეგები შეჯამდა. ოფიციალური ცნობების თანახმად, მიმდინარე წლის ოქტომბრის ჩათვლით, იმერეთში 1978 დანაშაული მოხდა, მათგან 1667-ია გახსნილი. ადამიანის გატაცების ექვსივე შემთხვევიდან, ყველა გახსნილია. ამას გარდა, დაკავებულია გამტაცებელთა 16-კაციანი ბანდა.

რაც შეეხება მკვლელობებს – როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, 2003 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე იმერეთში 35 განზრახ მკვლელობა მოხდა. მათგან მხოლოდ შვიდია გაუხსნელი. ყაჩაღობის 112 შემთხვევიდან კი, 83-ია გახსნილი. ■

მდინარე ფოცხოვთან მამაკაცის გვამი იპოვეს

13 ნოემბერს, დილით, დაახლოებით 11 საათისთვის, მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირთან ახალგაზრდა მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. გარდაცვლილი, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მილების საწყობის მიმდებარე ტერიტორიაზე კისერზე მარყუჟამოცმული იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების განცხადებით, სავარაუდოდ, სიკვდილი მექანიკური ასფიქსიის შედეგად დადგა. სრულ დასკვნას ექსპერტიზა რამდენიმე დღეში გასცემს. რაც შეეხება გარდაცვლილს – იგი ვინმე ანტონ ფეიქრიშვილი აღმოჩნდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა სამართალდამცავები ამ ეტაპზე დეტალების გახმაურებისგან თავს იკავებენ. ■

„კასტელი-საქართველო“ საუკეთესო ხარისხის კომპანიაა

უცხოური ინვესტიციით მომუშავე კომპანია „კასტელი-საქართველო“ უკვე კარგა ხანია ამზადებს და ქართულ ბაზარს საუკეთესო ქართულ პროდუქციას აწვდის. საწარმოს მუშაობის ეფექტურობის მთავარი ფილოსოფია არის კლიენტების მოთხოვნის დაკმაყოფილება მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდებით.

კომპანიის ტრადიციულ ასორტიმენტს, „არგო“ და „კასტელი“ დაემატა ახალი ლუდი „ალუდა“, რომელიც დამზადებულია ლუდის წარმოების ტრადიციული ხევსურული მეთოდით. ლუდის სხვა ახალი სახეობები სულ ცოტა ხანში უფრო შეავსებს სამამულო ბაზარს და ვიმედოვნებთ, რომ ეს ახალი პროდუქცია შეძლებს უპასუხოს ქართველ კლიენტთა საკმაოდ დახვეწილ გემოვნებას. ამგვარად ქართული კომპანია „კასტელი-საქართველო“ მის ქართულ, მუდმივად განახლებულ პროდუქციას სიამოვნებით სთავაზობს მის ერთგულ კლიენტებს, ხელს უწყობს რა ამით ქართულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის შექმნას.

საქართველოს მოსახლეობა აგრეთვე კარგად იცნობს „კასტელი-საქართველოს“ ლიმონათებს. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პროდუქციის უმაღლესი ხარისხით, მას ხომ ევროპულ დონეზე აღჭურვილი მიკრობიოლოგიური ლაბორატორია ემსახურება, რომელიც ზედმიწევნით მაღალ დონეზე ამოწმებს როგორც პროდუქციის ხარისხს, ასევე ჭურჭლის სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავების ყველა დონეს.

ყოველივე ამას ქმნის ქართველი მაღალკვალიფიციური პერსონალი.

10 ოქტომბრიდან კომპანიის გენერალური დირექტორია ალექსანდრე ბოლქვაძე, რომელსაც თავის კოლეგებთან ერთად უამრავი გეგმა აქვს და მრავალი ახალი პროდუქციის გამოშვებასთან ერთად მუშაობის ახალი თანამედროვე პრინციპების დანერგვას ცდილობს. შეიცვალა და გაძლიერდა საწარმოს კომერციული სამსახურიც.

სიახლე ყველა სფეროში, ნებისმიერი საკითხისადმი კომპეტენტური მიდგომა სამამულო ბაზრის პრინციპების მკაცრი დაცვით, ქართული მენტალიტეტის ყველა ნიუანსის გათვალისწინებით საწარმოს მუშაობის ყველა დონეზე – აი, ის ძირითადი ამოცანები, რისთვისაც დაინიშნა ახალი ქართული ხელმძღვანელობა, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ინვესტიცია მიზანმიმართულად მოხმარდეს ქართულ ბაზარს და ქართველ კლიენტს.

R

დაყაჩაღება ლისის ტბის ქუჩაზე

დანაშაულს თავად ბოროტმოქმედის სიცოცხლე შეეწირა

ზაქირ მამედოვი, დაზარალებული:

„...საღამოს სასტუმრო ოთახში ვისხედით და ტელევიზორს ვუყურებდით. მოულოდნელად, სამზარეულოს მხრიდან შემოსასვლელი კარი გაიღო და ოთხი ნიღბიანი, შავ ტანსაცმელში ჩაცმული პირი შემოვიდა. სამ მათგანს ხელში გადაჭრილი თოფი ეჭირა, მეოთხეს – პისტოლეტი და „დუბინკა“.

ყაჩაღებმა მოითხოვეს, ხმა არ ამოგვეღო და ფული და ოქროულობა მიგვეცა მათთვის. ამ დროს, ერთ-ერთმა ჯიბიდან თოკები და „სკოჩი“ ამოიღო და დედას ხელები წინიდან შეუკრა. მე მომთხოვეს, „დუბლიონკა“ გამეხადა...“

სწორედ ამ მომენტში მოახერხა ახმედ მამედოვმა ჯიბიდან თავისი პისტოლეტის – „მაკაროვის“ ამოღება, თუმცა, მაშინვე არ გაუსვრია. თავდაპირველად, ყაჩაღებს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ბინა. ამის პასუხად, ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა, პროკურატურის ინფორმაციით – რომან ბარიშვილმა სახლის პატრონს გადაჭრილი თოფი დაუმიზნა და ესროლა. ტყვია მამედოვს ფეხში მოხვდა. მან, თავის მხრივ, პისტოლეტიდან რამდენჯერმე გაისროლა ყაჩაღებისკენ, რის შედეგადაც ბარიშვილი დაიჭრა და იქვე დაეცა, ხოლო დანარჩენები ბინიდან გაიქცნენ.

აღმოჩნდა, რომ დაჭრილი იყო კიდევ ერთი ბოროტმოქმედიც – ფიზულ მაშოვი. მან შემთხვევის ადგილიდან გაქცევა სცადა, მაგრამ მამედოვების სახლის ეზოს ვერ გასცდა და სასიკვდილო ჭრილობების გამო, იქვე წაიქცა. მაშოვი ადგილზევე გარდაიცვალა.

პროკურატურის ინფორმაციით, დაყაჩაღებაში კიდევ ორი პირი მონაწილეობდა. მათგან ერთი, ზვიად თვაური გახლდათ, ხოლო მეორის ვინაობა გამოძიებამ ვერ დაადგინა. იმ დღეს ორივე ბოროტმოქმედმა მოახერხა შემთხვევის ადგილიდან გაქცევა და მიმალვა, მამედოვების ოჯახიდან კი, როგორც დაზარალებულები აცხადებენ, 500 ლარი და 1.000 ლარად ღირებული, ბრილიანტის საყურე გაიტაცეს.

2002 წლის 30 დეკემბერს, პისტოლეტებით, გადაჭრილი თოფებითა და ხელჯოხით შეიარაღებული ბოროტმოქმედები ლისის ტბის ქუჩაზე მცხოვრები მამედოვების ოჯახში შეიჭრნენ. შავ ტანსაცმელში გამოწყობილი და სახეებზე შავ ნიღბებწამოცმული თავდამსხმელები ფულსა და ძვირფასეულობას მოითხოვდნენ, თან ოჯახის წევრებს მოკვლით ემუქრებოდნენ. ბოროტმოქმედთაგან ორი ქართველი იყო, მათგან ერთი, შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა...

დაყაჩაღების დროს ბინაში ოჯახის ყველა წევრი — ახმედ მამედოვი, მისი მეუღლე თამილა და ორი შვილი — ზაქირი და ზამირი (მცირეწლოვანი გოგონა) იმყოფებოდნენ. ბოროტმოქმედებისგან შეშინებულმა ცოლ-ქმარმა მაშინვე მოიხსნა ძვირფასი სამკაულები და მათ გადასცა.

„...დაახლოებით საღამოს 9 საათი იქნებოდა. ჩვენ სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდით და სწორედ იმ დროს, ელსმენით მივიღეთ შეტყობინება, რომ ლისის ტბის №8-ში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე გამოვცხადდით. სახლის კედლთან, ეზოში, ერთი, შავებში გამოწყობილი, ნიღბიანი მამაკაცი დავინახეთ. მიწაზე გულაღმა იწვა. ყელის არეში დავადეთ ხელი, უკვე მკვდარი იყო. იქვე ეგდო გადაჭრილი თოფიც. ამის შემდეგ სამზარეულოში შევედით. იქ მეორე ბოროტმოქმედი დაგვხვდა, გვითხრა – რომან ბარიშვილი ვარო, – და შველას ითხოვდა,“ – აღნიშნავს პოლიციის თანამშრომელი.

შემთხვევის ადგილიდან სამართალდამცავებმა ორი გადაჭრილი თოფი, ტყვიის მასრები და ტყვიის გულები ამოიღეს. დაჭრილი ბარიშვილი საავადმყოფოში წაიყვანეს. მან დანაშაული აღიარა და ჩვენება მისცა, რომ 2002 წლის 30 დეკემბერს ფიზულ მაშოვსა და ზვიად თვაურთან ერთად გადაწყვიტა მამედოვების დაყაჩაღება.

„ბინაში მისვლისას, შესასვლელი კარი მიხურული დაგვხვდა, ჩაკეტილი არ იყო. გავაღეთ და შევედით. ოჯახის წევრები შინ იყვნენ – მამაკაცი, დაახლოებით 45 წლის, ბიჭი 18-19 წლის, ქალი და პატარა გოგონა... ქალმა და კაცმა მოიხსნეს სამკაულები და მაგიდაზე დაალაგეს. მაშინ დავინახე, რომ სახლის პატრონმა „მაკაროვი“ ამოიღო და დაგვიმიზნა... ხელში გადაჭრილი თოფი მეჭირა, იმ კაცმა სწორედ იარაღიან ხელში ჩამავლო და მომქაჩა; ამ დროს უკან გავიწიე, გავიგონე გასროლის ხმა, ზურგის არეში ტკივილი ვიგრძენი და მაშინვე დავეცი. კიდევ რამდენიმე წამი მესმოდა სროლის ხმა, შემდეგ კი გონება დავკარგე. აზრზე რომ მოვედი, ბინაში უკვე პოლიციელები იყვნენ. ამბობდნენ, ერთი მკვდარიაო. შემდეგ გავიგე, რომ მაშოვი მომკვდარა“, – წერს თავის ჩვენებაში ბარიშვილი. იქვე აღნიშნავს, რომ არ დაუნახავს, თუ რა ვითარებაში დაიჭრა მაშოვი. ასევე გადაჭრილი თოფიდან მის მიერ გასროლას არ ადასტურებს. ჩვენების მიხედვით, მან მხოლოდ დაყაჩაღებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ დამზადებასა და ტარებაში ცნო თავი დამნაშავედ. როცა პროკურატურამ ამ დანაშაულებთან ერთად განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობის მუხლიც მიუყენა, ბარიშვილმა ბრალდება უარყო და დუმილის უფლება გამოიყენა. აღნიშნულ საქმეს ამჟამად, სასამართლოში განიხილავენ, თუმცა, განსასჯელს ჯერ ჩვენება არ მიუცია. ■

ბადრი პატარკაციშვილი უზენაეს სასამართლოში დასაკითხად დაიბარეს

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ – ჯემალ ლეონიძემ, რომელიც ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებასთან დაკავშირებით, საშა მაისურაძის ბრალდების საქმეს განიხილავს. სხდომაზე დაზარალებულმა და მისმა ადვოკატმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ შესაძლოა, პატარკაციშვილს რაღაც კავშირი ჰქონდა აფეთქებასთან. გიგანის თქმით, ბიზნესმენთან მას კლუბ „დინამო თბილისთან“ დაკავშირებით მოუხდა უთანხმოება, რის გამოც ქალაქის პროკურატურაში საქმეა აღძრული და გამოძიება მიმდინარეობს. „მაისურაძე პატარკაციშვილის დაცვის უფროსი იყო და ვფიქრობ, ჩემი განადგურების მიზნით, აფეთქების მოწყობა მას დაავალეს“, – განაცხადა დაზარალებულმა სასამართლოში. მაისურაძე ამ ვერსიას კატეგორიულად გამორიცხავს, ისევე, როგორც იმ ფაქტს, რომ პატარკაციშვილის დაცვაში მსახურობდა.

წინა სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებელმა პატარკაციშვილის დაკითხვის მოთხოვნის შემცველი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. მოთხოვნას მხოლოდ მაისურაძემ და მისმა ადვოკატმა არ დაუჭირეს მხარი. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და პატარკაციშვილისთვის უწყების გაგზავნის თაობაზე განკარგულება გასცა. ■

„ვაღვიძ ბელნიერება ასასრულს ვპოვნია...“

„გზის“ წინა ნომერში შევთანხმდით, რომ მკითხველებს ჩვენთვის საკუთარი საიდუმლოს შესახებ უნდა მოეთხროთ. მართლაც, საინტერესო „მესიჯები“ მივიღე. როგორც ირკვევა, ნაღვერდალს უფრო იოლად გაიჩერებ ენაზე, ვიდრე საიდუმლოს... ყველაზე საიმედო მესაიდუმლედ, მორწმუნე ადამიანები მოძღვარს მიიჩნევენ, თუმცა, ამ „წესსაც“ ჰქონია გამონაკლისი... რატომ? ამას იმ „გზავნილიდან“ შეიტყობთ, რომელიც ერთმა მამაომ გამოგვიგზავნა.

მარი ჯაფარიძე

„...არ მინდოდა, სხვა მამაოსთვის მოეყოლა თავისი ბინძური ამბები...“

„ჩემს ვინაობას ვერ გაგიმხელთ. გეტყვით მხოლოდ, რომ ერთ-ერთი ეკლესიის მსახური ვარ. არც იმას აქვს მნიშვნელობა, საქართველოს რომელ კუთხეში ვცხოვრობ... მთავარი ის არის, რომ გადავწყვიტე, თქვენთვის ის საიდუმლო გამემხილა, რომელიც აღსარების დროს მოვისმინე... საკუთარი რძლისგან. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩემი ძმა უკვე საკმაოდ ასაკოვანი (47 წლის) იყო, როცა ცოლად 21 წლის გოგო მოიყვანა. მე სასტიკად წინააღმდეგი ვიყავი ამ ქორწინების, მაგრამ ვერაფერს გავხდი... ჩემი სარძლოს, ქეთინოს ყურამდე მივიდა ეს ამბავი და შემომითვალა – გაგამწარებო... ისინი დაქორწინდნენ, მე და ქეთინო კი, ერთმანეთის მტრებად ვიქეცით. ერთ ოჯახში ვცხოვრობთ, სულ იმის ცდაში იყო, გავემწარებინე. ამას კი, დედაჩემთან ცუდი მოპყრობით ახერხებდა... ვატყობდი იმასაც, რომ ჩემს ძმას ღალატობდა... გადავწყვიტე, მეთვალთვალა რძლისთვის და სწორედ მაშინ გამოვიჭირე, როცა თავის კუროს შეხვდა და მანქანაში ჩაჯდომისთანავე, ერთმანეთს კოცნა დაუწყეს. გავმწარდი. მანქანას მივვარდი, კარი გამოვაღე და გარეთ გადმოვათრიე. დავემუქრე, ჩემს ძმას ყველაფერს მოვუყვებიმეთქი. მუხლებში ჩამივარდა, პატიებას მთხოვდა. ვაპატიე მხოლოდ იმის გამო, რომ ვიცოდი, ჩემი ძმა ამას ვერ გადაიტანდა... წინასაღდგომო პერიოდი იყო. ქეთინომ დამიმარტოხელა და გამომკითხა – როგორ ვიმარხულო, რა გავაკეთო, რომ ყველაფერი მეპატიოს უფლისგანო? გამიხარდა. ვიფიქრე, „საჩვენოსკენ“ მობრუნდა-მეთქი და დავარიგე, როგორც უნდა მოქცეულიყო. ყველაფერს ჩემი მითითებისამებრ აკეთებდა... ზიარების დრო რომ დადგა, მთხოვა, აღსარება ჩაიბარეო. დავთანხმდი, რადგან არ მინდოდა, სხვა მამაოსთვის მოეყოლა თავისი ბინძური ამბები... აღმოჩნდა, რომ იმ კაცის გარდა, კიდევ სხვა საყვარლებიც ჰყოლია და ისიც მითხრა – შენს ძმაზე რომ დავქორწინდი, ერთი კვირაც არ იყო გასული, ძველ საყვარელს შევხვდიო... მინდოდა, იქვე გამეგლიჯა შუაზე, მაგრამ არ შემეძლო... ამის შემდეგ, გავიდა სულ ორიოდე კვირა და შევნიშნე, რომ ქეთინო ისევ სადღაც დაძვრებოდა... ისევ დავუწყე თვალთვალი... ერთ დღეს კი, დამიმარტოხელა და მითხრა – ტყუილად დამდევ კუდში, შენს ძმას მაინც ვერაფერს მოუყვები, რადგან მე აღსარება ჩაგაბარე და შენ აღსარების საიდუმლოს გათქმის უფლება არა გაქვსო... ჩემდა სამწუხაროდ, სწორედ მაშინ მივხვდი, რისთვის დასჭირდა გაპატიოსნებული ქალის როლის თამაში... მეტი მოსაყოლი არც არაფერი მაქვს. ჩემმა ძმამ თუ წაიკითხა, მიხვდება, რომ მასზეა საუბარი... მე კი, ამის შემდეგ, თუნდაც აღარ მომცენ უფლება ღვთის სამსახურში ყოფნისა, მაინც არ ვინანებ, რომ ცხოვრებაში ერთადერთხელ, აღსარების საიდუმლო გავეცი...“

თავში უკვე ვთქვი იმის შესახებ – საიდუმლო ძნელი შესანახია-მეთქი. მაგრამ ხანდახან იძულებულები ვართ, ცდუნებას არ ავყვეთ და გულში დავიმარხოთ, რადგან გამჟღავნებას შესაძლოა, უფრო ცუდი შედეგები მოჰყვეს. ისევე, როგორც შემდეგი გზავნილის ავტორისთვისაა მოსალოდნელი.

„...ბიძაშვილის მეუღლეს ვყვარობ...“

„გამოცდილი გექნებათ, როგორი მტანჯველია, როცა რაღაც საიდუმლოს ატარებ გულით და ქვეყნად ერთი ადამიანიც კი არ მოიძებნება, რომ გაუმხილო, იმიტომ, რომ ვერ ენდობი... ახლა კი გამოვიყენებ ამ შანსს და მთელ საქართველოს გავუმხელ იმას, რაც ასე მაწუხებს... საკუთარი სისხლისა და ხორცის, მამაჩემის ძმისშვილის მეუღლეს ვყვარობ... საშინელებაა, ხომ? კიდევ უფრო დიდი საშინელება ის გახლავთ, რომ ნინო (ბიძაშვილი) ჩემი მშობლების გაზრდილია. მას დედა 4 წლის ასაკში გარდაეცვალა, ბიძაჩემი (ნინოს მამა) იმხნად პატიმარი იყო და ცამეტწლიანი სასჯელიდან მხოლოდ წელიწად-ნახევარი ჰქონდა მოხდილი, ამიტომ, ჩემმა მშობლებმა ითავეს ნინოს აღზრდა. მე დედისერთა გახლდით. ნინო დად მივიღე. ძალიან გვიყვარდა ერთურთი. ტანისამოსიც კი ერთნაირი გვეცვა. სკოლაში ერთ მერხზე ვიჯექით და ერთ საწოლში გვეძინა. გარეგნობით მე ქერა ვარ, ის – შავგვრემანი, თორემ სიმაღლე, წონა და თქვენ წარმოიდგინეთ, ხასიათიც კი, თითქმის ერთნაირი გვაქვს. მოკლედ, ნინო 20 წლის ასაკში გათხოვდა. ორი წლის განმავლო-

ბაში უყვარდათ მას და სულხანს ერთმანეთი. ნინო პაემნიდან თვალებგაბრწყინებული ბრუნდებოდა ხოლმე და დაწვრილებით მიამბობდა მის შესახებ. მაშინ მეც შეყვარებული გახლდით, მაგრამ ნინო იმდენ საინტერესო ამბავს მიყვებოდა სულხანზე და ისე ლამაზად, რომ ჩემი შეყვარებული ჩემს თვალში მთლად გაუფერულდა... ვგრძნობდი, რომ სულხანის მიმართ სულ სხვა გრძნობა მებადებოდა. ამის გამო, თავს ვარიდებდი მასთან შეხვედრას და ნინოს ხვეწნა-მუდარას – წამოდი პაემანზე ჩემთან ერთადო, – არად ვაგდებდი... მათი ქორწილის ღამეს, ცრემლებით დავასველე ბალიში და მაშინ მივხვდი, რომ სულხანი უზომოდ მიყვარდა... ამ ამბის შემდეგ, 15 წელი გავიდა. ორი წელია, მე და სულხანი საყვარლები ვართ. ღმერთო! ხანდახან სიკვდილი მინდება ხოლმე, მაგრამ ამით რას ვუშველი საქმეს?! მე ხომ გაუთხოვარი, მისი სიყვარულის გამო დავრჩი. ნეტავ, თვალდახუჭული გავყოლოდი პირველივე მთხოვნელს, იქნებ, ამ სირცხვილს გადავრჩენოდი?.. მარი, „მესიჯი“ კი გამოვგზავნე, მაგრამ შვება ვერ ვიგრძენი... ღმერთო! მაპატიე!“

დიახ, ასეც ხდება ხოლმე: საკუთარი დანაშაული შეგნებული გვაქვს, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძლებთ... ახლა კი, კიდევ ერთი საიდუმლო, რომელსაც 30 წლის გოგიტა გვიმხელს. თუმცა, ეს კურიოზს უფრო ჰგავს...

„...ერთ „სპალნაში“ ერთი ქალი, მეორეში – მეორე...“

„გამარჯობა, მარი... საიდუმლო გინდათ? კი, ბატონო! უცოლო კაცი ვარ, საკმაოდ სიმპათიური და ქალების მოყვარული. ჰოდა, ხშირად ვვარდები ხოლმე საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში, რადგან დღის განმავლობაში, შესაძლოა, რამდენიმე პაემანზე წავიდე, მერე მავიწყდება, ვისთან რომელ საათზე ვარ მისასვლელი, ან ერთს რომ ვნახავ, აღარ მიშვებს და მეორესთან მაგვიანდება... თანაც, 20 ქალი მყავს და ყველას ჰგონია, ის ერთადერთია ჩემს ცხოვრებაში... ისეთი ენა მაქვს, ამის დაჯერება არც ერთს არ უჭირს. ახლა კი – საიდუმლო: ვცხოვრობ გლდანში, სამოთახიან ბინაში. ჰოდა, ერთი გოგო დავიბარე ჩემთან. მოვიდა. ორი საათის შემდეგ, მეორემ დამირეკა – გინდა თუ არა, შენთან უნდა მოვიდეო... მებუზღუნებოდა... ძალზე სერიოზული ხმით ვუხსნიდი: კარგი, დაწყნარდი, თუ ავად ხარ, მოდი, აბა, რაღას ვიზამ-მეთქი?.. სულ გადაირია: ავად შენა ხარო, – დამიკიდა ყურმილი და ნახევარ საათში კარზე მომიკაკუნა... პირველს შევაპარე: დედაჩემი ავად არის, შინ მარტო დარჩენის ეშინია და უნდა მოვიდეს-მეთქი... შეშინდა: ვაიმე, რას იტყვის, აქ რომ დამინახავს? – მრცხვენიაო... დავამშვიდე: მეორე საძინებელში დავაწვენ და ყურადღებას მივაქცევ ხოლმე-მეთქი... მოკლედ, ერთ „სპალნაში“ ერთი ქალი, მეორეში – მეორე.... მეორესაც იგივე ტყუილი ვუთხარი: სხვა ოთახში დედაჩემი წევს და იმიტომ არ მინდოდა, რომ მოსულიყავი; რადგან არ დაიშალე, კეთილი ინებე და ოთახიდან ცხვირი არ გამოყო-მეთქი. რად უნდოდა ჩემი გაფრთხილება? – ისედაც არ გამოვიდოდა... მომეწონა ეს თამაში, გავთამამდი და მესამეს მე თვითონ დავურეკე. ისიც მოვიდა და მესამე ოთახში მოვათავსე. თან გავაფრთხილე ავადმყოფი დედის შესახებ და... იწვნენ ასე გასუსულები თავ-თავიანთ ოთახებში, მე კი „დედიკოს სანახავად“ და „წნევის გასაზომად“ ოთახიდან ოთახში დავსეირნობდი და კარგ დროსაც ვატარებდი... აი, ჩემი საიდუმლოც... მარი, ეკა და ნესტან, გახსოვთ?..“

სათქმელი რაღა გვაქვს?! – ჯობს, დანარჩენ საიდუმლოებებსა და მოკლე „მესიჯებს“ მივხედოთ.

„...ფუ, რა ბოღმა ვარ! მაპატიოს ჩემმა საყვარელმა ქმარმა...“

„ჩემი სიყვარული ჩემზე 20 წლით უფროსია. მე ახლა 18 წლის ვარ, მისი შვილი კი – 20-ის. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარს და მალე დავქორწინდებით კიდეც...“

„მარი, ახლა დილის 5-ის ნახევარია და არ მძინავს, რადგან გუშინ შევიტყვე, რომ ვინც მე მიყვარს, მას... ცოლი მოჰყავს. ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. ერთად ვგალობდით ერთ-ერთ ტაძარში. ახლა კი, სხვადასხვა ეკლესიაში ვართ... ასე მგონია, გავგიჟდები. მოძღვარს გავუმხილე ჩემი ტრაგედია და მითხრა – მე ვთხოვ, რომ დაგელაპარაკოსო... არა მგონია, ამით რაიმე შეიცვალოს. უზომოდ მიყვარხარ, ჩემო ზაზუკა, ვფიცავ, მორჩილი მეუღლე ვიქნები...“

„ქალური ბედნიერება არასოდეს მქონია... ღალატით კი, მეუღლეს ვერასოდეს ვუღალატე... რატომ? შვილების გამო... ქალისთვის მთავარი, შვილებია, ისინი კი ღალატს არ იმსახურებენ. „მე“ აღარ არსებობს... 20 წლის ასაში გამათხოვეს. „ის“ ჯარში იყო... ახლა 45 წლის ვარ, სამი შვილი მყავს და „ის“ მაინც მიყვარს. ლონდა“.

„მაკო გოლეთიანო, უკვე დიდი ხანია, მიყვარხარ! მე ხომ შენთან ძალიან ახლოს ვარ, ბევრს „გინამიოკებ“, მაგრამ ვერ ხვდები... გაიხსენე ზაფხული, ბევრი ყვავილი და მიხვდები, ვინცა ვარ...“

„ზაზა, როცა მოგენატრო, აკოცე შენს ცოლს და უთხარი, რომ ძალიან გიყვარს... ხალხო! თუკი სადმე ერთგულ კაცს შეხვდებით, ჩემთვის ავტოგრაფი გამოართვით, რა!“

„ვერ ვივიწყებ პირველ სიყვარულს და კოცნას. უკვე ორივეს, ოჯახები გვაქვს, აღარ ვუყვარვარ ალბათ... მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნანობს, რომ დამკარგა... ჩემი ქმარიც მიყვარს, მაგრამ ისიც რომ არ მავიწყდება? ისე, მაგარი ეგოისტი ვარ, არა? ვერ მომინელებია, რომ მიმატოვა და ველოდები, როდის ჩამივარდება მუხლებში, რომ გავაგდო და გული მოვიოხო... ფუ, რა ბოღმა ვარ! მაპატიოს ჩემმა საყვარელმა ქმარმა... რა მოხდა, თუ ვეუბნები, ჩემთვის პირველი „მკოცნელი“ ხარ-მეთქი? მ.ა. 25 წლის“...

ბოლოს, ერთი „მესიჯი“, რომელმაც შემდეგი „გზავნილების“ თემა მიკარნახა:

„დამანებეთ თავი! ისე წერთ, რომ ადამიანს საიდუმლოს თქმის ჭიას უღვიძებთ... რადგან არ იშლით, აი, ჩემი საიდუმლოც – ოღონდ, მარი, თუ ვინმე ქალმა დაგირეკოს და ანჩხლი ხმით გკითხოს – ეს „მესიჯი“ რომელი ნომრიდან მოვიდაო? – გაფიცებ გულით საყვარელ ადამიანს, არაფრის დიდებით არ გამთქვა, თორემ, ოჯახი დამენგრევა. ჩემდა სამარცხვინოდ, ჩასიძებული ვარ. იმიტომ კი არა, რომ ბინა არა მაქვს – სიდედრი მარტო ცხოვრობს და ღამღამობით მარტო დარჩენა ეშინია (მაგას თუ ვინმე შეაშინებს, არ ვიცი...). ჰოდა, ამ ჩემს სიდედრს ერთი ძაღლი ჰყავდა. ვერ გაიგებდი, ძაღლი იყო, კატა თუ სხვა ცხოველი. რა ჯიშის იყო, არ ვიცი. ყეფდა თუ კნაოდა, ვერც იმას გაიგებდი. გაქუცული და უვარგისი „რამე“ იყო. თვალის დასანახად ვერ ვიტანდი. ჰოდა, ერთ დღესაც, დრო ვიხელთე (ისე, რომ მე არ დამბრალებოდა), ეს ცხოველი შინიდან გავიყვანე და მოუსავლეთში გავუშვი... იმ დღიდან, ჩემს სიდედრს შავი კაბა არ გაუხდია, მაგრამ ვერ გაიგეს, სად წავიდა ის „მონსტრი“... თუ შეიტყვეს, რომ მე „გავაქრე“, ჩათვალეთ, რომ...“

აი, სიძეც ამას ჰქვია... ამრიგად, შემდეგი გზავნილები „სიძესიდედრიანს“ მივუძღვნათ. გაგვიმხილეთ თქვენი ურთიერთობები, გამოგზავნეთ „მესიჯები“ ნომერზე: 8(77) 45.68.61.

■

„გაუსაძლისია ორ კაცს შუა რომ იხლიჩები...“

„გზის“ წინა ნომერში ასეთი „მესიჯი“ გამოვაქვეყნეთ: „მეგონა, ვიცოდი, რა იყო სიყვარული, მაგრამ მხოლოდ ახლა გავიგე... ჩემი პირველი სიყვარული ჩემი ყოფილი სტუდენტი აღმოჩნდა... მყავს მეუღლე და ორი შვილი... მას კი „კუნძულ ტაიტის“ ვეძახი...“ — და შეგპირდით კიდეც, რომ ამ ქალბატონის საიდუმლო სასიყვარულო ამბავს დაწვრილებით მოგიყვებოდით. ნატო 33 წლის, სანდომიანი გარეგნობის ქალია. ის ბათუმში დაიბადა, ამჟამად თბილისში ცხოვრობს და სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს. დანარჩენს თავად მოგვითხრობს.

მარი ჯაფარიძე

— მოგეხსენებათ, ბათუმი პატარა ქალაქია, მე კი, საკმაოდ ცნობილი ოჯახის შვილი ვარ, გარეგნობითაც მშვენიერი გოგონა ვიყავი. სწორედ ამიტომ, როცა წამოვიზარდე, ქალაქის საუკეთესო ბიჭები მთხოულობდნენ. ბოლოს, მშობლების ძალისხმევით, უსიყვარულოდ, ერთ-ერთ კარგი ოჯახის შვილზე, მშვენიერი შესახედაობის მამაკაცზე გავთხოვდი. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ჩემს ბედს შევეგუე, ოჯახის ყველა წევრთან საუკეთესო ურთიერთობა დავამყარე და შევუდექი ჩემი, როგორც მეუღლის, რძლის და მოგვიანებით, დედის მოვალეობის შესრულებას... პირველი შვილის დაბადების შემდეგ, ჩემი მეუღლე სამუშაოდ თბილისში გადმოვიდა და მთელი ოჯახი ბათუმიდან თბილისში გადმოვბარგდით. მეც უნივერსიტეტში დავიწყე მუშაობა და ცხოვრება თავისი გზით გაგრძელდა, სანამ ჩემს ცხოვრებაში ვადიმი არ შემოიჭრა...

— თქვენ მომწერეთ, რომ ის თქვენი ყოფილი სტუდენტია...

— დიახ. ეროვნებით ბერძენია... ჩვენი ურთიერთობა კი კონფლიქტით დაიწყო: მე მას ჩათვლას არ ვუწერდი, რადგან არც ლექციებს ესწრებოდა და არც მეცადინეობდა. ჰოდა, ამის გამო ვიკამათეთ. მედავებოდა — თქვენი საგანი არაფერში მჭირდება, ამიტომ არ დავდივარ ლექციებზე და გინდათ თუ არა, ჩათვლა დამიწერეთო... უარით გავისტუმრე... ამის შემდეგ დასანახად ვერ მიტანდა. სულ ცდილობდა, ჩემთვის რაიმე ევნო — ან ლექცია ჩაეშალა, ან რაიმე ისეთი რეპლიკა ესროლა, რომ წონასწორობიდან გამოვსულიყავი. მაშინ ის უკვე მე-4 კურსის სტუდენტი იყო, მალე დაამთავრა კიდეც და თავისი გზით წავიდა...

— ასე დამდურებულები დაშორდით ერთმანეთს?

— დიახ, ბოლომდე ვექიშპებოდით ერთმანეთს... გავიდა სამი წელი. მე უკვე მეორე შვილიც შემეძინა. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი მეუღლის თანამშრომელმა მამაკაცებმა გადაწყვიტეს, ქალაქგარეთ საქეიფოდ წასულიყვნენ. ვისაც ოჯახი ჰქონდა, მეუღლეებთან ერთად, ვისაც არა და — მარტო... მოკლედ, ვადიმი გოდერძის (მეუღლის) თანამშრომელი აღმოჩნდა და ერთმანეთს სწორედ ამ პიკნიკის დროს შევხვდით. რა თქმა უნდა, ვიცანი... მერე ვიხსენებდით ჩვენს კონფლიქტს და გულიანად ვიცინოდით. იმ დღეს შევრიგდით. შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, ხან ახლობლის დაბადების დღეზე, ხან რაღაც დღესასწაულზე... დაიწყო ჩემთან რეკვა, შინ სტუმრად სიარული, მაგრამ არასოდეს სიტყვაც არ დასცდენია სიყვარულზე. ერთხელაც, ორი კვირით საზღვარგარეთ გაემგზავრა. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც მაკლდა, იქიდან რომ დამირეკა, ამან უფრო დამარწმუნა, რომ ჩემს თავს რაღაც ხდებოდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ერთი წლის შემდეგ ჩვენი პირველი ღამეც შედგა. ძალიან განვიცდიდი, ვნერვიულობდი, რადგან ჩავდიოდი ისეთ რამეს, რაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის მიუღებელი იყო. ეს ახლა ვყვები ასე იოლად, თორემ მაშინ ისეთ დღეში ვიყავი ჩავარდნილი, სიკვდილი მინდოდა... უკვე ერთი წელია, ერთმანეთს ვხვდებით. მეშინია, არავინ შეიტყოს. ჩვენი ურთიერთობის შესახებ მხოლოდ ჩემმა უახლოესმა მეგობარმა იცის და მისი დახმარებით ვახერხებთ ხოლმე შეხვედრას. ამას წინათ, ოჯახში ვთქვი — ბათუმში, მშობლებთან მივდივარ-მეთქი. იქ სულ ერთი დღე დავყავი. შემდეგ კი, ვადიმთან შეთანხმებისამებრ, ერთმანეთს შევხვდით და სამი დღე ერთ მიყრუებულ სოფელში გავატარეთ, სადაც არავინ გვიცნობდა... „კუნძული ტაიტიც“ სწორედ მაშინ შევარქვი, რადგან იქ სრულ თავისუფლებას ვგრძნობდი და ბედნიერი გახლდით...

— თქვენი მეგობარი რას გეუბნებათ?

— პირველად რომ ვუამბე, კინაღამ გაგიჟდა... მართალია, ვადიმი ქერა, ცისფერთვალება ბიჭია, მაგრამ გარეგნობით ჩემს მეუღლესთან ახლოსაც ვერ მოვა. გოდერძი წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცია, თანამდებობის პირი, საუკეთესო მეუღლეც... არ მახსოვს, ჩვენ შორის ოდესმე ხმამაღალი საუბარი ყოფილიყოს... შვილებსაც თან ჰყვება და მეც...

— მაშინ, რა არის მიზეზი, რომ თქვენ სხვა შეგიყვარდათ?

— მე თვითონ არ ვიცი, ვერ გამიგია... ხშირად დავფიქრებულვარ ამაზე. იცით, ერთადერთი, რაც ჩემი მეუღლის არ მომწონს, არის ის, რომ მეტად უყურადღებოა. შესაძლოა, ერთი კვირით შინიდან წავიდე და არც კი შემეხმიანოს, სად ვარ, რა მიჭირს, დაბრუნებულს კი, არც მკითხავს, სად ვიყავი...

— იმიტომ, რომ გენდობათ...

— კი, ნამდვილად ასეა... თანაც, ერთ რამეს გაგიმხელთ: იცით, წინათ მეც მიჭორავია სხვებზე და გავოცებულვარ, როდესაც გამიგია, ოჯახი იმიტომ დაინგრა, რომ ცოლ-ქმარი ლოგინში ერთმანეთს ვერ ეწყობოდა. ახლა მივხვდი, რომ ვცდებოდი... მხოლოდ ვადიმთან ურთიერთობის შემდეგ მივხვდი, რას ნიშნავს — იყო ქალი... ახლა კი ის შვილის გაჩენას მთხოვს...

— და თქვენც თანახმა ხართ?

— დიდი სიამოვნებით გავაჩენ მისგან შვილს და დავაბრალებ ქმარს, მაგრამ... არსებობს რამდენიმე „მაგრამ“... ჯერ ერთი, ის, რომ ჩემს ოჯახში ყველა შავგვრემანია, ბავშვი კი, ვადიმს რომ დაემსგავსოს და ქერა, ცისფერთვალება დაიბადოს, მერე როგორ მოვიქცე? თანაც, ვერ ავიტან, რომ ჩემი მეუღლე ყოველდღე ხედავდეს და ეფერებოდეს მის შვილს, ის კი იშვიათად ნახულობდეს საკუთარ პირმშოს... ვადიმი მეხვეწება, გაშორდი ქმარს და ერთად ვიცხოვროთო...

— მერე, ამაზე რას ფიქრობთ?

— დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი ჩემთვის უძვირფასესი ადამიანის გვერდით, მაგრამ ქმარს რომ გავშორდე, ამას მიზეზი სჭირდება, მე კი ეს მიზეზიც არა მაქვს. ძალიანაც რომ მოვინდომო, შარსაც ვერ მოვდებ რაიმის გამო... თანაც, ვადიმი ჩემზე გაცილებით უმცროსია და ვფიქრობ, არც მშობლები მისცემენ უფლებას, ცოლად ასაკით უფროსი, ორშვილიანი ქალი მოიყვანოს... აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. გაუსაძლისია, ორ კაცს შუა რომ იხლიჩები... მინდოდა, ეს საიდუმლო საქვეყნოდ მომეყოლა, იქნებ, შვებაც ვიგრძნო... იქნებ, ვინმემ მასწავლოს, როგორ მოვიშორო თავიდან ასეთი ძლიერი გრძნობა?..

ენერგოვამპირები

vin gvarTmevs sasicocxlo Zalebs?

ლელა ჭანკოტაძე

ენერგოვამპირების შესახებ ყველას გვსმენია, მაგრამ არსებობენ თუ არა ისინი რეალურ სამყაროში? თუ ცხოვრობენ ჩვენ გვერდით ადამიანები, რომლებსაც ჩვენგან სასიცოცხლო ენერგიის მითვისების უნარი შესწევთ? ეს კითხვები მაშინ დაისვა, როცა ნანა კუპატაძე დაგვიკავშირდა და გვთხოვა, საშუალება მიგვეცა მისთვის, „გზის“ საშუალებით იმ ადამიანებს დაჰკავშირებოდა, რომლებსაც რაიმე შეხება ჰქონდათ ენერგოვამპირებთან. ეს სურვილი ქალბატონ ნანას მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ქმარმა მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვი შეიტანა და მათ ოჯახს დანგრევის საფრთხე დაემუქრა...

ნანა კუპატაძე:

— გათხოვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მე და ჩემი ქმარი მარტონი დავრჩით. სტუმრები წავიდნენ, სახლი დაცარიელდა. იქაურობა გულდასმით დავათვალიერე. შევნიშნე, რომ კედელი, რომელიც ჩვენს ბინას მეზობლის ბინისგან ჰყოფდა, იმდენად თხელი იყო, რომ ხმასაც კი ვერ დაახშობდა, ე.ი. მეზობელს ყოველთვის ეცოდინებოდა თუ რა მოხდებოდა ჩვენს ოჯახში. იმ ბინაში მარტოხელა მოხუცი ცხოვრობდა, ანგელინა ბებიას ეძახდნენ. ერთ დღეს მისი თვალები შემეფეთა. ისე ავფორიაქდი, რომ ვერც კი მივესალმე: ასეთი თვალები არასდროს მენახა — ბოროტად დაკვესილი და ისე გადმოკარკლული, თითქოს შეჭმას მიპირებდა... იმ დღიდან მოყოლებული, როცა მის თვალებს წავაწყდებოდი, ვგრძნობდი, ძალა მეცლებოდა და მთელი დღე ვეღარაფერს ვაკეთებდი — თავბრუ მესხმოდა და ცუდად ვიყავი. რაც უფრო ხშირად მეორდებოდა მსგავსი რამ, მით უფრო მემატებოდა მისგან მომდინარე გაუცნობიერებელი შიში. არც კი ვიცი, რატომ მეშინოდა, ვის ან რას ვხედავდი მასში... ერთი რამ ცხადია — როგორც კი დავეხმიდი, შიში გამიორმაგდა.

— **ქმარს არ უთხარით ამის შესახებ?**

— რა თქმა უნდა. გაიცინა და მითხრა: ანგელინა ბებია ჭიანჭველასაც არ დაადგამს ფეხს, მაგან რა უნდა დაგიშავოსო?! ვერ გამიგო, უფრო მეტიც — ერთ დღეს, ფანერის კედელი მოხსნა და — ანგელინა ბებიამ ბინა გვაჩუქაო, — მახარა. ამაში თითქოს გასაკვირი არაფერი იყო — მოხუცს არავინ ჰყავდა. მარტო ცხოვრებას, ცხადია, ჩვენთან ყოფნა ერჩია... თავიდან, თავს არ გვაბეზრებდა. იცოდა, რომ არ მომწონდა და სულ მერიდებოდა, სანამ სამსახურში არ წავიდოდი, თავისი ოთახიდან არ გამოდიოდა... ერთ დღეს, ვიღაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი. მივხედი — კარის ჭუჭრუტანიდან მიყურებდა. ყურადღება არ მივაქციე. მაგვიანდებოდა. კარი გავიხურე და რადგან ლიფტი არ მუშაობდა, ფეხით დავაპირე კიბეზე ჩასვლა. რაღაცას ფეხი წამოვკარი და კიბეზე დავგორდი. ისეთი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს სულს ვღაფავდი. ჩემს ყვირილზე მეზობლები გამოცვივდნენ. ,,სასწრაფო დახმარება'' გამოიძახეს. ექიმებმა ჩემი საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყვიტეს. ეზოდან საკაცით რომ გავყავდი, ანგელინა ბებიას მოვკარი თვალი. სადარბაზოს კართან იდგა და მომჩერებოდა. ისეთი ბოროტი მზერა ჰქონდა, რომ კანკალი დამაწყებინა...

— **სხვები თუ ამჩნევდნენ, ასეთი სატანური მზერა რომ ჰქონდა?**

— არა, ჩემ გარდა, არავის უთქვამს მსგავსი რამ. უფრო მეტიც, რომ ავიჩემე: მომაშორეთ მაგ ქალს, ნამდვილი ენერგოვამპირია-მეთქი, — დედაჩემმაც კი მისაყვედურა: ქალმა ოროთახიანი ბინა გაჩუქა, შენ კი საღად ვერ აზროვნებო... ასე იყო თუ ისე, ბავშვი დავკარგე, რის შემდეგაც ძალიან ნერვიული გავხდი. ვიცოდი, ამ მოხუცის გამო შეიძლებოდა, ქმართან სერიოზული უსიამოვნება მქონოდა: ქმარი არ მაპატიებდა, ცუდად თუ მოვექცეოდი, არადა, მისი დანახვაც არ მინდოდა. მალე დეპრესიაში ჩავვარდი. ცნობილ ფსიქიატრთან დავიწყე მკურნალობა. მასაც ვუამბე, რასაც ანგელინა ბებიას მიმართ ვგრძნობდი. მომისმინა, მაგრამ არ დამიჯერა. მე კი მინდოდა, ვინმეს ჩემი სიტყვების სიმართლე ერწმუნა. ერთხელ, თავი ძალიან მტკიოდა. დასაძინებლად ადრე დავწექი, ჩამეძინა. ძილშიც კი ვიგრძენი მისი მზერა. თვალი რომ გავახილე, დავინახე — ჩემს საწოლთან ხის სკამზე დასკუპულიყო და მომჩერებოდა. გადავწყვიტე, თვალი თვალში გამეყარა მისთვის — მინდოდა, ჩემი ეჭვების სისწორეში დავრწმუნებულიყავი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვუცქირე თვალმოუცილებლად, მაგრამ ის კი ნამდვილად მახსოვს, როგორ მომერია ძილი. მეგონა, ჩამეძინა — თურმე, გონება დამიკარგავს, მან ჩემგან თითქოს სასიცოცხლო ენერგია შეისრუტა... ამის შემდეგ, ერთი თვე ფეხზე ვეღარ დავდექი, ანგელინა ბებია სულ თავთან მეჯდა, მზრუნველი ბებიასავით წუთით არ მცილდებოდა. ექიმებმა ჩემს ავადმყოფობას ვერაფერი გაუგეს. ბოლოს დედაჩემმა თქვა: იქნებ, მართლა ამ მოხუცის ბრალია ჩემი შვილის ავადმყოფობაო? — და თავის სახლში წამიყვანა. მალე გამოვჯანმრთელდი. ეჭვი აღარ მეპარებოდა — მოხუცი ენერგოვამპირი იყო. დედასთან დარჩენა გადავწყვიტე. ქმრის ხვეწნა-მუდარამ განზრახვაზე ხელი ვერ ამაღებინა. სამი თვის შემდეგ, ჩემი ქმარი მოვიდა და თან ანგელინა ბებია მოიყვანა. მის დანახვაზე ფერი მეცვალა. მან კი გულში ჩამიკრა და მითხრა: მომენატრე, შვილივით მიყვარხარ და შენთვის მხოლოდ კარგი მინდაო. მისი სიტყვები მეუცნაურა. მივხვდი — იცოდა, მისგან რასაც ვგრძნობდი.

— **საიდან შეიძლებოდა გაეგო?**

— ჩემი ქმრისთვის უკითხავს: შინ რატომ არ ბრუნდებაო? — და ზურას აღარ დაუმალავს სიმართლე. ანგელინა ბებიას ბევრი უტირია და უთხოვია, მასთან წამიყვანეო. ჩემთვის სახეში არც შემოუხედავს. ისე მიამბო ძალიან სევდიანი ამბავი. სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობდა და თურმე თავისი პედაგოგი შეჰყვარებია. იმ კაცს უთქვამს: შემომხედავ თუ არა, მუხლები მეკვეთება, თითქოს ენერგია წამართვიო... შეყვარებულ გოგოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იმ კაცს კი სამი თვის შემდეგ,

ანგელინასკენ საცემრად გაუწევია: კუდიანი ხარ, რაც შენ გაგიცანი, მას შემდეგ კაცად აღარ ვვარგივარ, დავავადმყოფდიო... საბრალო ანგელინას დაუჯერებია, რომ თვალებით უბედურება მოჰქონდა, ამიტომ აღარც გათხოვილა და მეგობრებსაც ჩამოსცილებია.

— **მხოლოდ იმ ერთ ადამიანზე მოქმედებდა მისი მზერა უარყოფითად?**

— დიახ. სანამ მე არ გამიცნო, მისთვის აღარავის უთქვამს, კუდიანი ხარო. როგორც თვითონ მითხრა, იმ კაცის შემდეგ, ვინც მთელი სულითა და გულით შეიყვარა, პირველი მე ვიყავი. რომ დაგინახე, დავიფიცე, რომ თავს შეგაყვარებდი და სულს შენს ხელში დავლევდიო, — მითხრა... მის მიმართ საოცარი სიბრალული ვიგრძენი, მაგრამ დახმარება არაფრით შემეძლო — ის ჩემზე ცუდად მოქმედებდა და თუ მინდოდა, ჯანმრთელი ვყოფილიყავი, მისგან შორს უნდა მეცხოვრა...

საინტერესოა, რას ფიქრობენ ის ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი პარანორმალური მოვლენა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება? გვესაუბრება პარაფსიქოლოგი ***ანატოლი პირველი:***

— ნებისმიერი ადამიანი გზაჯვარედინზე მდგარ მოგზაურს ჰგავს, რომელმაც არ იცის, საით წავიდეს, რომელი გზა აირჩიოს, რომელი გზა მიიყვანს დასახულ მიზნამდე. ალბათ ყველას აინტერესებს, თუ რატომ ხდება, რომ ერთი ადამიანი სწორ გზას ადგება, მეორე კი შუა გზიდან გადაუხვევს და უკან ბრუნდება, ვინ ან რა აიძულებს, სწორი თუ არასწორი არჩევანის გაკეთებას. მეცნიერთა აზრით, ეს ძალა, კარმა გახლავთ: კარმა ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვა-მადლის აწონა და ამის შედეგად მიღებული ჯილდოა. ხომ გაგიგონიათ — ამ კაცს მძიმე კარმა აქვსო. მძიმე კარმა იმ ადამიანსაც აქვს, რომელმაც ანგელინა ბებიის შესახებ გიამბოთ და თავად ანგელინასაც. ის ენერგოვამპირია, ე.ი. ჯოჯოხეთისთვისაა გამწესებული და ცოდვების მოკითხვა მისთვის ამქვეყნადვეა დაწყებული. ცოდვები მოეკითხება იმასაც, ვინც ენერგოვამპირის ზეგავლენის ქვეშ მოექცა: ორივე, ღმრთისგან დასჯილი და ცოდვებით დამძიმებული ადამიანია. ენერგოვამპირის განკურნება ამქვეყნად არ არსებობს. ის რეინკარნაციასაც არ ექვემდებარება.

— **რას გულისხმობთ?**

— როცა სული განიცდის რეინკარნაციას, ის კვლავ ბრუნდება დედამიწაზე. ზოგი ადამიანი წინა ცხოვრებაში შეიძლება, ცხოველი ან მცენარე იყო, შემდეგ კი, ადამიანად დაიბადა. ენერგოვამპირი ხელახლა ვერ დაიბადება.

— **როგორ უნდა ამოვიცნოთ ენერგოვამპირი?**

— მცდარია მოსაზრება, თითქოს ენერგოვამპირები ჩვენ სიკვდილის პირას მიგვიყვანენ. ასეთი ენერგოვამპირები ქუჩებში არ დასეირნობენ, რადგან ამხელა ძალას რომ მიაღწიოს, მას, ვისაც სხვისგან სასიცოცხლო ენერგიის მიღების უნარი შესწევს, ტიტანური შრომა უწევს. ამაზე ლაპარაკი ახლა არც ღირს. ჯობს, ყოველდღიურობას დავუბრუნდეთ და ჩვეულებრივ, „სუსტ“ ენერგოვამპირებზე ვისაუბროთ. თუ ადამიანი ცუდ ხასიათზე გაყენებთ, თუ მასთან საუბრის შემდეგ, მსუბუქ თავის ტკივილსა და სისუსტეს გრძნობთ, ე.ი. ის თქვენთვის ენერგოვამპირია. ამაში საგანგაშო არაფერია, რადგან არსებობს თავდაცვის უმარტივესი მექანიზმი: გაწყვიტეთ ყოველგვარი ურთიერთობა ასეთ ადამიანთან.

— **მაგრამ როცა ენერგოვამპირი უახლოესი ადამიანი ან ოჯახის წევრია?**

— თუ ენერგოვამპირი შვილია, მაშინ უნდა ჩავატაროთ „სისხლის ჯგუფის შეცვლის რიტუალი“ და მისგან მიღებული ნეგატიური ზემოქმედება მინიმუმამდე შემცირდება. ამ რიტუალს მხოლოდ გამოცდილი პარაფსიქოლოგი ატარებს. სისხლის ჯგუფი ადამიანის უმნიშვნელოვანესი თვისებების მარეგულირებელია. მაგალითად, იაპონიაში ნებისმიერ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნისას, კანდიდატურის სისხლის ჯგუფსაც აქცევენ ყურადღებას. ამის მიზეზი ის არის, რომ მათ სწამთ კარმის კანონების, სისხლის ჯგუფით კი ვლინდება, როგორი კარმა აქვს ადამიანს. უპრობლემოდ დგინდება ისიც, თუ როგორი ძალის ენერგოვამპირია და როგორ შეიძლება მის წინააღმდეგ ბრძოლა.

— **რატომ ან როგორ ჩნდებიან ენერგოვამპირები?**

— ძველი აღმოსავლეთის სწავლულების აზრით, ის ცხრა თვე, რასაც ბავშვი დედის საშოში ატარებს, სხვადასხვა პლანეტის ზემოქმედებით გამოირჩევა. თუ მომავალი დედა უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოექცევა, აუცილებლად მაგური თვისებებით „შემკულ“ ბავშვს გააჩენს. ორსულობის მეორე თვე მთვარის თვედ იწოდება. ეს ქვეცნობიერი ინსტინქტებისა და ემოციური სფეროს ფორმირების დრო. ორსულობის მერვე თვის მფარველი ურანია. იგი მომავალ ჩვილს რთულ ამოცანებს უსახავს. „უვითარებს“ ნათელმხილველობის ცენტრს. ნაყოფში ყალიბდება დამცავი კოსმოსური ცენტრი, ასტრალური სხეული და „ანტენები“, რომელიც კოსმოსიდან იღებს ვიბრაციას. თუ ორსულობის მერვე თვეში ქალი საგრძნობლად დაშორდება ღმერთს, თუ ახალი მთვარეა და ნაკიანი წელიწადია, არსებობს იმის ალბათობა, რომ ახალშობილი, ენერგოვამპირი იქნება. თუ მამა მონათლულია, მსგავსი რამ მოსალოდნელი არ არის.

— **ამბობენ, პოლიტიკოსები ენერგოვამპირებივით ზემოქმედებენ მასებზეო...**

— ამაში დევს ჭეშმარიტების მარცვალი. მე შევესწარი ასეთ ფაქტს: აფხაზეთიდან დევნილები საშინელ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ პრეზიდენტის მიმართ. მეგონა, როცა შევარდნაძეს შეხვდებოდნენ, შეურაცხყოფას მიაყენებდნენ. შეხვედრაზე იმ ქალებმა, რომლებიც განსაკუთრებით ილანძღებოდნენ, კინაღამ ხელები დაუკოცნეს პრეზიდენტს... ფაქტია, რომ მან დიდი ზემოქმედება მოახდინა. ამგვარი რამ პოლიტიკოსებისთვის დამახასიათებელია. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო ჰიპნოზია, ვიდრე სხვისგან ენერგიის მითვისების ტექნიკა.

ანატოლი პირველმა რამდენიმე ადამიანთან დამკავშირა და მითხრა — ისინი გიამბობენ ნამდვილი, თბილისელი ენერგოვამპირების შესახებო, მაგრამ ჩვენთან საუბარს მხოლოდ ერთი მათგანი დათანხმდა და ისიც ტელეფონით.

მაკა ბექაური:

— ერთ დღეს სიონის ეკლესიასთან შუახნის კაცი — არკადი გამომელაპარაკა. მერე კაფეში დამპატიჟა. ბოლოს კი, სახლამდე მანქანით მიმიყვანა. გამომშვიდობებისას ექვსი სანთელი მაჩუქა და მითხრა: ყოველ საღამოს თითო სანთელი დაანთე და ჩემზე იფიქრეო. გაოცებული დავრჩი. ნუთუ, მოვეწონე-მეთქი?! — ვკითხე საკუთარ თავს და როგორც კი დაძინება გადავწყვიტე, სანთელი დავანთე. მოკიაფე ალს მივაჩერდი და შევეცადე, მისი სახე წარმომედგინა. აღარც მახსოვს, როდის ჩამეძინა, დილით, თვალები რომ გავახილე, წამოდგომა ვერ შევძელი. თავს ისე ცუდად ვგრძნობდი და ისეთი ძალაგამოცლილი ვიყავი, სხეული აღარ მემორჩილებოდა... მცირე ხნის შემდეგ, არკადიმ დამირეკა. მომაჯადოებელი ხმა ჰქონდა. მონუსხულივით ვუსმენდი. მიუხედავად იმისა, რომ არ მინდოდა, ქორწილამდე ვინმესთან სექსი მქონოდა, მაინც შევპირდი — ამაღამ შენთან მოვალ-მეთქი. მართლაც, რვა საათი გახდა თუ არა, იმ მისამართზე მივედი, რომელიც არკადიმ დამისახელა. ის ღამე ერთად გავატარეთ. თითქმის უცნობ მამაკაცს დავნებდი. შინ რომ დავბრუნდი, ნერვიულობისგან ვკანკალებდი. უკვე ვხვდებო-

დი, რაც ჩავიდინე. გამწარებული და სასოწარკვეთილი, მუხლებზე დავეცი. არკადის ნაჩუქარი სანთელი დავანთე და ლოცვა დავიწყე. ღილით გულწასული მიპოვეს. დედაჩემის კივილმა მთელი სადარბაზო ფეხზე დააყენა. იფიქრა, შვილი მომიკვდაო... მომდევნო ორი დღე საწოლიდან ვეღარ ავდექი. თუმცა, იმდენი კი მოვახერხე, რომ დედისთვის სიმართლე დამემალა.

— **არკადის აღარ დაურეკავს?**

— როგორ არა! ყოველ საღამოს მირეკავდა. მეუბნებოდა: სანთელი დაანთე, ჩემზე იფიქრე და ჩემს სიახლოვეს იგრძნობო. ყოველი ახალი სანთლის დანთებისას, თავს სულ უფრო ცუდად ვგრძნობდი. დედას ისიც კი ვუთხარი: ასე მგონია, დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებ-მეთქი. გაოცდა. ისე იქცევი, თითქოს სულში სატანა ჩაგისახლდაო, — მითხრა. მახსოვს, ხუთშაბათი იყო, ღამდებოდა. მეხუთე სანთელი დავანთე და ლოცვა დავიწყე. არც კი ვიცი, რამ მაიძულა, სამართებელი ამეღო და ვენები გადამეჭრა. დავეცი. ვგრძნობდი, როგორ გამოდიოდა ჩემი სხეულიდან სასიცოცხლო ენერგია, თანდათან ვსუსტდებოდი და თვალებსაც ვეღარ ვახელდი, მაგრამ ეს პროცესი განუსაზღვრელ სიამოვნებას მანიჭებდა. მერე გრძნობა დავკარგე... რა თქმა უნდა, საავადმყოფოში წამიყვანეს. მერე დედამ შინ ის სანთელი იპოვა, რომელიც არკადიმ მაჩუქა. მღვდელს აჩვენა. მამა ზაზა გაოცდა თურმე: ბავშვი სატანების ხელში ჩავარდნილა, შავ ძაფზე ჩამოქნილი სანთლის დანთების ნება როგორ დართეთო?!. ეკლესიაში წამიყვანეს. რადგან სიარული არ შემეძლო, ბიძამ ხელში ამიყვანა და ისე შემიყვანა საყდარში. იქიდან კი საკუთარი ფეხით წამოვედი... არკადი აღარ შემხვედრია. უფრო სწორად, ჩემთან საუბარი აღარ უცდია, თორემ ერთხელ, ქაშუეთის ეკლესიასთან დავინახე, ხელში შავ ძაფზე ჩამოქნილი სანთლები ეჭირა... მას შემდეგ სამი წელი გავიდა. ჯერჯერობით სიმშვიდეს არაფერი მირღვევს, რადგან რწმენით შევიქმენი ის მტკიცე ზღუდე, რომელსაც ვერანაირი ბოროტი ძალა ვერ გადმოლახავს. რწმენაა ის უტყუარი იარაღი, რომელიც გვიცავს და სულიერად გვამაღლებს.

რას ფიქრობენ ექიმი-ფსიქიატრები? თუ ჰქონიათ შემთხვევა, როცა მათი პაციენტი ენერგოვამპირი აღმოჩენილა? მათთან საუბრისას რომელიმე ავადმყოფს თუ უთქვამს, რომ შეხება ჰქონია ენერგოვამპირთან? ამის შესახებ ერთ-ერთ ფსიქიატრს გავესაუბრეთ.

— კომუნისტურ ეპოქაში მათ შესახებ არ საუბრობდნენ და ყოველგვარი „საეჭვო“ ინფორმაცია მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. საზოგადოების ფართო ფენებმა არც იცოდნენ ენერგოვამპირების არსებობის შესახებ, ამ ტერმინის შინაარსიც კი არ ესმოდათ. თუმცა, ენერგოვამპირები ყოველთვის არსებობდნენ და სწორედ კომუნისტურ ეპოქაში ხდებოდა მათი ორგანიზებული გამოყენება. ამბობენ, უშიშროების სამსახურები ასეთ ადამიანებს დღესაც იყენებენ მასებზე ზემოქმედების მოსახდენადო. ამიტომ, როცა პოლიტიკოსები გვესაუბრებიან, თუ ქვეცნობიერად დავუშვებთ, რომ ისინი ენერგოვამპირები არიან, მართლაც ვიგრძნობთ სისუსტეს და ამავე დროს, აღტკინებას. ნებისმიერი პოლიტიკოსი ე.წ. ენერგოვამპირია, სხვანაირად ის მასებს საკუთარ მინუსებს ვერ დაუმალავს. პოლიტიკოსი ნუსხავს და „აბრმავებს“ მასას, ისევე, როგორც ენერგოვამპირი. დასამალი არ არის, რომ მოსკოვში არსებობს უზარმაზარი ლაბორატორია, სადაც უცნაურ ფენომენებს იკვლევენ. იქ ჩემი პაციენტიც იმყოფებოდა.

— **როგორ მოხვდა იმ კლინიკაში თქვენი პაციენტი?**

— თბილისშიც ცხოვრობენ ასეთი ადამიანები. მათთან დაგაკავშირებთ. ისინი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები არიან, რომლებიც სპეციალურ სამსახურთან თანამშრომლობენ და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. ასეთი ადამიანი იყო ჩემი პაციენტიც. პირობითად, გია დავარქვათ. ის მოსკოვში სწავლობდა და ჰქონდა ასეთი განსაკუთრებული უნარი: ზუსტად შეეძლო დაესახელებინა, როდის, რომელ საათზე და რა სიტუაციაში დაიღუპებოდა ადამიანი. ცდა სამას ადამიანზე ჩატარდა. ცდომილება ნულის ტოლი იყო... შემდეგ გია თბილისში დაბრუნდა. მოხვდა ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც დაასრულა კიდეც სიცოცხლე. პირველად რომ ვესაუბრე, ვიგრძენი, რომ ძილი მომერია. ფსიქიატრები დამეთანხმებიან, რომ ამგვარი რამ ჩვენთვის დაუშვებელია. ამიტომ შევეცადე, გიასთან მეორედ შესვლისას, უფრო მობილიზებული ვყოფილიყავი. მაგრამ იგივე განმეორდა. მერე კოლეგას ვთხოვე, დამხმარებოდა. გიას პალატიდან რომ გამოვიდა, მითხრა: თავს ცუდად ვგრძნობ, მუშაობას ვეღარ შევძლებო... ცხადია, ამის შემდეგ გიას მიმართ ჩემი ინტერესი გაასკეცდა. რაც უფრო მეტ დროს ვატარებდი მასთან, უფრო მეტად ვგრძნობდი, რომ ჩემზე საოცარ ზემოქმედებას ახდენდა, ამიტომ ვცდილობდი, მისთვის თვალებში არ მეცქირა. ერთხელ თვითონ მითხრა: მუტანტივით ვარ — ვინც მომწონს, ვისაც ვენდობი, ყველას ენერგიას ვისრუტავო. სწორედ მაშინ ვკითხე საკუთარ თავს: ნუთუ, ენერგოვამპირია-მეთქი?

— **ეი. ზემოქმედებას მხოლოდ თქვენზე ახდენდა?**

— დიახ. ჩემზე და კიდევ ერთ ექიმზე მოქმედებდა ასე უარყოფითად. 1986 წელი იყო. მაშინ ახალბედა ექიმი ვიყავი და ბევრ რამეს ეჭვის თვალით ვუყურებდი, ამიტომ საკუთარ თავში დავიწყე იმის მიზეზის ძებნა, თუ რატომ იყო გია ჩემთვის ენერგოვამპირი, სხვებისთვის კი — არა. სწორედ მაშინ დავუკავშირდი მოსკოვის საიდუმლო ლაბორატორიაში მომუშავე ერთ ნაცნობ ფსიქიატრს. მან ჩემი ეჭვების გაფანტვა სცადა — მსგავსი არაფერი შეგვინიშნავსო — მითხრა. თბილისში დაბრუნებული, გიას პალატაში შევვარდი, მაგრამ ის უკვე აღარ დამხვდა — გაქცეულიყო. სამი თვის შემდეგ, უკან დაბრუნეს. უკვე ძალზე დასუსტებული იყო. რომ დამინახა, ტირილი დაიწყო...

— **რატომ?**

— არ ვიცი, ჩემთვის არაფერი აუხსნია. მაგრამ თანდათან, ის კარგად ხდებოდა, მე — ცუდად. იქნებ, ეს წარმოუდგენლადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ მე, ექიმმა-ფსიქიატრმა, მკურნალობა დავიწყე. ამიტომაც გთხოვეთ, ჩემი ნამდვილი ვინაობა არ გაგემჟღავნებინათ... ისე დავსუსტდი, რომ მუშაობა ვეღარ შევძელი და სოფელში დასთან წავედი დასასვენებლად. ცხრა თვით გავეცალე ფსიქიატრიულ საავადმყოფოს. ეს ჩემთვის ჯოჯოხეთი იყო. ერთ საღამოს, ეზოში ვსეირნობდი. მოულოდნელად, მესრის მიღმა, ნაცნობ სილუეტს მოვკარი თვალი. გია მიყურებდა... მეგონა, ფსიქიატრიულიდან გაიქცა-მეთქი, ამიტომ მეორე დღესვე, უკან დავბრუნდი. ცუდი ამბავი დამხვდა: გია დაღუპულა. სილუეტი კი, მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფი აღმოჩნდა... მაშინ დავრწმუნდი, რომ გიაში ენერგოვამპირის აღმოჩენა მე ვისურვე და მოვახერხე კიდეც: ენერგოვამპირის კი არა — საკუთარი წარმოსახვის მსხვერპლი გავხდი...

ეკლესიას ჰიპნოზის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. საინტერესოა, როგორია დამოკიდებულება ენერგოვამპირების მიმართ? აღიარებს თუ არა ეკლესია ენერგოვამპირების არსებობას?

მამა ზაზა, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი:

— ენერგოვამპირების მოქმედებას ეკლესია საშინლად გმობს. არ შეიძლება, ამგვარი მეთოდით ხალხზე ზემოქმედების მოხდენა. დაუშვებელია ადამიანის გონებასა და გრძნობაზე თუნდაც უმნიშვნელო ზეწოლა.

— **როგორ უნდა ვებრძოლოთ ენერგოვამპირებს?**

— რწმენით. ადამიანმა, რომელმაც იგრძნო მისი ზეგავლენა, ეკლესიური ცხოვრების გზა უნდა აირჩიოს. მოსანათლი აუცილებლად უნდა მოინათლოს... მხოლოდ რწმენით შეიძლება ნებისმიერი სატანური ძალის უკუგდება.

— **თქვენს მრევლში თუ აღმოგიჩენიათ ენერგოვამპირები?**

— არასდროს. მორწმუნე ადამიანს არ შეიძლება, ისეთი თვალები ჰქონდეს, რომ სხვას ზიანი მოუტანოს... ასე რომ, ენერგოვამპირებს ვურჩევ, ხსნა რწმენაში პოვონ, ილოცონ თავიანთი სულების გადასარჩენად.

■

ფოტოხელოვანმა საკუთარი შვილი გაჩენისთანავე ვიდეოზე გადაიღებინა

23 წლის ირმა შარიძაძე ელიტური ფოტოგრაფი გახლავთ. ირმას დახვეწილი გემოვნება და ძალზე განსხვავებული ხედვა აქვს. ალბათ ეს გახდა მისი წარმატების და პოპულარობის საწინდარიც. როგორ გახდა ის ფოტოხელოვანი და რატომ იმშობიარა წყალში? ამ კითხვებზე პასუხს თავად ირმა გაგვცემს.

ნინო ჯავახიშვილი

— ირმა, რამდენი ხანია, რაც ფოტოგრაფიით დაინტერესდი და როდის იქცა ის შენს პროფესიად?

– 15 წლიდან ვიღებ ფოტოებს. თავდაპირველად, ლამაზ ხედებს, მდელოებს ვიღებდი. მოგვიანებით, ავტოპორტრეტების მერე კი, უცხო ადამიანების გადაღება დავიწყე. პროფესიონალად ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით არ ჩამოვყალიბებულვარ. ამას გარკვეული დრო დასჭირდა. მე არანაირი პიარი არ მქონია და არ მიღვაწია იმისთვის, რომ ცნობილი გავმხდარიყავი. თვითონ პროდუქცია იყო ჩემი საქმიანობის რეკლამა...

ძალიან უყვარს ფოტოების გადაღება. ოღონდ სთხოვე და დიდი სიამოვნებით პოზირებს

— რას იტყვი, პოპულარობა სასიამოვნო ყოფილა?

– როდესაც ადამიანი ნიჭიერია და თავის საქმეს კარგად აკეთებს, ვფიქრობ, ის დაფასების ღირსია. სასიამოვნო შეგრძნებაა, პოპულარული რომ ხარ...

— ალბათ უკვე მოასწარი არაერთ ცნობილ ადამიანთან მუშაობა?

– ძალიან კონტაქტური ვარ და შოუბიზნესის წარმომადგენლებთან დაახლოება არ გამჭირვებია. თითქმის ყველასთან მიმუშავია.

— გადაღების დროს, პირველ რიგში ხაზს რას უსვამ?

– მე არა მარტო ფოტოგრაფობის, არამედ – იმიჯმეიკერობის და სტილისტობის პრეტენზია მაქვს. ვცდილობ, ადამიანში ისეთი ხიბლი დავიჭირო, რაც შეიძლება, ერთი შეხედვით, არ ჩანდეს. მინდა, სულ სხვა კუთხით დავანახვო ხალხს ესა თუ ის ვარსკვლავი.

— მუშაობის პროცესში ზედმეტად პრეტენზიულები ხომ არ არიან?

– საკმაოდ პრეტენზიულები არიან, მაგრამ თავიდანვე ვეუბნები ყველას – პრეტენზიები მას შემდეგ განაცხადეთ, როდესაც ფოტოებს ნახავთ-მეთქი. ვინც იცის, როგორ ფოტოებს ვიღებ, ის მენდობა და სრულ თავისუფლებასაც მანიჭებს, ე.ი. მაძლევს იმის საშუალებას, რომ მასში დავინახო რაღაც ახალი, რაც ჯერ არავის დაუნახავს.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე უკმაყოფილო დარჩენილიყო?

– ძალიან იშვიათად, მაგრამ ყოფილა ერთი-ორი ასეთი შემთხვევაც. ფოტოგრაფი გარკვეულწილად ფსიქოლოგიც უნდა იყოს, რათა გადასაღები ობიექტის ხასიათს ჩასწვდეს. თუ ეს არ მოხდა ან თვითონ პერსონაჟი არ გაიხსნა, მაშინ კარგი ფოტო არ გამოვა.

— რამდენად შრომატევადი და აქედან გამომდინარე, რამდენად ანაზღაურებადია შენი საქმე?

– გადაღებისთვის საფუძვლიანად ვემზადებით. ვარჩევთ ტანსაცმელს, ვარცხნილობას, მე თვითონ ვაკეთებ მაკიაჟს. მოკლედ, ფეხის ფრჩხილიდან თმის ღერამდე პერსონაჟი იდეალურ ფორმაში უნდა იყოს. მე ვიცი, რაც ღირს ჩემი შრომა, მაგრამ... ერთი გადაღება 150 დოლარი ღირს. დასავლეთში ყოველ ახალ სეზონზე ვარსკვლავები ზრუნავენ, რომ ჰქონდეთ ახალი პროდუქცია და ფოტოებით ახალი იმიჯი დაიმკვიდრონ. მიხარია, რომ საქართველოშიც ნელ-ნელა მკვიდრდე-

ბა ეს კულტურა.

— ირმა, როგორც გავიგე, ახლო მომავალში გამოფენის მოწყობას აპირებ...

— მონაწილეობა მიმიღია საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ გამოფენებში, მაგრამ პერსონალური გამოფენა ჯერ არ მქონია. „კონიკასთან“ ერთად ვამუშავებ ძალზე სერიოზულ პროექტს, რომელიც რამდენიმე ღონისძიების ჩატარებას ითვალისწინებს. თავდაპირველად კი, როგორც უკვე ვთქვი, გამოფენის მოწყობას ვაპირებთ. ეს იქნება ხმამაღალი სიტყვა ფოტოგრაფიაში და მინდა, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს...

— ზუგდიდში გაიმართა დიზაინერ მარიკა კურკელიას მოდების კოლექციის ჩვენება, სადაც მაყურებელს რეჟისორის ამპლუაშიც მოევლინე. როგორ ჩაიარა ჩვენებამ?

— როდესაც მარიკამ მაჩვენა თავისი კოლექციის რამდენიმე ფოტო, ძალიან დავინტერესდი. ეს იყო ეკატერინე ჭავჭავაძის არქივიდან ამოღებულ ფოტოებზე შექმნილი კოლექცია, ოღონდ, გათანამედროვებული. ასეთი მშვენიერი კაბები არასდროს მინახავს. ეს არ იყო მხოლოდ ჩვენება, ეს იყო შოუ, დადგმული სპექტაკლი. სააგენტო „ნატალის“ და იქაურ მოდელებთან ერთად სამ დღეში ორი ფოტოსერია და ერთი ჩვენება გაიმართა. ჩატარდა კონცერტიც. მოკლედ, შედგა ჩემი დებიუტი რეჟისორის ამპლუაში. ვაპირებთ, თბილისშიც გავიმეოროთ იგივე ჩვენება. როგორც მარიკამ შემატყობინა, პარიზში მცხოვრები ეკატერინეს შთამომავლებიც დაინტერესებულან და შოუზე დასასწრებად თბილისში ჩამოსვლას აპირებენ. ასე რომ, შეიძლება, ეს ყველაფერი მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლოს...

— საინტერესოა, შენ თვითონ ვის ენდობი, ვინ გიღებს ფოტოებს?

— სხვათა შორის, ეს ჩემთვის დიდი პრობლემაა, რადგან პრეტენზიული ვარ. იურა მეჩითოვს და ნუგზარ ნოზაძეს — ამ ორ ფოტოხელოვანს ვანდობ საკუთარ თავს...

— ფოტოებიდან ჩანს, რომ პოზირების უნარი გაქვს...

— ამას ვუმადლი პანტომიმის სახელმწიფო თეატრს, სადაც ორი წლის მანძილზე დავდიოდი და ერთი პერიოდი, თეატრალურ ინსტიტუტშიც ვაპირებდი ჩაბარებას.

იურა მეჩითოვს და ნუგზარ ნოზაძეს — ამ ორ ფოტოხელოვანს ვანდობ საკუთარ თავს...

— ირმა, საკუთარ თავზე, შენს პირად ცხოვრებაზეც მითხარი რაიმე...

— მეუღლესთან განქორწინებული ვარ. ჩემი შვილი — ილია 3 წლისაა. დიდი ფიქრის შემდეგ შევურჩიე სახელი. „ილია“ ღმერთის ძალას ნიშნავს. ის მოსკოვში, წყალში გავაჩინე. ბუნებით ცნობისმოყვარე ვარ და ძალიან მაინტერესებდა, როგორი იყო წყალში მშობიარობა. მშობიარობის პროცესში, ბავშვი ვიდეოკამერით გადავიღეთ. ილია ჩემს ბავშვობას მაგონებს — ჩემნაირი თვალები და გრძელი, ხვეული, ოქროსფერი თმა აქვს. ძალიან უყვარს ფოტოების გადაღება. ოღონდ სთხოვე და დიდი სიამოვნებით პოზირებს. თანაც მოსწონს საკუთარი თავი ფოტოებზე. დედიკო, ნახე, რა საყვარელი ვარო, — მეუბნება ხოლმე. მთელ ჩემს თავისუფალ დროს შვილს ვუთმობ... ■

ტესტი ერუდიციაზე

1. ზურიკელა ვაშალომიძეს მისი ძაღლი მურადა ყველგან თან დაჰყვებოდა. რა შეარქვეს ამის გამო მას სოფელში?

ა) სულძაღლიანი;
ბ) მურადიანი;
გ) ექვსფეხიანი.

2. რამდენი წელიწადი აგებდნენ ეიფელის კოშკს?

ა) 2;
ბ) 1;
გ) 5.

3. ჩამოთვლილთაგან, სად არის ყველაზე მეტი მტკნარი წყლის მარაგი?

ა) ავსტრალიაში;
ბ) ანტარქტიდაში;
გ) აფრიკაში.

4. რაზე მუშაობდა მსოფლიოში პირველი შუქნიშანი?

ა) გაზზე;
ბ) ელექტროენერგიაზე;
გ) ნავთზე.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ალფს რვა კუჭი აქვს.
2. „წბერი“ და „საქაჯავი“ სინონიმებია.
3. ლუდის ჭურჭელს ხევსურეთში ჩხუტი ჰქვია.
4. გალაკტიონის „მერის“ ორი ვარიანტი არსებობს.
5. დიმიტრი ყიფიანს ციხეში ნაჯახით გაუპეს თავი.
6. მუსლიმანი ვალდებულია, დღეში ხუთჯერ ილოცოს.
7. გრიგოლი, გიგა ლორთქიფანიძის ნამდვილი სახელია.
8. გლადიატორთა ბრძოლებს, რომელიც წყალზე იმართებოდა, ნევმაქიები ერქვა.
9. ტიციანო ვეჩელიო იტალიელი მხატვრის, ტიციანის, სრული სახელი და გვარია.
10. ვახუშტი კოტეტიშვილმა ნიკა გომელაურს XXI საუკუნის ფრანსუა ვიიონი უწოდა.
11. შინდის 50 სახეობიდან საქართველოში მხოლოდ ერთი — ჩვეულებრივი შინდი იზრდება.
12. „დიალექტიკის წესია, ჯვარზე გაიკრას მესია“, — სინანულით ამბობს კოტე ყუბანეიშვილი.
13. XVI საუკუნის ბოლოდან იოანეპავლე მეორემდე, ყველა რომის პაპი იტალიელი იყო. რომის ამჟამინდელი პაპი ეროვნებით პოლონელი გახლავთ.
14. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ტურგენევის ტვინის მასა 2018 გრამს უდრიდა, ბისმარკის — 1965-ს, ბეთჰოვენის — 1750-ს, კანტის — 1600-ს, ანატოლ ფრანსის — 1190-ს.
15. საწნახელს ქართლ-კახეთში მეორენაირად ნავი ერქვა, რაჭა-ლეჩხუმში — ხორგო, ზემო რაჭაში — ხაპი, აჭარაში — სარნა.
16. სვანური კოშკი ჩვეულებრივ, 20-25 მ სიმაღლისაა და 4-5, იშვიათად — 6 სართულისაგან შედგება.
17. სიტყვა „კონფერენცია“ შუა საუკუნეების ლათინური სიტყვისაგან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „ვკრებ ერთად, ვთათბირობ“.

18. 50-იან წლებში მოსკოვის ერთ-ერთ ავტოსტრადაზე გვერდიგვერდ ეკიდა ორი ტრანსპარანტი. ერთზე ეწერა ლოზუნგი:

„სიკვდილით დასჯა არ აეცდებოდა, ფეხქვეშედ რომ არ ვყოფილყავი...“

ქალბატონი ნინა ტაბატაძე სამოცდაათი წლისაა. ახალციხეში ცხოვრობს და შვილიშვილების ცქერით ტკბება. ხუთი შვილი და ცხრამეტი შვილიშვილი ჰყავს. ყველანი ერთმანეთზე უკეთესები არიან. თავს ბედნიერ ქალად ჩათვლიდა, რომ არა წარსული და მეხსიერებას შემორჩენილი ის კოშმარული მოგონებები, რომელიც „გზის“ №29-ში გამოქვეყნებულმა წერილმა — „რძალ-დედამთილი — ურთიერთობის საშიში ზღვარი“ — აუშალა...

ლელა ჭანკოტაძე

— ჩვიდმეტი წლის ვიყავი, მშობლებმა რომ გამათხოვეს. ჩემი ქმარი არაჩვეულებრივი კაცი აღმოჩნდა. ცივ ნიავს არ მაკარებდა, მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მე გამახარებდა. რომ გითხრათ, ბედნიერი არ ვიყავი-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ ეს ბედნიერება არ იყო მყარი. მას რაღაც აკლდა... წლები გადიოდა, შვილი არ მიჩნდებოდა. ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ დედამთილი ჩემსა და ქმარს შორის ჩადგომას აპირებდა: რადგან შვილი არ მეძლეოდა, მსაყვედურობდა — ქალი მაშინ იქნებოდი, შენი ქმრისთვის ბავშვები რომ გაგეჩინაო... რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტი ადამიანი მეუბნებოდა: შვილს თუ ვერ გააჩენ, სიმონას დაკარგავო. ორცეცხლშუა აღმოვჩნდი. ქმრის სიყვარული და მასთან ყოფნის სურვილი რომ არა, ყველაფერს მივატოვებდი, ცხრა მთას იქით გადავიკარგებოდი, ოღონდ დედამთილის მუდმივად მოღუშული სახე არ დამენახა... სიმონამ, როგორც კი შემატყო, რომ ვნერვიულობდი, მუშაობა დამაწყებინა. კოლექტივში *(კოლმეურნეობაში. — ავტ.)* მომაწყო. სწორედ იქ გავიცანი დათიკო, კოლექტივის თავმჯდომარე. მის დანახვაზე გული სიამით ამევსო — მისით უმალ მოვიხიბლე... მერე მან ჩემი ქმარი რუსეთიდან ტრაქტორების ჩამოსაყვან ბრიგადას ჩაუყენა სათავეში. არ ვიცი, ღალატისკენ რამ მიბიძგა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ლოგინში შევუწექი ჯან-ღონით სავსე დათიკოს; უფრო სწორად, ის მოვიდა ჩემთან შუაღამისას, რადგან იცოდა, რომ სახლში მარტო ვიყავი... ერთ შეხვედრას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... ასე გაჩაღდა რომანი ჩემსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შორის. საოცარი ის გახლდათ, რომ ეს ამბავი არ გახმაურდა.

— სინდისი არ გაწუხებდათ?

— განვიცდიდი, გული დარდით მქონდა სავსე. მეგონა, თავაწეული ვეღარ გავივლიდი... სიმონა რომ დაბრუნდა, მივხვდი, დათიკოსთან ურთიერთობა უნდა გამეწყვიტა. მართალია, ვუღალატე, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარდა, უმისოდ ცხოვრება ვერ წარმომედგინა. დათიკოს უხეშობამ და გარყვნილმა ბუნებამ ჩემი ქმრის ღირსებები უფრო ნათლად დამანახვა... სიმონას ჩამოსვლიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ დათიკო დააწინაურეს და სამუშაოდ ქალაქში გადაიყვანეს. ამის გამო გული არ დამწყვეტია, პირიქით — გამიხარდა კიდეც, რომ უსაფრთხოდ ვივლიდი სოფლის ორღობეებში და ჩემი ღალატი აღარასდროს გამოაშკარავდებოდა. ერთი სიტყვით, ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. დედამთილის საყვედურებმა — შვილს ვერ უჩენ ქმარს, შენი ფასი ნულიაო, — ისევ გული გამიწყალა. სულ მალე კი, საოცარი რამ მოხდა: აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ეს ისეთი მოულოდნელი და გამაოგნებელი ამბავი იყო, რომ დაჯერებაც მიჭირდა. ნამდვილი სასწაული გახლდათ — მე ხომ სრული ექვსი წელიწადი არ მეძლეოდა შვილი!.. იმის შეგრძნებამ, რომ დედა გავხდებოდი, ნამდვილ აფთრად გადამაქცია.

— დათიკოს ბავშვი იყო?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა — მთავარი ის გახლდათ, რომ შვილი მეყოლებოდა, თანაც, ვერავინ გაიგებდა, რომ ბავშვს ქმრისგან კი არა, სხვა კაცისგან ვაჩენდი... სიმონას რომ ვუთხარი — ფეხმძიმედ ვარ-მეთქი, — გაფითრდა, ხმა აუკანკალდა, ვერაფერი თქვა, მოულოდნელობისგან ხმა ჩაუწყდა; მაგიდას დაეყრდნო, რომ არ დაცემულიყო. ვთხოვე — ეს ამბავი საიდუმლოდ შევინახოთ, მეშინია, ვინმემ არ გამთვალოს-მეთქი. მაშინვე დამთანხმდა.

— ორსულობა დედამთილსაც დაუმალეთ?

— დიახ. როცა მუცელი დამეტყობოდა, მაშინ ყველა გაიგებდა ჩემს ორსულობას. მართლა მეშინოდა, ვინმეს ავი თვალის გამო, ხიფათი არ შემმთხვეოდა. დედამთილი, ცხადია, ამ ამბავს ვერ შეინახავდა და გაჩუმება ამიტომ ვარჩიე. გავიდა ოთხი თვე. ზამთრის ერთ ცივ საღამოს, სახლში მარტო მე და ჩემი დედამთილი ვიყავით. უცბად მან დაკვირვებით შე-

მომხედა და მკითხა: ქალო, ღმერთი ხომ არ გაგიწყრა – ფეხმძიმედ ხომ არ ხარო?! ამაყად გამოვუცხადე, ბავშვს რომ ველოდებოდი. თავში ხელები წაიშინა და აკივლდა: სიმონა უშვილო კაცია! თქვი, ბავშვის მამა ვინ არისო?!. გავოგნდი. ყოველთვის მე მეძახდი, უშვილო ხარო, – ამოვილუღლუღე ნირწამხდარმა. – შენი ბრალი რომ ყოფილიყო, როგორ გგონია, უშვილოს ოჯახში გაგაჩერებდიო?! – მითხრა და თმაში მწვდა. თურმე ჩემს ქმარს ბავშვობაში წითელა ბატონები ჰქონია, ისე ცუდად ყოფილა, რომ მისი გადარჩენის იმედი ყველას გადასწურვია; იმ დროს, გამოცდილი მკურნალი ყოფილა ჩამოსული ერევნიდან და სიმონა სწორედ მას განუკურნია. მაგრამ ბოლოს უთქვამს: შვილი არასდროს შეეძინება; მისი სხეული კარგად შევისწავლე, სამწუხაროდ, ეს ბიჭი უშვილოაო. მაშინ სიმონა 13 წლის ყოფილა... ერთი სიტყვით, დედამთილმა ცემა დამიწყო; ცდილობდა, ჩემთვის მუცელში წიხლი ჩაერტყა. დავუსხლტი და შინიდან გამოვიქეცი. თოვლში ფეხშიშველი გავრბოდი, დედამთილი მომდევდა. სათონესთან დამეწია. დავიხარე, იქვე დაგდებული, გაყინული წყლით სავსე ვედროს ვტაცე ხელი და დედამთილს დაუნდობლად მოვუქნიე. ვედრო ძალიან მძიმე იყო. საწყალი ქალი მაშინვე დაეცა. მე გონება დაბინდული მქონდა და გამწარებულმა, პირდაპირ თავში ჩავარტყი...

— **მერე რა მოხდა?**

– დამაპატიმრეს. სიკვდილით დასჯა არ ამცდებოდა, ფეხმძიმედ რომ არ ვყოფილიყავი... მიჭირს იმის გადმოცემა, რაც ციხესა და გადასახლებაში ვიწვნიე. გოგონას, რომელიც ციხეში გავაჩინე, ჩემი და ზრდიდა. როგორც კი თავისუფლება მეღირსა, მასთან მივედი. ბავშვი ჩამეხუტა და – მიყვარხარო, – მითხრა. ამ ერთმა სიტყვამ გადამარჩინა და ამ ქვეყნისკენ შემომაბრუნა. ის ღამე თეთრად გავათენე. დილით კი, ბარგი შევკარი და საქართველოს ერთ შორეულ, საზღვრისპირა მხარეში გადავედი საცხოვრებლად, სადაც ჩემი ნათლია ცხოვრობდა. მან მიმიღო, შემიფარა და დამასაქმა კიდეც. თავდაუზოგავად ვშრომობდი. გამრჯე და პატიოსანი ქალის სახელი იოლად დავიმკვიდრე. ჩემი წარსული, რა თქმა უნდა, არავისთვის გამიმხელია. მეგონა, რომ არც არასდროს გამომჟღავნდებოდა. მაგრამ ქვეყნის ზურგზე ალბათ არ არსებობს ისეთი საიდუმლო, რომელიც ბოლოს და ბოლოს, არ გამჟღავნდება... ჩემი გოგონა 15 წლის იყო, თბილისში რომ წამოვიდა, მეზობელმა ქალმა წამოიყვანა. ბაზარში კვერცხი უნდა გაეყიდათ. იქ თურმე დათიკოს შეხვდა. როგორც კი დაუნახავს, უკითხავს: ვისი შვილი ხარ? – გაოგნებული იმიტომ გიყურებ, რომ ჩემს ქალიშვილს ძალიან ჰგავხარო... ლიამ ეს ამბავი რომ მიამბო, ნერვიულობისგან თითები დავიჭამე, ვიფიქრე: მტკვარში გადავვარდები, ხალხმა თუ ჩემი საიდუმლო გაიგო-მეთქი... ერთ კვირაში, დათიკო ჩემთან ჩამოვიდა. მისამართი მისთვის ლიას მიუცია. რომ დამინახა, გაქვავდა. მუხლებში ჩავუვარდი და შევეხვეწე: სამუდამოდ დაგვივიწყე, თორემ, შენს შვილს დაღუპავ – გამოაშკარავდება, რაც ჩავიდინე და ლიას მომავალი დაენგრევა-მეთქი. არ მომისმინა. – შვილზე უარს არ ვიტყვი, შანსი გვაქვს, ერთად ვიყოთ – ქვრივი ვარ, ცოლად შეგირთავ და ლიაზე ვიზრუნებო, – მითხრა.

— **უარი რატომ უთხარით?**

– მისი მადლიერი ვიყავი, რადგან ლია მისგან გამიჩნდა, მაგრამ დათიკოს პატიოსნების იმედი არ მქონდა. კარგად ვიცნობდი – უხეში კაცი იყო, სიბერემდე, მილიონჯერ წამომძახებდა: მკვლელი ხარ და მოღალატეო!.. ვიფიქრე, ვიფიქრე და ასეთი გადაწყვეტილება მივიღე: ერთი ახალციხელი კაცი ყოველდღე, ჩემს სახლთან იყო ატუზული, მეხვეწებოდა – ცოლად გამომყევიო. ის კაციც ქვრივი იყო და გათხოვილი ქალიშვილი ჰყავდა. ჰოდა, სასწრაფოდ შევუთვალე: მოდი, თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვე-მეთქი. მეორე დღესვე მე და ლია მასთან გადავედით... მას შემდეგ, ახალციხეში ვცხოვრობ. ნამდვილი ქართული ოჯახი შევქმენით, წლები სიამტკბილობაში გავატარეთ. იარები მომიშუშდა. ნათესავებმა რამდენჯერმე მირჩიეს – ქმარს სიმართლე უთხარიო, – მაგრამ ვერ გავბედე... ორი წლის წინ, ჩემი ქმარი გარდაიცვალა. ბედნიერი მოკვდა, მწარე და საშინელი სიმართლე არ გაუგია.

— **დათიკო აღარ გამოჩენილა?**

– ვეღარ მომაგნო. ჩემმა მეზობლებმა უთხრეს – საცხოვრებლად თბილისში გადავიდნენო. სულ მეგონა, ჩვენი გზები სადმე გადაიკვეთებოდა, მაგრამ აღარ მინახავს.

— **არც სიმონა გინახავთ?**

– სიმონას შესახებ არაფერი გამიგია. წლების წინ, ჩემმა დამ მითხრა – გარდაიცვალაო. მართალია, არ იცოდა, შვილი სხვა კაცისგან რომ მყავდა, მაგრამ მაინც არ მოისურვა ბავშვის ნახვა. ისე მოკვდა, ვერც მან გაიგო, რომ ვუღალატე. ალბათ იმ ქალის ხსენებაც კი არ უნდოდა, რომელმაც დედა მოუკლა... აი, ასე ვიცხოვრე. ახლა მოხუცი ვარ და ჩემი ცოდვა-მადლით უფლის სამსჯავროზე წარსადგომად ვემზადები...

■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

„დაგონიმ ი პერეგონიმ ამერიკუ!“, მეორე კი მძღოლებს აფრთხილებდა: „ნე უვერენ – ნე აბგანიაი!“

19. მუხამბაზი ლექსის ერთ-ერთი ფორმაა სპარსულ პოეზიაში. მისი ყოველი სტროფი ხუთი სტრიქონისაგან შედგება.

20. არტემიდემ ამორძალ ლისიპეს, რომელსაც ომი სძულდა, სამგიერო იმით გადაუხადა, რომ საკუთარ ვაჟს, ტანაისს შეაყვარა. დანაშაულებრივი ვნებისგან რომ დაეღწია თავი, ტანაისმა მდინარეში დაიხრჩო თავი.

21. „ადამიანი-ნავი“ – ასე ითარგმნება ქართულად სიტყვა „ბოცმანი“. თავდაპირველად, ბოცმანს გემზე მაშველი ნავების მეთვალყურეობა ევალებოდა.

22. III საუკუნეში საბერძნეთში ცხოვრობდა ორი ძმა – კოზმან და დამიანე. ისინი მკურნალები იყვნენ. ძმები უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ ავადმყოფებს და სანაცვლოდ ქრისტიანობის მიღებას სთავაზობდნენ. P.S. „უვერცხლონი“ – ასე მოიხსენიებს დღეს ამ ძმებს მართლმადიდებელი ეკლესია.

23. იმისათვის, რომ შთამომავლობა გაეგრძელებინათ, ამორძალები მეზობელი ტომების მამაკაცებს უკავშირდებოდნენ; ახალშობილ გოგონებს თვითონ იტოვებდნენ, ბიჭებს კი მამებთან გზავნიდნენ.

24. მოსკოვის ერთ-ერთი დაწესებულების ვესტიბიულში წითური კნუტი „დასახლდა“. მას გამუდმებით ქუჩაში აგდებდნენ, მაგრამ ის ყოველთვის უკან ბრუნდებოდა. ბოლოს და ბოლოს, კნუტი დაიტოვეს და ჩუბაისი დაარქვეს (ხომ მოგახსენეთ – კნუტი წითური იყო და თანაც, თავხედი-მეთქი).

25. 1972 წელს ერთმა ახალგაზრდა ინდოელმა ჯონ ლენონს გაუგზავნა წერილი, სადაც სწერდა, რომ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე ოცნებობდა და საამისოდ ფინანსურ დახმარებას სთხოვდა მომღერალს. ლენონმა წერილითვე უპასუხა: „მიმართე მედიტაციას და შეძლებ, მთელი მსოფლიო საკუთარ წარმოსახვაში იხილო“. 1995 წელს ეს ინდოელი მაინც გაემგზავრა მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ. საამისო თანხა მან აუქციონზე იშოვა, რომელზეც ლენონის წერილი გაყიდა.

■

ემა ტუხიამვილი

საჰაერო „ღამის ჯადოქრის“ ქალიშვილი

ქართველ მოდელთა პირველი ფეხის ნაბიჯი

ყოფილი ბალერინა, მოდელი, ქალბატონი ნატალი სამადალაშვილი ამჟამად სამოდელო სააგენტო „ნატალის“ ხელმძღვანელია. მფრინავების ოჯახში გაზრდილი, იგი დიდ ბალეტზე ოცნებობდა, მაგრამ მამა (როგორც თავად ქალბატონი ნატალი ამბობს — ქართული მენტალიტეტის გამო) მას საბალეტო კარიერის შექმნაში შეეწინააღმდეგა. თუმცა, ცოტა მოგვიანებით, ქალბატონმა ნატალიმ (უკვე გათხოვილმა და ორი შვილის დედამ) საოცრად გაბედული ნაბიჯი გადადგა და საბჭოთა საქართველოს პირველ მოდელ გოგონებს შორის გამოჩნდა.

— ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა. მამაჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მფრინავი იყო მთელ საბჭოთა კავშირში, მოგვიანებით კი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მინისტრი გახდა. ოჯახში მას მოფერებით „ნაძვის ხეს“ ვეძახდით... ნამდვილი ქალაქელი კაცი იყო და ყველას ძალიან უყვარდა. ის იყო ადამიანი, ვინც საკუთარ საქმიანობაში მაქსიმუმს მიაღწია. დედაჩემი არაორდინარული ქალი იყო, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი ავიაციის განხრით. მეორე სამამულო ომში დედა მთელი ხუთი წელი იბრძოდა. ტამანის ქალთა საავიაციო პოლკის წევრი გახლდათ. მათ ჰიტლერი და მისი გარემოცვა „ღამის ჯადოქრებს“ ეძახდნენ.

— თქვენი მშობლების მსგავსად, მფრინავის პროფესიაზე არ გიფიქრიათ?

— მართალია, ახლაც ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ პროფესიის ადამიანებს, მაგრამ ჩემი არჩევანი ქორეოგრაფიულ (საბალეტო) სასწავლებელზე შევაჩერე. ჩვენი ხელმძღვანელი გახლდათ ვახტანგ ჭაბუკიანი, პედაგოგი კი — თამარა ვიხოდცევა. საბალეტო სკოლის დამთავრების შემდეგ, შემოთავაზება მივიღე მოსკოვის მოისეევის სახელობის ცეკვის ანსამბლიდან, მაგრამ მამამ არ გამიშვა. ქართული მენტალიტეტის გამო, მაშინ ბალერინებს სხვა თვალით უყურებდნენ...

— მამა კიდევ რაში გზლუდავდათ?

— მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ძალიან თბილი კაცი იყო და ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით, ჩემთვის და ჩემი დისთვის დაუშვებელი იყო, ვთქვათ, დანიშნულ დროზე გვიან შინ დავბრუნებულიყავით.

— თქვენი პირველი სამსახური თუ გახსოვთ?

— სანამ მუშაობას დავიწყებდი, გავთხოვდი, შემეძინა ორი შვილი და მათი აღზრდა საკუთარ თავზე ავიღე. თუმცაღა, ჩემი მეუღლე ძალიან მეხმარებოდა და მისი წყალობით ზოგჯერ განტვირთვის უფლებას ვაძლევდი თავს: ვსეირნობდი, მეგობრებს ვსტუმრობდი და შინ ვმასპინძლობდი მათ. უნდა გითხრათ, რომ სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, ვარდისფერ ფერებში ვხედავდი სამყაროს და როგორც რუსები იტყვიან — жила, как у Христа за пазухой. მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ გამოვფხიზლდი და გავაცნობიერე, რომ საჭირო იყო, მეც მეპოვა რაღაც საქმე, თუმცა ამის მიზეზი მატერიალური სიდუხჭირე ნამდვილად არ ყოფილა. სწორედ იმ დროს, მოდელების სახლის მთავარმა მხატვარმა, ქალბატონმა ლედი ხვედელიძემ შემომთავაზა, მასთან მოდელად მემუშავა. შემოთავაზება მივიღე. ჩემთან ერთად ქართულ პოდიუმზე სულ შვიდი გოგონა იდგა.

— თქვენი მეუღლე როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას?

— სწორედ ისე, როგორც ყველა ქართველი მამაკაცი ხვდება ცოლის ამგვარ ნაბიჯს: ვის მოეწონებოდა მოდელის პროფესია ოცი-ოცდახუთი წლის წინ?!. შემდეგ მოვახერხე მისი დარწმუნება იმაში, რომ ყველა ადამიანს აქვს სრული უფლება, თვითონ აირჩიოს მისთვის მისაღები საქმიანობის სფერო.

— ასე იოლად დაიყოლიეთ?

— მე თავისებური ხასიათი მაქვს და არ მიყვარს, როდესაც მუქარის ნიშნად თითს მიქნევენ. მანაც ეს იცოდა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მერწმუნეთ, ჩემს პოზიციებს არ დავთმობდი.

— თუ გახსოვთ, რაში დახარჯეთ პირველი ხელფასი და რაში ხარჯავთ ფულს ახლა?

— ფულს არასდროს ვითვლი და როგორც მაშინ, ახლაც, ჩემი მეგობრების გარემოცვაში ვხარჯავ. საბჭოურ პერიოდში მოდელის გასამრჯელო ძალზე მცირე იყო. თან რატომღაც — ალბათ ჩემი ჰაბიტუსის გამო — ყველას ეგონა, რომ ფული არ მჭირდებოდა...

— საკუთარი სამოდელო სააგენტოს შექმნა როდის გადაწყვიტეთ?

— მშვიდი და პასიური ცხოვრება ჩემი სტილი არ არის. ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის ხანაში, სამოდელო სახლის დირექტორს, ბატონ გიზო ბერაძეს გავუზიარე სამოდელო სააგენტოს გახსნის იდეა. როგორც ჩანს, იმ არეულობის პერიოდში, გიზოს ჩემი ჩანაფიქრი უდროოდ მოეჩვენა და არანაირი რეაგირება არ მოახდინა. შემდეგ, ჩემი მეგობრების, ჩემი სიძის (ჩემი ქალიშვილის მეუღლე, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა) დახმარებით გავხსენი პირველი სამოდელო სააგენტო საქართველოში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსით. ბევრი სკეპტიკურად შეხვდა ბიზნესის ამგვარ სახეობას, მით უმეტეს, რომ სააგენტოს დაარსება თბილისში სამოქალაქო დაპირისპირებას დაემთხვა. არ არსებობდა არანაირი ბაზა, ამიტომ გოგონებს ნაცნობ-მეგობრების წრეში ვეძებდით.

— რა მიგაჩნიათ ქალის უპირველეს მოვალეობად?

— თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ქალი მეოჯახეა. მაგრამ არც ისაა მართებული, რომ ქალის ფუნქციები სახლის ზღურბლს არ სცილდებოდეს. არც გადამლაშება ვარგა, — ვგულისხმობ იმ მდგომარეობას, როდესაც აქტიური საქმიანობის გამო ქალი კარგავს ქალურობას, შარმს და მამაკაცს ემსგავსება...

— საოჯახო საქმეების კეთება თუ გიხდებათ?

— ამჟამად, ოჯახში დამხმარე ქალი მყავს. თუმცაღა ძალიან მიყვარს დილით ადრე ადგომა და სამსახურში წასვლამდე მშვენივრად ვართმევ თავს ოჯახურ მოვალეობებს.

— თუ გყოლიათ ოდესმე საქმიანი ქალის იდეალი?

— საერთოდ, მიყვარს საქმიანი ქალები. მარგარეტ ტეტჩერის ტიპის ქალი ყველაზე მეტად მიზიდავს. თუმცა, ის ნამდვილი „რკინის ლედია", მე კი მირჩევნია, ჭკუასთან ერთად, ქალში მეტი ქალურობა იგრძნობოდეს.

— როგორი დედა, ბებია ხართ?

— თავისუფალი დროის დეფიციტის გამო, ისეთი ბებია არა ვარ, როგორიც უნდა ვიყო. შვილებზე კრუხივით ვიყავი გადაფოფრილი და როდესაც ჩემგან ყურადღება მოაკლდათ, ძალიან ეჭვიანობდნენ. თიკო და თაკო მხატვრები არიან და ერთ-ერთ სარეკლამო კომპანიაში მუშაობენ. დროდადრო კი, ჩემს ბიზნესშიც მეხმარებიან და შეიძლება ითქვას, საქმიან პარტნიორებად მევლინებიან ხოლმე.

— მძღოლი, მდივანი რამდენად გჭირდებათ?

— მძღოლი ნამდვილად მჭირდება, რადგან მანქანას თავად არ ვმართავ, თანაც მომწონს, როდესაც სხვას დავყავარ. თანამედროვე ქალები მანქანას, როგორც ფუფუნების საგანს, ისე უყურებენ და ამით „მარიაჟობენ" კიდეც... თავის დროზე, არც მობილური ტელეფონი მიყვარდა, რადგან ის მოსვენების საშუალებას არ გაძლევს, სულ დაძაბული ხარ და ეს საშინლად მოქმედებს ნერვებზე, მაგრამ რას ვიზამ? — ტელეფონი ჩემი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და ზოგჯერ ტაქსის გაჩერებისას, ხდება ისე, რომ მანქანის კარს ვაღებ და მძღოლს ვეკითხები: „ალო! სად რეკავთ?"

■

ცეკვითაობა ლინკაჟამ ეროვნულმა ოლიმპიადამ

23 წლის კორეელი პან საფერი უკვე 10 წელია, საქართველოში ცხოვრობს. იგი წელს სამხატვრო აკადემიას ამთავრებს ქანდაკების განხრით და პარალელურად აზია-აფრიკის ინსტიტუტში ჟურნალისტიკას და მშობლიურ, კორეულ ენას ეუფლება. საფერი მეგობარმა, — ლადო ბურდულმა ერთი წლის წინ ტელეკომპანია „პირველ სტერეოში" გადაცემა „ცენტრის" წამყვანად მიიყვანა. შემდეგ ეს გადაცემა შეწყდა, საფერი კი ერთი თვის წინ, „მე-9 არხის" დილის პროგრამის წამყვანად მოგვევლინა. საფერი გამართულად ლაპარაკობს ქართულად. როგორც თავად თქვა, მასწავლებელი არ ჰყოლია და ენას მეგობრებთან ურთიერთობისას დაეუფლა. ცოტა ხნის წინ კი, ერთ დღეში, ძველი ქართული დამწერლობაც შეისწავლა.

ნათია თენიეშვილი

— საფერი, როგორ მოხვდი საქართველოში?

— აქ არ დავბადებულვარ, პერიოდულად რუსეთშიც ვცხოვრობდი... მოდი, ამ თემაზე ნუ ვილაპარაკებთ — არ მინდა...

— რით მოგხიბლა საქართველომ?

— საქართველო ძალიან მომწონს. მარტო თბილისი კი არ მიყვარს — მიყვარს აბასთუმანი, ბორჯომი... შემწყნარებლური და ტოლერანტული ხალხი ხართ. სადაც არ უნდა წავიდე საქართველოში, ყველგან სიმშვიდე მეუფლება და ბედნიერი ვარ ამით. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ვარ ნამყოფი, სვანეთისა და რაჭის გარდა.

— უცხოელებისთვის ქართული ენის სწავლა საკმაოდ რთულია. შენ გაგიჭირდა?

— მგონი, ბგერებს სწორად გამოვთქვამ. მეგობრების უმრავლესობა ქართველი მყავს და ამიტომ უფრო ხშირად, ქართულად ვსაუბრობ ხოლმე. ჩემთვის არ არის რთული.

— ინსტიტუტში კორეულ ენას ეუფლები. მანამდე არ იცოდი?

— ჩემი ენა უფრო რთულია, ვიდრე წარმოგიდგენიათ. იეროგლიფები უნდა დაიზეპირო. ლიტერატურული ნაწარმოების წასაკითხად ძალიან ბევრი იეროგლიფი უნდა იცოდე. ამიტომ მიწევს აქ სწავლა.

— კორეაში ნამყოფი ხარ?

— კი, ბოლოს, მარტში ვიყავი.

— მეგობრები თუ გყავს იქ?

— მყავს, მაგრამ ახლა მხოლოდ მიმოწერითი ურთიერთობა გვაქვს.

— რაიმე მსგავსება თუა ქართველებსა და კორეელებს შორის?

— მსგავსებაზე ვერაფერს გეტყვი, ალბათ განსხვავებაზე უფრო შეიძლება ლაპარაკი. ქართველებში, იცი, რა მომწონს? უფრო იტალიელებს ჰგვანან — არტისტიზმით გამოირჩევიან... სეულში (კორეის დედაქალაქი) უფრო აქტიური ცხოვრებაა. აქ ცხოვრების დასავლური სტილი შემოვიდა. ქალი უფრო ძლიერია, ოჯახის ტვირთს საკუთარ თავზე იღებს და ა.შ. იქ კაპიტალიზმია და ქალიც აქტიურია, მაგრამ სინაზეს ინარჩუნებს — შეიძლება იმიტომ, რომ მამაკაცისგან დიდი ყურადღება ექცევა.

— ქართველი ქალები ნაზები არა ვართ?

— არ მითქვამს, რომ არა ხართ ნაზები. უბრალოდ, აქ სხვა ტენდენციაა. მე მომეჩვენა,

უფრო „ქართველური“ თვისებები მაქვს, ვიდრე კორეული

რომ კორეაში ქალები უფრო ჰაეროვნები არიან, სხვა ფერის სამოსს ატარებენ — იქ ცისფერი და ვარდისფერი ჭარბობს.

— მამაკაცები როგორები არიან?

— იქ ბევრ მამაკაცს არ ვიცნობ, რომ გითხრა, როგორები არიან.

— შენ თვითონ ქართული თვისებები უფრო გაქვს თუ კორეული?

— იქ რომ მივდივარ, ვგრძნობ, რომ ისეთი არა ვარ. თავს კარგად ვგრძნობ, ქვეყანაც მომწონს, ხალხიც, მაგრამ მე ის არა ვარ, რაღაც სხვანაირი ვარ. შრომის, პასუხისმგებლობის ფაქტორი გენეტიკურად დამყვება, მაგრამ იმდენად მკვეთრად განვითარებული არა მაქვს, რამდენადაც მათ. უფრო „ქართველური“ თვისებები მაქვს, ვიდრე კორეული. თუმცა, აქაც სხვანაირი ვარ. კორეაში ქუჩაში გამვლელებიც კი ხედებიან, რომ სხვანაირი ვარ. ერთხელ სასტუმროს ლიფტში კორეელი ბიჭები იდგნენ და ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. უცებ — ვაიმე, ასეთი არ გვინახავსო, — ჩემზე თქვეს. იცი, როგორ მეწყინა?!. მაგრამ ჩემზე აქაც სულ ამბობენ — სხვანაირი არისო... ადამიანს გინდა, რომ ჩიტივით შენი ბუდე გქონდეს...

— შენ არა გაქვს?

— ალბათ არავის არა აქვს დედამიწაზე ბუდე... საქართველო და კორეა ჩემი თავის შეცნობაში მეხმარება. ეს ჩემში ხდება, თორემ, მთელი დედამიწა ერთია. ადამიანის სული უფრო სხვა რაღაცებისკენ მიისწრაფვის.

— ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რამ მოახდინა შენზე საქართველოში?

— მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მართლა გამოცა ყველაფრით. მეც მართლმადიდებელი ვარ. თუ ადამიანმა რწმენა დაკარგა, გამოდის, ყველაფერი დანარჩენიც დაკარგა — იმედიც, სიყვარულიც, სასოებაც...

— გარეგნულად ძალიან მშვიდი ადამიანი ჩანხარ, შინაგანადაც ასეთი ხარ?

— მშვიდი არა ვარ. არსებობს გამოთქმა — „იჩქარე ნელა“. უბრალოდ ვიცი, რომ „მოვიდა ჩვენზედ სიმშვიდე და ჩვენ განვისწავლენით“. ვფიქრობ, ადამიანისთვის აუცილებელია სიმშვიდე, რათა ფხიზელი თვალით დაინახოს, თუ რა ხდება მის გარშემო.

— განმუხტვის რა ფორმებს მიმართავ ხოლმე?

— ცეკვა ნამდვილად არ არის ჩემთვის განმუხტვის საშუალება. შინ ყოფნა მიყვარს, ქარგვა, კითხვა, სახლის დალაგება. როდესაც შინ ვარ, მაშინ ყველანაირად ვისვენებ.

— საფერი, „მე-9 არხზე“ როგორ მოხვდი და რატომ წამოხვედი „პირველი სტერეოდან“?

— „პირველ სტერეოზე“ ლადო ბურდულმა მიმიყვანა. გადაცემის ავტორი, რეჟისორი და ჩემი პროდიუსერი ლადო იყო. კვირაში ერთი გადაცემა მქონდა და ძირითადად, მე თვითონ ვამზადებდი. მერე ლადო წავიდა და მეც, რა თქმა უნდა, წამოვედი. ამის შემდეგ, არც მიფიქრია ტელევიზიაზე. თუმცა შინაგანად ვგრძნობდი, რომ ერთ დღეს ეს ყველაფერი გაგრძელდებოდა. „მე-9 არხიდან“ დამირეკა ხათუნა ნოზაძემ (პროდიუსერმა), მითხრა, რომ ვაკანსიები ჰქონდათ და შემომთავაზა — მოსინჯეო. მოვედი და გადაცემის რეჟისორმა ირაკლი ხუციშვილმა დამტოვა. რთულია პირდაპირ ეთერში მუშაობა. ორი საათის განმავლობაში, ხალხის წინაშე ყველა შენი დეფექტი — მეტყველების, გარეგნობის, მანერების — კარგად ჩანს, ყველაფერი სახეზეა.

— ნერვიულობდი?

— ვნერვიულობდი. პასუხისმგებლობას ვგრძნობდი და არ ვიცოდი, რა როგორ უნდა გამეკეთებინა. ვერ ვხვდებოდი ჩემს როლს სცენარში და ამიტომ ზედმეტად ვგრძნობდი თავს. ახლა ნელ-ნელა გავერკვიე, საკუთარ თავზე ვმუშაობ და ვნახოთ, რა იქნება.

— ყოველი გადაცემის შემდეგ, ალბათ ხარვეზებზე საუბრობთ ხოლმე. ყველაზე ხშირად რა შენიშვნებს გაძლევენ?

— ძალიან ბევრ შენიშვნას მაძლევენ — რეჟისორი, პროდიუსერი, კიდევ — დედაჩემი, ჩემი მეგობრები.

— არ უთქვამთ, რომ ზედმეტად ნელა ლაპარაკობ?

— უთქვამთ. დილის გადაცემაში მთავარია ტემპი. ზოგიერთ გადაცემაში ტემპს ავკრებ ხოლმე, მერე ისევ ვადუნებ და ასე შემდეგ, მაგრამ მგონი, ყველაფერს შევძლებ.

— როგორც ჩანს, ტელევიზიით კმაყოფილი ხარ, რადგან შენი პროფესიონალური საქმიანობა გვერდზე გადადე?

— ვერ ვიტყვი, რომ გვერდზე გადავდე. ახლა დიპლომზე ვმუშაობ. ალბათ შემთხვევით არაფერი ხდება. რასაც ღმერთი გაძლევს, იმ პერიოდისთვის ყველაზე საჭირო ის არის. ჟურნალისტიკა და ქანდაკება ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება: რამდენადაც ჟურნალისტიკა „ბრწყინავს“, იმდენად ქანდაკება „ჩუმია“. ალბათ ტემპიც ამიტომ მაქვს ასეთი „ჩაწყნარებული“, რომ ქანდაკებას ვაკეთებ.

— ქანდაკებასთან დაკავშირებით თუ გაქვს ჩაფიქრებული რაიმე კონკრეტული? თუ გითქვამს — „მე ამისგან გავაკეთებ...“?

— მინდა გავიგო და შევისწავლო ადამიანის სხეული. კონკრეტულად რისი გაკეთება მინდა, არ ვიცი. არ შეიძლება, დაისახო მიზანი დასრულებული სახით, იმიტომ, რომ ყველაფერი ძიების პროცესში მოდის. შეიძლება, ჩაფიქრო ერთი და ბოლოს, სულ სხვა რამე გააკეთო. როგორც ხელოვანს, მინდა, ვიცხოვრო იტალიაში. იქ შემოქმედებითი ატმოსფეროა. მინდა, რაღაცები ვნახო.

— შეყვარებული თუ ყოფილხარ და ამას თუ შეუშლია ხელი შენთვის მუშაობაში?

— რა თქმა უნდა, ვყოფილვარ შეყვარებული; ჩემ გვერდით ისეთი ადამიანი იდგა, ვინც პროფესიითაც ახლოს იყო ჩემთან, ვხატავდით ერთმანეთს და ჩვენი ურთიერთობა სწავლას ხელს არანაირად არ უშლიდა... ■

ფრაზები გენიალური

განათლება ის არის, რაც იმის შემდეგ გვრჩება, როცა დავივიწყებთ ყველაფერს, რასაც კი გვასწავლიდნენ.

ალბერტ აინშტაინი

კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუსი" გისურვებთ ჯანმრთელობას

ჰერპესი. ჰერპეს ზოსტერი. ჰერპეს სიმპლექსი.

ამ ინფექციის სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება, მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, გამონაყარი,

ტემპერატურის მატება, ტანში ტეხვის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.

ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

სუპერლიზინი+ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც სისხლში ვირუსის აქტივობის დაქვეითებას, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუს"-ში თქვენ გელით საუკეთესო სპეციალისტების გულისხმიერება და მზრუნველობა.

როგორ გადავურჩეთ ვირუსებს?

ეს კითხვა უჩნდება ყველა ჩვენგანს, მით უმეტეს შემოდგომა-ზამთრის სეზონის დაწყების წინ.

ძლიერი იმუნური სისტემა, ვიტამინებითა და მინერალებით მდიდარი ორგანიზმი ადვილად ებრძვის ყველა ვირუსსა და ეპიდემიას.

საქართველოში კარგად ცნობილი კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო ვიტამინების კომპლექსს: სუპერმულტი ვიტამინი და ვიტამინი **C**- ს, რომლებიც საუკეთესოა როგორც ბავშვებისათვის, ასევე უფროსებისათვის.

წარმოდგენილი ვიტამინები აძლიერებს იმუნურ სისტემას, ანეიტრალებს არასრულფასოვანი კვების ნეგატიურ მოვლენებს, იცავს ორგანიზმს სტრესებისაგან, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, თმისა და ფრჩხილების ზრდას, განაპირობებს ძვლებისა და კბილების სიჯანსაღეს, ბავშვებში ხელს უწყობს სიმაღლეში ზრდას.

კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" ასევე გთავაზობთ ნივრის ექსტრაქტს. ნიორს რომ უამრავი საუკეთესო თვისება აქვს, ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მისი საკვებად მიღება ბევრ უხერხულობას გვიქმნის. სწორედ ამიტომ გთავაზობთ ნივრის ექსტრაქტს, რომლებიც აბების სახით არის წარმოდგენილი და აადვილებს მიღებას. გარდა იმუნური სისტემის გაძლიერებისა ნიორი მოწოდებულია ქოლესტერინის დონის და წნევის რეგულირებისათვის. საუკეთესოა ჭიებით ინვაზიის დროს. იცავს ორგანიზმს კიბოს გაჩენის რისკისაგან.

„ნუტრიმენტ ჰაუსში" კვალიფიცირული და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ.აღმაშენებლის 150

„ნუტრიმენტ ჰაუსი"
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

ემა ტუხიაშვილი

ხალისიან ფერებში გადაწყვეტილი, ჩვეულებრივი კვერცხის ჩასაწყობი ბუდეებით მოპირკეთებული, ჟაბუკა ამირანაშვილის სტუდია სახელმწიფო ტელევიზიის ბნელ სარდაფში მდებარეობს. არ შეგეშინდესო, — მითხრა ჟაბუკამ, როდესაც თავის „სამფლობელოში“ მიმიძღოდა. თუმცა, უცნაური მუსიკალური ინსტრუმენტების გარემოცვასა და ხალხური სიმღერების ჰანგების სამყაროში, შიში კი არა — სრული სიმშვიდე გეუფლება.



შოუბიზნესის გაუგებარი მიმდინარეობები, გასტროლები და უცხოეთიდან ჩამოტანილი ეგზოტიკური ინსტრუმენტები

— ბატონო ჟაბუკა, სერიოზულად როდის დაგაინტერესათ მუსიკამ?

— მამა მყავდა მუსიკოსი... საერთოდ, ძალზე მუსიკალური გვარი მაქვს — გავიხსენოთ თუნდაც, პეტრე ამირანაშვილი; მედეა ამირანაშვილი... ამგვარად, უბრალოდ, შეუძლებელიც კი იყო, გვერდი ამევლო მუსიკისთვის. თუმცა, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ლენინგრადში ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი.

— მუსიკალური ინსტრუმენტებიდან, საქსოფონს რატომ მიანიჭეთ უპირატესობა?

— პიონერთა სასახლეში საბავშვო ორკესტრში ვუკრავდი, როდესაც კობა კალანდაძემ იქვე საბავშვო ჯაზორკესტრი ჩამოაყალიბა. სწორედ ამ ორკესტრში ვნახე პირველად, ოქროსფერი ჩასაბერი ინსტრუმენტი, რომელმაც აღმაფრთოვანა.

— შემდეგ როგორ განვითარდა ეს აღფრთოვანება?

— სხვათა შორის, ბევრი რამ არ მახსოვს ჩემი წარსულიდან, რადგან უამრავ რამეს ყურადღებას არ ვაქცევ ხოლმე... ერთხელ, ჩემს მეგობარს ვესტუმრე მოსკოვში და რესტორნებსა და ბარებში მუსიკოსებს ვთხოვდი, რომ ჩემთვის დაკვრის უფლება მოეცათ. უარს არ მეუბნებოდნენ. მერე მუშაობა დავიწყე რუსულ ჯგუფ „რონდოში“ და ამ ჯგუფთან ერთად თითქმის მთელი მსოფლიო მოვიარე.

— ამბობენ, წარმატებული მუსიკალური კარიერა მეუღლემ გიწინასწარმეტყველათ. მართალია?

ხშირად ისე ხდება, რომ მეუღლე მელაპარაკება, მე კი მისი ერთი სიტყვაც არ მესმის

— მე და ჩემს მეუღლეს გარკვეული პრობლემები გვქონდა ჩემი საქმიანობის გამო: ლაურა ვერ ეგუებოდა იმას, რომ დროის დიდ ნაწილს მუსიკას ვუთმობდი. თმა ასე *(კიკინას გულისხმობს. — ავტ.)* მან შემიკრა და მითხრა: თუ შნო გაქვს, ასე იარეო... უკვე 13 წელია, ვარცხნილობა არ შემიცვლია... ლაურა ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა — მშობიარობას გადაჰყვა. მისგან ქალიშვილი დამრჩა, რომელიც ჩემმა მშობლებმა გაზარდეს. არ ვიცი, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მისი ნათქვამი წინასწარმეტყველებად, მაგრამ მისი სიტყვები: შენ მუსიკაში წარმატებას მიაღწევ, მაგრამ ჩვენთვის ვერასდროს მოიცლიო, — დღემდე მახსოვს...

— რაზე შეგიძლიათ თქვათ უარი მუსიკის გამო?

— ძალიან ცუდი კითხვაა, არ მიყვარს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ეს იგივეა, ბავშვს რომ ეკითხებიან — დედა უფრო გიყვარს თუ მამაო? როდესაც ორმოცი წელი მუსიკით ცხოვრობ, ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი. ადამიანმა შეიძლება შეიძინოს მეუღლე, მეგობრები, გაუჩნდეს შვილი და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, შეიძლება, დაკარგოს ისინი... მე მინახავს ადამიანები, რომლებიც ოჯახის გამო, სრულიად პარალიზებულები არიან და სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ალბათ ასეთი ვიქნებოდი მეც, მუსიკის გარეშე... არ მიყვარს ბევრი ადამიანის გარემოცვაში ყოფნა, მარტოობა მირჩევნია.

— იქნებ, ესაა მიზეზი იმისა, რომ თქვენი გამოჩენა პუბლიკის წინაშე იშვიათობად იქცა?

— არ ვჩანვარ იმიტომ, რომ შესაძლოა, ახლა აღარავის ვჭირდები, მაგრამ ამას ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამ. საერთოდაც, მინდა გითხრათ, რომ ახლანდელ შოუბიზნესში ჩემთვის გაუგებარი მიმდინარეობები გაჩნდა.

— თქვენი შვილი თუ არის მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული?

— მე მეორედ შევუღლდი და ახლა უკვე სამი შვილი მყავს... რა თქმა უნდა, ჩემს შვილებს აქვთ მუსიკალური ნიჭი,



მაგრამ ვეცდები, რომ მუსიკალური განათლება მათ მხოლოდ მოყვარულის დონეზე მივცე. დღეს კლასიკური მუსიკის აგიტაცია ძალიან მწირია და „პაპსამ“ წაგვლეკა. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ მიმდინარეობამ ჩაყლაპა ბევრი კარგი მუსიკოსი.

— თქვენს ახლანდელ მეუღლეს არ უჭირს თქვენს პროფესიასთან შეგუება?

— კონფლიქტები ოჯახში უკვე სისტემატურ ხასიათს ატარებს. როგორი მეუღლე, დედა თუ შვილიც არ უნდა გყავდეს, ნებისმიერს უჭირს მუსიკოსის გაგება. ვაღიარებ, რომ ოჯახში მუსიკოსი ძნელი ასატანია, მაგრამ რას ვიზამთ? მუსიკა ლამაზი კენჭი არ არის, რომელიც შეიძლება, ზღვის სანაპიროზე იპოვო და შინ მიიტანო. ხშირად ისე ხდება, რომ მეუღლე მელაპარაკება, მე კი მისი ერთი სიტყვაც არ მესმის, რადგან ჩემი გონება მუსიკითაა დაკავებული. ნათიას კი, სწორედ ეს აღიზიანებს და იწყება...

— თქვენ რა გაღიზიანებთ?

— მღლის და მაღიზიანებს ერთი და იგივე მაყურებელი, მსმენელი. ეს არის საზოგადოების გარკვეული ფენა, რომელსაც, სხვებისგან განსხვავებით, ყოველთვის აქვს ბილეთის ფული. წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ადამიანები ხშირად, ერთსა და იმავე ადგილზე სხდებიან... ოცდაჩვიდმეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ასეთი რამ არსად მინახავს.

— ყველაზე საინტერესოდ რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ?

— ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო გასტროლები ტუნისსა და მაროკოში, სადაც სტინგის კონცერტს დავესწარი. მქონდა აგრეთვე ურთიერთობა საკმაოდ ცნობილ მუსიკოსებსა თუ პროდიუსერებთან. მინდა გითხრათ, რომ თუ უცხოეთში საქმიანი ვიზიტით მიემგზავრები, შეიძლება ითქვას, რომ მათ ქვაბში იხარშები და ისეთივე ხდები, როგორებიც თავად ისინი არიან. ჰოლივუდში კი, საერთოდ საოცრებები ხდება. მაგალითად, ქუჩაში შუქნიშანთან შეიძლება შეხვდე რობერტ დე ნიროს, როგორც აქ — რამაზ ჩხიკვაძეს... ხაზგასასმელია აგრეთვე ჩემი ვიზიტი ლოს-ანჯელესში, სადაც ცხრამეტი კონცერტი გავმართეთ და დიდი რეზონანსი გამოვიწვიეთ.

— ალბათ ვერც კურიოზებს ასცდებოდით...

— ყველაზე დიდი კურიოზი ჩემს ცხოვრებაში ისაა, რომ ერთხელ, კონცერტზე გავემართე და ინსტრუმენტი შინ დამრჩა... ავსტრიაში ვიყავით გასტროლებზე და სცენაზე გასვლის წინ, კულისებში მდგარ როიალთან ბიჭებმა ვისკი დავლიეთ. უნდა გითხრათ, რომ ვისკის ჩვენ არაყივით ვსვამთ და სასმელი ძალიან მოგვეკიდა. სცენაზე გასვლის დრო დადგა; გავედი, მივედი ინსტრუმენტთან, ბუდე გავხსენი და ცარიელი დამხვდა. კინაღამ გავგიჟდი. ბიჭებს მივუბრუნდი, დაიწყეთ დაკვრა-მეთქი, — ვანიშნე და დემონსტრაციულად ისევ კულისებში გავედი. ჩვენი იმპრესარიო, ერთი რუსი კაცი იყო და სულ გინებით შემხვდა: რას შვრებიო?!. მე მშვიდად მივუგე: ინსტრუმენტი დავკარგე და ვეძებ-მეთქი. „ზახარიჩი“ გაწიწმატდა: დაიხედე — ზედ გაქვს ჩამოკიდებულიო. ამისთვის დამაჯარიმა — ერთი კონცერტის ჰონორარი არ მომცა.

— თქვენს ყველაზე დიდ წარმატებად რას მიიჩნევთ?

— ყველაზე დიდი წარმატება ჩემთვის ისაა, რომ ბავშვობის ოცნება ავიხდინე და მუსიკოსი გავხდი. მახსოვს, მამაჩემმა „სონის“ ფირმის ფირსაკრავი მიყიდა, დიდი ყურსასმენებით. შემეძლო, მთელი დღე ვწოლილიყავი და მუსიკისთვის მესმინა. ჩემი ოცნება იყო აგრეთვე სცენა და ტაში... წარმატებაა ისიც, რომ არც ერთი კონცერტი არ ჩამიგდია და შერცხვენილს არ დამიტოვებია სცენა.

— როგორც ვიცი, მუსიკალური ინსტრუმენტების საკმაოდ მდიდარი კოლექცია გაქვთ.

— ადგილის სიმცირის გამო, ეს კოლექცია სოფელში ინახება. ჩემს კოლექციაშია საკმაოდ ძვირად ღირებული საქსოფონი, რომელიც საკუთარი დანაზოგით შევიძინე და ერთი კარგი ავტომანქანის ფასი ღირს. ჩემს კოლექციაშია პატარა დასარტყამი ინსტრუმენტი, რომელიც ავსტრალიაში ყოფნისას მაჩუქეს. ეს ინსტრუმენტი აბორიგენების მიერაა გაკეთებული — მასზე ადამიანის კანია გადაჭიმული...



მუსიკალურ ინსტრუმენტებს თავადაც ვქმნი...

ჩემს მეგობარს კი, ბერკაშენი აჩუქეს, რომელშიც ადამიანის ფრჩხილები ყრია... მუსიკალურ ინსტრუმენტებს თავადაც ვქმნი. არსებობს კვახის ჯიში, რომელიც არ იჭმევა — ორშიმა და მისგან ვაკეთებ მუსიკალურ ინსტრუმენტს: მის გულში ჩავყრი ბრინჯს ან თხილს და ძალიან სასიამოვნო ჰანგებს გამოსცემს. ახლა ვმუშაობ ერთ-ერთ ჩასაბერ ინსტრუმენტზე, რომელიც ჩემი ხელით გამოვჭერი და ძალიან ჰგავს ზურნას. ყანწისგან გაკეთებული, ჯინჯილაკებიანი ინსტრუმენტი კი, ხელოსანს დავამზადებინე, რომლის ჰანგებითაც სუხიშვილების „ზეკარი“ ჩავწერე.

— ჩვეულებრივ, კონცერტზე რამდენიმე ინსტრუმენტს იყენებთ ხოლმე...

— ასეც ხდება. არის შემთხვევები, როდესაც ერთი კონცერტის დროს, რამდენიმე საქსოფონს ვიყენებ. ზოგჯერ კი, საქსოფონის შემდეგ, ხან სალამურზე ვუკრავ, ხან კი, ჭიბონში ჩავბერავ ხოლმე.

— მუსიკოსობა ძალზე ბევრ შრომას მოითხოვს. ალბათ ღამეებსაც ხშირად ათევთ, არა?

— ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, მუსიკოსებს სიდნეის საოპერო თეატრში გამოსასვლელად გვამზადებდნენ. იმისათვის, რომ სათანადოდ მოვმზადებულიყავი, ცხრა დღე და ღამე არ მიძინია. მართალია, ეს შრომა დამიფასდა, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, კიდევ ერთხელ დამადგეს ამხელა გასაჭირი... ■

ერთ-ერთი სტილი ხელოვნებაში	თბილისის ძველი უბანი	მდინარე აფხაზეთში	მე, ..., ის, ჩვენ, თქვენ, ისინი	ბოსტნეული	სიგურნი უივერნის როლი ფილმში „უცხო“	სტუდენტის საგამოცდო პერიოდი

...ნდის ...ოფი	გაუშლელი ყვავილი	ძაღლი ..., ქარავანი მიდის	მხ. ფილმი „... 11 მეგობარი“	ნაბიჯი ბალეტში	საქონლის ჯოგი	წვრილი ნაკეცები ქსოვილზე	ნუსხა

რისი არ უნდა სწამდეს ქრისტიანს

მართლმადიდებლური სწავლებები, ხალხური წეს-ჩვეულებები და ტრადიციები იმდენად არის ერთმანეთში არეული, რომ ხშირად, მორწმუნეთა ნაწილსაც კი უჭირს ჭეშმარიტი რწმენისაგან განასხვავოს ცრურწმენა — ანუ ის, რაც მხოლოდ ხალხის მიერაა გამოგონილი და თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემა. ჩვენში დამკვიდრებული ზოგიერთი წეს-ჩვეულება მართლაც, ქრისტიანულია და საეკლესიო სწავლებებს ეყრდნობა, მაგრამ ბევრი რამ ეკლესიის მიერ მხოლოდ ცრურწმენადაა მიჩნეული. როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, სჯული მაშინ არის კეთილი, „უკეთუ ვინმე წესიერად იპყრას იგი“...

სხვადასხვა რელიგიურ წყაროზე დაყრდნობით ვეცდებით, განგიმარტოთ, თუ რისი არ უნდა სწამდეს ქრისტიანს.

მორენა მერკვილაძე

არსებობს თუ არა ბედისწერა?

ეკლესიური სწავლებით, მართლმადიდებლისთვის ბედი და ბედისწერა არ არსებობს. ყველაფერს უფალი განაგებს.

ითვლება თუ არა „666“ სატანურ რიცხვად?

ამ განცხადებას საფუძვლად უდევს ის, რომ „აპოკალიფსში“ რიცხვი 666 დაკავშირებულია ანტიქრისტესთან, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც 666 არ უნდა მივიჩნიოთ სატანურ რიცხვად. მაგალითად, წიგნის 666-ე გვერდი არ ნიშნავს იმას, რომ მასში რაიმე დემონური იმალება. ასევე არ ითვლება 666 სატანურ რიცხვად იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახლის ნომერია.

რატომ ითვლება 13, თარს რიცხვად?

წარმართული დროიდან მომდინარეობს ლეგენდა, რომ ღმერთების შეკრებაზე მეცამეტე სტუმარმა ცის ბინადრებში განხეთქილება შეიტანა. „ახალი აღთქმის“ მიხედვითაც, საიდუმლო სერობაზე ცამეტნი იყვნენ შეკრებილნი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ 13, თარს და უბედურების მომტან რიცხვად მივიჩნიოთ. ეს მხოლოდ ცრუმორწმუნეობაა.

არსებობს თუ არა ავი თვალი?

ეკლესია არ უარყოფს, რომ ერთი ადამიანისაგან მეორეზე გავლენის მოხდენა არსებობს, როგორც შეიძლება კეთილი გავლენის მოხდენა, ასევე შესაძლებელია ავი გავლენის მოხდენაც, რაც უმეტესად, ბოროტი, ღვთის მოძულე ადამიანებისგან მომდინარეობს, რადგან ბოროტი ადამიანი თავისთავად უკავშირდება ბოროტ ძალას და მისი სურვილებიც და გამოხედვაც ხშირად, ბოროტებისკენ და სიავისკენაა მიმართული.

გვიცავს თუ არა გიშერი ავი თვალისგან?

ავი თვალისგან თავდაცვის მიზნით, გიშრის თვალს ძირითადად, ახალშობილ ბავშვებს უკეთებენ, რაც არაქრისტიანული ჩვეულებაა. ბავშვი უკეთური ზეგავლენისგან რომ დავიცვათ, უპირველესად, უნდა მოვნათლოთ, ვატარებინოთ ნაკურთხი ჯვარი, ვაზიაროთ, ვასხუროთ და მივაღებინოთ კიდეც ნაკურთხი წყალი. მორწმუნემ უნდა იცოდეს, რომ გიშერს ავი თვალისგან დაცვის უნარი არ შესწევს. ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ ავი თვალისგან გათვალვის შემთხვევაში, გიშერი იბზარება, მაგრამ გიშრის გაბზარვის მიზეზი შეიძლება იყოს თვით ქვის ხარისხი და არა ავი თვალი.

ქრისტიანულია თუ არა სახლის კარზე ნალის მიმაგრება?

სახლის ან სათავსის კარზე ნალს ამაგრებენ ავი თვალისგან თავდაცვის მიზნით. ამასთანავე მიჩნეულია, რომ კარზე ნალის მიმაგრება წარმატების საწინდარია. მაგრამ ქრისტიანული სწავლებით, ნალის გაფეტიშება წარმართული ჩვეულებაა, რასაც ბედნიერების ნაცვლად ხშირად, ოჯახისთვის განსაცდელი მოაქვს. ავი და უკეთური გავლენისგან მორწმუნემ სახლის კურთხევით უნდა დაიცვას თავი და შინ ნაკურთხი ჯვარი უნდა იქონიოს.

მივმართოთ თუ არა შემლოცველს?

მართალია, შელოცვები ძირითადად, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის ან რომელიმე მთავარანგელოზის მოხსენიებით მთავრდება, მაგრამ შელოცვის ტექსტში ხშირად გვხვდება წარმართული გადმონაშთები. შელოცვის რწმენა ქრისტიანობისთვის მიუღებელია, მისი წაკითხვა ადამიანს ვერც ავადმყოფობისგან იხსნის და ვერც სხვა განსაცდელისგან დაიფარავს. ღვთის მადლი და შეწევნა მხოლოდ მართლმადიდებლური ლოცვების წარმოთქმისას გვეძლევა.

P.S. შეიძლება თუ არა ბავშვს დავარქვათ მიცვალებულის სახელი? მოქმედებს თუ არა წყევლა ადამიანზე? შეიძლება თუ არა სხვისი თანხით ნაყიდი სანთლების დანთება? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

■

გიორგობის დღესასწაული, რომელსაც საქართველოს წმინდა ეკლესია 23 ნოემბერს იდღესასწაულებს, მართლმადიდებლური სამყაროს უდიდესი წმინდანის — გიორგი ჯაპადოკიელის, ბორბალზე გაკვრისა და წამების აღსანიშნავადაა დადგენილი. „ძლევაშემოსილი წმინდა გიორგის ბორბალზე გაკვრა თითქმის ერთადერთი დღესასწაულია ეკლესიაში, როცა განდიდდება ერთ-ერთი მოწამებრივი ღვაწლი, ცალკე აღებული წმინდანის მთელი ცხოვრებიდან“ — განმარტავს არქიმანდრიტი რაფაელი (ჯარელინი). ნოემბერში წმინდა ეკლესიამ დაადგინა კიდევ ერთი დღესასწაული დიდმოწამის პატივსაცემად — მისი წმინდა ნაწილების გადატანის აღსანიშნავად, რომიდან პალესტინაში, ქალაქ ლიდიაში — მისი დედის სამშობლოში. გიორგობას ვდღესასწაულობთ 6 მაისსაც, რომელიც წმინდა გიორგის შობის აღსანიშნავადაა დადგენილი.

მორენა მერკვილაძე

საქართველოში წმ. გიორგი განსაკუთრებული სიყვარულითაა გარემოცული. ამის მიმანიშნებელია თუნდაც ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება წმ. გიორგის სახელზე აგებული ტაძარი: „არა არიან ბორცუნი, ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“ — წერს ვახუშტი ბაგრატიონი. გადმოცემის თანახმად, საქართველოში არსებობდა 365 წმ. გიორგის სახელზე აგებული სალოცავი. ქართველი ხალხის ცნობიერებაში, ძველთაგანვე, წმ. გიორგი მისი მფარველია. მას, როგორც მეომარსა და ქრისტიანობისათვის მებრძოლს, ჩვენი წინაპრები ავედრებდნენ მეომრებს, შესთხოვდნენ მფარველობას და მტერზე გამარჯვებას. საქართველოს მეფეების — ბაგრატიონების გერბზე გამოსახული იყო წმ. გიორგი; მისი გამოსახულება ამოქარგული იყო ქართველთა ლაშქრის დროშებზეც, არცთუ ისე იშვიათად, ამოტვიფრული იყო ქართველ მეომართა ფარებზეც.

წმ. გიორგი, კაპადოკიელი, წმინდა ნინოს — ქართველთა განმანათლებლის ბიძაშვილი გახლდათ. ივი ცხოვრობდა მეოთხე საუკუნეში, რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს.

რატომ იწოდება ძლევაშემოსილად წმინდა გიორგი

გიორგი თავადთა გვარის წარმომადგენელი იყო. გიორგის მამას მაღალი თანამდებობა ეკავა რომის ჯარში, მაგრამ შემდეგ, ქრისტიანობისათვის სიკვდილით დასაჯეს. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, გიორგის დედა თავის მამულში, პალესტინაში – ქალაქ ლიდიაში დასახლდა. დედა ღვთისმოშიშობით ზრდიდა გიორგის და ხშირად მოუთხრობდა მამამისის გმირულ ღვაწლზე. ახალგაზრდა გიორგი მეფის ჯარში შევიდა. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის 20 წლის ასაკში მიიღო მხედარმთავრისა და სამხედრო ტრიბუნის წოდება. იმ პერიოდში, დიოკლეტიანემ საიდუმლო საბჭოზე, სადაც მხოლოდ თავად იმპერატორი და მისი უახლოესი მეგობრები იკრიბებოდნენ, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოეცათ ედიქტი (სპეციალური ბრძანება) ქრისტიანების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც, იკრძალებოდა ქრისტიანული ღვთისმსახურება.

როდესაც წმ. გიორგიმ ამის შესახებ შეიტყო, გადაწყვიტა, დაეტოვებინა სამსახური, მთელი თავისი ქონება გაეყიდა და უპოვართათვის დაერიგებინა. ის გამოცხადდა სამეფო სათათბიროში და უშიშრად დაიცვა ქრისტიანობა. იმპერატორი დიოკლეტიანე გააოცა მისმა მოულოდნელმა გამოსვლამ, მაგრამ როდესაც მისი პასუხები მოისმინა და მიხვდა, რომ გიორგი სარწმუნოებას არ უარყოფდა, მისი წამების ბრძანება გასცა. პირველად დიოკლეტიანემ გიორგის დაკიდება და ლახვრით განგმირვა ბრძანა, მაგრამ როდესაც გიორგის ლახვარი უგმირეს, წვერი მოიღუნა და მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი გადმოუვიდა. გიორგიმ მადლობა შესწირა ღმერთს. ამის შემდეგ, დიოკლეტიანემ მისი საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა. მისივე ბრძანებით, წმინდანს ფეხები შეუკრეს და გულზე მძიმე ლოდი დაჰკიდეს. გიორგი კვლავ მამაცურად იტანდა წამებას და ღმერთს მადლობას სწირავდა. მეორე დილით დიოკლეტიანე დილეგში ჩავიდა და გიორგის ჰკითხა: „როგორა ხარ, გიორგი?“ – „კარგად“, – უპასუხა მან. ამან იმპერატორი გააცოფა და ბრძანა, გიორგი ბორბალზე გაეკრათ. მოწამე თოკებით ბორბალზე მიაკრეს. დაფაზე ბორბლის ქვემოდან დამაგრებული იყო დანები, წვეტიანი კავები და ლურსმნები. ჯალათები ატრიალებდნენ ბორბალს, გიორგის წვეტები სხეულში ესობოდა და ხორცს აგლეჯდა. ამ საშინელი წამების დროს, გიორგი ხმამაღლა ადიდებდა ღმერთს, შემდეგ ჩუმად ლოცულობდა, ბოლოს კი დადუმდა. ყველას ეგონა, რომ გიორგი მოკვდა. დიოკლეტიანე დაცინვით მოიხსენიებდა უფლის ძლიერებას და ამბობდა: „სად არის ღმერთი შენი, გიორგი? რატომ არ გიხსნა შენ მან ამ წვალებისაგან?“ შემდეგ კი, აპოლონის ტაძარში წავიდა მსხვერპლის შესაწირად. როდესაც დიოკლეტიანე გიორგის გაშორდა, ატყდა საშინელი ქუხილი, მთელი მოედანი ზეციურმა სხივმა გაანათა და ყველას გასაგონად გაისმა სიტყვები: „ნუ გეშინია, გიორგი! მე შენთანა ვარ“. მოწამეს უფლის ანგელოზი გამოეცხადა, თავზე ხელი დაადო და მისი ჭრილობები განკურნა. გიორგი საკუთარი ფეხით, სრულიად ტანმრთელი ჩამოვიდა ბორბლიდან. ის აქებდა და ადიდებდა ღმერთს... სწორედ ამ სასწაულებრივ წამებას იხსენიებს მართლმადიდებლური ეკლესია 23 ნოემბერს.

დიოკლეტიანემ ამის შემდეგაც მრავალჯერ აწამა გიორგი, მაგრამ ის ყველა განსაცდელს სიხარულით ხვდებოდა და უვნებელი გადარჩა. სწორედ ამიტომ უწოდა მას ხალხმა უძლეველი. ბორბალზე წამების შემდეგ, გიორგი უამრავ სასწაულს ახდენდა და ბევრი ადამიანი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. ბოლოს, მეფემ ბრძანა, მისთვის თავი მოეკვეთათ, რაც აღასრულეს კიდეც. ეს ბორბალზე წამებიდან ექვსი თვის შემდეგ (303 წელს) მოხდა.

ბევრმა არ იცის, თუ რატომაა გიორგი უმეტესად, გამოსახული თეთრ ცხენზე მჯდომარე და შუბით ხელში, რომლითაც გველეშაპს კლავს. ამასთან დაკავშირებით არსებობს გადმოცემა: იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით, სადაც დაასაფლავეს გიორგი (ქალაქ ვირიტის მახლობლად), ტბიდან გამოდიოდა საშინელი გველეშაპი, რომელიც მუსრს ავლებდა ირგვლივ მთელ არემარეს. ქალაქის მცხოვრებნი კერპთაყვანისმცემლები იყვნენ, ამიტომ რჩევისათვის ქურუმებს მიმართეს. ქურუმებმა მათ ურჩიეს, რომ თითოეულ ოჯახს რიგრიგობით შეეწირა თითო შვილი გველეშაპისთვის. როცა ჯერი მეფის ერთ-ერთ ასულზე მიდგა და ის ტბის ნაპირას მიიყვანეს, მას უეცრად გამოეცხადა წმ. გიორგი, ახალგაზრდა ყმაწვილის სახით, თეთრ ცხენზე ამხედრებული და შუბით ხელში. მეფის ასულმა, რომელიც თვალცრემლიანი ელოდა სიკვდილს, წმ. გიორგის ყოველივე უამბო, თან სთხოვა, რომ სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას, რათა გველეშაპს ისიც არ მოეკლა. ამ დროს, გველეშაპი გამოჩნდა. უფლის მამაცმა მხედარმა პირჯვარი გამოისახა, შემწედ წმ. სამებას მოუწოდა, შეუტია გველეშაპს და შუბით განგმირა ის. ამის შემდეგ ქალაქის ყველა მცხოვრებმა ქრისტეს სარწმუნოება აღიარა.

გველეშაპის ძლევისა და მრავალი ტანჯვა-წამების დათმენისთვის წმ. გიორგი ძლევამოსილად იწოდება და მხედართა მფარველად მიიჩნევა. არქიმანდრიტი რაფაელი განმარტავს: „წმ. გიორგის გამოსახვა მხედრის სახით, რომელიც შუბით გველეშაპს გმირავს, – ეს არა მხოლოდ გაღმერთებულ ურჩხულთან ბრძოლისა და ლიბანელი მეფის ასულის სიკვდილისგან გამოხსნის სახსოვარია, ესაა სიმბოლო ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვებისა, ქრისტიანის გამარჯვებისა ცოდვისა და ვნების ურჩხულზე ადამიანის გულში, სიკეთისა და სინათლის გამარჯვებისა ბოროტებასა და სულიერ სიბნელეზე“. ■

ფეხბურთის «ფანტომასი»

„ფეხბურთი არის თამაში, რომელშიც ერთ ბურთს 22 გიჟი დასდევს“ — ეს ფრაზა კარგად არის ცნობილი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის ნებისმიერი ქომაგისთვის. ამ „გიჟურ თამაშს“ სტადიონსა თუ ტელევიზიის საშუალებით ასიათასობით „შეშლილიც“ ადევნებს ხოლმე თვალს. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ ის სამი ადამიანიც, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს საფეხბურთო მატჩების მსვლელობაში და ხშირად თავისი ჭირვეულობით ნერვებს უშლის ზემოთ ნახსენებ „22 გიჟსა“ და მის მხარდამჭერ ასიათასობით „შეშლილს“.



საყვარელი მეუღლის ერთგული, სექსსიმბოლოდ ქცეული საფეხბურთო არბიტრი

ალექსი რეხვიაშვილი

მსაჯობა ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. უფრო მეტიც, თანამედროვე სუპერმატჩებს ხშირად ემსახურება არბიტრი, რომელიც ქომაგებში ცნობილ მოთამაშეებზე არანაკლები პოპულარობით სარგებლობს.

პიერლუიჯი კოლინას პლანეტის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ფეხბურთის გულშემატკივარი იცნობს. აღსანიშნავია, რომ ამ ექსცენტრიკული იტალიელის გარდა, საერთაშორისო დონის არც ერთ სხვა არბიტრს არ გააჩნია საკუთარი ინტერნეტ-საიტი. მისი მომხმარებლები ხშირად სთხოვენ პიერლუიჯის კომენტარს ამა თუ იმ შეხვედრის შესახებ ან უბრალოდ, აცნობებენ, რომ ის მათი კერპია.

კოლინა ფიფას ერთადერთი მსაჯია, რომელმაც კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ფიზმომზადების ტესტი ვერ ჩააბარა, მაგრამ მას მაინც მიანდვეს ტურნირის ფინალური მატჩის არბიტრობა.

თავად არბიტრი საკუთარ წარმატებებს იტალიური ფეხბურთის პოპულარობით ხსნის. გულშემატკივრებმა კი, კარგად იციან, რომ ამის ერთ-ერთი განმსაზღვრელი გარემოება პიერლუიჯის განუმეორებელი გარეგნობაა. ამბობენ, რომ ბავშვობაში კოლინას სარკეში ჩახედვის ეშინოდა და ხშირად საკუთარი გარეგნობის გამო ტიროდა კიდეც, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. 24 წლის ასაკამდე, ის თანატოლებისგან არაფრით განსხვავდებოდა. თმის ცვენა ნერვული სტრესის გადატანის შემდეგ დაეწყო. ტემპერამენტიანი იტალიელი იმასაც უარყოფს, რომ სასიყვარულო მარცხის განცდის გამო აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში.

გამელოტების შემდეგ პიერლუიჯი თავიდან მეტისმეტად დაკომპლექსებულა, მაგრამ ბედისწერას თანდათან შეჰგუებია. „სიყვარულის განცდა აღარ მეღირსება, ამიტომ როგორმე მარტო ცხოვრება უნდა შევძლო“, — ამბობდა თურმე გულდაწყვეტილი კოლინა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი შეხვდა სიმპათიურ გოგონას, რომელსაც ჟანა ერქვა. სრულიად მოულოდნელად ჟანას მომავალი სუპერარბიტრი შეუყვარდა და მალე ცოლადაც გაჰყვა. სწორედ ამ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენის შემდეგ პიერლუიჯიმ იფიქრა, რომ მისი გარეგნობა სავსებით შეესაბამებოდა თანამედროვე მოდას და სიმელოტე სულაც არ წარმოადგენდა ფიზიკურ ნაკლს. „მართლაც ჩინებულია, როდესაც მხოლოდ საკუთარ თავს ჰგავხარ“, — ამბობს იტალიელი არბიტრი, რომელსაც ამჟამადაც ხშირად შეახსენებენ ხოლმე გარეგნულ ნაკლს. მაგალითად, 2002 წლის მუნდიალის შემდეგ, კოლინა მსოფლიოს საუკეთესო მსაჯად აღიარეს. ამავე დროს, მას იტალიაში „წლის არბიტრის“ პრემიაც გადაეცა. რატომღაც მაშინ, ტელეკომპანია „რაის“ მესვეურებმა ბოროტად იხუმრეს: სატელევიზიო ცერემონიაზე პიერლუიჯის გადასცეს კოსმეტიკური საშუალება, რომელსაც ერქვა — „ლოსიონი კოლინას თმისთვის“. „რაის“ წარმომადგენელთა უტიფრობამ მსაჯი მეტისმეტად აღაშფოთა: „ელექტრონული ფოსტით ხშირად მიგზავნიან წერილებს დედები, ვისი შვილებიც იმავე სენით იტანჯებიან, რომელიც წლების წინ მაწუხებდა. ისინი რჩევას მთხოვენ. ვფიქრობ, ჩვენ მცირედ თანაგრძნობას მაინც ვიმსახურებთ. პირადად მე, ჩემი გარეგნობა პრობლემებს აღარ მიქმნის, მაგრამ სხვა ადამიანებზე იმავეს ვერ ვიტყვი. ბავშვი, რომელიც ზრდის პროცესში მელოტდება ან, უფრო უარესი — თუ თმა ქიმიოთერაპიის კურსის შემდეგ სცვივა, ამგვარი „ხუმრობით“ უფრო მეტად არ უნდა დავთრგუნოთ. ეს ხელს შეუწყობს მასში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას და შეიძლება, მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესშიც კი ჩააგდოს. აი, რამ ამაღელვა ტელეგადაცემის მსვლელობისას. იუმორი და ირონია კარგია, მაგრამ მან ადამიანს გული არ უნდა ატკინოს“.

რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, პიერლუიჯი კოლინა ბოლო წლებში ნამდვილ სექსსიმბოლოდ იქცა. საქვეყნოდ ცნობილ არბიტრს სუსტი სქესის წარმომადგენელნი ხშირად, ყველაზე მიმზიდველ მამაკაცად მოიხსენიებენ. ცნო-

ბილ დიზიანერებს კი, იგი არაერთხელ მიუწვევიათ პოდიუმზე ახალი კოსტიუმების წარმოსადგენად. თავად პიერლუიჯის, მისი პერსონისადმი საზოგადოების მხრიდან ამგვარი დაინტერესება ნაკლებად აღელვებს. ის მეუღლისადმი ურყევი ერთგულებითაც გამოირჩევა.

პიერლუიჯი კოლინა 1960 წლის 13 თებერვალს, ქალაქ ბოლონიაში დაიბადა. მამამისი სახელმწიფო მოხელე გახლდათ, დედა – დაწყებითი სკოლის მასწავლებელი. ცნობილია, რომ იტალიაში ხალხი ორ „აღმსარებლობას“ მისდევს: პირველი – კათოლიციზმია, მეორე კი – ფეხბურთი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პიერლუიჯიმ ორივეს „გაერთიანება“ გადაწყვიტა და საეკლესიო საფეხბურთო გუნდში – „დონ ორიონში“ დაიწყო თამაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მას უფრო ხშირად უხდებოდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, ვიდრე თამაში. მიუხედავად ამისა, 15 წლის კოლინა ბოლონიურ კლუბ „პალოვიჩინიში“ მიიწვიეს, სადაც იგი ორი წელი თამაშობდა ლიბეროს პოზიციაზე. სწორედ იმ პერიოდში ის პირველად აღმოჩნდა მსაჯის ამპლუაში; ერთხელ ტრავმირებულ კოლინას თანაგუნდელებმა ორ გუნდად გაყოფილი „პალავიჩინის“ მატჩის არბიტრობა სთხოვეს. ცოტა ხანში პიერლუიჯისთვის მეგობარს მსაჯთა მოსამზადებელი კურსების გავლაც ურჩევია.



კოლინამ პირველსავე მატჩებში გამოავლინა არბიტრისთვის საჭირო თვისებები. უკვე სამი წლის შემდეგ, მას რეგიონალური ტურნირების შეხვედრების მსაჯობის უფლება დართეს. იმ პერიოდში კოლინა ჯარში გაიწვიეს, თუმცა მას უკვე ვეღარ წარმოედგინა თავისი ცხოვრება არბიტრის მაისურისა და სასტვენის გარეშე. ერთხელ ამის გამო პიერლუიჯი მისი საჯარისო ნაწილის მეთაურს დაუსჯია. თურმე კოლინა მენისკის ოპერაციის გაკეთების შემდეგ გამოსაჯანსაღებლად დროებით შინ გაუშვიათ, მას კი ვერ მოუთმენია და ერთ-ერთ მატჩში უმსაჯია, ის ვიღაცამ „ჩაუშვა“ და დეზერტირი არბიტრი დაუყოვნებლივ ყაზარმაში დააბრუნეს...

1988 წელს კოლინამ სერია C-ს მატჩების მსაჯობა დაიწყო, ხოლო სამი წლის შემდეგ, სერია A-ში მისი დებიუტი შედგა. 1991 წელი არბიტრის პირად ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენით აღინიშნა. პიერლუიჯი ჟანაზე დაქორწინდა. მალე მათ ქალიშვილი, ფრანჩესკა რომანი შეეძინათ.

პროფესიით პიერლუიჯი კოლინა ეკონომისტი გახლავთ. ამჟამად ის ვარეჯიოს ერთ-ერთ ბანკში ფინანსურ მრჩევლად მუშაობს, თუმცა მეორე საქმიანობასაც ჩინებულად ითავსებს. „მსაჯობა ჰობი კი არა, ნამდვილი პროფესიაა, – ამბობს პიერლუიჯი. – მატჩებისთვის სრული სერიოზულობით ვემზადები,

ჯეონეთი
სატელეკომუნიკაციო კომპანია

ინტერნეტ სერვისი

მომსახურება ინტერნეტ ბარათებით - 10/20 ლარი
ინტერნეტი პაროლის და დეპოზიტის გარეშე - 8 00 50 50
მაღალი სიჩქარის ინტერნეტი ADSL ტექნოლოგიით
გამოყოფილი ხაზები (Leased Lines)

საერთაშორისო სატელეფონო კავშირი

მომსახურება სატელეფონო ბარათებით - 10/20 ლარი

უნივერსალური ბარათები - GEOCARD

ინტერნეტი + ტელეფონი - 5/10/20 ლარი

სისტემური ინტეგრაცია

ვებ ჰოსტინგი

GEONET

www.geonet.ge
ლესია უკრაინკას ქ. 3
☎ 47 00 00

რადგან ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმიანობაა.“

იტალიის სერია A-ს მატჩების მსაჯობისას, კოლინამ მოკლე ხანში მოიპოვა პოპულარობა საფეხბურთო სამყაროში. თავისი პრინციპულობისა და პროფესიონალიზმის წყალობით, 1995 წელს მან ფიფას მსაჯის სტატუსი მიიღო. იმ პერიოდში პიერლუიჯის მეორე ქალიშვილი, კაროლინა შეეძინა. სხვათა შორის, არბიტრის მეუღლე ფეხბურთის გულშემატკივართა რიგს არ განეკუთვნება, თუმცა რამდენჯერმე დასწრებია მატჩს, რომელსაც მისი მეუღლე მსაჯობდა. „საღამო ჩემი მეგობრებისგან განსხვავებით, უჩვეულოდ გავატარე. ახლა მათ ჩემს შთაბეჭდილებებს გავუზიარებ“, — უთქვამს მაშინ მას. აღსანიშნავია, ისიც, რომ სუპერპოპულარული არბიტრი, რომელიც საფეხბურთო მოედანზე თავისი უკომპრომისობითაა ცნობილი, საკუთარი ქალიშვილებისადმი დიდი ლმობიერებით გამოირჩევა. „მათ შეუძლიათ დამიყოლიონ ყველაფერზე, რასაც კი მოისურვებენ...“ — ამბობს კოლორიტული იტალიელი, რომელმაც მსოფლიო სამსაჯო ელიტაში ჯერ კიდევ წლების წინ მყარად დაიმკვიდრა ადგილი. მას ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩების არბიტრად ნიშნავდნენ. პიერლუიჯი ემსახურებოდა ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადის ფინალურ შეხვედრას, აგრეთვე 1998 წლის მუნდიალისა და ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის მატჩებს. ბუნებრივია, მის გარეშე არც კორეა-იაპონიაში გამართული მსოფლიო პირველობა ჩაივლიდა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ტემპერატურის გამო კოლინამ ფიზმომზადების ტესტი ვერ ჩააბარა, მას ტურნირის ფინალისა და არგენტინა-ინგლისის „ფეთქებადსაშიში“ შეხვედრის მსაჯობა მიანდვეს.

ყველაზე მეტად კი, იტალიელ არბიტრს 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი დაამახსოვრდა. სწორედ პიერლუიჯიმ გადაწყვიტა, ის სამი წუთი დაემატებინა ძირითადი დროისთვის, რომელმაც შეხვედრის ბედი გადაწყვიტა და შეიძლება ითქვას, მთელი საფეხბურთო სამყარო შეძრა. „მეორე გოლის შემდეგ „მანჩესტერის“ ფანთა სიხარულმა გამაოგნებლად იმოქმედა ჩემზე, — იხსენებს მსაჯი, — მათი ოვაცია ხომ ლომების ღრიალს ჰგავდა! მაშინ ინგლისელები ბედნიერების მწვერვალზე იმყოფებოდნენ, ხოლო „ბავარიის“ იმედგაცრუებული ქომაგები ტიროდნენ. არ დამავიწყდება მათეუსის სევდიანი თვალები, რომლითაც ის ჩემპიონთა თასს შეჰყურებდა!.“

კოლინა არაერთი პრიზის მფლობელია, რომელიც მას იტალიის ფეხბურთის ფედერაციისგან გადაეცა. გარდა ამისა, იგი ოთხჯერ აღიარა ფიფამ პლანეტის საუკეთესო მსაჯად. „პროფესიონალს ნებისმიერ ვითარებაში მუშაობა უნდა შეეძლოს. პირადად მე, ყოველგვარი მატჩის სამსაჯოდ მზად ვარ, თუნდაც ხუთი ბურთით თამაშობდნენ“, — ამბობს არბიტრი, რომელსაც ისევე, როგორც ფეხბურთის ამა თუ იმ ვარსკვლავს, კრიზისული პერიოდებიც დასდგომია. როდესაც პიერლუიჯი აშკარა შეცდომებს უშვებდა, იგი გულშემატკივართა მძიმე ზეწოლის ქვეშ აღმოჩენილა. კრუგერი, ფრანკენშტეინი, ფანტომასი — ეს კოლინას მეტსახელებია, რომელიც მისთვის საფეხბურთო ქომაგებს შეურქმევიათ.

...2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე კოლინამ ჰოლანდიელთა სასარგებლოდ ჩეხების კარში საკამათო პენალტი დანიშნა. ამ ფაქტის შემდეგ, ჩეხი ქომაგები მეტისმეტად აგრესიულად განეწყვნენ იტალიელი არბიტრის მიმართ. პიერლუიჯიმ კი, არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო და დაპირისპირებულ მხარესთან შერიგების მიზნით, მთელი შვებულება ჩეხეთში გაატარა...

საერთოდ, კოლინა ყოველთვის პატივისცემით ეპყრობა ქომაგებს. — „მაშინაც კი, როდესაც ძალიან დაღლილი ვარ, შევჩერდები ხოლმე და მათ შეკითხვებს ვპასუხობ. თუმცა, მატჩის შემდეგ ტიფოზები ხშირად მზად არიან არბიტრის გასანადგურებლად... მაგრამ მე მათი არ მეშინია“, — დასძენს პოპულარული მსაჯი.

კოლინა ყოველთვის ცდილობს ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას. ზოგიერთი მოთამაშე კი, პიერლუიჯის ზედმეტად მკაცრ მსაჯად მიიჩნევს. „ასეთი სულაც არა ვარ — ეს იმიჯი ჩემმა გარეგნობამ შემიქმნა... დღეს არბიტრებს გაცილებით მაღალ კრიტერიუმებს უყენებენ, ვიდრე 20 წლის წინ. მათ მიერ დაშვებული შეცდომებიც უფრო თვალში საცემია. ეს იმით აიხსნება, რომ მატჩების ტელეტრანსლაცია წინათ ორი ტელეკამერით ხორციელდებოდა, ახლა კი, სულ ცოტა, 20 კამერით იღებენ, — არადა, მსაჯთა მხედველობა ხომ იოტის ოდენადაც არ გაუმჯობესებულა, ამიტომ ერთ-ერთი კამერა ყოველთვის აფიქსირებს იმ ნიუანსს, რომელიც არბიტრმა ვერ შენიშნა. ისე კი, შეცდომას ყველა უშვებს და ამისგან არც მსაჯები არიან დაზღვეულნი. შეცდომით გუნდის დაჯარიმება ძალიან მაღელვებს, რადგან ის შეიძლება სერიოზულად დაზარალდეს ამის გამო. მაგრამ ყველაზე უსიამოვნო ჩემთვის მაინც მოთამაშეთა სიმულაციაა“, — აცხადებს პიერლუიჯი კოლინა, რომელიც თამაშის დროს გამუდმებით ყურადღების ცენტრში იმყოფება. იგი ყოველთვის შეუვალია და თუ საჭიროდ მიიჩნევს, შეიძლება ერთ მატჩში რამდენიმე პენალტი დანიშნოს, თუმცა ასეთ შემთხვევებში დაზარალებულ გუნდს ყოველთვის აძლევს ახსნა-განმარტებას. „ყველა ფეხბურთელს აქვს ამის უფლება. მოთამაშეთა უმრავლესობა ნამდვილი ვარსკვლავია, ამიტომ არბიტრები ვალდებულნი არიან, რომ მათ უკეთესად თამაშის საშუალება მისცენ“, — დასძენს კოლინა.

დღეს პიერლუიჯი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საფეხბურთო პერსონაა. ასე რომ, იტალიელს თავისი კოლეგებისთვის რჩევის მიცემაც შეუძლია. „თანამედროვე მსაჯობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ის გახლავთ, რომ ხალხი ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვიცნობს, — დასძენს კოლინა, — ამიტომ არბიტრები უფრო გახსნილნი და გულისხმიერნი უნდა გახდნენ. საჭიროა ინტერვიუების მიცემა და სატელევიზიო შოუებში მონაწილეობა. ამგვარად, გულშემატკივრები ჩვენზე შეხედულებას შეიცვლიან და სხვაგვარად მოგვეპყრობიან.“ ■

ალისია

წინააღმდეგობებით სავსე

ალისია სილვერსტოუნი ჰოლივუდს თითქოს არსაიდან მოევლინა. მიუხედავად ამისა, მსახიობს უკვე ათეულობით ფილმში არაერთი საინტერესო როლი აქვს შექმნილი. თავის დროზე, ალისიამ ჯგუფ „აეროსმიტის“ ვიდეოკლიპებით მიიპყრო ყურადღება. სურათში — „ცნების გარეშე“ შესრულებული როლის შემდეგ კი, ახალგაზრდა თაობის კერპად იქცა. ამჟამად ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ ჰოლივუდს კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატა.

სექსსიმბოლოს არასასურველი „ტიტული“

თავად მსახიობი ჟურნალისტების მიერ მისთვის მიკუთვნებულ „სექსსიმბოლოს ტიტულს“ არ აღიარებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი რამ უდავოა – თავისი თაობის უამრავი ამერიკელი ყმაწვილი მან ჭკუაზე შეშალა. თუმცა, ამ ყმაწვილების გაგებაც არ არის ძნელი, სილვერსტოუნი ხომ ყურადღების ცენტრში მოქცევის დიდოსტატია. ამერიკელების აზრით კი, ალისია საამისოდ საკმაოდ არატრადიციულ ხერხებს მიმართავს. ერთი შეხედვით, მასში განსაკუთრებულს თითქოს ვერაფერს აღმოაჩენთ. მართალია, ის საკმაოდ სიმპათიურია, მაგრამ გარდა ამისა, მას აქვს რაღაც განსაკუთრებული ხიბლი, რომლის მიღმაც, რაღაც უჩვეულო და საბედისწერო იგრძნობა. მის გარეგნობაში ერთმანეთს ერწყმის გულუბრყვილო, უმანკო გოგონასა და ქალი-ვამპირის ხატება. ალისიას მომხიბვლელობა მხოლოდ მაყურებელს კი არა, კინოპროდიუსერებსაც ატყვევებს. ისინი კი, თავის მხრივ, ჰოლივუდის მწვერვალისაკენ უკაფავენ გზას. რამდენიმე წლის წინ, კინოსტუდია Columbia-ს ხელმძღვანელმა სილვერსტოუნთან ათმილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამ მოულოდნელმა ამბავმა მთელი „ოცნებათა ფაბრიკა“ შეძრა. ბუნებრივია, ნორჩი მეტიჩარას წარმატებამ, ჰოლივუდის „მხცოვანი“, მაგრამ ნაკლები ანაზღაურების მქონე მსახიობები განსაკუთრებით გააღიზიანა. ამ სიტუაციაში ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ თავად „მეტიჩარა“ ათმილიონიან ჰონორარს სულაც არ მიიჩნევდა უჩვეულოდ დიდ ანაზღაურებად და აცხადებდა: „ჩემთვის ეს არცთუ ისე დიდი თანხაა. მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი ნახევარი გადასახადებს მოხმარდება, 10% ჩემი აგენტის ანაზღაურებას, 5% – ადვოკატს, ამას ბუღალტრისა და პრესატაშეს ხელფასიც მიუმატეთ და... თუმცა, ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ასეთი შანსი მომეცა“. როგორც ჩანს, სილვერსტოუნს ანგარიში ნამდვილად ეხერხება.

მსახიობობასთან პროდიუსერის ფუნქციების შეთავსების პირველმა მცდელობამ ალისიას წარმატება ვერ მოუტანა (პროექტი – „ზედმეტი ბარგი“ მაყურებელმა საკმაოდ გულგრილად მიიღო), მაგრამ მსახიობი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს: „წარუმატებლობა ჩემთვის სიახლე არ გახლავთ. კარიერაში მოულოდნელი წარმატების მიუხედავად, ცხოვრებაში უამრავი რამ მაქვს გადატანილი“. 16 წლის ასაკში მშობლებმა ალისიას იურიდიული თავისუფლება მიანიჭეს. გოგონა საკუთარ შემოსავალსაც თავად განკარგავდა და კარიერის შექმნაც დამოუკიდებლად მოახერხა. „მაშინაც კი, როცა პატარა ვიყავი, მსურდა, რომ საკუთარი ჯიბის ფული თავადვე მეშოვა. ფხიანიც აღმოვჩნდი და დამოუკიდებელი ცხოვრებაც ადრეულ ასაკში დავიწყე“, – იხსენებს ვარსკვლავი.

სხვათა შორის, შესაძლოა, დამოუკიდებლობისკენ ასეთი ძლიერი ლტოლვა, სილვერსტოუნის ინგლისური წარმომავლობით იყოს განპირობებული.

დამოუკიდებელი დებიუტანტი

მსახიობის მამა, მონტი სილვერსტოუნი ინგლისში დაიბადა და მთელი ცხოვრება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული. ასეთი პროზაული პროფესიის მიუხედავად, ის ყოველთვის მსახიობობაზე ოცნებობდა. მართალია, მის ოცნებას განხორციელება არ ეწერა, მაგრამ როგორც ჩანს, მონტიმ ის მემკვიდრეობით გადასცა თავის ქალიშვილს, რომელიც სილვერსტოუნებს ამერიკაში გადაბარგებისთანავე – 1976 წლის 6 ოქტომბერს შეეძინათ, ალისია სულ რაღაც ექვ-

სიოდე წლის გახლდათ, როცა მამამ უკვე მის ფოტომოდელობაზე დაიწყო ზრუნვა. მან გოგონას ფოტოსურათები სხვადასხვა სარეკლამო სააგენტოს დაუგზავნა და 8 წლის ასაკში ალისიას ფოტოები უკვე ჟურნალებში იბეჭდებოდა. სილვერსტოუნი იხსენებს, რომ ბავშვობაში ფოტოკამერის წინ პოზირებას სასტიკად ვერ იტანდა, მაგრამ მას მამისგან ქების მოსმენა სურდა და ცდილობდა, ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა. სხვათა შორის, ფოტომოდელობამ ალისიას კინოკარიერის შექმნაში ვერანაირი სამსახური ვერ გაუწია.

გოგონამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ამ საქმისთვის დამოუკიდებლად მოეკიდა ხელი – სამსახიობო კურსებზე ჩაეწერა და სასწრაფოდ აგენტ კეროლაინ კესლერს დაუკავშირდა. მომავალი ვარსკვლავი ასაკისათვის შეუფერებელი გონივრულობით გამოირჩეოდა. სკოლაში სწავლისას, მისი ეს თვისება მასწავლებლებს ზოგჯერ აღიზიანებდათ კიდეც. „ისინი ამბობდნენ, რომ მე აუტანელი გახლდით, რადგან უამრავი ისეთი რამ ვიცოდი, რაც ჩემი ასაკის ბავშვს არ უნდა სცოდნოდა“. საკუთარი განვითარებით ალისია თანატოლებს ყოველთვის ყველაფერში უსწრებდა. 14 წლის ასაკში ის უკვე ლოს-ანჯელესში დამოუკიდებლად ცხოვრობდა, სწავლობდა და საქვეყნოდ სახელგანთქმული მელროუზის ბულვარის მახლობლად მდებარე რესტორანში ოფიციანტადაც მუშაობდა...

ასე იყო თუ ისე, გოგონამ საკუთარ კარიერას საძირკველი თავადვე ჩაუყარა და სულ მალე, კეროლაინ კესლერის მეშვეობით სერიალში – „მე და ნიკი“ როლიც მიიღო. მართალია, სერიალი მოკლე ხანში დახურეს, მაგრამ სილვერსტოუნმა ამასობაში ახალი წინადადება მიიღო და გოგონა ახალგაზრდულ ტრილერში – „ცალმხრივი გატაცება“ გადაიღეს. დამწყები მსახიობისთვის პირველი სერიოზული როლის შესრულება 15 წლის ასაკში, მართლაც რომ დიდი გამოცდა გახლდათ. ახალბედა მსახიობმა ფილმში 14 წლის მოსწავლე გოგონას სახე შექმნა, რომელიც გატაცებული იყო ახალგაზრდა ჟურნალისტით და სულ თან დასდევდა მას. ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, „ცალმხრივ გატაცებას“ საკმაოდ ცუდი გამოხმაურება ჰქონდა; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კინოკრიტიკოსებმა დაინდეს გულუბრყვილო დებიუტანტი და მასზე ცუდი არაფერი დაუწერიათ.

ამასობაში სილვერსტოუნი ტელევიზიაში სამუშაოდ მიიწვიეს; პარალელურად მას იღებდნენ დეტექტივში – „ნამდვილი დანაშაული“. გოგონა კინობიზნესის ველურ სამყაროში გზის გაკვლევას დამოუკიდებლად ცდილობდა, ამას ემატებოდა ისიც, რომ საკმაოდ მტკიცე პოზიციას იკავებდა, როცა მისგან ეკრანზე გაშიშვლებას მოითხოვდნენ. ყოველივე ამან, დამწყები მსახიობის კარიერას საფრთხე შეუქმნა...

თუმცა, 1994 წლის MTV-ს დაჯილდოების ცერემონიაზე მისთვის ძალზე ხელსაყრელად განვითარდა მოვლენები. ყველასათვის მოულოდნელად გაირკვა, რომ ვიდეოკასეტებზე გამოშვებული „ცალმხრივი გატაცება“ ახალგაზრდებს შორის საოცრად პოპულარული იყო. სილვერსტოუნმა MTV-ს ორი ჯილდო („საუკეთესო დებიუტი“ და „საუკეთესო უარყოფითი როლი“) დაიმსახურა და სეზონის ყველაზე მოდურ ახალგაზრდა მსახიობად იქცა.

გოგონა ულიპებიდან

მომავალი ვარსკვლავისათვის ეს მხოლოდ დასაწყისი გახლდათ. სუპერპოპულარობის მოსაპოვებლად ალისიას „საკუთარი სახის“ ჩვენება სჭირდებოდა. ამის შესაძლებლობაც მალე მიეცა – ის ჯგუფ „აეროსმიტის“ კლიპებში გადაღებებზე მიიწვიეს. პარადოქსულია, მაგრამ ოლიმპზე ასასვლელად ალისიას ვრცელი ტექსტის დაზეპირება სულაც არ დასჭირვებია. „აეროსმიტის“ კლიპებში თავზეხელაღებული გოგონას როლში გამოჩენამ, ის ამერიკელი თანატოლების გულთამპყრობლად აქცია. ყმაწვილებმა ეკრანზე მისი გამოჩენისთანავე გააცნობიერეს, რომ ქერათმიანი, ომხიბლავი გოგონა, მათი ოცნების ქალიშვილი გახლდათ. თავად ალისია, საკუთარი კარიერის ამ ეტაპს საკმაოდ უმნიშვნელოდ აფასებს: „გულახდილად რომ გითხრათ, მიმაჩნია, რომ ამ კლიპებს საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სინამდვილეში, ამან არაფერი მომცა, გარდა იმისა, რომ ჩემი სახე ეკრანზე გამოჩნდა. გადაღებებზე სამი დღე გავატარე და ფული იმაში გადამიხადეს, რომ რამდენიმე ყმაწვილკაცს სახეში გავულაწუნე, პანღური ამოვარტყი და ხიდიდან გადმოვხტი. იქ ისეთი რამეების კეთება მიხდებოდა, რასაც ალბათ რეალურ ცხოვრებაში ვერასოდეს გავაკეთებ. იმ ყმაწვილებთან ერთად, მშვენიერ დროს ვატარებდი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს, ჩემს კარიერაში წინგადადგმული ნაბიჯი არ გახლდათ“.

ფრაზა გენიალური

ქალების ორი კატეგორია არსებობს: გულმავიწყები, რომლებსაც მუდამ რჩებათ დივანზე ხელთათმანები და ყურადღებიანები, რომლებსაც მუდამ მოაქვთ შინ ცალი ხელთათმანი...

მარლენ დიტრიხი

მშობლებთან ერთად

მაყურებლის სიყვარული სილვერსტოუნს სიამოვნებდა, მაგრამ ამასთან, სიტუაციასაც ობიექტურად აფასებდა: ის აცნობიერებდა, რომ მაყურებლისა და ჰოლივუდის სიყვარული ერთი და იგივე სულაც არ გახლდათ – მას ხომ პოპულარობა საეჭვო დონის ფილმებსა და კლიპებში მონაწილეობით ჰქონდა მოპოვებული. სწორედ ამიტომ, მან კინობიზნესის სფეროში ჭეშმარიტი მსახიობის რეპუტაციის მოპოვება დაისახა მიზნად და მის მისაღწევად გზის ძებნა დაიწყო. სილვერსტოუნმა მონაწილეობა მიიღო ფრანგი მაესტროს, ალენ კორნოს პროექტში – „ახალი სამყარო", მაგრამ არ გაუმართლა – რეჟისორის სამშობლოშიც კი, ფილმი საკმაოდ ცივად მიიღეს. ამის შემდეგ, ალისია, ბერტოლუჩის „წარმავალ სილამაზეში" როლის მიღებას ცდილობდა, მაგრამ ამ ჭიდილშიც „აეროსმიტის" კლიპებში მისმა პარტნიორმა, ლივ ტაილერმა გაიმარჯვა. ნორჩ ვარსკვლავს მოვლენების ასეთი განვითარება ხელს არ აძლევდა და ამიტომ ის კვლავ ძველ, კარგად გაკვალულ გზას დაუბრუნდა: 1995 წელს, მსუბუქი ჟანრის ფილმით – „ცნების გარეშე" (სურათი სერიალ „ბევერლი ჰილზი 90210"-ის სრულმეტრაჟიან ვარიანტს წარმოადგენდა) სილვერსტოუნმა მოზარდთა წრეში ფურორი მოახდინა. სწორედ ამ ფილმში მოპოვებული წარმატების შემდეგ გაუფორმა მას ათმილიონიანი კონტრაქტი კინოსტუდია Columbia-ს ხელმძღვანელმა. „ზედმეტ ბარგს" მოჰყვა „ბეტმენისა და რობინის" ცნობილ პროექტში მონაწილეობა. აი, „გულთამპყრობლებში" შესრულებულმა მთავარმა როლმა კი, ალისია ჰოლივუდის ნამდვილ ვარსკვლავად აქცია. ამ ფილმში სილვერსტოუნს პარტნიორობა გაუწია ამერიკული კინოს ვეტერანმა ანჟელიკა ჰიუსტონმა. მამაკაცთა გულთამპყრობელი თაღლითი დედა-შვილის როლის შემსრულებლები ალბათ დიდხანს დაამახსოვრდება მაყურებელს.

„უკარება ამერიკელი"

უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ცხოვრებაში ალისია სწორედ ისე იქცევა, როგორც მისი კინოგმირი შერი, კომედიიდან „ცნების გარეშე" – ანუ უყვარს ჩაცმა-დახურვა, მაღაზიებში სიარული და მხიარულად დროს ტარება. სინამდვილეში, ახალგაზრდა ვარსკვლავი სრულიად სხვაგვარად ცხოვრობს. „სულაც არ ვგიჟდები ჩაცმაზე და ხშირად იმასაც კი არ ვაქცევ ყურადღებას, რა მაცვია, – ამბობს ალისია. – არც მაღაზიებში სიარული მიყვარს, განსაკუთრებით მაშინ, თუ საცურაო კოსტიუმის ყიდვა მაქვს გადაწყვეტილი. ყველაზე უკეთ კი, ჯინსსა და სპორტულ მაისურში გამოწყობილი ვგრძნობ თავს". გარდა ამისა, სილვერსტოუნი სიმორცხვითაც გამოირჩევა. ეკრანზე შიშვლად გამოჩენის სასტიკი წინააღმდეგია და უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, როცა ეკრანზე საკუთარი სექსუალური მომხიბვლელობის გამოვლინება უხდება. მას არც პარტნიორებთან ხვევნა-კოცნა ხიბლავს და აღიარებს, რომ ასეთ დროს, ვერანაირ სიამოვნებას ვერ განიცდის. „ეს ჩემთვის სამუშაოა და მეტი არაფერი", – ამბობს ალისია. მისი სიტყვების სიმართლე ბლოკბასტერების დაჯილდოების ცერემონიაზე დადასტურდა, როცა მანჭია ჯიმ კერის კოცნამ ალისია ისე დააბნია და შეაკრთო, რომ ყურებამდე გაწითლდა. სილვერსტოუნის არაერთი მოშურნე ჰოლივუდში მისი სექსუალური ორიენტაციის თაობაზე ჭორებსაც კი ავრცელებს. ალისიას ბრალს სდებდნენ ლესბოსელობაში და ამის მამტკიცებელ საბუთად კეროლაინ კესლერთან მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას იშველიებდნენ. ალისია კი აცხადებს, რომ არც მსგავსი ბინძური ჭორების გასაბათილებლად და არც ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობისთვის მას დრო არ ჰყოფნის.

მას მოსწონს ჯონი დეპი, ლეონარდო დი კაპრიო, მაგრამ საკუთარ თავს მათი ფანატების რიგს არ მიაკუთვნებს. სილვერსტოუნი აღიარებს, რომ გულწრფელად უყვარდა რივერ ფენიქსი (ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც ნარკოტიკის დიდმა დოზამ იმსხვერპლა). „მე მის ცოლობაზე ვოცნებობდი", – იხსენებს მსახიობი. რაც შეეხება პრესის მიერ მისთვის „ახალი სექსუალური თოჯინის" იმიჯის მიკერებას, სილვერსტოუნს ძალზე აღიზიანებს ეს და როგორც კი ვინმე მისი თანდასწრებით ამ თემას ეხება, იმწამსვე ფურიად გადაიქცევა ხოლმე.

წინააღმდეგობრივი ნატურის ალისიას შეუძლია, ფისუნიასავით საყვარელი, იმავდროულად კი, დობერმანივით ძლიერი იყოს; ბუნებით რომანტიკოსია, მაგრამ ამქვეყნად საკუთარი მეორე ნახევრის პოვნა უჭირს; საოცრად მტკიცე ხასიათით გამოირჩევა, მაგრამ ამასთანავე აღიარებს, რომ საკუთარი მენეჯერის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. ის არის მსახიობი, რომელსაც არ უყვარს ჰოლივუდი; პროდიუსერი, რომელიც იოლ გამარჯვებას არ ეძებს. დაბოლოს, ის არის ქალი, რომელიც შინ ვეგეტარიანული საკვებით იკვებება, ხოლო რესტორანში თანმხლების მიერ დატოვებულ ბიფშტექსის ნაჭერსაც კი, სიამოვნებით მიირთმევს. ■

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-46

დეა ავალიანს, რომელიც კარგა ხანია, მოსკოვში იმყოფება და წარმატებით უძღვება კანონიერი ქურდის — გიგოლასა და მისი პარტნიორის — ბადრი პატარიძის ტელეკომპანიის ტოქშოუს, საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი ბავშვის გაჩენა, თუმცა, დანამდვილებით თავადაც არ იცის, თუ ვისგანაა ორსულად — გიგოლასგან, მისი საყვარლის, ელას შვილის — დიმასაგან თუ გურამ ოდიშელიძისგან, რომელსაც თბილისში განშორებიდან კარგა ხნის შემდეგ, რუსეთის დედაქალაქში შეხვდა.

გიგოლა, რომელზეც რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა თავდასხმა მოაწყო, გამოვიდა კომიდან და დღითი დღე, უკეთ და უკეთ გრძნობს თავს. ამ დროს, პატარიძე თავის სატელევიზიო ბიზნესს ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხზე აყენებს და დეასაც, როგორც ჟურნალისტს, გზას უკაფავს. გიგოლას ეჭვი უჩნდება, რომ მისი მკვლელობის მცდელობაში ბადრის ხელი ურევია. ის ორივეს ულრენს, პატარიძეს კი პირდაპირ ბრალდებას უყენებს. ამის გამო ბადრი დეაზე მიიტანს იერიშს: გიგოლას ჩემს წინააღმდეგ შენ განაწყობო. წონასწორობიდან გამოსული დეა იქით დაემუქრება პატარიძეს: შენი ტოქშოუდან ხვალვე წავალო. დამფრთხალი ბადრი ქალს ისევ დაუტკბება. დეა ამ მომენტით ისარგებლებს და პატარიძეს პირობას წაუყენებს: თუ გინდა, საათივით აწყობილი საქმე არ ჩაგიგდო, გიგოლა მართლა უნდა მოაკვლევინოო... გიგოლას, ბადრისა და დეას შორის მწვავე გარჩევა მოხდება. საავადმყოფოში რაღაცით გაცეცხლებული თემოც მიდის და დეას ეუბნება — გიგოლასთვის მნიშვნელოვანი ამბავი მაქვს სათქმელიო. საღამოს კი, შინ დაბრუნებულ დეას, სასოწარკვეთილი ელა დახვდება და აცნობებს: სულ ცოტა ხნის წინ, გიგოლა პალატაში უმოწყალოდ ჩაცხრილესო.

ელას ბოლო სიტყვების გაგონებაზე, დეა ისე უცნაურად შეტორტმანდა, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამოეცალაო. დამფრთხალმა ელამ მას მაშინვე ხელი შეაშველა:

— ცუდად ხომ არა ხარ?

— რა ვიცი, აბა... — აქეთ-იქით თვალების უცნაური ცეცება დაიწყო დეამ. — სასწრაფოდ უნდა ჩამოვჯდე, თორემ ნამდვილად დავეცემი.

ელა მაშინვე მხარქვეშ შეუდგა დეას და ხელი წელზე შემოხვია:

— აბა, კარგად დამეყრდენი, ოთახში შევიდეთ და ცოტა ხანს წამოწექი...

დეა ელას ოთახში სვენებ-სვენებით შეჰყვა და მაშინვე ტახტზე ჩამოჯდა. ელამ კი იქვე მიმოფანტული ბალიშები წამოკრიფა და წამოსაწოლი ადგილი გაუთავისუფლა. დეა ნელ-ნელა წამოწვა და ცრემლიანი თვალები მილულა. ელამ გაფითრებულ დეას ერთხანს თანაგრძნობით უცქირა და შემდეგ უთხრა:

— კარგი, ჰო... გულის გახეთქვითა და ლოყების დახოკვით გიგოლას ველარაფერს ვუშველით...

— ნამდვილად მოკვდა? — უცბად გულუბრყვილოდ ჰკითხა მას დეამ. — იქნებ, მაშინდელივით გადარჩა?..

— სანამ საკუთარი თვალით არ ვნახე, მეც ეგრე წყალწაღებულივით ვეჭიდებოდი ხავსს...

— როგორ?.. — ტახტიდან წამოიწია თვალებაცრემლებული დეა. — შენ უკვე საავადმყოფოშიც იყავი?

— ვიყავი. აბა, რა გული გამიძლებდა?! — ცრემლები ღაპაღუპით წასკდა ელასაც. — მაშინვე მოკვდაო, ექიმმა მითხრა. საცერივით დაუცხრილავს იმ არაკაცს და აბა, რაღა გადაარჩენდა?!

— ვის?

— რა ვის? — კითხვას უცბად ვერ მიუხვდა ელა.

— ვის დაუცხრილავს?.. ბიჭებმა რა თქვეს — ვისზე გვაქვს ეჭვიო?

— ეჭვი კი არა, ზუსტად იციან.

— მართლა? — ძლივსღა წაიჩურჩულა დეამ.

— ჰო... — სლუკუნზე გადავიდა ელა. — ისე, ახია გიგოლაზე! სულ ვეუბნებოდი, ყველა ძაღლსა და მამაძაღლს გვერდით ნუ იყენებ-მეთქი, მაგრამ ვინ დამიგდო ყური?!.

— ელა, გეხვეწები! — ამოიკვნესა დეამ. — სული ნუ ამომხადე! მითხარი, ვინაა მკვლელი?

— მიშკა ქილერა.

— ვი-ინ?

— გიგოლას ახალი მცველი — მიშა ხუროძე... ქილერას ბიჭები ეძახდნენ... — ამოისლუკუნა ელამ. — შენ, მგონი, საერთოდ არ იცნობ, ხომ?

— არა, — ასლუკუნდა დეაც, თუმცა, გულის სიღრმეში, აშკარა შვებაც იგრძნო...

— იცი, რა დამემართა, ეს რომ გავიგე? — ისევ განაგრძო ელამ. — ქილერასგან ამას აბა, ვინ წარმოიდგენდა?! ყველას, გიგოლაზე გადამკვდარი ეგონა... ერთხელ მახსოვს, ქილერა ჩემი და გიგოლას კამათს შეესწრო და ისეთი თვალებით მიყურებდა, ვიფიქრე, ან ახლა დამახლის ტყვიას და ან ახლა-მეთქი... ამ ბოლო ხანს, გიგის კიდეც ვეხუმრებოდი — მუდამ ისე აჩრდილივით დაგდევს უკან, რომ ერთხელაც სამინებელში რომ შემოგვყვეს და შუაში ჩაგვიწვეს, მგონი, ისიც აღარ გამიკვირდება-მეთქი...

— მერე გიგოლამ რა გიპასუხა?

— არ იცი, რა ცინიკოსიცაა?.. უფრო სწორად — იყო... — წარსულ დროში ძლივს მოიხსენია ელამ გიგოლა. — ჯერ დამცინავად გაეღიმა და მერე მითხრა: თუ „ჩემი“ აღარ გყოფნის, პირდაპირ მითხარიო... ქილერას კი, თავის მარჯვენა ხელს ეძახდა. ეგეთი ერთგული, საკუთარი შვილი რომ მყოლოდა, ისიც კი არ იქნებოდაო... ჰოდა, ხომ „უერთგულა“?! მთელი „აბიომა“ დაუნანებლად დააცალა ზედ... ისე, ერთი ამბავიც არ ამომდის ტვინიდან...

— რა ამბავი? — სასწრაფოდ ყურები ცქვიტა დეამ.

— რა და ამ ბოლო ხანებში, რაც გიგოლა საავადმყოფოში იწვა, ბადრი პატარიძეს სულ ქილერასთან ატუზულს ვხედავდი... თავი მომჭერი, თუ ამ დამპალმა არ წააქეზა, მაგრამ რად გინდა? — ქილერა უკვე გაქცეულია, პატარიძე კი, ძველებურად ნიანგის ცრემლებს ღვრის...

უკიდურესობამდე დაძაბულმა დეამ ელას ვაი-ვიშს ველარ გაუძლო და წამოდგომა სცადა, მაგრამ წამოდგა თუ არა, მაშინვე შეტორტმანდა და პირდაპირ ელას დაემხო...

ორი წლის შემდეგ

მოსკოვის აეროპორტში დეას განსაკუთრებული ხალხმრავლობა დახვდა. უამინდობის გამო, უამრავი რეისი იყო გადადებული. ის იყო, დეამ აეროპორტის უზარმაზარ ტაბლოზე გადადებული რეისების ჩამონათვალში თბილისის რეისის ძებნაც დაიწყო, რომ მხარზე ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო. დეა სასწრაფოდ მიტრიალდა და გაოცებისგან პირი დააღო:

— გურამ, შე-ენ?..

— ჰო, მე ვარ, მე! — სიხარულით ხელები ისე გაშალა გურამმა, თითქოს დეას გულში ჩაკვრას აპირებსო.

თავად დეამ მაშინვე უკან დაიხია, თუმცა, ჩამოსართმევად მაინც გაუწოდა ხელი. გურამმა კი, უხერხულობის დასაფარავად, ორივე ხელი ჩამოართვა და კარგა ხანს აღარ გაუშვია.

ბოლოს, დეამ თითქმის ძალით გააშვებინა გურამს ხელი, შემდეგ ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა და მზერა მის მოძალებულ ჭაღარაზე შეაჩერა.

— დავბერდი, ხომ? — ისე უხერხულად შეიშმუშნა გურამი, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

— არა, სიბერემდე ჯერ ბევრი გიკლია, — დაამშვიდა დეამ. — ჭაღარა კი, პრინციპში, გიხდება კიდეც...

— აი, შენ კი, მართლა საოცრად დამშვენებულხარ, — დეას კომპლიმენტს, მაშინვე საკუთარი შეაგება გურამმა. — საით გაგიწევია?

— თბილისში მივფრინავ.

— რა დამთხვევაა! — მეც.

— სამშობლოშიც საქმიანი ვიზიტით ჩადიხარ? — ხმაში ირონია გამოურია დეამ.

— არა. საერთოდ ვბრუნდები.

— რას მეუბნები?.. მერე გერმანია? შენი ბიზნესი?..

— ჩემმა ბიზნესმა ჩაილურის წყალი დალია... გერმანიას კი, არც ჩემი იქ ყოფნით შემატებია რამე და ალბათ არც წამოსვლით დააკლდება...

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა დეამ. — ცოლ-შვილიც ჩამოიყვანე?

— რომელი ცოლ-შვილი? — ფერი ეცვალა გურამს. — შენ ჩემი ცოლ-შვილის ამბავი ვინღა გითხრა?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი, — დამცინავად გაეღიმა დეას.

— რომელმა ჩიტმა? — სულ მთლად დაიბნა გურამი.

— კარგი, რა, გურამ, — გაეღიმა დეას. — იუმორის გრძნობა მართლა ხომ არ დაკარგე?! უბრალოდ, გეხუმრე... შენი ცოლ-შვილის ამბავი მე აბა, საიდან უნდა მცოდნოდა? მართლა ჩიტი ხომ არ ჩამიჭიკჭიკებდა?..

— ჰო-ო... — თვალები დაბნეულად დახარა გურამმა. — ისე, შენი „ჩიტი“ მაინც მაგარი „კაგებეშნიკი“ ყოფილა: შენ წარმოიდგინე, ცოლიც მართლა მყავს და შვილიც... უფრო სწორად, მყავდა...

— რას ჰქვია, გყავდა? ცოლს ხომ არ გაეყარე?

— არა, თვითონ გამეყარა.

— შვილი?

— სასამართლომ შვილიც მას მიაკუთვნა.

— მერე შენ? — სახეზე აშკარა სიბრალული აღებეჭდა დეას.

— მე — ბუს კვერცხები... გერმანიის სასამართლო, პირველ რიგში, თავისი მოქალაქის ინტერესებს იცავს.

— ყველაფერი გასაგებია... — მრავალმნიშვნელოვნად დაასკვნა დეამ და სწორედ იმწუთას, აეროპორტის მორიგის გამყინავი ხმა გაისმა. მან რამდენიმე რეისის განახლების ამბავი გამოაცხადა. მათ შორის, თბილისის რეისიც აღმოჩნდა.

დეა მაშინვე წასასვლელად მოემზადა, გურამმა კი საკუთარ ბარგს წამოავლო ხელი და თან, ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს რაღაცას ეძებდა.

— რა იყო? — ჰკითხა დეამ. — რამე ხომ არ დაკარგე?

— არა... შენი ბარგი სად არის?.. რეგისტრაციის ადგილამდე მიგატანინებ...

— ბარგი არა მაქვს. გუშინ ახლობელი გავაცილე თბილისში და იმას გავაყოლე...

— თბილისში დიდი ხანი დარჩები?

— კი.

— მაინც რამდენი?

— მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება... ისე კი, უკვე ნახევარი წელია, რაც იქ ვცხოვრობ...

— მართლა? — გაუხარდა გურამს. — ეგ ნამდვილად არ ვიცოდი.

— რატომ მერე? შენ კი, ვერ დაიქირავე ერთი „კაგებეშნიკი“ ჩიტი?

— ჩემთან ჩიტებს რა უნდათ? — უმეტესად, ყვავები დამჩხავიან ხოლმე...

— რას მეუბნები?.. — პირზე დამცინავ ღიმილს აღარ იშორებდა დეა. — ბევრნი არიან?

— კი, ბლომად... ისე, ყველაზე დიდი და საშიში მაინც შენი გიგოლა იყო...

გიგოლას ხსენებაზე, დეას პირზე ღიმილი შეაშრა:

— შენთვის არავის უსწავლებია, რომ მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი?..

— მგონი, ჯერ პრაქტიკულად არაფერი მითქვამს... — დაიბნა გურამი.

— ჰოდა, ნურც იტყვი... — მაშინვე მოუჭრა დეამ...

რეგისტრაციის გასავლელად გაჭიმული გრძელი რიგი ისე უცებ გაილია, რომ დეასა და გურამს ხმა თითქმის აღარ ამოუღიათ. თვითმფრინავში შესვლისას კი, ერთმანეთს მხოლოდ რამდენიმე მორიგი ფრაზა ესროლეს და თავ-თავიანთ ადგილებს მიაშურეს. როგორც კი დეამ აღმოაჩინა, რომ ის და გურამი მარტო სხვადასხვა ადგილზე კი არა, სხვადასხვა სალონშიც კი აღმოჩნდნენ, საბოლოოდ შვებით ამოისუნთქა...

დეას გვერდით ახალგაზრდა მოსკოველი წყვილი დაჯდა. გოგონა გაუთავებლად ლაქლაქებდა, ბიჭი კი მის ქაქანს, ძირითადად, შორისდებულებით პასუხობდა და როგორც კი გოგონა წამით მაინც გააკეთებდა პაუზას, მაშინვე ტუჩებში კოცნიდა.

ილუმინატორთან თავისთვის მიმჯდარი დეა წყვილისკენ ხანდახან თუ გააპარებდა თვალს და მათ მოურიდებელ ხვევნა-კოცნაზე ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა. მოგვიანებით, როცა ლაქლაქითა და ალერსით გული იჯერა, ქალ-ვაჟმა დეაც შენიშნა. გოგონამ მასში მაშინვე, დიკა დიბროვა ამოიცნო და საუბარიც გახურდა.

როგორც გაირკვა, ვაჟს სერგეი ერქვა, ქალიშვილს — სვეტლანა, თუმცა, ვაჟი მას ჯიუტად სვეტკას ეძახდა. ორი თვის შეუღლებულები აღმოჩნდნენ. თბილისში კი, სერგეის ძმაკაცთან მიდიოდნენ. ძმაკაცს ლუკა ერქვა და სვეტკას თურმე, მთაში ჯიხვზე სანადიროდ წაყვანასაც კი შეჰპირებია.

– Скажите, пожалуйста, – მიუბრუნდა უცბად სვეტკა დეას, – у вас в горах правда водятся горные козы?

– Точно не знаю, но думаю, что да, – უპასუხა დეამ.

– Водятся, детка, водятся. Ты их в Тбилиси на каждом шагу встретишь... – ეშმაკურად გაეღიმა სერგეის და თან, აქაოდა, ხომ მართლა მახვილგონივრულად ვიხუმრეო, დეას თვალიც კი ჩაუკრა. მაგრამ დეას არ გაღიმებია. სერგეი საკუთარ უტაქტობას მაშინვე მიხვდა, ერთი უხერხულად ჩაახველა და სულ სხვა თემაზე ალაპარაკდა, მაგრამ საუბარი აღარ აეწყო...

ამასობაში, თვითმფრინავმა სიმაღლე ბოლომდე აკრიბა და სტიუარდესამ მგზავრებს სალონში თავისუფლად გადაადგილების ნება მისცა. სერგეი და სვეტკა სასწრაფოდ წამოხტნენ და ტუალეტისკენ გაქანდნენ. მოგვიანებით კი, ათასნაირი წვენი და ტკბილეული იყიდეს და დეასაც შესთავაზეს. მაგრამ მან წყვილისგან თავი ბოლომდე შორს დაიჭირა. ცოტა ხანში კი, თვლემაც მოერია.

...დეამ უცნაური სიზმარი ნახა, თუმცა, გამოღვიძებულმა, მარტო ისღა გაიხსენა, რომ ძილში ჩიტივით დაფრინავდა. აშკარად ნასიამოვნებმა, ისევ თვლემა განაგრძო. თუმცა, ჯერ მეზობლების ჩურჩულმა აღარ მოასვენა, შემდეგ ჩოჩქოლმა. დეამ ძალით გაახილა თვალები, მაგრამ მეზობლებისკენ გახედვაც კი დაეზარა. ცოტა ხანს, ილუმინატორს იქით, ცხვრის ფარასავით ჩავლილ ღრუბლის ფთილებს გააყოლა თვალი და მერე ისევ ძილს მისცა თავი.

ჩაეძინა თუ არა, სიზმარიც განმეორდა, ოღონდ ამჯერად, დეა მთის ქიმზე აღმოჩნდა, საიდანაც ჯერ მძიმედ გადმოეშვა, მაგრამ შუა გზაში ხელები ფრთებივით გაშალა და ჰაერში ფარფატი დაიწყო...

უცბად, დეას მხარზე ვიღაც ჰაეროვნად შეეხო და შემდეგ ტუჩებზეც ისე მსუბუქად ეამბორა, თითქოს პეპელა დააფრინდაო... დეამ ჯერ ნელ-ნელა გაახილა თვალები, მაგრამ როგორც კი მის გვერდით მჯდარი გურამ ოდიშელიძე დაინახა, მაშინვე თვალები დააჭყიტა:

– შე-ენ?.. შენ აქ საიდანღა გაჩნდი?.. ვინ დაგიძახა?..

– ვინ და შენმა ჩიტმა: დეამ უშენოდ მოიწყინა და გაართეო...

– რომელმა ჩიტმა? – შეცბა დეა.

– დაგავიწყდა, „კაგებეშნიკი“ ჩიტი რომ გყავს?

– ა-ა... – უცნაურად გაწელა დეამ. – მეც არ გამიკვირდა...

– მაინც?.. რა გაგიკვირდა?..

– არა, არაფერი... – თვალები გამეტებით მოისრისა დეამ. – უბრალოდ, წეღან, სიზმარში მეც თითქოს ჩიტი ვიყავი... უფრო სწორად, ჩიტივით დავფრინავდი და ახლა უცბად, შენც რომ ჩიტზე ალაპარაკდი, გამიკვირდა – ამან საიდანღა იცის-მეთქი?..

– მართლა დაფრინავდი? – სიხარულით აიტაცა დეას ნათქვამი გურამმა. – იცი, სიზმარში ფრენა რა კარგია?

– ვიცი. ბავშვობაში ასეთ სიზმარს რომ ვნახავდი, დედა სიხარულით ჩამიკრავდა ხოლმე გულში: ესე იგი, იზრდებიო... ახლა კი, ალბათ, ვბერდები, ხომ?..

– ჯერ რა დროს შენი სიბერეა?! – შეიცხადა გურამმა. – ცხოვრება ახლა უნდა დაიწყო...

– ე-ეჰ, – ამოიოხრა დეამ, – სამწუხაროდ, ერთი ცხოვრებით უკვე ვიცხოვრე და იმდენად დავიღალე, რომ ახალს ძნელადღა დავიწყებ... ჰო, მართლა – რომ დავიძინე, ჩემ გვერდით მშვენიერი წყვილი ივჯდა. ისინი სადღა აორთქლე?

– ორივე დავხოცე, ნაწილ-ნაწილ ავქენი, ტომარაში ჩავყარე და ილუმინატორიდან გადავუძახე.

– ფუ, რა ნატურალიზმია!.. – ზიზღით ტუჩები დაბრიცა დეამ. – ისე, ის ბიჭი ნაწილ-ნაწილ აქნას არა, მაგრამ ერთ გემრიელ გასილაქებას კი ნამდვილად იმსახურებდა.

– რატომ? – შუბლი შეიკრა გურამმა. – რამე ხომ არ გაკადრა?

– მე – არა, აი, ქართველ კაცებს კი, გემრიელად გადაგიარათ.

– რას გვერჩოდა?

– რა ვიცი, აბა... ჯიხვებად კი მოგნათლათ და...

– უხ, მე მაგისი!.. – ჩაიბურდღუნა გურამმა. – ეგ რომ მცოდნოდა, მორიდებით კი არ ვთხოვდი – იქნებ, ადგილი გამიცვალოთ-მეთქი, – მეორე სალონში სულ პანღურებით გავათრევდი...

– გაათრევდი და შენი აჯობებდა!.. დაგავიწყდა, რომ ეს ადგილები, კანონით, მას და მის გოგოს ეკუთვნოდა?

– ისე, გოგოს მართლა არ უშავდა რა, ხომ იცი... – გაეღიმა გურამს.

– მერე?.. რაღას ატანდი? გვერდით ვერ მოისვი?..

– არ დამიტოვა, თორემ...

– კარგი, მოვრჩეთ ამ სისულელეებს! – გააწყვეტინა უცბად დეამ. – მითხარი, მე რისთვისღა მომიცუცქდი?

– ძალიან მომინდა შენ გვერდით ყოფნა და იმიტომ... – თვალებში აშკარა ნდომით ჩახედა მას გურამმა.

– სულ ეგ არის?.. – ირონიულად გაეღიმა დეას და თან, საათზე დაიხედა: – კი, ბატონო, იყავი. შენს განკარგულებაში მთელი სამოცდარვა წუთია...

– სამოცდარვა წუთი თუ მთელი დარჩენილი ცხოვრება?..

– არა. მხოლოდ ეს წუთები... პირადად ჩემს ცხოვრებაში შენი ადგილი ნამდვილად აღარ არის.

– რატომ? – მშვიდად ჰკითხა გურამმა.

– იმიტომ, რომ არც ერთი ვაკანტური ადგილი არ დარჩა.

– კარგი, ბატონო, მაშინ დავიწყოთ...

– რა დავიწყოთ?

– ჩამოთვლა... ქმარი გყავს?

– შენ რაში გაინტერესებს?

– სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, პირდაპირ მიპასუხე.

– უქმროდაც მშვენივრად ვცხოვრობ...

– გასაგებია... შვილი თუ გყავს?

– მყავს... ბიჭი...

– რამხელაა?

– ორი წლის ხდება...

– რა ჰქვია?

– ლუკა.

– კარგი სახელია. გვარი?

– ავალიანი.

– შენს გვარზე რატომ გყავს?.. მამიკოს გვარის მიცემა დაენანა?

– არა. ვერ მოასწრო.

– სად ეჩქარებოდა?

– თვითონ – არსად, სხვებმა აჩქარეს და... მოკლეს.

– შენ რა – გიგოლაზე ლაპარაკობ?

– ჰო.

— აკი, ჩემი შვილის მამა ამერიკაშიაო?..

— მოგატყუე...

— ახლაც ხომ არ მატყუებ?

— ახლა — არა.

— კარგი, ბატონო, გიჯერებ... ისე, მაინც, რა გაარკვიეთ? ვინ მოკლა შენი გიგოლა?

— არ ვიცი... ბოლომდე ვერავინ ვერაფერი გაიგო... მე კი, მისი სიკვდილის შემდეგ, კიდევ იმხელა უბედურება დამატყდა თავს, რომ გიგოლა აღარც გამხსენებია...

— რამდენადაც ვიცი, მკვლელი გიგოლას ბიჭებმა გააგორეს, ხომ?

— კი, ჩემმა ძმამ, თემომ მოკლა.

— ახლა სად არის?

— ვინ?

— შენი ძმა.

— თემოც მოკლეს... — ცრემლი მოერია დეას. — ძალიან გთხოვ, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. იმ ამბების გახსენება, ტკივილის მეტს, არაფერს მაყენებს. თანაც, არა მგონია, დეტალები დიდად გაინტერესებდეს...

— პრინციპში, მართალი ხარ. თან, ბევრი რამ უშენოდაც ვიცი.

— საიდან? — გაუკვირდა დეას.

— ჩემი შეფი და ბადრი პატარიძე ხომ გადასკვნილი ძმაკაცები არიან.

— ა-ა... ჰო, ერთხელ ბადრიმ რაღაც კი მითხრა... მართლა, ხომ არ იცი, თავად ბადრი სადღა აორთქლდა?

— რატომაც არ ვიცი? გერმანიაშია. ერთი ეს მითხარი, შენი ამერიკელი ქმარი სადღაა? ამერიკაში ხომ არ დარჩა?

— არა. გიგოლას სიკვდილის შემდეგ, ბადრიმ სწავლის ფული აღარ გადაუხადა და ისიც იძულებული იყო, მოსკოვში დაბრუნებულიყო. ახლა დედამისის ინსტიტუტში მუშაობს თარჯიმნად...

— რა ერქვა?

— დიმა.

— ჰო, დიმა, დიმა, გამახსენდა... შენ რატომღა წამოხვედი შოუდან? ვარსკვლავობა მოგბეზრდა?

— კარგი, რა! ვითომ არ იცი, რატომაც წამოვედი... რა, ბადრიმ არ გითხრა? მაგ არამზადას ხომ, გიგოლას სიკვდილის შემდეგ, საქმე ისე წაუვიდა, რომ ბოლოს, შოუს კი არა, ცოლ-შვილს ძლივსღა არჩენდა...

— აბა, რა ეგონა? ქურდულ „რაზბორკებს“ ეგეც გიგოლასავით დაატრიალებდა?!. თუ რუს ბიზნესმენებს ფული აქვთ გადასაყრელი, „კრიშებად“ კანონიერ ქურდებს რომ იყენებენ?!. იცი, ახლა რას აკეთებს შენი ბადრი?

— არ მაინტერესებს... ჯანდაბამდე გზაც ჰქონია...

— მაინც გეტყვი. ჩემს შეფთანაა გერმანიაში. ფეხებს ულოკავს. ისე, მართალია, ჩემი შეფი მაგარი ქვაწვიაა, მაგრამ მეგობრებს გაჭირვებაში მაინც არ ტოვებს.

— თუ ასეა, შენ რატომღა გამოგიშვა გერმანიიდან? შენ კი ვერ გახდი მისი მეგობარი?

— არ გამოვუშვივარ — თვითონ წამოვედი. იქ, სადაც საქმეში პატარიძისნაირები გაჰყავთ, ჩემი ადგილი ნამდვილად არ არის... თანაც, უცხოეთში დაბერებას ისედაც არ ვაპირებდი... ცოტა ფული ნამდვილად ვიშოვე, თბილისში დედაჩემის სახლი გამოვისყიდე, დანარჩენით კი, პატარა ბიზნესის წამოწყებას ვაპირებ და ვიქნები ჩემთვის. ხომ სწორად მოვიქეცი?

— ალბათ... — ამოიოხრა დეამ. — მეც აგერ, რას აღარ მივედ-მოვედე და საბოლოოდ, ისევ ჩემს სახლში დავბრუნდი... ამდენი ხეტიალის შემდეგ, თბილისში, ჩემს ლოგინში რომ დავიძინე პირველად, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო...

ამის შემდეგ, დეა და გურამი თავთავიანთმა ფიქრმა გაიტაცა და კარგა ხანს, ერთმანეთისთვის აღარაფერი უთქვამთ.

— გახსოვს, ჩვენი გაცნობის ღამეს, ჩემს სახლში რომ მიგიყვანე? — დაიწყო შემდეგ გურამმა.

— კი, მახსოვს...

— მაშინ რომ ცოტა მეძალავა და აღარ გამომეშვი, იქნებ, ორივეს ცხოვრება სულ სხვანაირად წარმართულიყო...

— შეიძლება... — ამოიოხრა დეამ. — ისე, პირადად მე, ბედისწერის მაინც ძალიან მჯერა. ასე რომ, რაც მოხდა, სწორედ ასე უნდა მომხდარიყო და მორჩა!

— დეა... — დაიწყო ისევ გურამმა და თან, საათზე დაიხედა.

— რა იყო?

— იცი, რომ ჩემს განკარგულებაში ხუთი წუთიღა რჩება?

— მართლა? — გამხიარულდა დეა. — ესე იგი, ხუთ წუთში, თბილისის აეროპორტში ვიქნებით?

— ეგრე გამოდის. გიხარია?

— აბა, რა! შენ?

— მეც... შეიძლება, რაღაც გკითხო?

— მკითხე... ხუთი წუთი ხომ კიდევ გაქვს?!

— კარგი, გავბედავ და გეტყვი: იქნებ, ნანგრევებზე მაინც გვეცადა ახლის აშენება?

— არა მგონია, რომ რაიმე გამოგვივიდეს... — ხმა გაებზარა დეს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემი სიყვარულიც იმ ნანგრევებში ჩარჩა...

აეროპორტის შენობიდან გამოსული დეა გურამს ცივად დაემშვიდობა.

— მოიცა, ტაქსიში მაინც ჩაგსვამ, — მაინც არ მოეშვა გურამი.

სწორედ ამ დროს, აეროპორტის შენობისკენ მართლაც შემოუხვია ტაქსიმ და ცოტა მოშორებით გაჩერდა. მანქანის კარი სწრაფად გაიღო, იქიდან ლონდა გადმოვიდა და პატარა ბიჭუნა გადმოიყვანა. დეას დანახვისთანავე, ბავშვი ხელიდან გაუსხლტა ლონდას და „დედა-დედა!“-ს ძახილით, დეასკენ წაბაჯბაჯდა... გურამს მოეჩვენა, რომ მას საკუთარი ბავშვობა უახლოვდებოდა...

დასასრული

თენგიზ კიტოვანმა სასიძოს ვისკით გამოცდა მოუწყო...

თენგიზ კიტოვანის ქალიშვილები მამის კვალს გაჰყვნენ — სამივემ სამხატვრო აკადემია დაამთავრა: უმცროსი, ნათია კერამიკოსია, მაკა და ნინო კი — მონუმენტალისტები. დაახლოებით ორი წლის წინ, დებმა გახსნეს სტუდია — „ხელოვნება აბრეშუმზე“ და მათი მოხატული თავსაფრებითა და ცხვირსახოცებით ბევრი თბილისელიცა და უცხოელიც იწონებს თავს. დები კიტოვანების საქმიანობაზე ნათიას ვესაუბრეთ, რომელმაც აღნიშნა — უშუალოდ სპეციალობით მუშაობა ვერ მოვახერხეთ და გადავწყვიტეთ, აბრეშუმისთვის მოგვეკიდა ხელი, რამაც გაამართლა კიდეცო.

ხათუნა ჯავახიშვილი

— ვისი იდეა იყო ამ საქმიანობის წამოწყება?

— ჩემი დის — ნინოს იდეა იყო. ვიქირავეთ სახელოსნო, დავიწყეთ მუშაობა და პირველივე ნამუშევრებს დიდი მოწონება ხვდა წილად — ჩვენი ნახელავი კარგად იყიდებოდა. მე „მორბენალ სტრიქონს“ მეძახდნენ, იმიტომ, რომ დავრბოდი და ვავრცელებდი ჩვენს ნამუშევრებს. ხალხმრავალ ადგილზე მოვხვდებოდი თუ არა, ამოვიღებდი ცხვირსახოცებს და ვაფრიალებდი. „ბარიგასავით“ პარკებითა და ჩანთებით დავდიოდი.

— როგორც ამბობენ, შეკვეთა მიიღეთ „ჯეოსელისგან“. ყოველთვის შეკვეთებით მუშაობთ?

— კი, შეკვეთები გვაქვს, მაგრამ ბევრი არა. იმდენად შრომატევადი და დამღლელი სამუშაოა, რომ არ მიღირს. როცა ფული მჭირდებოდა, შეკვეთაც ბევრი მქონდა და შეუსვენებლივ ვმუშაობდი. არსებობს ბატიკის მარტივი სახეობა, რომლის შესრულებას 5-10 წუთი სჭირდება, მაგრამ შესაბამისად, იაფია. ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ერთი ფუნჯის მოსმით ვერ დაამზადებ. ეს არის ხელოვნება — მაღალ დონეზე შესრულებული ნახატი. პირველი დიდი შეკვეთა მობილური კავშირის სისტემამ „ჯი-თი“-მ მოგვცა. მაშინ ერთი თვის დაწყებული გვქონდა ეს სამუშაო. 30-მდე ყელსახვევი შეგვიკვეთეს. მეორე დიდი შეკვეთა „ჯეოსელისგან“ იყო. კინაღამ დავიხოცეთ მე და ჩემი დები, ძალიან დავიღალეთ. კიდევ, „ისტერნ პრომოუშენის“ დაკვეთით ვმუშაობთ ხოლმე *(ნათიას მეუღლე ამ ფირმის დირექტორი, მიშა გიორგაძე გახლავთ. — ავტ.)*. როდესაც საზღვარგარეთიდან სახელოვანი ადამიანები ჩამოჰყავთ, ასეთ საჩუქრებს მიართმევენ ხოლმე — ყელსახვევი იქნება ეს, შარფი თუ პანო. მე ტანია მარიას გავუკეთე შარფი, რომელიც ძალიან ლამაზი გამოვიდა და მაშინვე მოიხვია.

— ეს თქვენი საჩუქარი იყო თუ „ისტერნ პრომოუშენის“?

— საჩუქრად ისინი უძღვნიდნენ, თორემ, მე ამაში ფულს მიხდიან. თავიდან, ჩემი ქმარი მეუბნებოდა — ცოტა შეღავათი გაგვიწიეო, — მაგრამ ახლა, თვითონაც ხედავს რამდენი ენერგია მიდის ამაზე მუშაობისას... ტანია მარიასთვის გაკეთებულ შარფში 150 დოლარი გადამიხადეს, ყელსახვევები 50 დოლარი ღირს. აი, „ჯეოსელს“ თითო 25 დოლარად გავუკეთეთ, რადგან დიდი პარტია შეგვიკვეთეს, თან, მაშინ ახალი დაწყეული გვქონდა ეს საქმე და დაინტერესებულები ვიყავით...

— პანო, ცხვირსახოცი, თავსაფარი, შარფი. კიდევ რა პროდუქციას ქმნით?

— შირმას, ტანსაცმელს. ორი ძალზე სიმპათიური კაბა მაქვს გაყიდული და სამი — ჩემთვის შეკერილი. სხვათა შორის, დიდი პოპულარობა მოვიპოვე, პირველად ჩემ მიერ მოხატული კაბა რომ ჩავიცვი: მთელი თბილისი ამ კაბაზე ლაპარაკობდა. ყველაფრის გაკეთება შეიძლება — გადასაფარებლების, ბალიშების, ლამპების... მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ინტენსიურად არასდროს გვიმუშავია: ძალზე შრომატევადი საქმეა და ბევრი დრო მიაქვს. ატლასზე და აბრეშუმზე ხატვა ურთულეს ტექნოლოგიას წარმოადგენს, ერთ პატარა ნახატს 4-5 დღეს ვანდომებთ. სახელოსნოში ათი მხატვარი მაინც უნდა მუშაობდეს, რომ გაერთიანებული ძალებით შეიქმნას პროდუქცია, მაგრამ ამას დიდი თანხები სჭირდება.

— გამოფენა არასდროს მოგიწყვიათ?

— არა, გამოფენა არ გვქონია, თუმცა, დიდი ენთუზიაზმით ვემზადებოდი ნიუ-იორკში გამოფენის მოსაწყობად: იქ საქართველოს დღეები უნდა ჩატარებულიყო, ნიუ-იორკის მერიც იყო ამ საქმეში ჩაბმული, ჯაზფესტივალზე თბილისში ჩამოსულმა ბობ მინცერმაც შეიტყო ამის შესახებ და ძალიან დაინტერესდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს პროექტი ჩაიშალა.

— ნამუშევრების გაყიდვა გეწანებათ ხოლმე?

— ჩემი ნამუშევრები ძალიან მიყვარდება და როცა ვყიდდი, სულ მენანებოდა. მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს ეგუება ადამიანი... ერთი ყელსახვევი მაქვს, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და თითქმის არ ვიშორებ. ამ ცოტა ხნის წინ, ამერიკელი მუსიკოსი ლალო შიფრინი იყო ჩამოსული ცოლთან ერთად. ულამაზესი ქალია. ძალიან მოეწონა ეს ყელსახვევი და ვიფიქრე — ხომ არ ვაჩუქო-მეთქი? — მაგრამ დამენანა, ვერ გავიმეტე.

— პროდუქციისთვის საკუთარი ეტიკეტები თუ გაქვთ შექმნილი?

— ეტიკეტების დონემდე ჯერ არ ავსულვართ, მაგრამ გვარს ვაწერთ ხოლმე. ჩვენი ლოგოც გვაქვს. შუაში „კიტოვანი“ (რატომღაც ძალიან მოგვწონს ჩვენი გვარი) და მის ირგვლივ — სახელოსნო „ხელოვნება აბრეშუმზე“ აწერია. ორგანიზატორული ნიჭი აღმომაჩნდა, საიდან — არ ვიცი.

— ალბათ მამისგან გამოგყვათ...

ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ერთი ფუნჯის მოსმით ვერ დაამზადებ.

— თენგოსგან?! არა მგონია. ისეთი ორგანიზატორი ვერ არის, როგორიც მე...

— მამა როგორ აფასებს თქვენს შემოქმედებას?

— ძალიან მოსწონს. ერთი რამ მთხოვა, მაგრამ ჯერ ვერ შევუსრულე: ერთმანეთთან მებრძოლი ორი მამალი დამიხატეო. ვის გულისხმობს ამ მამლებში, არ ვიცი... რატომღაც ვერ მოვაბი თავი ამის გაკეთებას და ალბათ ნაწყენი იქნება, მაგრამ არაფერს მეუბნება... ძალიან უნდა, მოსკოვში ზურაბ წერეთლის საგამოფენო დარბაზში მოგვიწყოს ექსპოზიცია.

— თქვენს შვილებსაც თუ აქვთ მხატვრობისკენ მიდრეკილება?

— კი, რაღაც დონეზე ყველანი ხატავენ. ჩემმა უფროსმა შვილმა — სალომემ არქიტექტურულზე ჩაბარება გადაწყვიტა. მისი მასწავლებელი მეუბნება — მონაცემები აქვსო. უმცროსი — ელენე მეხუთეკლასელია და უფრო გამოკვეთილი ნიჭითაა დაჯილდოებული: კარგად ძერწავს.

— როცა პროფესიის არჩევაზე მიდგა საქმე, მამამ გიბიძგათ მხატვრობისკენ თუ თავად გადაწყვიტეთ?

— მამას უნდოდა და ახლა, ჩვენი ნამუშევრები კარგად რომ იყიდება, თენგო ამბობს, კარგი ვქენი, აკადემიაში რომ ჩაგაბარებინეთო. სხვათა შორის, ჩემი ნამუშევრები ბავშვობიდან ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას. მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილმა *(კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის ავტორი. — ავტ.)* „მაკურთხა“ მხატვრად...

— მუშაობის დროს, მამა რჩევებს თუ გაძლევთ და საერთოდ, საინტერესოა — როგორი მამაა ბატონი თენგიზი?

— რჩევებს არასდროს მაძლევდა. ბავშვობაში მეშინოდა მისი — მეგონა, რომ ძალიან მკაცრი იყო. შეიძლება იმიტომ, რომ 9 წლის ვიყავი, როცა მამა ჩამოვიდა და გაუცხოების გრძნობა მქონდა *(როგორც ნათიამ მითხრა, ავარიის გამო, თენგიზ კიტოვანმა ციმბირში მოიხადა სასჯელი. — ავტ.)*. მაგრამ როცა გავიზარდე და ამ შიშისგან გავთავისუფლდი, მივხვდი, რომ ვცდებოდი: ისეთი დემოკრატი და საყვარელი თუ ვინმე არსებობს, როგორიც მამაჩემია, არ მგონია... თუმცა ზოგჯერ, უხეშიც იყო. ჩემი პირველი ნახატი შინ რომ მოვიტანე, რომელზეც მასწავლებელმა მითხრა — მიქელანჯელოს ტოლი ხარო, — მამა ნასვამი და ვიღაცაზე გაბრაზებული იყო; ნახატს ფეხი გაჰკრა და მოისროლა. აი, ასეთი იყო მისი პირველი შეფასება...

— შეზღუდვები თუ გქონიათ მამისგან?

— შეზღუდვები არ მქონია, მაგრამ მაშინ მეგონა, რომ მქონდა: როცა იტყოდა — ათ საათზე შინ იყავიო, — ძალიან ვნერვიულობდი, თუ მაგვიანდებოდა, მაგრამ დაგვიანებაზეც არანაირი რეაქცია არ ჰქონია... გაორებული პიროვნებაა: რამდენადაც კეთილი, საყვარელი და დემოკრატია, იმდენად შეიძლება უცებ, უხეში გახდეს, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერად, ისე ფეთქებადი ადამიანია...





მამა ნასვამი და ვიღაცაზე გაბრაზებული იყო; ნახატს ფეხი გაჰკრა და...

— თქვენს გათხოვებას როგორ შეხვდა?

— მიშას უახლოესი მეგობარია ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც ჩვენი ოჯახის ახლობელიც იყო. მიშამ ჩემი ცოლად მოყვანა რომ გადაწყვიტა, ლევანთან მივიდა და უთხრა რომ ჩვენს ოჯახში მოსვლას აპირებდა. ლევანმა უთხრა — ხომ არ გაგიჟდი? იცი, ვისთან გაქვს საქმეო?! — სულ არ მაინტერესებსო, — უპასუხა ჩემმა გმირმა ქმარმა და მოვიდა. თენგომ დიდი ბოთლით ვისკი გამოიტანა — არადა, მიშა სასმელს ვერ იტანს; მიშამ თქვა — ამით განაჩენი გამომიტანაო... მერე, გოგირდის აბანოში წაიყვანა და ჩააგდო, მამამ კი იქ თავისუფლად ჩაყვინთა... მოკლედ, მამამ დიდი გამოცდა მოუწყო ჩემს მომავალ ქმარს, მან კი, ჩემი ხათრით ყველაფერს გაუძლო.

— ცოტა ხნის წინ, თქვენი 16 წლის ქალიშვილი გათხოვდა. მიშამ თუ მოუწყო სიძეს გამოცდა?

— არა, მიშას არ მოუწყვია. ყველამ ერთად ვილაპარაკეთ და მივხვდით, რომ უარი არ უნდა გვეთქვა: ნამდვილად კარგი ბიჭია ჩვენი სიძე — გიორგი შარაშიძე. როცა დავინახეთ, რომ ბავშვებს ასე უყვართ ერთმანეთი, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. ძალიან საყვარლები არიან. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სამი შვილი მყავს. რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, მიუხედავად იმისა, რომ სალომე 16 წლისაა და გიორგი — 17-ის. ჩვენს ოჯახში ყველანი ადრე გავთხოვდით: მე 18 წლის ვიყავი, დედაჩემი — 16-ის... ■

Lancia ქალებისთვის

კომპაქტური ქალაქური ავტომობილის – Lancia Ypsilon მწარმოებლები პირდაპირ აცხადებენ, რომ მას ძირითადად, სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის ქმნიდნენ. ამის საფუძველს მათ ისიც აძლევს, რომ მოდელის წინამორბედის (პირველი Lancia Y 10 ჯერ კიდევ 1985 წელს გამოჩნდა ბაზარზე) მომხმარებელთა 80%-ს ქალები შეადგენდნენ. ჩანაფიქრის თანახმად, ავტობაზარზე უნდა გამოსულიყო არა უბრალოდ კომპაქტური და პრაქტიკული, არამედ მოხდენილი ქალაქური მანქანა. იტალიელმა მწარმოებლებმა კარგად გაართვეს თავი აღნიშნულ ამოცანას: Ypsilon-ის ახალი მოდელის დიზაინერმა მარკო ტენკონემ ტრადიციული სოლიდურობისა (Lancia ხომ უძველესი ფირმაა, რომელიც 1906 წლიდან არსებობს) და ზომიერი ექსტრავაგანტურობის შერწყმას მიაღწია. სალონი ძვირად ღირებული ტყავითაა გაწყობილი, ხელსაწყოთა პანელიდან „რბილი“ მწვანე შუქი იფინება, საჭე ვერტიკალური რეგულირების მექანიზმითაა აღჭურვილი. „იპსილონის“ ძრავათა პალიტრაში 4 სახეობა შედის: 60, 80 და 95 ცხ.ძ. სიმძლავრის, ბენზინის და 70 ცხ.ძ. სიმძლავრის, დიზელის. 95-ძალიანი აგრეგატით აღჭურვილი „ლანჩია“ 175 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარემდე გარბენს 10,9 წმ-ში აღწევს, ამასთან, ყოველ 100 კმ-ზე საშუალოდ, 6,6 ლ საწვავს ხარჯავს. საბაზო კომპლექტაციაში შედის: უსაფრთხოების 4 ბალიში, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, ცენტრალური საკეტი, ე.წ. ათერმული მინები. საგაისოდ, ფირმა მომხმარებლებს Fiat Idea-ს პლატფორმაზე „იპსილონის“ დიზაინით მინივენის გამოშვებას ჰპირდება. ■

უნივერსალურკოლოფიანი Audi

Audi A3 3.2 Quattro DSG ამ საავტომობილო მარკის კომპაქტური მოდელის ყველაზე მძლავრი მოდიფიკაციაა. ის 250 ცხ.ძ-იანი, 6-ცილინდრიანი, 3,2 ლ სამუშაო მოცულობის ძრავათია აღჭურვილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,4 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ს აღწევს (მანქანას ელექტროშემზღუდავი აქვს). მაგრამ ამ ავტომობილის მთავარი ღირსება, პრინციპულად ახალი გადაცემათა კოლოფი – DSG გახლავთ. გადაცემათა გადართვა, საჭეზე მოთავსებული სპეციალური ბერკეტებითაცაა შესაძლებელი (როგორც ეს „ფორმულა 1“-ის ბოლიდებშია), იატაკში ჩამონტაჟებული, ჩვეულებრივი ბერკეტის მეშვეობითაც და ავტომატურადაც. DSG-ის წყალობით, საწვავის ეკონომია ხდება: ამ კოლოფით აღჭურვილი „აუდი“ ყოველ 100 კმ-ზე საშუალოდ, 9,9 ლ-ს ხარჯავს, რაც 0,7 ლ-ით ნაკლებია, ვიდრე ტრადიციული, მექანიკურ გადაცემათა კოლოფის შემთხვევაში. ბუნებრივია, ამ მოდელს დინამიკური მახასიათებლებიც უკეთესი აქვს – მაგალითად, მექანიკურკოლოფიანი A3, 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,5, წმ-ში ავითარებს.

DSG-ს აქამდე, მხოლოდ სპორტულ მოდელში – Audi TT იყენებდენ. ამ კოლოფით აღჭურვილი A3 მომხმარებელს 1.850 ევროთი მეტი დაუჯდება (მექანიკურკოლოფიანი მოდიფიკაცია 31.000 ევრო ღირს). უახლოეს მომავალში, კოლოფით DSG, 140 ცხ.ძ-ის მქონე დიზელისძრავიანი Audi A3 TDI-იც აღიჭურვება. ■

ნდობის ტელეფონი
ჯონსონტასია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005

„მაგთი“, „ჯეოსელი“,
„მეგაკომი“ – 0,70 ლ.
თბილისი – 0,45 ლ.

ყველგანმავლის ახალი ვარიანტი

Ssangyong-ის მარკის კორეულ ყველგანმავლებს აქამდე, არასდროს მიიჩნევდნენ „ევროპელებისა“ და „ამერიკელების“ ღირსეულ კონკურენტებად. მაგრამ ბაზარზე Korando-ს მოდელის გამოჩენამ შეიძლება სიტუაცია შეცვალოს. „კორანდო“ ახალი, 5-ცილინდრიანი, ტურბოდაბერვიანი დიზელის ძრავათია აღჭურვილი, რომელიც კომპანია „მერსედეს-ბენცის“ ლიცენზიით დამზადდა. მისი მახასიათებლები ასეთია: სამუშაო მოცულობა – 2874 კუბ.სმ, სიმძლავრე – 120 ცხ.ძ, მაქსიმალური სიჩქარე – 154 კმ/სთ, გარბენის დრო 100 კმ/სთ-მდე – 10,9 წმ, 130 კმ/სთ-მდე – 16,7 წმ. ექსპერტთა აზრით, ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებლებია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტომობილის მასა 1930 კგ-ს შეადგენს. „კორანდო“ ყოველ 100 კმ-ზე საშუალოდ, 12 ლ საწვავს ხარჯავს, 4-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. ღერძზე დატვირთვის ოპტიმალური განაწილებისა და დიდი საგზაო ნაპრალის წყალობით, მანქანა საუცხოო გავლადობით გამოირჩევა. ჩქაროსნულ ტრასასა და ქალაქში მოძრაობისას, მძღოლს შეუძლია, გამორთოს სრული ამძრავის მექანიზმი და ჩვეულებრივი, უკანაამძრავიანი ავტომობილის რეჟიმში იმოძრაოს. კორეული ყველგანმავალი უსაფრთხოების 2 ბალიშითა და მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითაა აღჭურვილი. მას საკმაოდ ხალვათი სალონი, ვენტილაციისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი, ეფექტიანი სისტემა აქვს. ევროპაში მოდელი SSangyong Korando TDX 2.9 Automatik 27.150 ევრო ღირს.

■

„წითელი მარტინი“ ძველმოძმედმას ეწევა

მიხაელ შუმახერმა იუნესკოს მილიონი დოლარი გადაურიცხა. ორგანიზაციის მიერ მოწყობილ საზეიმო საღამოზე „ფორმულა-1“-ის ექვსგზის ჩემპიონი თავად არ გამოცხადებულა – ავტოპილოტის გადაწყვეტილების შესახებ ცერემონიაზე შეკრებილ საზოგადოებას მისმა პირადმა მენეჯერმა, ბილი ვებერმა ამცნო. შეგახსენებთ, რომ Ferrari-ს გერმანელ მრბოლელს იუნესკოს საპატიო ელჩის სტატუსი აქვს მინიჭებული.

■

ანა კურნიკოვა ინდოეთს ეწვია

აშშ-ში მცხოვრებმა რუსმა ჩოგბურთელმა კომერციული ტურნე მოაწყო აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. მისი მოგზაურობის ფინალურ აკორდად, ინდოეთში სტუმრობა იქცა. 22 წლის ლამაზმანმა ბომბეიში მდებარე ერთ-ერთი სასტუმროს რეკლამირებაში მიიღო მონაწილეობა; პოზირების დროს იგი ინდურ ეროვნულ კოსტიუმში – სარიში იყო გამოწყობილი. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაუბრუნდება კურნიკოვა თავის ძირითადად საქმიანობას – ჩოგბურთს. ვარაუდობენ, რომ ანა კორტზე 2004 წლის მარტში გამოჩნდება. ამჟამად კი იგი ქალთა საერთაშორისო რეიტინგის მეოთხე ასეულში იმყოფება.

■

გერმანელები სექსუალური მაისურებით იასპარეზობენ

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის წინ, გერმანიის ეროვნული ნაკრების წევრები ახალ ფორმას მოირგებენ. რუდი ფიოლერის გუნდის მოთამაშეებს უფრო მოხდენილი, შავი მაისურები ეცმევათ, რომელსაც ზოგიერთი გერმანული გაზეთი სექსუალურსაც კი უწოდებს. ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს გერმანული ფეხბურთის სპეციალისტთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს, თუმცა, ბერლინის „ჰერტის“ მწვრთნელის, ჰუუბ სტევენსის თქმით, შავი მაისურები ქერათმიან მოთამაშეებს მაინცდამაინც არ მოუხდებათ.

■

არგენტინაში დიეგოს ხატი შექმნეს

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ბუენოს-აირესში 200-მა კაცმა დიეგო მარადონას დაბადების დღე აღნიშნა (სუპერვარსკვლავი 43 წლის გახდა). ზეიმი ე.წ. „მარადონას ეკლესიამ“ მოაწყო, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან 200 ათასამდე ფანია გაერთიანებული. „გვესმის, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტეა, მაგრამ ჩვენი გულების უფალი სწორედ დიეგოა“, – აცხადებს სექტის დამაარსებელი, ალეხანდრო ვერონი. აღსანიშნავია, რომ უკვე დამზადებულია ფეხბურთელის ხატიც, რომლის ავტორიც 49 წლის სერხიო მარტინა გახლავთ: „არგენტინაში ხშირად ქმნიან კერპებს. ერთ დროს ასეთად, ტანგოს შემსრულებელი გარდელი მოგვევლინა. შემდეგ იგი ევიტა პერონმა შეცვალა. ამჟამად კი, ჩვენ ცოცხალი ლეგენდა – მარადონა გვყავს“...

■

ქორწილების ხანა – კამერონი და ჯასტინი

კამერონ დიასი და ჯასტინ ტიმბერლეიკი წმ. ვალენტინის დღეს აპირებენ შეუღლებას. ამ ცოტა ხნის წინ ისინი საერთო ნაცნობის დაბადების დღეზე იმყოფებოდნენ. მასპინძელმა წვეულებაზე სტუმრების გასახალისებლად მიიწვია ქირომანტი, რომელიც დამსწრეთა ხელისგულებზე მარჩიელობდა. როცა კამერონის ჯერი დადგა, მკითხავმა მას 2004 წელს გათხოვება უწინასწარმეტყველა. შესაძლოა, მკითხავმა უკვე იცოდა წყვილის გადაწყვეტილების შესახებ და ამიტომ არ შემცდარა. საქმე ის არის, რომ ჯასტინმა კამერონს ასე ვთქვათ, ექსპრომტად სთხოვა ხელი – ერთ-ერთ ვახშამზე და ბრილიანტის ბეჭდის ნაცვლად, როგორც ამგვარ შემთხვევებში ხდება ხოლმე, საკუთარინიციალებიანი, უბრალო ბეჭედი უსახსოვრა, რომელსაც იგი ბავშვობიდან ატარებდა. ამბობენ, რომ წყვილი ქორწილს ჰავაის კუნძულებზე გადაიხდის. ■

ქეით მლანშეტს პირველმა ორსულობამ ჯერ ასწავლა

ქეით ბლანშეტი, რომელსაც უკვე ჰყავს შვილი და წესით, კარგად უნდა იცოდეს, თუ როგორი სიმპტომებით მიმდინარეობს ორსულობა, მაინც შოკში ჩავარდა, როცა შეიტყო, რომ მეორედ დაფეხმძიმდა.

ეს ამბავი კი, უეს ანდერსონის ახალი ფილმის გადაღებებზე მოხდა. საქმე ის არის, რომ ბლანშეტი ფილმში ფეხმძიმე ქალს განასახიერებს. როცა მსახიობს წელზე სპეციალურად დამზადებულ „მუცელს“ უმაგრებდნენ, ცუდად იგრძნო თავი – სუნთქვა შეეკრა და გული წაუვიდა. სანამ ქეითი ამის რეალურ მიზეზს შეიტყობდა, როგორც თავად თქვა, ეგონა, რომ „ყველაფერი დასრულდა“... ■

ტომ კრუზი გადაღებისას კინაღამ დაიტეხა

როგორც ცნობილი ამერიკული ტაბლოიდი – The Sun წერს, კინოვარსკვლავს კინაღამ თავი წააცალა მისმა პარტნიორმა ხიროიუკი სანადამ. ეს მოხდა ფილმის – „უკანასკნელი სამურაი“ – გადაღებისას: ტომი სპეციალურ დანადგარზე – „მექანიკურ ცხენზე“ იყო შემდგარი; როცა სანადამ ხმალი მოიქნია, აღნიშნულ დანადგარს ავტომატურად ძირს უნდა დაეშვა მსახიობი, მაგრამ მექანიზმი გაიჭედა და ვერ გაიყვანა კრუზი სახიფათო ზონიდან. „მანქანა მწყობრიდან გამოსული აღმოჩნდა და ჩემ მიერ მოქნეული ხმალი ტომის კისრიდან სულ ორიოდე სმ-ის მანძილზე გავაქვავე“, – ჰყვებოდა შემდეგ აღელვებული სანადა. ამ სურათში ჰოლივუდის ვარსკვლავი ამერიკული არმიის გადამდგარ კაპიტანს თამაშობს, რომელიც იაპონიის იმპერატორმა მეიჯიმ ბრძოლისუნარიანი ეროვნული ჯარის ჩამოსაყალიბებლად მიიწვია. ■

კეირა და ორლანდო ყველაზე სასურველები გახდნენ

კეირა ნაიტლისა და ორლანდო ბლუმისთვის მართლაც რომ იღბლიანი აღმოჩნდა ეს წელიწადი. ჯონი დეპის სახელმა და მასთან ერთად ფილმის – „კარიბის ზღვის მეკობრეები“ – წარმატებამ ისინი არაერთი რეიტინგის თავში მოაქცია.

ჟურნალმა „ტატლერმა“ ორლანდო და კეირა დიდ ბრიტანეთში ყველაზე სასურველ ადამიანებად დაასახელა. ბლუმმა პრინცი ჰარიც კი ჩამოიტოვა უკან. წყვილის შემდეგ, სასურველ ადამიანთა ნუსხაში მოხვდნენ: ჰიუ გრანტი, მიკ ჯაგერის ვაჟი ჯეიმსი და მრავალი სხვა პოპულარული შოუმენი თუ მსახიობი. „ბლუმი – სახელის, სახის, სხეულისა და ჭკუის ისეთი შერწყმაა, რომ ნებისმიერ ქალს გაუჩნდება სურვილი, მის მკლავებში ამოყოს თავი“, – აღნიშნა „ტატლერის“ რედაქტორმა გეორდი გრეიგმა. რაც შეეხება ცნობილ ქალთა სიას – კეირას გარდა, მასში არისტოკრატები და მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები მოხვდნენ. აქვე დავძენთ, რომ აღნიშნულ რეიტინგში მხოლოდ დასაქორწინებელი ადამიანები შეჰყავთ. ■

ნუთუ, ენრიკე იგლესიასს ანა კურნიკოვა მოჰმეზრდა?



როგორც ჩანს, ესპანელ მაჩოს აღარ ახსოვს, რომ ჯერ კიდევ ჰყავს საცოლე – ლამაზმანი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა. სულ ახლახან იგი ვენესუელელ მოცეკვავესთან ერთად საკმაოდ პიკანტურ სიტუაციაში უნახავთ. მომღერლის ახალ ქერათმიან თანამგზავრ გოგონას, ლუსიანა სანტიგო ჰქვია. სწორედ ის ახლდა ენრიკეს ლონდონში კრისტინა აგილერას წვეულებაზე, რომელიც მან ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე გამართული გრანდიოზული წარმატებული კონცერტის შემდეგ მოაწყო.

ენრიკესა და ლუსიანას თან ახლდა ახალგაზრდა ლამაზ მამაკაცთა ჯგუფი, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ პოპულარული სტრიპტიზ-კლუბში – Spearmint Rhimo მუშაობს. იგლესიასი აღფრთოვანებული ჩანდა ვენესუელელი ქალბატონით (ლუსიანა საკუთარ სამშობლოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოცეკვავედაა აღიარებული), რომელსაც ყურადღებას არ აკლებდა. მათ გარკვეული დრო საცეკვაო მოედანზე დაყვეს, სადაც ყველას დასანახად კოცნიდნენ და ეალერსებოდნენ ერთმანეთს...

რასელ ქროუ სიმაღლის შიშსა და ზღვის ავადმყოფობას ებრძოდა

რასელ ქროუს ახალ ფილმში – „კაპიტანი და უფროსი თანაშემწე“ – გამბედავი კაპიტნის ჯეკ ობრის როლის შესასრულებლად, როგორც სიმაღლის შიშის, ისე ზღვის ავადმყოფობის დაძლევა მოუხდა. ჟურნალ „ვენიტი ფეირისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მსახიობმა აღნიშნა, რომ ზღვის მას შემდეგ ეშინოდა, რაც ბავშვობაში ნაპირიდან მოშორებით, ძრავიან ნავში საწვავის გარეშე დარჩა... გადაღებების დაწყებამდე, ქროუ სპეციალურ აბებს სვამდა, მაგრამ შემდგომ, უარი განაცხადა მათზე, რათა ამ სენს საკუთარი ძალებით გამკლავებოდა. აი, სიმაღლის შიშის დაძლევა კი, მისთვის გაცილებით რთული აღმოჩნდა. გაზეთ „დეილი ტელეგრაფს“ მსახიობმა გაუმხილა, რომ ბავშვობაში ყველანაირად ცდილობდა, „კარგი ბიჭი ყოფილიყო“, მაგრამ მაინც გულჩათხრობილ ადამიანად რჩებოდა. მან იხუმრა კიდეც, რომ სამსახიობო პროფესიაში იგი „ახალ მელ გიბსონობაზე“ კი არ ოცნებობდა, არამედ იმაზე, რომ „ახალი ჯუდი დევისი“ გამხდარიყო...

ლატიფასთვის ხელახლა იწერემა „მამაკაცის როლი“

ამერიკელ მსახიობსა და რეპერ ქალს, ქუინ ლატიფას, 1950 წლის ბრიტანული კლასიკური კომედიის – „ბოლო შვებულება“ – რიმეიქში მთავარი როლი შესთავაზეს. აღსანიშნავია, რომ ორიგინალში მთავარი გმირი, მამაკაცი იყო, რომელსაც სახელგანთქმული ინგლისელი მსახიობი ალეკ გინესი ასრულებდა. ახლა კი, პროდიუსერებმა გადაწყვიტეს, რომ ეს გმირი ქალით შეეცვალათ. ლატიფამ ბანკის თავმდაბალი და გაუბედავი თანამშრომელი უნდა განასახიეროს, რომელიც შეიტყობს, რომ რამდენიმე თვის სიცოცხლეღა დარჩენია და გადაწყვეტს, ზღვისპირა კურორტზე გაემგზავროს, რათა იქ გაატაროს დარჩენილი დღეები. გმირი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მის ცხოვრებაში ახალი აღარაფერი მოხდება, ჩვეულებებს იცვლის და სრულიად საპირისპირო ადამიანი ხდება. რიმეიქის სცენარზე ცნობილი სცენარისტები პიტერ სიმენი და ჯეფრი პრაისი მუშაობენ.

კაილი მინოუგი სნოუმორდითაა გაფაცემული

ცნობილმა ავსტრალიელმა პოპ-ვარსკვლავმა კაილი მინოუგმა ბრიტანული რადიოსადგურ Radio-1-ის ეთერით თქვა, რომ ბოლო დროს, მის ერთ-ერთ საყვარელ გასართობს, სნოუბორდინგი წარმოადგენს. „გამოგიტყდებით, ძალზე მიყვარს სნოუბორდით სრიალი, – ამბობს კაილი, – საოცრად მიზიდავს თუნდაც იმიტომ, რომ საგანგებო ტანსაცმელში გამოწყობილს ვეღარ მცნობენ. თანაც, ასეთ დროს, 14 წლის ბიჭს ვგავარ. შესანიშნავია, რომ კომფორტულადაც გრძნობ თავს და არც ყურადღების ცენტრში იმყოფები. მოსრიალეებს სულაც არ ანაღვლებთ, თუ ვინაა მათ გვერდით“.

ახლო მომავალში, კაილი თაყვანისმცემლებს ახალი სიმღერით – Slow გაახარებს, ხოლო 17 ნოემბერს მისი ახალი – რიგით მე-9 ალბომი გამოვიდა, რომელსაც მომღერალმა City Games უწოდა.

„ხანდახან, მართლა ძალზე მაღიზიანებს, როცა ყველგან მცნობენ, – საყვედურს ვერ ფარავს ავსტრალიელი ვარსკვლავი. – მახსოვს, ერთხელ, კარნავალზე საგანგებოდ შევიძინე პარიკი და ფარფლებიანი ქუდი, მაგრამ მაინც უხერხულად ვგრძნობდი თავს, ვინაიდან ყველა ჩემკენ იყურებოდა და ამბობდა: შეხედეთ, კაილი პარიკით და ქუდით მოდისო!..“

გოდერძი ჩოხელი „სიყვარულის ცეცხლისა“ და მიმდინარე მოვლენების შესახებ

ნათია ქივიძე

ახლახან, დასრულდა მუშაობა ტელეკომპანია „იმედის“ კიდევ ერთ პროექტზე, რომლის მიხედვითაც, ექვს რეჟისორს: გოდერძი ჩოხელს, მერაბ კოკოჩაშვილს, ოთარ ლითანიშვილს, ნანა ჯანელიძეს, პაატა მილორავასა და ზაზა კოლელიშვილს თითო-თითო ფილმი უნდა გადაეღოთ სიყვარულისა და ეჭვიანობის თემაზე. ჩვენ საშუალება მოგვეცა, დავსწრებოდით რეჟისორ გოდერძი ჩოხელის ფილმის — „სიყვარულის ცეცხლის“ პრემიერას, რომელიც გასულ კვირას თბილისის კინოს სახლში გაიმართა.

ფილმის სიუჟეტი მთაში ვითარდება, კერძოდ — სოფელ ცდოში, რომელიც დარიალის ხეობაში მდებარეობს. ბატონ გოდერძის ამ სოფელში „სამოთხის გვრიტები“ და „ლუკას სახარების“ ნაწილი აქვს გადაღებული. ამიტომ თურმე ხუმრობენ ცდოელები — გოდერძი ჩოხელი კი არ არის — გოდერძი ცდოელიაო... ფილმში მთავარ როლებს გივი ბერიკაშვილი და თამარ სხირტლაძე ასრულებენ: მთ გმირებსაც ახალგაზრდობიდან უყვართ ერთმანეთი, თუმცა, მიუხედავად დიდი სიყვარულისა, მთი ურთიერთობა ქორწინებით არ გვირგვინდება... ახალი ფილმის დასრულებასთან დაკავშირებით, გოდერძი ჩოხელს შევხვდით.

— ბატონო გოდერძი, თავად რას გვეტყვით „სიყვარულის ცეცხლის“ შესახებ?

— დამკვეთის მოთხოვნა იყო, რომ ფილმი სიყვარულზე გადაგვეღო და მასში „ოტელოს“ მოტივებიც ყოფილიყო... ეს არის ექვსი რეჟისორის ვერსია იმისა, თუ ვინ როგორ ხედავს სიყვარულს. თითოეული ფილმი 40-წუთიანია. საინტერესოა, რომელი რეჟისორის თვალით დანახული სიყვარული მოეწონება მაყურებელს.

— როგორია თქვენი თვალით დანახული სიყვარული?

— ჩემი აზრით, სიყვარული მარადიულია. არც სიყვარულის ობიექტს აქვს მნიშვნელობა და არც იმას, მთავრდება თუ არა ის ქორწინებით. არ მესმის, რატომ უნდა ერქვას ისეთ სიყვარულს უიღბლო, რომელიც ცოლქმრობით არ მთავრდება. ჩემს ფილმში სიყვარულის ისეთი ცეცხლია, რომელიც სიბერეშიც კი არ განელდა...

— როგორ ფიქრობთ — დღევანდელ თაობას თუ შეუძლია ისეთი ძლიერი სიყვარული, როგორიც თქვენს ფილმშია ნაჩვენები?

— სიყვარული ყველა თაობაშია. მე ახალ თაობას აღარ ვეკუთვნი და ვერ ვიტყვი, დღეს ვის როგორ უყვარს. ერთი ასეთი მინიატურა მაქვს: არსებობს თუ არა სიყვარული? პასუხია — არსებობს. ვიღაცას არ სჯერა და მოითხოვს — დამიმტკიცეთ, რომ არსებობსო. სიყვარულს დამტკიცება არ სჭირდება, იგი იქ მტკიცდება, სადაც „ფეხს დაადგამს“. სიყვარულს არც დღევანდელი თაობა აინტერესებს, არც წარსული და არც მომავალი. იგი ყველგან იდგამს თავის ტახტს. მისი გამოხატვის საშუალება კი, მართლა სხვადასხვანაირია. დღევანდელი ახალგაზრდები ერთმანეთს ისეთ სასიყვარულო წერილებს აღარ სწერენ, როგორიც ადრე იწერებოდა. აღარც „მუხამბაზს“ უმღერიან თავიანთ რჩეულებს. თუმცა, დარწმუნებული ვარ — სიყვარული სხვა ფორმით, მაგრამ მთელი თავისი სიძლიერით არსებობს. ადამიანს შეიძლება, ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე ეწვიოს სიყვარული და სიყვარულის ყოველ ობიექტს საკუთარი ადგილი ექნება ადამიანის სულსა და გულში. სტუდენტობის დროს, მეც რამდენჯერმე ვიყავი შეყვარებული. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე, შეიძლება, ერთი ადამიანი გიყვარდეს ისე, როგორც ჩემი ფილმის გმირებს უყვართ. ამბობენ, სიყვარული ნიჭიაო. მე ვფიქრობ, სიყვარული უფრო, ღვთის მიერ ნაბოძები საჩუქარია.

— ეჭვიანობაზე რას იტყვით?

— ეჭვი სიყვარულის თანამდევია. შეყვარებულ ადამიანს ისეთი გაფაქიზებული გრძნობები აქვს, რომ შეიძლება, სრულიად უსაფუძვლოდაც კი გაუჩნდეს ეჭვი ადამიანს. ეჭვიანობას ჩემს ფილმშიც აქვს ადგილი, თუმცა, ის ჩემი გმირების დაშორებისთვის მხოლოდ საბაბია და არა მიზეზი.

— რა პრინციპით შეარჩიეთ მთავარი როლების შემსრულებლები?

— როდესაც ამ მოთხრობას ვწერდი, თვალწინ ეს ორი ადამიანი მყავდა წარმოდგენილი. ეს სცენარი მათთვისაა დაწერილი და ორივემ არაჩვეულებრივადაც გაართვა თავი დასახულ ამოცანას. ახალგაზრდობაში ამ პერსონაჟებს ზურა ბერიკაშვილი და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ეკა მოლოდინაშვილი თამაშობენ. აღსანიშნავია, რომ ეკასთვის ეს პირველი კინოროლი იყო. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ფილმის მუსიკალური გაფორმება ჯემალ ბაღაშვილს ეკუთვნის.

— როდის შედგება ამ ფილმის სატელევიზიო პრემიერა?

— ვერაფერს გეტყვით. ალბათ უნდა დავიცადოთ, სანამ ქვეყანა დაწყნარდება: ამ სიტუაციაში, როდესაც აქციები მიმდინარეობს და ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება, ხალხს ნაკლებად დააინტერესებს სიყვარულის თემა...

— რადგან, პოლიტიკას შეეხეთ, ბარემ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებზეც გაგვიზიარეთ თქვენი შეხედულება.

— პოლიტიკაზე საუბარი არ მინდა, თუმცა, იმას კი ვიტყვი, რომ ქუჩის აქციები თუ დროს მოაქვს და ხალხს უნდა, მაშინ აბსოლუტურად მართებულია. სხვა საქმეა, თუ რაში გადაიზრდება ეს ყველაფერი და რა შედეგებს მოგვიტანს. თუ ათი წლის წინანდელი ამბავი განმეორდება, რა თქმა უნდა, ეს დიდი შეცდომა იქნება, ხოლო თუ მშვიდობიანი გზით გაგრძელდება, თავის მიზანს მიაღწევს. მინდა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდეს. მთავარია, არ მოხდეს სისხლის ღვრა, რისი საშიშროებაც ნამდვილად არსებობს. მტერმა შეიძლება, იმავე სცენარით წარმართოს მოვლენები, როგორითაც ის ათი წლის წინ განვითარდა.

— მტერში ვის გულისხმობთ?

— მტერი ყველა შემთხვევაში, რუსეთია. ის ყოველთვის დაინტერესებული იყო ჩვენი გათიშვით. მას ხელს აძლევს ის, რომ სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე ვიმყოფებოდეთ. ზოგიერთები ამბობენ — ორი რუსეთი არსებობსო. ეს ტყუილია. არსებობს ერთი რუსული პოლიტიკა, რომელიც ჩვენ მიმართ ძალიან მტრული და აგრესიულია.

— ისევ თქვენს შემოქმედებას დავუბრუნდეთ...

— მაქვს უამრავი სცენარი, მაგრამ სამწუხაროდ, ფილმის გადაღება ჩემზე დამოკიდებული არაა, რადგან დაფინანსება არა მაქვს. ეს ფილმიც „იმედის“ წყალობა იყო... ■

„ეროტიკული სიზმრები“ ქართულ კინოში

მაია კახიძე

25 წლის შოთა კალანდაძე მხატვარია, მაგრამ ცოტა ხნის წინ კინოსკენ გაუწია გულმა და ფილმის გადაღება გადაწყვიტა. მართალია, მეგობრები უანგაროდ დაეხმარნენ, მაგრამ მიზნის მისაღწევად საკუთარი ნახატებიც გაყიდა. შარშან, მისი პირველი ფილმის — „გაელვების“ პრემიერა გაიმართა. სულ ახლახან კი, შოთამ მეორე ფილმის — „ასეთი ნოველების“ გადაღება დაასრულა.

შოთა კალანდაძე მთავარი როლის შემსრულებელ ლიკა ქავჟარაძესთან ერთად

— შოთა, მხატვარმა კაცმა, როგორ გარისკე ფილმის გადაღება?

— ვერ წარმოიდგენთ, რა მღელვარებით ველოდი იმ დღეს, როცა კინოკამერასთან დავდგებოდი. რამდენიმე წელი ფიქრს მოვანდომე. ამასობაში სცენარიც დავწერე. რაღაცნაირად, თავისთავად მომწიფდა და მოვიდა კიდეც ის დრო, როცა ვიგრძენი — ამას შევძლებდი.

— მოდი, ჯერ „გაელვებაზე“ გვიამბე.

— ფილმი ადამიანის ფსიქოლოგიასა და მარტოობაზეა. გემოვნებით და ლამაზად გადაღებულმა ეროტიკულმა სცენებმა კი, მე მგონი, ფილმს განსაკუთრებული ელფერი შესძინა. მე, უპირველესად, მხატვარი ვარ და ჩემთვის მთავარი, სილამაზეა.

— როგორ ფიქრობ — ქართველი მაყურებელი ასეთ ფილმებს მიიღებს?

— მე პორნოგრაფია კი არა, ეროტიკა გადავიღე. ეს აბსოლუტურად სხვა რამეა. ამ ფილმით შევეხე მეძაობის თემას, რადგან ვფიქრობ, რომ თუკი მეძავი ხდება ადამიანი, მერე აქედან ძალიან ძნელია თავის დაღწევა, ზოგიერთისთვის — შეუძლებელიც. სხვისი არ ვიცი, მე კი ეს მტკივა... მეძაობის პრობლემის გარდა, ფილმში ადამიანის მარტოობას ვეხები. დღეს ძალიან ბევრი ადამიანია მარტო...

— საინტერესოა, რომ შენ არა ქალის, არამედ მეძავი მამაკაცის ხვედრი წამოსწიე წინა პლანზე და ეს როლი თავად შეასრულე.

— ვფიქრობ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, საქართველოში ადამიანები ე.წ. კომპლექსებისგან უფრო მეტად გათავისუფლდებიან და მშვიდად მიიღებენ ასეთ კინოპროდუქციას... მეძავი მამაკაცის როლის შემსრულებელს კარგა ხანს ვეძებდი და მივხვდი, რომ ამ როლზე საქართველოში ვერავის დავითანხმებდი, ამიტომ თავად ვითამაშე. ყველა, ვინც ფილმში თამაშობს, ჩემი ახლობელია. მთავარი როლის შემსრულებელი, მოგეხსენებათ, ლიკა ქავჟარაძეა.

— არ იბოჭებოდით ეროტიკული სცენების გადაღების დროს?

— არა. თუ შეიბოჭები, საშინელება გამოვა, ამ შემთხვევაში ჯობია, საერთოდ არ მოჰკიდო ხელი ამ საქმეს. რასაც ჩვენ კამერის წინ ვაკეთებდით, მხოლოდ შიშველი სილამაზეა, მხატვრული ფასეულობით დამშვენებული. „გაელვება“ ჩემს ბინაში გადავიღე. მართლა დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობდით.

— მეორე ფილმზე რას იტყვი?

— „გაელვება“ ვიდეოკამერით გადავიღე, „ნოველები“ კი — კინოკამერით. ამ ფილმში თამაშობენ მშვენიერი ქალბატონები: დოდო ჭიჭინაძე, მზია მაღლაკელიძე, ლია კაპანაძე და ბატონი მერაბ თაბუკაშვილი. ოთხივე ნოველა ესთეტიზმზეა აგებული. მაგალითად, ქალბატონი დოდოს გმირს ძველი სიყვარული ახსენდება და მოქმედება მის სიზმარში ხდება. ძალიან ლამაზია ქალბატონი დოდო და ქედს ვიხრი მის წინაშე. ლია კაპანაძის ნოველას „საშიში მშვენიერება“ ჰქვია. მასთან მუშაობა მართლაც ზღაპარია, დიდებული მსახიობია. მზია მაღლაკელიძის ნოველაც სიზმარზეა აგებული. ის საოცარი სიღრმით გადმოსცემს მარტოხელა ქალის განცდებს. მერაბ თაბუკაშვილი კი, ძველ სიყვარულს შეხვდება; ამ ნოველაში თიკა ბერძენიშვილიც („მეა“) თამაშობს.

— უახლოეს მომავალში რას აპირებ?

— ბარემ იმასაც გეტყვით, რომ გადავიღე ნუცა შანშიაშვილის რომანსის კლიპი — „ხელები“. ძალიან მიყვარს ნუცა, არაჩვეულებრივი მომღერალია და ბედნიერი ვარ, საქართველოში სწორედ მე რომ გადავიღე მისი კლიპი, თორემ მოსკოვსა და საზღვარგარეთ, ნუცას არც პოპულარობა აკლია, არც სახელი და არც რეჟისორები... გადავიღე აგრეთვე დოკუმენტური ფილმი — „ხელოვანთა მხოლოდ კადრები“ და ვიმუშავე ქალბატონ ცისანა ტატიშვილის კლიპზე, რომლის პრემიერაც მალე შედგება. მისი ერთ-ერთი რეკვიემის რემიქსული ვარიანტი შევქმენით. რაც შეეხება გეგმებს — ზუსტად ჯერ ვერაფერს გეტყვით. პროექტები, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ „ასეთი ნოველები“ ორიოდე დღის წინ დავასრულე და ცოტა ხანს, ალბათ, დავისვენებ. „გაელვებას“ და „ასეთ ნოველებს“ მალე გერმანიაში გავაგზავნი კინოფესტივალზე.

— რომელ კინოფესტივალზე?

— გერმანიაში ბევრი საინტერესო ფესტივალი ტარდება და არჩევანს გავაკეთებ.

— მხატვრობაზე მთლიანად ხომ არ თქვი უარი?

— არა, რას ამბობთ?! მხატვრობა ისეთივე ძვირფასია ჩემთვის, როგორიც კინოკამერა. სწორედ მხატვრობამ მიბიძგა კინოსკენ და შესანიშნავად ვგრძნობ ამ მხრივ თავს.

„შერატონ მეტეხი პალასში“ თათა ვარდანაშვილის გამოფენა გაიმართა. დიზაინერმა საოცრად ლამაზი და ორიგინალური ფეხსაცმელი შესთავაზა ქართველ მომღერლებს, მოდელებს, ჟურნალისტებსა და ყველას, ვინც მისი პროდუქციის დამფასებელია. თათა უკვე დიდი ხანია, ელოდა ქართული ხარისხის ნიშანს; ახლა შრომა დაუფასდა და ყველამ ვნახეთ ბედნიერი და გახარებული თათა. თუმცა, იმ მძიმე ვითარებაში, რომელიც ბოლო პერიოდში შეიქმნა, გამოფენის მოწყობა ცოტა მოულოდნელი იყო.

ხარისხის ნიშანი, რომელიც საქართველოში და გაოცებული იტალიელი

ლელა ჭანკოტაძე

— თათა, რატომ არ გადადე გამოფენის მოწყობა?

— ეს გამოფენა წინასწარ იყო დაგეგმილი, ამიტომ ველარ გადავდებდი. იმ უცხოელებს, რომლებიც უნდა ჩამოსულიყვნენ, თუ შევუთვლიდი — აქ დაძაბული მდგომარეობაა-მეთქი, — ისინი თბილისში აღარასოდეს ჩამოვიდოდნენ...

— რა მნიშვნელობა ჰქონდა შენთვის ხარისხის ნიშანს?

— ქართული ხარისხის ნიშნის მინიჭებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარმოების განვითარებისთვის. ეს აუცილებელია, თუ გინდა, რომ შენი პროდუქცია საზღვარგარეთ გავიდეს. ამის შემდეგ, კიდევ დიდი გზა მექნება გასავლელი საერთაშორისო სერტიფიკატის მოსაპოვებლად, რასაც ისეთ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, როგორსაც საქართველოში აღიარებას. ფეხსაცმლის წარმოებაში პირველი ვარ, ვინც ხარისხის ნიშანი მიიღო. ეს იოლი არ იყო. ჩემს ფეხსაცმელს დიდი ხნის განმავლობაში უტარდებოდა ტესტირება, მისი გამძლეობის დასადგენად; შეისწავლეს მსოფლიო სტანდარტებთან მისი შემადგენელი კომპონენტების (ტყავი, ქუსლი) შესაბამისობა. ხუთი წლის განმავლობაში ვცდილობდი, საუკეთესო პროდუქცია შემეთავაზებინა მომხმარებლისთვის. ბედნიერი ვარ, რომ ბევრი მეგობარი შევიძინე იტალიასა და თურქეთში, რომელიც მენდობა. კონტაქტებისა და ნდობის გარეშე არაფერი გამომივიდოდა. ჩემი სამუშაო ძალზე შრომატევადია. თითოეული მოდელის შექმნა დიდ ენერგიას მოითხოვს. მაგალითად, ქუსლების ზედაპირები ჯერ უნდა დავამზადო თაბაშირისგან ან გამოვთალო ხისგან, შემდეგ ჩავიტანო სტამბოლში და იქ ფეხსაცმლის ქარხანაში დავამზადებინო. ეს ქარხანა უცხო პირთათვის დახურულია,რომ ვინმემ არ მოიპაროს ტექნოლოგია. ამდენად, რომ არ მენდობოდნენ, იქ არც შემიშვებდნენ. იგივე ითქმის ტყავზეც. ტყავისგან, რომლის ერთი ნაჭერი 700 დოლარი ღირს, ცხადია, საქართველოში ვერაფერს შევკერავ, რადგან მერე ვერ გავყიდი. ამიტომ იმ ქარხანაში, სადაც ეს ტყავი მუშავდება, ვმუშაობ, როგორც დიზაინერი, და ამის წყალობით, ტყავს ფასდაკლებით მაძლევენ. ყოველივე ამის შედეგად, ვახერხებ იმას, რომ ჩემს მომხმარებელს საუკეთესო პროდუქცია შევთავაზო.

ვაჟთან ერთად

— როგორ აფასებენ უცხოელი სპეციალისტები შენს პროდუქციას?

— დიუსელდორფში ვიყავი, „ქართუს“ ფაბრიკის წარმომადგენლებს ვახლდი მიზნობრივი მივლინებით. საერთოდ, როცა სეზონური გამოფენა იმართება, ფეხსაცმლის ყველა მსხვილი დიზაინის მწარმოებელი ფირმა — მაგალითად, „ვივიენ ლი“ — ცდილობს, პავილიონში არ შეუშვას არავინ, საკუთარი კლიენტების გარდა, რომ სხვა მწარმოებელმა არ მოიპაროს დიზაინი... ერთი სიტყვით, ასეთ გამოფენაზე მოვხვდი. ჩემი გაკეთებული, მაღალყელიანი, შავ-თეთრი „ინსპექტორები“ მეცვა. ვათვალიერებდი გამოფენას, პავილიონში შესვლა კი არ შემეძლო, რადგან არც ე.წ. „ოქროს ბარათი“ მქონდა და არც მოსაწვევი. ერთი იტალიელი კაცი მომიახლოვდა; თურმე ჩემი ფეხსაცმლით დაინტერესებულა. რომ ვუთხარი — ჩემს სტუდიაში, ჩემი ხელით მაქვს შეკერილი-მეთქი, — გაოცდა: როგორ, საქართველოში ამ დონის ფეხსაცმელი იკერებაო?! მერე ფურცელი ამოიღო და დააწერა — „გაატარეთ“. ამის შედეგად, ჩემთვის ყველა პავილიონის კარი გაიღო...

— უცხოელებს თუ აცვიათ შენი ფეხსაცმელი?

— იტალიელი დიზაინერები პირველად რომ მოვიდნენ ჩემთან, გაოცებულებმა თქვეს: თავი მილანში გვგონიაო!.. ისინიც სიამოვნებით ყიდულობენ ჩემს ფეხსაცმელს. ბევრი უცხოელი, რომელიც თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, ახლა „იმეილით“ მატყობინებს საკუთარი ფეხის ზომას და შეკვეთას მაძლევს. თითქმის ყველა საელჩოს თანამშრომელი ჩემი მომხმარებელია. ჩემი ფეხსაცმელი აცვიათ რუს მომღერლებსაც. მანანა თოდაძე, რომელიც რუსეთში მოღვაწეობს, სცენაზე მხოლოდ ჩემი ფეხსაცმლით გამოდის. ასე რომ, ბევრი ერთგული კლიენტი მყავს.

— რა სიახლეები შეგიძლია შესთავაზო ჩვენს მკითხველებს?

— წელს კლასიკური ფერებია მოდაში: შავი, თეთრი, წითელი. წვეტიანი ცხვირი ასე ვთქვათ, ფეხსაცმლის კლასიკაა, მაგრამ ბოლო პერიოდში, ასეთი ფეხსაცმლის ყოველდღიურად ტარებაა შემოსული მოდაში. ამას დაემატა შედარებით მოკლეწვეტიანი ცხვირი, შესაბამისად, გაფართოებული გვერდებით. მოდურია მრგვალცხვირიანი ფეხსაცმელიც, ოღონდ — ცოტა მოგრძო ფორმის, რადგან გრძელი სილუეტიდან მოკლეზე უცბად გადასვლა უხერხულიც არის და დისკომფორტსაც ქმნის. რაც მთავარია, წლევანდელი მოდა იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ძველი ფეხსაცმლის გადამუშავების შედეგად, ახალი მივიღოთ... ■

ეფექტური ბიოკვეზიც ცვლცვნელში

სახის კანი გაიწმინდეთ ხორბლის, ნუშის ქატოთი ან სიმინდის ფქვილით. შეგიძლიათ გაილამაზოთ სახის კანი სხვადასხვა მცენარეული ნიღბითაც, ოღონდ, წინასწარ უნდა იცოდეთ, როგორი კანი გაქვთ, რა ნაკლი აქვს და რა მცენარეული ნიღაბია მისთვის საჭირო.

ნიღაბი შეარჩიეთ იმის მიხედვით, თუ რომელ მცენარეს რა თვისებები აქვს. დავიწყოთ ხილით:

ალუბალი – ფორებს ავიწროებს და ავანსაღებს;

ატამი – გადატკეცს და არბილებს კანს;

გარგარი – ამშვიდებს კანს, სპობს გაღიზიანებას;

კარტოფილი – სპობს დაღლილობის კვალს და ასწორებს ნაოჭებს;

კიტრი – სასურველია დაღლილი, ჭკნობაშეპარული კანისთვის;

ლიმონი – ავიწროებს ფორებს, ძლიერმოქმედია და ამიტომ სასურველია, შეურიოთ სხვა ნაყოფის წვენი ან თაფლი;

მოცვი – კარგია ფორებიანი კანისათვის;

პომიდორი – კარგია ფორებიანი, ცხიმიანი კანისათვის;

სტაფილო – ცხიმიანი, ფერისმჭამელებიანი, მკრთალი, ჭკნობაშეპარული კანისათვის;

ყურძენი – არბილებს კანს, მატებს ტენს.

● ცხიმიანი კანის გასაწმენდად ძალიან ეფექტურია საპონი, რომლის მომზადება თქვენც შეგიძლიათ: აიღეთ კოსმეტიკური საპნის ნაჭერი, გახეხეთ სახეხზე, დაასხით ერთი ჭიქა ცხელი წყალი, გაადნეთ დაბალ ცეცხლზე, თან განუწყვეტლივ ურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. მორევისას დაამატეთ 12 ჩ/კ ქაფურის სპირტი, 1 ჩ/კ წყალბადის პეროქსიდი და 1 ჩ/კ ბორის მჟავა. ამ საპნით პირის დაბანა შეიძლება არა უმეტეს 1-2-ჯერ კვირაში. სახის გასასაპნად გამოიყენეთ ბამბის ტამპონი, რომელიც დასველებულია წყალბადის პეროქსიდით.

● კანის ცხიმიანობის შემცირება შეიძლება აგრეთვე გულყვითელას (კალენდულა) (1 ჩ/კ გამხმარ ყვავილებს დაასხით 1 ჭ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 15 წუთი, შემდეგ გაწურეთ) ან მრავალძარღვას (1-2 ს/კ გამხმარ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 1 ჭ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 2 სთ) ნაყენით.

● ცხიმიანი და იმავდროულად აქერცლილი კანისათვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ დაბანის შემდეგ გიჩნდებათ დაჭიმულობის შეგრძნება, კარგი იქნება, რომელიმე უცხიმო მკვებავის სველ კანზევე წასმა (უმჯობესია, თუ კრემი თხევადი იქნება).

● ახალგაზრდულ ასაკში მშრალი კანისათვის კარგია ნახევრად ცხიმიანი მკვებავი, ბიოლოგიურად აქტიური კრემები, ხანში შესულ ასაკში კი, ცხიმიანი კრემების წასმას გირჩევთ. მზეზე ყოფნის, აბაზანის მიღების შემდეგ სახეზე წაისვით დამარბილებელი, სწრაფი შეწოვისუნარიანი კრემები.

● წმინდად გაცრილი სიმინდის ფქვილის, საჭმელი სოდის და სუფრის მარილის (თანაბარი რაოდენობით) 1 ჩ/კ ნარევს დაუმატეთ ამდენივე მაწონი და წაისვით სახეზე (დაიცავით თვალის უპეები), 3-4 წუთის განმავლობაში ფრთხილად შეიზილეთ, შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

● დილას წაისვით სახეზე და კისერზე მაწვნისა და თაფლის ან პურის ფქვილისა და თაფლის (თანაბარი რაოდენობით) ნარევი. გაიჩერეთ ნახევარი საათი, ჩამოიბანეთ თბილი წყლით და გადაისვით რბილი მკვებავი.

სახის მოსავლელად არ არის საკმარისი მხოლოდ კრემების, ლოსიონების, ნიღბების გამოყენება. პერიოდულად უნდა მიმართოთ ექიმ-კოსმეტოლოგს და კანი გამოიკვლიოთ.

როგორ ებრძოლეთ ცოცხი ტარაკნებისაგან?

ტარაკნების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთ ეფექტურ საშუალებას შემოგთავაზებთ. სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, ის მძაფრი სუნით არ გამოირჩევა და ალბათ ესეც არის მიზეზი, რომ დიასახლისები მას ხშირად იყენებენ.

ნარევი, რომელიც თქვენი სახლიდან ტარაკნებს განდევნის, ბორის მჟავის, კვერცხის გულისა და ხაჭოს თხელი კონსისტენციისგან მზადდება. მასა შეგიძლიათ მოათავსოთ მუყაოზე, ქილის თუნუქის სახურავებზე და ისეთ ადგილებზე დადოთ, სადაც ტარაკნებს შეამჩნევთ. ეს აბეზარი მწერი თავშესაფარს ძირითადად, ღუმლის ქვეშ, პლინტუსებთან, ნიჟარებთან და ურნებთან პოულობს. ამიტომ ნარევი 1,5-2 კვირის განმავლობაში ამ ადგილებში დადეთ. 2 კვირის შემდეგ, გამომშრალი მასა ახალ კვერცხის გულს ხელახლა შეურიეთ და იმავე ადგილებში განალაგეთ.

ტარაკნებისათვის კარგი სატყუარაა ბორაკის ნარევი ამდენივე რაოდენობის ფქვილთან ან შაქრის პუდრთან ერთად. აგრეთვე შეგიძლიათ მინის ქილას შიგნითა მხრიდან წაუსვათ ნებისმიერი ცხიმი ისე, რომ 5-10 სმ-ის სიგანის რგოლი შეიქმნას. ქილაში მოათავსეთ საატყუარა (პური, ყველი, მაწონი) – ხაფანგი ტარაკნებისთვის მზადაა. გარედან ქილას შემოახვიეთ ქაღალდი. ნუ გამოიყენებთ მზესუმზირის ზეთს, რადგან ის ტარაკნებს არ უყვართ.

საუკეთესოდ დაგიცავთ ტარაკნებისგან 45% ბორის მჟავას, 55% კარტოფილისა და მცირეოდენი გააქტივებული ნახშირისაგან დამზადებული ნარევი. ამ შემთხვევაში კარტოფილი საატყუარას როლს ასრულებს, ბორის მჟავა კი შხამია, რომელიც წყლისგან ცლის ტარაკნის ორგანიზმს.

ჯაჭოჩანილი ადამიანების ოსტროვსკული ჯამოწამებები

მაშველი მუხრუჭი

ერთმა ქალმა, რომელსაც დიდი ჭკუის პატრონად მოჰქონდა თავი, ცნობილ ექიმს, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს ლუდვიგ შლაიჰს განუმარტა:

— ბატონო დოქტორო, როგორც ექიმი, თქვენ ამავე დროს, ასე ვთქვათ, საიქიოს გზაზე გამცილებელიც ბრძანდებით!

— თქვენ ცდებით, მოწყალეო ქალბატონო, — მიუგო შლაიჰმა, — მე მაშველი მუხრუჭის მოკრძალებული ადგილით ვკმაყოფილდები...

თანაგრძნობა

ერთ საზოგადოებაში ბერნარდ შოუ შეხვდა ახალგაზრდა მწერალს, რომელიც ყველას საკუთარ ლიტერატურულ წარმატებებზე ელაპარაკებოდა. შემდეგ გამოჩენილ დრამატურგსაც მიუახლოვდა და უთხრა:

— ოცი წლის რომ ვიყავი, ექიმმა თამბაქოს მოწევა ამიკრძალა — ვაითუ, ტვინი დაგიზიანდესო.

— მერე, რატომ არ დაუჯერე?!. — უთხრა თანაგრძნობით შოუმ.

რჩევა

მარკ ტვენს ჰკითხეს:

— ერთი ნახვით შეყვარების საწინააღმდეგო საშუალება ხომ არ იცით?

— ვიცი, — მიუგო მწერალმა, — მეორედ უნდა შეხედო დაკვირვებით.

დიალოგი სადალაქოში

საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქში ყოფნისას, მარკ ტვენი სადალაქოში შევიდა.

— გეტყობათ, უცხოელი ხართ, — უთხრა დალაქმა.

— დიახ, პირველად ვარ ამ ქალაქში.

— ბედნიერი შემთხვევაა. აქ მარკ ტვენია ჩამოსული და ალბათ საღამოს, მის ლექციას დაესწრებით.

— რა თქმა უნდა.

— ბილეთი გაქვთ?

— ჯერ არა.

— სამწუხაროა, რადგან ყველა ბილეთი გაყიდულია და ფეხზე მოგიხდებათ დგომა.

— დალახვროს ეშმაკმა, ამ მარკ ტვენთან არასოდეს არ მწყალობს ბედი: მის ლექციებზე ყოველთვის ფეხზე მიხდება დგომა... — ღიმილით მიუგო მწერალმა.

ანექდოტები

***

მებაღემ მეზობელ ბიჭს, ვაშლის ხეზე ასულს მიუსწრო და მუქარით უთხრა:

— როგორ არა გრცხვენია? ამხელა ბიჭი ხარ! მოიცა, ერთი, მამაშენს ვუთხრა...

ბიჭმა ზემოთ, ხის ტოტებისკენ აიხედა:

— მამი, მეზობელს შენთან დალაპარაკება უნდა!

***

მიხო კვდება. მძიმედ სუნთქავს. ძალღონე მოიკრიბა და ცოლს ეუბნება:

— უკანასკნელ თხოვნას შემისრულებ?

— რა თქმა უნდა, მიხო, — მუშტით ცრემლებს იწმენდს მარო.

— მინდა, ჩემი გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ, ვანუას გაჰყვე ცოლად.

— აბა, მეზიზღებაო, რო ამბობდი?

— მეზიზღება და თანაც როგორ!.. — ამოიკვნესა მიხომ.

***

ბავშვები ერთმანეთს ეტრაბახებიან:

— მე ორი და მყავს და ორივეს საკუთარი ოთახი აქვს.

— ჩვენ ოჯახში 5 ბავშვი ვართ და ხუთივეს საკუთარი ველოსიპედი გვაქვს.

— ჩვენ 10 და-ძმა ვართ და ყველას საკუთარი მამა გვყავს.

***

პატარა ბიჭი ქუჩაში დგას და სიგარეტს ეწევა. ქალი მიუახლოვდება და ეუბნება:

— ბიჭიკო, შენმა მშობლებმა იციან, სიგარეტს რომ ეწევი?

— თქვენმა ქმარმა თუ იცის, ქუჩაში უცნობ მამაკაცებს რომ ელაპარაკებით?

***

გამოჩნდა ახალი ჰიბრიდი — ოქროს თევზისა და ზვიგენის ნაჯვარი — უკანასკნელ სურვილს ასრულებს...



***

ზოოლოგიის ფაკულტეტზე გამოცდაა. ლექტორი იღებს ჩიტის ფეხს და სტუდენტ გოგონას ეკითხება:

— ეს რისი ფეხია?

— არ ვიცი.

— „ორიანი“.

სტუდენტი იღებს ჩათვლის წიგნაკს და აუდიტორიიდან გარბის.

— მოითმინეთ! თქვენი გვარი?

გოგონა კარში ფეხს შემოყოფს და ლექტორს ეუბნება:

— აბა, გამოიცანით.

***

ერთი კაცი ეკითხება მეორეს:

— რა უფრო გინდა — ხუთი ათასი დოლარი თუ ხუთი ქალიშვილი?

— ხუთი ქალიშვილი.

— რატომ, შე კაცო?

— იმიტომ, რომ ახლა 8 ქალიშვილი მყავს.

დიეტა საყვარელი ადამიანისათვის

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

საკვებს გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე ჩვენ გვგონია — მას ძალუძს, ადამიანი გაამხნევოს, დაამშვიდოს და სიყვარულისთვისაც განაწყოს კიდეც.

თუ იგი მოწყენილია

ორჭოფული პასუხები, განმარტოების სურვილი, გართობაზე უარის თქმა – ეს ყველაფერი მამაკაცური სევდის მიმანიშნებელია. იმის ნაცვლად, რომ დატანჯოთ და გაუთავებელი შეკითხვებით შეაწუხოთ, უმჯობესია, თქვენი ყურადღება კულინარიისაკენ მიმართოთ. როცა მამაკაცი დარდიანია, მას განსაკუთრებით გემრიელად უნდა აჭამოთ. გემოს რეცეპტორების აგზნებას პასუხად მოჰყვება სისხლში ენდორფინების („ბედნიერების ჰორმონების") მძლავრი გადასროლა – მამაკაცი კვლავ გაიღიმებს და ძველებური სიმპათიით შემოგხედავთ.

● **კერძები და პროდუქტები.** დროა მიმართოთ ხმელთაშუა ზღვის დიეტას. თევზი, ზღვის დელიკატესები, ზეითუნის ზეთი, ახალი ბოსტნეული და მწვანილეული არა მხოლოდ ათეროსკლეროზის განვითარებისაგან გვიცავს, არამედ განწყობასაც გვიუმჯობესებს.

საერთოდ, სევდა კარგად იკურნება თევზით, მაგრამ არა ნებისმიერით, არამედ იმ სახეობით, რომელიც შეიცავს ბევრ ცხიმოვან მჟავას ომეგა-3-ს. იგი აძლიერებს ემოციურ მდგრადობას და იცავს ადამიანს დეპრესიისაგან. ამასთან, ამ ნივთიერების მოთხოვნილება მამაკაცებში მეტია, ვიდრე ქალებში. ხშირად მიიტანეთ სუფრასთან ორაგული, სარდინი, კალმახი; მეტად სასარგებლოა მოლუსკებიც. მას შეიცავს გაყინული ე.წ. „ზღვის კოქტეილი", რომელიც 5 წუთით უნდა ჩაშუშოთ. შემდეგ აურიეთ მოხარშული ბრინჯი, წვრილად დაჭრილი მოხარშული კვერცხი, კამა და მაიონეზი. მიიღება დელიკატესური სალათი.

● **ვიტამინები და მიკროელემენტები.** ხასიათის გამოსწორება შეუძლია E და C ვიტამინებს, ბეტა-კაროტინს და სელენს. ეს უკანასკნელი სამკურნალო საშუალებადაც გამოდგება, თუკი ცუდი განწყობა ორგანიზმში სიმჟავის მატებითაა გამოწვეული (ანუ ორგანიზმში თავისუფალი რადიკალებია დაგროვილი). ბოლო წლებში სელენს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დეპრესიის პროფილაქტიკისათვის. იგი მოქმედებს, როგორც ანტიოქსიდანტი და ასტიმულირებს მჟავა პროდუქტების წყლად გარდამქმნელი განსაკუთრებული ფერმენტის გამომუშავებას.

სელენის საუკეთესო ბუნებრივი წყაროა მარცვლეული, თევზი, სოკო, ყაბაყი, ნიახური, კიტრი.

განწყობაზე დადებითად მოქმედებს სეროტონინი. იგი განსაკუთრებით ბევრია ბანანში, რომელიც ამავდროულად ასტიმულირებს სეროტონინის გამომუშავებას თავად ორგანიზმის მიერ.

● **ბალახეული.** საიმედო ანტიდეპრესანტული თვისებები აქვს კრაზანას. ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად მოადუღეთ მისი ჩაი და მცირე რაოდენობით დაამატეთ ჩვეულებრივ ჩაის. ემოციური ფონი, მართალია, მაშინვე არა, მაგრამ აუცილებლად გამოგისწორდებათ. ■

ეგზოტიკური ხილი

მანგო

ლეგენდის თანახმად, მანგოს ნაყოფი დასამშვიდებლად მოევლინა ბუდას, რომელიც ადამიანთა ბედის შესახებ მწარე ფიქრებში იყო ჩაძირული. თუმცა კარგი განწყობის დროსაც არავის აწყენს არომატული მანგო.

როგორ შევარჩიოთ

მანგოს ყველაზე გავრცელებული სახეობა წაგრძელებული, ნარინჯისფერი და გლუვკანიანია. მწიფე ნაყოფი უნდა იყოს რბილი. მას აქვს პატარა, ბრტყელი კურკა და ნაზი, ტკბილი რბილობი, რომელსაც შესაძლოა სხვადასხვაგვარი გემო (ატმის, ბანანის, ლიმონის, ნესვის) ჰქონდეს, მაგრამ მასში ყოველთვის იგრძნობა მახასიათებელი, წიწვოვანი ბუნება.

ნაყოფი რომ დამწიფდეს, 2-3 დღით ოთახის ტემპერატურაზე უნდა მოათავსოთ, მაგრამ არა მაცივარში, თორემ იგი ლპობას დაიწყებს.

რისთვისაა სასარგებლო

კანისთვის. მანგო – კანისათვის ნამდვილი ახალგაზრდობის ელექსირია. ნაყოფი შეიცავს C ვიტამინს და ფერმენტებს, რომელიც ნაოჭების წარმოქმნას ეწინააღმდეგება, ასტიმულირებს კოლაგენური ბოჭკოების სინთეზს. მათ მდგომარეობაზე კანის ელასტიკურობა და სიმკვრივეა დამოკიდებული.

გულისა და სისხლძარღვებისათვის. ერთი დიდი ზომის მანგო ავსებს ორგანიზმში კალიუმის დღეღამურ მოთხოვნილებას. ეს მიკროელემენტი აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობისათვის. მანგოს ახალი წვენი ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს, შესაძლებელია მისი გამოყენება ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის

მხედველობისათვის. მანგო კაროტინის (A პროვიტამინის) შესანიშნავი წყაროა. კაროტინი ორგანიზმში გარდაიქმნება რეტინოლად, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ღამის და ფერადი მხედველობის პროცესებში, დადებითად მოქმედებს თვალის რქოვანაზე.

თირკმლებისთვის. წყლისა და მინერალური ნივთიერებების მაღალი შემცველობის წყალობით, მანგო მშვენივრად წმენდს და აწესრიგებს თირკმლების მუშაობას. განტვირთვის დღეებში ამ ტროპიკული სასწაულის ჩართვა აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ხსნის შეშუპებებს.

ნერვული სისტემისათვის. მანგოში ბევრია გლუკოზა, რომელიც იწვევს ენერგიის მოზღვავებას და დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. დილით დალეული ერთი ჭიქა მანგოს წვენი სიმხნევის მუხტია მთელი დღი

სათვის. ამასთან 100 გ მანგოს ენერგეტიკული ღირებულება მხოლოდ 70 კკალორიაა.

სიმსივნის პროფილაქტიკისთვის. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მანგო მდიდარია ანტიოქსიდანტებით – ნივთიერებებით, რომელიც წინ აღუდგება სიმსივნის განვითარების მაპროვოცირებელ თავისუფალ რადიკალებს.

როგორ გამოვიყენოთ

ტუჩის ჰერპესის სამკურნალო პასტა. ჩანგლით დაჭყლიტეთ მანგოს რბილობი, აურიეთ ორი წვეთი მენთოლის ზეთი და მიღებული ფაფა 10-15 წუთით დაიდეთ ტუჩის გაღიზიანებულ უბანზე. გაიმეორეთ 2-3-ჯერ დღეში. აქტიურ მოქმედებას განაპირობებს ანტივირუსული ნივთიერება – მაგნეფერონი, რომელსაც მანგო შეიცავს.

დამატენიანებელი ნიღაბი – კრემი აქერცლილი კანისათვის. შეურიეთ 2 ს/კ დანამცეცებული მანგოს რბილობი 1 ჩ/კ თაფლს, დაუმატეთ 1 ჩ/კ ზეითუნის ზეთი და წაისვით სახეზე. 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

სტერსის საწინააღმდეგო კოქტეილი. ერთმანეთს შეურიეთ 3 ს/კ მანგოს რბილობი, 1 ს/კ თაფლი და 0,5 ჭიქა თბილი რძე. დალიეთ პატარა ყლუპებით.

თირკმელ-კენჭოვანი დაავადების სამკურნალო სასმელი. შეურიეთ თანაბარი რაოდენობით მანგოსა და სტაფილოს წვენები. მიიღეთ თითო ს/კ 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით ადრე, ერთი თვის განმავლობაში. ■

სილამაზის საიდუმლო

რისთვისაა საჭირო სილამაზე? პირველ რიგში, გვარის გასაგრძელებლად. არშიყობის პირველი ეტაპი — ყურადღების მიპყრობაა. ტანმაღალი ადამიანები უფრო თვალში მოსახვედრები არიან. ამიტომ მაღალი ტანი მიმზიდველად ითვლება ორივე სქესის წარმომადგენლებს შორის.

მეორე ეტაპი შეთვალიერებაა. სილამაზის გაგება შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა კულტურაში და მხოლოდ რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმი ნარჩუნდება ყველა დროში: ესაა კარგი კანი და პროპორციული წყობა, როგორც ჯანმრთელობისა და ჰორმონული სიჯანსაღის დადასტურება.

ლამაზი ფიგურა

არც ერთი ერის წარმომადგენელი არ დაობს იმაზე, რომ მამაკაცის ფიგურა უნდა წარმოადგენდეს სამკუთხედს: ფართო მხრებით და ვიწრო თეძოებით. სწორედ ასეთ ფორმირებას ახდენს მამაკაცური ჰორმონები. სხვაგვარი წყობა, ისევე, როგორც მოშვებული სხეული, მოწმობს ჰორმონულ დეფიციტზე და ამიტომ არ ითვლება მიმზიდველად. ქალი მამაკაცში აფასებს მკვრივ, დაკუნთულ სხეულს, როგორც ენერგიული, სექსუალური აქტივობის ნიშანს.

ქალური ჰორმონების გამოვლინებას კი წელისა და თეძოების თანაფარდობა წარმოადგენს. სწორედ წვრილი წელის ნარნარი გადასვლა თეძოს განიერ გარშემოწერილობაში ახდენს მაგიურ ზემოქმედებას მამაკაცებზე. წვრილი წელი ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის ნიშანია. განიერი თეძოები კი ქალის შვილოსნობის უნარზე მეტყველებს.

სექსუალურობა

„პასიური“ სილამაზე საკმარისი როდია. ადამიანებს სჭირდებათ წაქეზება – სიგნალი, რომელიც არშიყობისაკენ უბიძგებს. მაგალითად, ქალის მკვეთრი ფერის ტუჩები და გაფართოებული გუგები მის სექსუალურ აგზნებულობაზე მეტყველებს და სასურველს ხდის.

არსებობს კიდევ ერთი მიმზიდველი თავისებურება – გაწითლების უნარი. ამ ადამიანურ თვისებას არა აქვს ანალოგი ცხოველებში. განსაკუთრებული ღირებულება ისაა, რომ შეუძლებელია მისი იმიტირება. კოსმეტიკურისაგან განსხვავებით, აღელვებით გამოწვეული უეცარი სიწითლე ნამდვილია და შეუდარებელი. დღესაც კი, როდესაც ქალიშვილობის ინსტიტუტმა დაკარგა ფასეულობა, სიმორცხვისაგან შეფაკლული ლოყები ისევ ისე მომხიბვლელია.

ჯანმრთელი ბავშვის ლამაზი მამა

გარეგნულად მომხიბლავ მამაკაცებს ყველაზე კარგი სპერმოგრამა ჰქონიათ. ეს დაადასტურა ესპანელ ექიმთა გამოკვლევებმა.

ადამიანის სახე ოდითგანვე ითვლებოდა ჯანმრთელობის ინდიკატორად. თუმცა პირველად იქნა დადასტურებული, რომ მამაკაცის შვილოსნობის უნარი მის გარეგნობასთანაა დაკავშირებული. ვალენსიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიკვლიეს 66 სტუდენტი. შემდეგ 66 ქალს წარუდგინეს მათი ფოტოპორტრეტები და სთხოვეს, შეეფასებინათ, რამდენად მიმზიდველები არიან ეს მამაკაცები მათთვის. ამავდროულად ჩაატარეს სტუდენტთა სპერმოგრამის ანალიზი. გამოკვლევის მეორე ფაზაში კი შეარჩიეს კარგი, ნორმალური და ცუდი ხარისხის სპერმის მქონე 12 კანდიდატი და მათი ფოტოგრაფიები ქალების ორ ჯგუფს აჩვენეს.

ორივე შემთხვევაში იმ მამაკაცებს, რომლებიც ქალებმა მიმზიდველად მიიჩნიეს, სპერმატოზოიდთა დიდი ძვრადობა და საუკეთესო მორფოლოგია აღენიშნებოდათ. გამოდის, რომ ქალებს სახის ნაკვთების შეთვალიერებითაც კი შეუძლიათ გამოიცნონ რეპროდუქციულობის თვალსაზრისით ჯანმრთელი მამაკაცები. ალბათ თავად ბუნება ზრუნავს ამგვარად, კარგ შთამომავლობაზე.

ინგლისელი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად კი დადგინდა, რომ ქალებშიც არსებობს სხვაგვარი კავშირი – ლამაზ ხმასა და გარეგნობას შორის. ნოტინგემის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მამაკაცებს მოასმენინეს 30 ქალის ხმა, შემდეგ კი აჩვენეს მათი ფოტოგრაფიები. მამაკაცთა აზრით, სასიამოვნო ხმის მქონე მშვენიერი სქესის წარმომადგენლები უფრო მომხიბლავები აღმოჩნდნენ.

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: გამოკვლევები გვაძლევს საფუძველს, დავადგინოთ, რომ სახის სწორი ნაკვთების მქონე ადამიანები ნაკლებად ავადმყოფობენ.



ოტელოს არასიმეტრიული სახე ჰქონია

კარგად დააკვირდით თქვენს შეყვარებულს: ხომ არ აქვს სხვადასხვა ფერის თვალები, გვერდზე მოქცეული პირი? სიმეტრიული აქვს თუ არა სხეულის წყობა?

ყოველი შემთხვევისათვის გაითვალისწინეთ: მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ასიმეტრიული გარეგნობის მქონე ადამიანები სიმეტრიულებთან შედარებით ეჭვიანები არიან.

ჟურნალი New Scientist იტყობინება, რომ ამერიკელმა მკვლევარებმა გამოჰკითხეს 50 ქალი და მამაკაცი იმის დასადგენად, თუ რამდენად ეჭვიანები არიან ისინი. ამასთან ერთად, მეცნიერებმა დაადგინეს მათი სხეულის ასიმეტრიულობის ხარისხი: აიღეს ფეხების, ყურების, თითების ზომები. სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რაც უფრო ასიმეტრიულია ადამიანი, მით უფრო ეჭვიანია. თუმცა იდეალურად სიმეტრიული სახეები თითქმის არ არსებობს (ადამიანთა უმრავლესობას მარჯვენა და მარცხენა ნაწილები, როგორც წესი, განსხვავებული აქვს). ჩვეულებრივ, თვალში საცემი განსხვავების მქონე ადამიანები, ოტელოს კომპლექსით არიან შეპყრობილნი.

მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ეჭვიანობა პარტნიორის შენარჩუნების ევოლუციური მექანიზმია. ის, ვინც შიშობს, რომ არასრულფასოვანი გარეგნობის გამო შესაძლოა მოტყუებული დარჩეს, უფრო ეჭვიანია.

■

სხვადასხვა

ბავშვები მუცელშივე იღიმებიან

ბავშვი გაღიმებას, ტირილსა და თვალის ხამხამს უკვე დედის მუცელში იწყებს. ასეთი აღმოჩენის გაკეთება ბრიტანელმა მეცნიერებმა ახალი თაობის ულტრაბგერითი სკანერის გამოყენებით შეძლეს. აქამდე კი ითვლებოდა, რომ ბავშვები გაღიმებას დაბადების შემდეგ, დაახლოებით 6 კვირის ასაკში სწავლობენ. პროფესორი სტიუარტ კემპბელი უკვე ორი წელია თავის კლინიკაში იყენებს ულტრაბგერით აპარატს, რომელიც დედის მუცელში მოძრავი ბავშვის სამგანზომილებიან გამოსახულებას იძლევა. მისი სიტყვებით, ამ აპარატის მეშვეობით აღმოჩნდა, რომ ბავშვი თითების მოძრაობას იწყებს 15 კვირის ასაკში, მთქნარებას – 18 კვირის, გაღიმებასა და ტირილს კი ჩასახვიდან 26 კვირის შემდგომ. თუმცა პროფესორი აზუსტებს, რომ მუცელში ბავშვის ღიმილი უბრალოდ რეფლექსი შეიძლება იყოს.

ვისთვისაა მავნებელი ქუჩის ზეგავლენა?

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა შეადგინეს იმ მოზარდის პორტრეტი, რომელიც ყველაზე ადვილად ექცევა „ქუჩის მავნე ზეგავლენის“ ქვეშ. აღმოჩნდა, რომ ცუდ კომპანიაში მოხვედრის, სიგარეტით, ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით გატაცების ყველაზე დიდი შანსი აქვთ 14-17 წლის მოზარდებს, დედისერთებს და მათ, ვინც ჯიბის ფულის ნაკლებობას სისტემატურად განიცდის. გოგონებს მავნე ჩვევები და ნარკოტიკებისადმი ლტოლვა უფრო სწრაფად გამოუმუშავდებათ, ვიდრე ვაჟებს. გამოკვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად მშობლებმა შვილები რაიმეთი უნდა დააკავონ და სწორად გათვალონ, რა თანხა სჭირდება მას დღის

განმავლობაში „ყველა წვრილმანისათვის“.

ფოლიუმის მჟავა ტყუპის დაბადებას უწყობს ხელს

ორსულობის დროს ფოლიუმის მჟავის მოხმარება ტყუპის დაბადების ალბათობას თითქმის ორჯერ ზრდის – დაადგინეს შვედმა მეცნიერებმა. ტორნბლადის ინსტიტუტის მკვლევარმა ბენგტ კალენმა აღმოაჩინა, რომ ტყუპი გაუჩნდა იმ ქალთა 2,8%-ს, რომელიც ფოლიუმის მჟავას იღებდა მაშინ, როცა შვეიცარიაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 1,5%-ს არ აღემატება.

გარდა ამისა, ფოლიუმის მჟავა ამცირებს თანდაყოლილი ანომალიების განვითარების რისკს. თუმცა ვიტამინს ნაკლიც აქვს: ზოგიერთი მონაცემით, ამ მჟავის ჭარბად მიღებისას მატულობს ნაადრევი მშობიარობების, სხეულის მასის დეფიციტის და ბავშვთა ცერებრული დამბლის რისკი.

რეინა ვირუსებს იჭერს

შეიმუშავეს ვირუსულ დაავადებათა დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი, რომელიც მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას ეფუძნება: უხილავი ვირუსის გამოსავლენად ამერიკელ მკვლევარებს პაციენტის სისხლში შეჰყავთ რკინის მიკროსფეროები, რომელიც საჭირო ვირუსის ანტისხეულებითაა დაფარული. თუ სისხლში არის ვირუსის ნაწილაკები, ის ურთიერთკავშირში შედის ანტისხეულებთან და წარმოქმნის კომპლექსებს, რომელიც კარგად ჩანს ტომოგრაფიის დროს. არც მიკროსფეროები და არც მათი კომპლექსები საშიში არ არის ადამიანისათვის. ახალმა მეთოდიკამ უკვე გაიარა ლაბორატორიული გამოცდა. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ვირუსული ინფექციების აღმოჩენა ადრეულ სტადიაზე, როდესაც ჯერ კიდევ არანაირი სიმპტომები არ აღინიშნება.

■

კვირის (24 – 30 ნოემბერი)

ასტროლოგიური პროგნოზი

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ჰარმონიული ურთიერთობები სასიკეთოდ წაადგება თქვენს კარიერას. თანამშრომლები დადებითად გახასიათებენ და მათი შეფასება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს თქვენს სამსახურებრივ წინსვლაში.

მამაკაცი: იღბლიანი კვირაა ახალი საქმის წამოსაწყებად ან ახალი ურთიერთობების დასამყარებლად. შინ დაპატიჟეთ მეგობრები, გაუმასპინძლდით სტუმრებს. შეეცადეთ, კვირის მეორე ნახევარი მხიარულ გარემოში გაატაროთ.

მუმიოლდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ამ კვირაში ყველგან სიცრუესა და ორპირობას წააწყდებით, მაგრამ ეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ. ოჯახის წევრებთან თავს უფრო უსაფრთხოდ და კარგად იგრძნობთ.

მამაკაცი: წინ იღბლიანი კვირა გელით. მოიკრიბეთ ძალა და შეუდექით ახალ საქმეს. თქვენი პრაქტიკულობის წყალობით წარმატება გარანტირებული გექნებათ. ეცადეთ, იყოთ ეკონომიური და ნუ დახარჯავთ დიდ თანხას იმაზე, რაც არ გჭირდებათ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: შეეცადეთ, ძალიან არ გადაიტვირთოთ საქმით. კარგი იქნება თუ საღამო ხანს ბუნებაში გაისეირნებთ – ეს თქვენს განწყობაზე დადებითად იმოქმედებს. შეეხმიანეთ ძველ მეგობრებს და მხიარული საუბრებით შეიქციეთ თავი.

მამაკაცი: ამ კვირაში არ არის გამორიცხული საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი. ნუ დაიძაბებით და ყურადღებით მოეკიდეთ იმ საქმეს, რომელიც თქვენი გადასაწყვეტია. შეეცადეთ, გაამხნევოთ მეგობრები, რომლებიც ამჟამად რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თქვენს წარმატებას. თუ სამსახური გჭირდებათ, გირჩევთ, ამ კვირაში იაქტიუროთ.

მამაკაცი: კარგი იქნება, თუ ვახშამს გამართავთ და თანამშრომლებთან ერთად იქ ხელმძღვანელებსაც მიიწვევთ. იყავით მხიარული და ხალისიანი, ასეთი ადამიანი ხომ კომპანიის სული და გულია.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ნუ აღშფოთდებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამის ობიექტური საფუძველი გექნებათ. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და წონასწორობა. ეს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.

მამაკაცი: კატეგორიულად გეკრძალებათ საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი. შეიძლება ისეთი შეცდომა დაუშვათ, რომ საბოლოოდ დაკარგოთ ის. მოერიდეთ ალკოჰოლს, რომ მისი მიზეზით კონფლიქტის პროვოცირება არ მოხდეს.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: შეიძლება მოულოდნელად ფული მიიღოთ, ან მოიგოთ, მაგრამ გაფრთხილდით, მოგებული ფულის დაკარგვის ალბათობაც დიდია. მართალია, პროფესიულ საქმიანობაში თავდაუზოგავი შრომა გიწევთ, მაგრამ უკმაყოფილების მიზეზი მაინც არ გაქვთ. გაითვალისწინეთ, შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ.

მამაკაცი: ამ კვირაში მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და შეეცადეთ, დროის უმეტესი ნაწილი ოჯახის წევრებს დაუთმოთ. მნიშვნელოვანი საქმეები შემდეგი კვირისთვის დაგეგმეთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ყურადღებით აკონტროლეთ ხარჯები. ხელმომჭირნეობისკენ მოგიწოდებთ. თუ მაინც გაგიჩნდათ ფინანსური პრობლემები, ფულს ამ კვირაში მაინც ნუ ისესხებთ.

მამაკაცი: მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებში უმრავლესობის აზრის საწინააღმდეგო მოსაზრების ჯიუტად მტკიცებას. ხმამაღალი პროტესტი მხოლოდ ტელეეკრანის წინ გამოხატეთ, ისიც იმ შემთხვევაში თუ ოთახში მარტო იმყოფებით.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: არ არის სასურველი მთელი კვირა შინ გაატაროთ და ოჯახის წევრებს უშალოთ ნერვები. ჯობს, მეგობრებს შეეხმიანოთ და მათგან დადებითი მუხტი მიიღოთ.

მამაკაცი: ამ კვირაში ორი უკიდურესობა „გემუქრებათ". ჯერ გადაჭარბებული წარმოდგენა შეგექმნებათ საკუთარ შესაძლებლობებზე, შემდეგ კი არასრულფასოვნების კომპლექსი შეგიპყრობთ. ნუ აღელდებით, შემდეგ კვირაში წონასწორობის აღდგენას შეძლებთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: წინ საინტერესო სასიყვარულო თავგადასავალი გელით. პირადი ცხოვრების მოგვარებით გამოწვეული სიხალისე, პროფესიულ საქმიანობაშიც იჩენს თავს. თანამშრომლები გაოცებულნი იქნებიან თქვენი ენერგიულობით.

მამაკაცი: თუ მოგწყინდათ სიმშვიდე, ერთფეროვნება, რა გიშლით ხელს, შეცვალოთ ის? საკმარისია, სხვა თვალით შეხედოთ ცხოვრებას და ბევრ საინტერესო სიახლეს შეამჩნევთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ოჯახში სიმშვიდისა და ჰარმონიული ურთიერთობების შენარჩუნება თქვენზეა დამოკიდებული. ამ კვირაში განსაკუთრებული წარმატებით მოაგვარებთ იმ პრობლემებს, რომელიც თქვენს ახლობლებს აწუხებს.

მამაკაცი: სასიყვარულო ურთიერთობებში მთლად კარგად ვერ გექნებათ საქმე, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა სულ მალე გამოსწორდება. ასე რომ, მშვიდად დაელოდეთ მოვლენების განვითარებას.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: რა საქმესაც არ უნდა მოჰკიდოთ ხელი, ყველაფერი წარმატებას და მოგებას მოგიტანთ. ამიტომ, აქტიურობისკენ მოგიწოდებთ. თუ ბიზნესში ხართ ჩართული, თამამად წამოიწყეთ ახალი საქმე.

მამაკაცი: წინ მშვენიერი კვირა გელით. თქვენთვის საინტერესო მანდილოსანი მისთვის სასურველ ადგილას დაპატიჟეთ და მოუწყვეთ რომანტიკული საღამო, რომელიც ორივეს დიდხანს გემახსოვრებათ.

ხასნორი – 24/IX-23/X

ქალი: ჯობს, გამოიჩინოთ პრინციპულობა. ამ კვირაში მშვიდად მოუსმინეთ ყველას, ვინც რჩევის მოცემას შეეცდება, მაგრამ მოიქეცით ისე, როგორც ინტუიცია გიკარნახებთ.

მამაკაცი: ოპონენტების მისამართით მწარე გამონათქვამებისგან თავი შეიკავეთ. გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. ამ კვირაში აზარტულ თამაშებშიც არ გაგიმართლებთ. ასე რომ, შინ ჯდომას გირჩევთ.

აბორიგენთა ცივი იარაღი
პარფიუმერული წყარმი
პერსონაჟის გვარი კინოფილმში „ბმანო“
მოდების ჩვენება ვიწრო პოდიუმზე
მის უსაღლესი მსოფ ბალკანეთის ნკ-ზე
ერი
დს. საქართველოს ძვ ქართული სახელწ.
მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური
წანამატი ხარისხიანი საქონლის ფასზე
უგუმბათო ტაძარი
ბავშვის საჭმელი ოხელი ფაფა
ფოლადის ფირფიტა მელნით საწერად
ალმოდოვარის ფილმი
ზმის ამოსვლა
ბრაზილიური ალბერი ცეკვა
რობინზონ კრუზოს მეგობარი
ფერწერის ჟანრი
სპორტული თანრიგი კარატეში
მეფე „აბესალომ და ეთერიში“
ნოტი, რომელიც ალინიშნავს ლათინური H-ით
კომში
ბეთჰოვენის საფორტეპიანო პიესა
ხიდის გასწვრივ აკეთებული მოაჯირი
ბროწეულის საწებელი
დედამიწის ნახაზი
ჩანური ჭაბურაკი
არსენა ოძელაშვილის ნათლია
წამლის სასაქონლო ფორმა
აპონური ავტომობილი
სახელმწიფო აზრაში
უმცროსი მატროსი
ამერ. მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი
წყალხმელეთა ავტომობილი
ტექნიკური კულტურა
ჩიტი (საბა)
„ლამაზმანი“ (მსახიობი)
ქვეშ საგები ტყავის ნაჭერი
ბილიარდის ჯოხი
სოფელი ონის რაიონში
ლენინმა შეარქვა კაუტსკის
ატმოსფერული ნალექი
კიბე გემზე
მილანური საფეხბურთო კლუბი



შეადგინა რამაზ ალანიამ

...ე-11 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-გ.
...25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ; 4-ა.

მარიკა თხელიძე: „ჩემი ქოქუერახობა ძალიან დიდი შრომის შედეგია...“

მას შემდეგ, რაც მომღერლებმა — მარიკა თხელიძემ და სოსო თოლორაიამ კოტე ყუბანეიშვილის ტექსტზე შექმნილი სიმღერა „ქვეყანა აირია“ იმღერეს, ჩვენი ქვეყნის ბედი მართლა აირია, თუმცა ამ სიმღერამ მომღერლებს საკმაოდ დიდი წარმატება მოუტანა. იგი გაჟღერებისთანავე გაჰიტდა და მასზე გადაღებული კლიპი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართულ კლიპათეულებში ლიდერობდა. მარიკა ანასტასია ვირსალაძის სახელობის მუსიკალურ ათწლედში ფორტეპიანოს განსრით სწავლობს. თან, გამუდმებით ახალ სიმღერებზე მუშაობს.

— ახლა ჩავწერე ორი ახალი სიმღერა. ერთი სიმღერა „У природы нет плохой погоды“, ძველი რუსული მხატვრული ფილმიდან „სამსახურებრივი რომანიდანაა,“ რომლის გარემიქსების იდეა დათო ხუჯაძეს ეკუთვნის. უახლოეს დღეებში ამ სიმღერაზე კლიპსაც გადავიღებთ, რომლის რეჟისორი, ბასა ფოცხიშვილი იქნება. მეორე სიმღერის — „თეთრი თოლია“ მუსიკა ლილიკო ნემსაძეს, ხოლო ტექსტი — კოტე ყუბანეიშვილს ეკუთვნის. ეს სიმღერა ინგლისურ ენაზეც ჩავწერე, რომლის ტექსტის ავტორიც ბიბი კვაჭაძეა.

— შენი და სოსო თოლორაიას დუეტი ძალიან მალე გახდა პოპულარული. კიდევ ხომ არ აპირებ რომელიმე მომღერალთან დუეტის ჩაწერას?

— მართალია, „ქვეყანა აირია“ ძალიან მოკლე დროში გაჰიტდა და წარმატებაც მოგვიტანა. ახლა, ძირითადად, სოლო სიმღერებზე ვმუშაობ. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს მომავალში დუეტიც ჩავწერო რომელიმე მომღერალთან ერთად.

— ალბომის გამოშვებას ხომ არ აპირებ?

— სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა ჩემი პირველი ალბომი. ახლა ახალ სიმღერებს ვწერ და სულ მალე, ალბათ მეორე ალბომიც მზად იქნება.

— უამრავი მუსიკალური ფესტივალის გამარჯვებული ხარ. უახლოეს მომავალში კიდევ ხომ არ აპირებ რომელიმე მათგანში მონაწილეობის მიღებას?

— უახლოეს მომავალში ასეთი რამ გეგმაში არ მაქვს. სულ მალე ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად გავემგზავრები, ხოლო იქ ჩასვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ბროდვეის მიუზიკლში მივიღებ მონაწილეობას, სადაც „სიმბას“ გავახმოვანებ.

— ვინ გეხმარება შემოქმედებით წინსვლაში, ანუ ვინ არის შენი ე.წ. პროდიუსერი?

— პროდიუსერი არ მყავს. ეს ფუნქცია ჩემი ოჯახის წევრებს აკისრიათ. ყველაფერში ისინი მეხმარებიან. მყავს დიზაინერ-სტილისტი ბაკურ ბაკურაძე, რომელიც ზრუნავს ჩემს იმიჯზე და ყოველთვის მისი კოსტიუმები მაცვია.

— თუ გიწევს ფონოგრამით სიმღერა და საერთოდ, რა აზრის ხარ ფონოგრამაზე?

— ყოველთვის მირჩევნია, რომ ცოცხლად შევასრულო. ვცდილობ, ფონოგრამის გარეშე ვიმღერო, მაგრამ სამწუხაროდ, ყველა დარბაზში ეს არ ხერხდება...

— თაყვანისმცემლები თუ გაწუხებენ?

— კი არ მაწუხებენ, საჩუქრებით მანებივრებენ, რისთვისაც ყველა მათგანს მადლობას ვუხდი. მიხარია, რომ ჩემს შემოქმედებას ასე აფასებენ.

— თავს როგორ გრძნობ, როდესაც ქუჩაში გცნობენ?

— სხვათა შორის, როცა ვინმე ქუჩაში მცნობს და დაჟინებით მიყურებს, არ ვიმჩნევ. ვითომ ვერ ვხედავ მათ მზერას. გულში კი მიხარია ხალხის ასეთი ყურადღება. პოპულარობა ძალიან კარგია და მსიამოვნებს. ჩემი მეგობრები ხმამაღლა ოცნებობენ, — ნეტავი ვმღეროდე და მეც პოპულარული ვიყოო. მსიამოვნებს და მიხარია, რომ ღმერთის წყალობით დღეს პროფესიონალების გვერდით ვდგავარ სცენაზე და პოპულარული ვარ, რაც ძალიან დიდ შრომის შედეგია. ეს ყველაფერი სცენაზე ერთხელ გამოსვლით არ მომიპოვებია. ■

ნათია ქინქიძე

როგორ აღიქვამთ კრიტიკას?



ადამიანების ნაწილი კრიტიკას ნორმალურად აღიქვამს და ითვალისწინებს კიდეც. მაგრამ ზოგს შეუძლია, სამუდამოდ შეიძულოს ყველა, ვინც კი მის გაკრიტიკებას გაბედავს... როგორია კრიტიკისადმი თქვენი დამოკიდებულება? თუ ამაზე არ გიფიქრიათ, პასუხს წინამდებარე ტესტის მეშვეობით მიიღებთ.

1) მიგაჩნიათ თუ არა კრიტიკა სამსახურში ნაკლოვანებების აღმოფხვრის მეთოდად?

ა) დიახ, ის ჯანსაღი კოლექტივისთვის აუცილებელია – 3;

ბ) არა, ის ართულებს თანამშრომლების ურთიერთობებს – 0;

გ) კრიტიკა დასაშვებია, ოღონდ – იშვიათად – 2.

2) როგორი გრძნობა გიჩნდებათ, როცა ვინმეს ხალხის თვალწინ აკრიტიკებენ?

ა) ეს ადამიანზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებაა – 3;

ბ) უმჯობესია, ადამიანს შენიშვნა განცალკევებით, მოწმეების გარეშე მივცეთ – 1;

გ) ადამიანი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გავაკრიტიკოთ, თანაც – მხოლოდ პირისპირ და ხუმრობანარევი ტონით – 0.

3) დასაშვებია თუ არა, რომ თანამშრომელმა გააკრიტიკოს ხელმძღვანელი?

ა) რასაკვირველია – 3;

ბ) ხელმძღვანელის ავტორიტეტის შელახვა დაუშვებელია, ამიტომ ის საჯაროდ არ უნდა გავაკრიტიკოთ – 0;

გ) შეიძლება, ოღონდ, დიდი სიფრთხილისა და დიპლომატიის ნორმების დაცვით – 1.

4) როგორი აზრის ხართ თვითკრიტიკაზე?

ა) ცდილობთ, ობიექტური იყოთ და საკუთარ შეცდომებს თვითონვე აღიარებთ – 3;

ბ) საკუთარ შეცდომებს ყოველთვის ხედავთ, მაგრამ მათ აღიარებას არასოდეს ჩქარობთ – 2;

გ) თვითკრიტიკა საჭირო არ არის; თუ რაიმე შეგეშლებათ, სხვებიც მიგითითებენ – 1.

5) ჩვეულებრივ, რა ფორმით აკრიტიკებთ ვინმეს?

ა) რბილად, კორექტულად, ისე, რომ ღირსება არ შეელახოს – 3;

ბ) ფიქრობთ, რომ რაც უფრო მეტ შეურაცხყოფას მიაყენებთ, მით უფრო შედეგიანი იქნება კრიტიკა – 1;

გ) გააჩნია, ვის აკრიტიკებ – 2.

6) თქვენი აზრით, პიროვნების გაკრიტიკებისას, საჭიროა თუ არა მისი პლუსების აღნიშვნაც?

ა) დიახ, ეს აუცილებელია – 2;

ბ) არა, ამას აზრი არა აქვს – 1;

გ) სიტუაციას გააჩნია – 3.

7) თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა კრიტიკის დროს ზომიერების დაცვა?

ა) აუცილებლად – 1;

ბ) არავითარი ზომიერება! – სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას – 0;

გ) კრიტიკული შენიშვნის გამოთქმის დროს, მხოლოდ მოცემულ საკითხზე ლაპარაკობთ – 3.

8) თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა, რომ გაკრიტიკებასთან ერთად, ადამიანმა მდგომარეობის გამოსწორების გზებზეც ილაპარაკოს?

ა) დიახ, ვისაც კრიტიკის უნარი აქვს, მას სიტუაციის გამოსწორების გზის პოვნაც უნდა შეეძლოს – 2;

ბ) მთავარია, სწორად დაანახვოთ კაცს პრობლემა, მისი აღმოფხვრა კი, სხვების საქმეა – 1;

გ) კრიტიკა აუცილებლად კონსტრუქციული უნდა იყოს; ახალი იდეების დანერგვის დროსაც კი, საჭიროა ნაკლოვანებების მითითება – 3.

9) ჩვეულებრივ, როგორ რეაგირებთ კრიტიკაზე?

ა) მაშინვე გასცემთ სათანადო პასუხს – 1;

ბ) ჩუმად განიცდით – 0;

გ) არ ჩქარობთ, ყველაფერს კარგად მოიფიქრებთ და პასუხს მერე გასცემთ – 3.

10) უმეტესად, როგორია თქვენი პასუხი კრიტიკაზე?

ა) ცდილობთ, მშვიდად მიიღოთ კრიტიკა, მაშინაც კი, როცა ის მთლად ობიექტური არ არის – 2;

ბ) „კრიტიკოსს“ სამაგიეროს გადაუხდით – საპასუხოდ, დაუნდობლად გააკრიტიკებთ – 0;

გ) მიგაჩნიათ, რომ კრიტიკა ავტორიტეტს გილახავთ, ამიტომ აუცილებლად დაიცავთ თავს – 1.

11) გაღიზიანებთ თუ არა უსამართლო კრიტიკა?

ა) დიახ, ძალიან – 1;

ბ) არც ისე – 2;

გ) გააჩნია სიტუაციას – 3.

12) გიჩნდებათ თუ არა უარყოფითი განწყობა იმ ადამიანის მიმართ, ვინც გაკრიტიკებთ?

ა) დიახ – 1;

ბ) იშვიათად – 3;

გ) მხოლოდ მაშინ, როცა კრიტიკა უსამართლოა ან გაკრიტიკებისას, შეურაცხყოფას გაყენებენ – 2.

13) რას ფიქრობთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ხშირად აკრიტიკებენ საკუთარ თავს?

ა) მატყუარებად და მერყევ პიროვნებებად მიგაჩნიათ – 1;

ბ) თქვენი აზრით, ეს საკმაოდ ნორმალურია – 2;

გ) აუცილებლად ურჩევთ მათ, რომ არ აკრიტიკონ საკუთარი თავი – ამას სხვებიც გააკეთებენ – 1.

14) თქვენი აზრით, რა არის კრიტიკა?

ა) კრიტიკა წამალია, ყველას უნდა შეეძლოს მისი მიღება და გამოყენება – 0

ბ) კრიტიკა – შემოქმედებაა, ამიტომ მას მხოლოდ იმ პიროვნებამ უნდა მიმართოს, ვისაც სხვისი გაკრიტიკების მორალური უფლება აქვს – 2

გ) ზოგისთვის კრიტიკა ოგივეა, რაც მოდა, რომელსაც უბრალოდ უნდა მისდიო – 1.

დაანჯამეთ ქულები

14 ქულაზე ნაკლები: კრიტიკას ვერ იტანთ — ოღონდ მაშინ, როცა თქვენ გაკრიტიკებენ. სამაგიეროდ, როცა სხვას ატარებთ კრიტიკის ქარცეცხლში, ხშირად კარგავთ ზომიერების გრძნობას. ორივე შემთხვევაში, ძალზე ემოციური ხართ, განიცდით და უხეშად იქცევით. ეს დამაფიქრებელი უნდა იყოს თქვენთვის.

14-28 ქულა: კრიტიკას ნორმალურად აღიქვამთ და მას საქმიანობისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევთ. თუმცა, იმასაც ფიქრობთ, რომ კრიტიკის გარეშეც შეიძლება ნაყოფიერად მუშაობა. ორივე შემთხვევაში, როცა გაკრიტიკებენ ან როცა აკრიტიკებთ, ემოციების მოთოკვას ახერხებთ. წონასწორობიდან თქვენი გამოყვანა ძნელია. თუმცა, ისეც მომხდარა, რომ დაუმსახურებელი კრიტიკის გამო დაბოღმილხართ და წყენა გულში დიდი ხნით ჩაგიხვევიათ.

28 ქულაზე მეტი: კრიტიკას ნორმალურად აღიქვამთ — ის, თქვენი აზრით, საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. საკუთარი შეცდომების აღიარებაც არ გიჭირთ. როცა სხვას აკრიტიკებთ, ყოველთვის თავდაჭერილი ხართ, არასოდეს ცდილობთ საკუთარი შეცდომების სხვაზე გადაბრალებას. ეს ყველაფერი კი, დადებითად აისახება თქვენს საქმიანობაზეც და ავტორიტეტზეც.

ბილ ჯლინტონს ჩინური ფაბრიკის „სახის“ ამპლუა შესთავაზეს

აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს ახალ ამპლუაში გამოსაჩენად, ორ მილიონ დოლარს სთავაზობენ.

„ჩვენი კოსტიუმები საოცრად შეეფერება კლინტონის პიროვნულ თვისებებს“, – განაცხადა კომპანია Fapai Xifu-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვან ჟენმა.

ჩინეთში ტანსაცმლის მწარმოებელთა შორის Fapai Xifu-ს მე-17 ადგილი უკავია. მისი სახელწოდება ასე ითარგმნება – „ტანსაცმელი ფრანგულ სტილში“. საინტერესოა, რომ კომპანიის მესვეურებმა კლინტონს ელექტრონული წერილი თანამშრომლობის შეთავაზებით თეთრ სახლში გაუგზავნეს, სადაც უკვე სამი წელია, ჯორჯ ბუში იმყოფება. მიუხედავად ამისა, ჩინური კომპანია იმედს არ კარგავს, რომ მომავალი წლიდან მაინც მოახერხებს VIP-მოდელთან კონტრაქტის გაფორმებას. გასულ კვირას, ბილ კლინტონი პეკინში იმყოფებოდა, სადაც ის შიდსის საწინააღმდეგო ღონისძიებებში მონაწილეობდა. ამ ხნის განმავლობაში, Fapai Xifu-მ კლინტონს კოსტიუმი, ჰალსტუხი, პერანგი და ფეხსაცმელები გაუგზავნა.

როგორც აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის პრესმდივანმა განაცხადა, ამ ფირმასთან ხელშეკრულების შესაძლო გაფორმების თაობაზე მან არაფერი იცის.

დღესდღეობით, კომპანიის პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია ჩინეთში ხდება. „ფრანგული სტილის კოსტიუმების“ ფასი 360-დან 960 დოლარამდე მერყეობს. კომპანიის წლიური შემოსავალი კი 157 მილიონ დოლარს შეადგენს. ■

ლიპეცკში მონევის სანინააღმდეგო სიგარეტს ანარმოებენ



ლიპეცკის თამბაქოს ქარხანამ – „უსმან-ტაბაკმა“ ისეთი სიგარეტი გამოუშვა, რომელიც ადამიანს თამბაქოს მოწევისათვის თავის დანებებაში ეხმარება.

ტექნოლოგების თქმით, ამ მავნე ჩვევისგან გათავისუფლების კურსი ოთხდღიანია – ეს სწორედ ის ვადაა, რომლის გადალახვაც ჩვეულებრივ, ყველაზე მეტად უჭირთ ხოლმე მწეველებს... გადაჩვევის კურსში ოთხი კოლოფი სიგარეტი შედის, რომლის სახელწოდებაცაა „ვიაჩესლავ ზახაროვი“. ეს სიგარეტი სპეციალური ტექნოლოგით იმგვარადაა დამზადებული, რომ ყველაზე სტაჟიან მწეველებსაც კი არ მიანიჭებს სიამოვნებას. სიგარეტს ვორონეჟელი ფსიქოლოგის სახელი დაარქვეს: ვიაჩესლავ ზახაროვი 90-იანი წლების დასაწყისში, ვორონეჟის ოლქის სამედიცინო პროფილაქტიკის ცენტრის თამბაქოს მოწევისა და ალკოჰოლის ადრეული პროფილაქტიკის კაბინეტს ხელმძღვანელობდა. ■

ჯენგურუ – ახალი საფრთხე ფრანგი ავტომოყვარულებისათვის

ფრანგი ავტომოყვარულები დაბნეულები არიან: პარიზის გარეუბნებში უჩვეულო საგზაო ნიშნები გამოჩნდა, რომელსაც აწერია – „ფრთხილად, კენგურუ!“ ბოლო დროს, კენგურუები არაერთხელ შენიშნეს გზებზე რამბუიეს ტყის მახლობლად. ამ ტყეში ბინადრობენ აგრეთვე ანტილოპები, ფლამინგოები და სირაქლემები. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, თვითონ მართონ სიტუაცია: მათ არ სურთ, რომ ცხოველები მძღოლების უყურადღებობამ ან დაბნეულობამ იმსხვერპლოს. „კენგურუს გამოსახულებები მოქალაქეებმა საგზაო ნიშნების ზემოთ თავიანთი ხელით დახატეს“, – აღნიშნა ერთ-ერთი იმ ქალაქთაგანის მერმა, რომელიც რამბუიეს ტყესთან ახლოს მდებარეობს. ■

პირველი ხარისხის მოყინვა

არხანგელსკის ოლქში უცნაური ამბავი მოხდა: 13 წლის გოგონამ ჩაი გაიმზადა, გაცივება არ აცალა და ენა დაეთუთქა. თავზარდაცემულმა და დაბნეულმა ბავშვმა მაცივარი გამოაღო, ენა საყინულეში შეყო და ასეთ მდგომარეობაში დიდხანს დარჩა, რადგან ენა უმალ მიეყინა. შინ დაბრუნებულმა მშობლებმა „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახეს. ექიმებმა, რომლებმაც საბრალო გოგონა ამ მდგომარეობიდან იხსნეს, აღნიშნეს, რომ მან პირველი ხარისხის მოყინვა მიიღო. ■

ფოტოკუთხეები



განსხვავებული ჟურნალი

678/40

TV-პროგრამა
17.11-23.11 2003 წ.

უდანაშაულო
დაზღვეულები

100 გასაკვირვებელი დანაშაული საქართველოში

ჩემი ოჯახი

№46(59) ფასი 60 თ.

10
ოჯახური ტრადიცია
— სად იმყოფება
სანდრა სააკაშვილი

44
რითი არ
მოსწონს ეკიმი სიძე
ლიზა ბაგრატიონის დედას

48
„ინფროსტ"-ბიჭებს
გოგონების გარდა ყველაფერი
საერთო აქვთ

რა აუკრძალეს ზაალ უდუმაშვილს პირდაპირ ეთერში

რას ითხოვს ტელეწამყვანის ოჯახი